საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მერი დამენია

ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები



მეცნიერება
თბილისი
1982

4 Г
81.2 Гр
499.962.1—55
დ 182

ნაშრომში განხილულია მორფემასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული საკითხები. მოცემულია ზმნურ მორფემათა რანგობრივი კვალიფიკაციის დამატებითი წესები; ახსნილია ერთ რანგში გაერთიანებული მორფემების ურთიერთმიმართება — დადგენილია, რომ მორფემათა ერთ რანგში გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს მათი გრამატიკულ მიმართებათა იდენტური ან რელატიურ-იდენტური მნიშვნელობა; შემუშავებულია მორფემათა კვლევის ზოგი ახალი მეთოდური წესი, რომელთა გამოყენების შედეგად ქართულში დადასტურდა სპეციფიკური ურთიერთმიმართება გვარისა ქცევასთან და კაუზატივისა გვართან, რამაც ახლებურად გააშუქა მათ აღმნიშვნელ ნიშანთა ფუნქციები. ნაშრომს ერთვის ზმნურ მორფემათა სტრუქტურული მოდელები.

რედაქტორი აკადემიკოსი შ. ძიძიგური

დ 70103 / მ 607 (06)—82 131—81 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელების დადგენა და მისი თეორიული საფუძვლების ანალიზი.

ენის სტრუქტურის მოდელების კვლევა და დადგენა თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წლის განმავლობაში ენათმეცნიერება მძაფრად განვითარდა და გააფართოვა თავისი საზღვრები კვლევის ახალი ზოგადთეორიული თვალსაზრისით და შესაბამისი ახალი მეთოდური საშუალებებით.

თანამედროვე ენათმეცნიერულ მიმდინარეობებს საფუძველი დაუდო სოსიურის ენათმეცნიერულმა კონცეფციამ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სისტემის ცნების სოსიურისეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით ენის სისტემა არის ისეთი მთლიანი რთული და ორგანიზებული მექანიზმი, სადაც ელემენტები ურთიერთგანპირობების მიმართებაში იმყოფებიან, რაც შეპირობებულია ენაში მოქმედი მკაცრი კანონზომიერებით. შდრ. სისტემის სოსიურამდელ გაგებას, სადაც მთლიანი გაგებული ჰქონდათ როგორც ელემენტთა უბრალო ჯამი.

სისტემის მხოლოდ ასეთგვარი გაგება წარმოადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების პოსტულატს და ხსნის სტრუქტურალიზმის იმ ტენდენციებს, რომლებსაც ვხედავთ დღეს ენათმეცნიერებაში.

სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურათა ანალიზმა გამოავლინა მათი მეტად განსხვავებული სისტემური ორგანიზაცია; არ მოხერხდა უმწერლობო ენათა კვლევისათვის გამოეყენებინათ ტრადიციული, მწერლობის მქონე ენათათვის ფასეული, მეთოდები და კრიტერიუმი. აშკარა გახდა, რომ ზოგი ლინგვისტური ტიპის აღწერა და პრობლემის გადაწყვეტა ტრადიციული მეთოდებით შეუძლებელია. ამდენად, ენის სტრუქტურის სისტემის ანალიზმა, რომელიც ქმნის ენის მექანიზმს და მასთან დაკავშირებულმა პრობლემების კვლევამ მოითხოვა შესაბამისი ლინგვისტური ტექნიკის გამოყენება ანუ კვლევის მეთოდური ახალი საშუალებები.

ენის ფორმალური სტრუქტურის ახალი მეთოდებით კვლევა თანამედროვე ენათმეცნიერული თეორიის ნაყოფია, რასაც მოდელების ენათმეცნიერებასაც კი უწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ენათმეცნიერების გარკვეული სახის მეთოდურმა საშუალებებმა, თავისი სიზუსტის გამო, და მათმა თეორიულმა პრინციპებმა თანდათან აღიარება პოვეს და დღეს გენეტური ენათმეცნიერების არაერთი წარმომადგენელი იზიარებს მათ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ნათქვამი არ ვრცელდება სტრუქტურალიზმის ზოგი განშტოების წარმომადგენლის მიმართ, რომელიც, როგორც ჩანს, ზომაზე მეტად გაიტაცა ახალი ტექნიკის მიმზიდველობამ და ჭარბად განიცდის ისეთი ზოგადთეორიული დისციპლინების გავლენას, როგორიცაა მათემატიკური ლოგიკა და კიბერნეტიკა. ასეთი ლინგვისტები უკიდურეს ფორმალიზმამდე ეშვებიან; არ მოხერხდება ერთი ფორმალური მოდელით აიხსნას ყველა ენის ფორმალური მექანიზმები, იმის გამო, რომ ენები სხვადასხვა აგებულებისაა (პირველ რიგში იგულისხმება მორფოლოგიური ტიპი) და მათი დამუშავებაც განსხვავებულ თვალსაზრისს მოითხოვს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ნაშრომის მიზანია ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელების დადგენა და მათი თეორიული საფუძვლების ანალიზი, რომლებიც შევამოწმეთ თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მასალების მიხედვით.

ქართული ენის ზმნურ აფიქსთა სტრუქტურული მოდელების დასადგენად დიდძალი მასალა დავამუშავეთ. მხატვრული ნაწარმოების ტექსტებიდან ამოვიწერეთ 300 000 სიტყვაფორმა, რამაც სეგმენტური დამუშავების შემდგომ მილიონზე მეტი სამუშაო ბარათი მოგვცა. გავითვალისწინეთ თანამედროვე პრესის ენაც. მიღებული მასალა არ არის მხოლოდ მითითებულ ტექსტებზე მუშაობის შედეგი. მასზე მუშაობისას ტექსტებთან ერთად ძირითად წყაროებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ქართული ენის გრამატიკის თეორიული მასალებიც წარმოადგენს.

ქართული ენა მორფოლოგიური აგებულების მიხედვით აგლუტინაციური ტიპისაა. ამიტომ ზმნის დეფინიციების პრინციპი ფორმალური მაჩვენებლების მიხედვით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მით უფრო, რომ ქართულ ზმნას ფორმალურად გამომხატველობითი საშუალების სიმდიდრე ახასიათებს.

ზმნის ფორმალური სტრუქტურის აღწერისათვის საჭირო შეიქნა, გაგვეთვალისწინებინა სიტყვაფორმაში აფიქსთა მიმდევრობის ყოველი შესაძლებელი შემთხვევა. ასეთი თვალსაზრისით დამუშავებულმა მასალამ მოგვცა პრეფიქსებისა და სუფიქსების დისტრიბუციული კონები,

რომლებიც სხვადასხვაგვარია როგორც აფიქსთა შემადგენლობით, ასევე რაოდენობითაც.

ამით აიხსნება, რომ ჩვენი ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოვადგინეთ პრეფიქსული და სუფიქსური მორფემების ყველა შესაძლებელ მიმდევრობათა კონების სპეციალური ლექსიკონები, სადაც მათ ვაძლევთ შესაბამ ინფორმაციებს მათ სინტაგმატურ მიმართებებზე და ფუნქციებზე. ასეთი ლექსიკონები საშუალებას მისცემს მკითხველს, სხვადასხვა თვალსაზრისით შეამოწმოს მორფემებთან დაკავშირებული მასალა.

ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში გადმოცემულია მორფემათა და, კერძოდ, ზმნურ მორფემათა ზოგადთეორიული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტის არსის სპეციფიკასთან და მისი კვლევის მეთოდური საშუალებების თეორიულ ანალიზთან.

ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე საკვლევ ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთ ზოგადთეორიულ საკითხებზე, როგორიცაა მორფემისა და ფონემის ურთიერთმიმართებისა და სისტემისა და სტრუქტურის ცნებათა რაობის საკითხები.

მეთოდურ საშუალებათაგან განვიხილეთ შეპირისპირების ანუ სუბსტიტუციის, დისტრიბუციისა და მიმდევრობაში მორფემათა რანგის დადგენის მეთოდები.

მეთოდების თეორიულ ანალიზთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენი მოსაზრებები, რომლებიც სქემატურად ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

შეპირისპირების მეთოდთან დაკავშირებით გარკვეულმა შემთხვევებმა საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ერთი დამატებითი ხერხი.

როგორც ცნობილია, ფარდი და თანაზომიანია ფორმების შეპირისპირება იმ შემთხვევაში, თუ შეპირისპირება მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით ხდება. ასეთი საპირისპირო ცალები კონვერსიულია. ამ დებულებიდან გამომდინარე, დაპირისპირებულ ერთეულთა დანარჩენი გრამატიკული ხასიათის მნიშვნელობები იდენტური უნდა იყოს: მაგ., ვწერ-ვწერთ ფორმათა შეპირისპირება რიცხვის მიხედვით იძლევა მხოლოდ რიცხვით განსხვავებულ ერთეულს, სხვა ნიშნებით ეს ორი ერთეული იდენტურია.

ენიანი ენებითის შეპირისპირებამ გვარის მიხედვით მოგვცა ფარდი, თანაზომიანი მოქმედებითი გვარის ზმნა (დაემალა ენ. გვ. — დაუმალა მოქ. გვ.), მაგრამ საობიექტო ქცევის მნიშვნელობით. ერთეულები შევუპირისპირეთ მხოლოდ გვარის მიხედვით, მაგრამ მიღებული

თანაზომიანი ფარდი ერთეული განსხვავებული აღმოჩნდა ორი მნიშვნელობით — გვარითა და ქცევით. ერთეულთა დაპირისპირების თანაზომიანობისა და ფარდობის საფუძველზე, სადაც დაპირისპირებული ერთეულები განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ნიშნით, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობებით იდენტურია, გავაკეთეთ დასკვნა, რომ ენიანი ვნებითის ფორმას საობიექტო ქცევის მნიშვნელობაც აქვს. შეპირისპირების ამ შემთხვევაშიც განსხვავება, როგორც მოსალოდნელი იყო, მივიღეთ მხოლოდ გვარის მიხედვით, ხოლო საობიექტო ქცევის მნიშვნელობა შეთავსებული ჰქონია ვნებითი გვარის მაწარმოებელ ე პრეფიქსს.

გვარის მიხედვით შეპირისპირებამ გამოააშკარავა ენიანი ვნებითის დაფარული საობიექტო ქცევის მნიშვნელობა, რომელსაც, როგორც მისმა ფარდმა და თანაზომიანმა მოქმედებითი გვარის ფორმამ გამოააშკარავა, შეთავსებული ჰქონია საობიექტო ქცევის მნიშვნელობაც.

შეპირისპირებაში ასეთ ერთეულს ვუწოდეთ პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ი ე რ თ ე უ ლ ი.

ენიანი ვნებითის ფარდ და თანაზომიან მოქმედებითთან შეპირისპირებაში ენიანი ვნებითი პოტენციური ერთეული აღმოჩნდა ქცევის მნიშვნელობის გამომჟღავნებისათვის.

გამოყენებული ხერხის მეშვეობით გამოვააშკარავეთ ფორმალურ ნიშანთა ფარულად შეთავსებული მნიშვნელობები და დავადგინეთ მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხი.

დისტრიბუციის მეთოდი, რომელიც ისეთი ნაყოფიერია ფონოლოგიის სფეროში, არსებითად, ფონემის განსაზღვრისა და დადგენის ხარჯზე, არ აღმოჩნდა საკმარისი ზმნური მორფემების ანალიზისათვის.

არსებითი ხასიათის მნიშვნელობა აქვს მორფემათა რანგობრივი თეორიის თვალსაზრისით დამუშავებას. ეს გასაგებია, რადგან ზმნურ ფორმაში მორფემათა მიმდევრობა მკაცრად განსაზღვრულია, რაც შეპირობებულია მათი მნიშვნელობით. ეს კანონზომიერება კი გამოხატულია მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში.

აღნიშნულის გამო, ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მორფემათა მიმდევრობითი რიგის ანუ რანგის დადგენის საკითხს. მით უფრო, რომ მიმდევრობაში რიგითი ადგილის დადგენა საკუთრივ ლექსიკურ-გრამატიკული და გრამატიკული მნიშვნელობის მორფემათა კვლევის მეთოდურ საშუალებას წარმოადგენს.

მორფემათა რანგობრივი თეორიის პრინციპები დავაჯამეთ ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერთა ნაშრომების მიხედვით და ზოგ საკუთარ მოსაზრებასა და დასკვნასთან ერთად ასეთი სახე მივეცით:

მორფემებს რიგითი ადგილის (რანგის) კვალიფიკაციას მაქსიმალური პოზიციის მიხედვით აძლევენ; ჩვენც ამ დებულებით ვიხელმძღვანელეთ, მაგრამ შევიტანეთ ერთი კორექტივი, ჩვენ ამას ვაკეთებთ ალომორფთა კლასიდან იმ ალომორფის მიხედვით, რომელსაც ყველაზე მაქსიმალური პოზიცია აქვს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ მორფემას, მაგ., ს, ა, ო-ს (მესამე სუბიექტ. პირის მხ. რიცხ. აღმნიშვნელი ერთი მორფემის ალომორფებია) მიეცემოდა რამდენიმე რანგის კვალიფიკაცია: ო-ს პირველი რანგისა, რადგანაც ეს მისი მაქსიმალური პოზიციაა, ა-ს მეოთხე რანგისა, რადგან ეს მისი მაქსიმალური პოზიციაა, ხოლო ს-ს მეხუთე რანგისა მისი მაქსიმალური პოზიციის მიხედვით. -ო და -ა ალომორფებს მეხუთე რანგის კვალიფიკაცია მივეცით იმის საფუძველზე, რომ მათი მომდევნო მორფი არ შეიძლება იყოს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რანგისა, რაც, ფაქტიურად, განსაზღვრავს მათთვის მეხუთე რანგის კვალიფიკაციის უფლებას.

ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო, ამ საკითხზე მომუშავე ლინგვისტები წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ, რამაც მათ არ მისცა საშუალება, სათანადოდ შეეფასებინათ რანგობრივი თეორიის ღირებულება.

რანგობრივი თეორიის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით, ზმნურ ერთ სიტყვაფორმაში, ერთი რანგის ორი მორფი დაუშვებლად ითვლება, რადგანაც ერთ-ერთი იქნებოდა მომდევნო ე. ი.., სხვა რიგში აღმოჩნდებოდა. ამ დებულებასთან დაკავშირებით, დადგა „წავსულვარ", „აკეთებინებს" ფორმების საკითხი, სადაც ერთი რანგის მორფი ორჯერაა წარმოდგენილი. პირველი რიგის შემთხვევაში მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით ორჯერაა წარმოდგენილი პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (შდრ., ძვ. ქართ. წასულვარ). პირველი პირის სუბიექტურ ნიშანს გამოყენებული აქვს მესამე სუბიექტური პირის ნიშნის სუფიქსური რანგი. ჩვენ ასეთი შემთხვევები ავხსენით ენის შესაძლებლობით, როდესაც ენა თანაბარი დატვირთვით იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ პრეფიქსულად და სუფიქსურად გამოსახვის საშუალებებს. ასეთ, ერთი დანიშნულების, პრეფიქსულსა და სუფიქსურ რანგებს ერთი რანგის ღირებულებას ვანიჭებთ. ამავე საფუძველზე პირველი და მეორე სუბიექტური პირების პრეფიქსულ რანგსა და მესამე სუბიექტური პირის სუფიქსურ რანგს მივეცით ერთი რანგის ღირებულება. ჩვენი შეხედულების დამადასტურებლად მივიჩნიეთ ის ფაქტიც, რომ „წავსულვარ" და მაგგვარ ზმნური ფორმების სუბიექტური პირის მიხედვით უღლებადმა მეშველმა ზმნამ დაიკავა მესამე

სუბიექტური პირის სუფიქსური რანგი, სადაც აისახა სუბიექტური სამივე პირის მნიშვნელობა.

„აკეთებინებს“ ზმნური ფორმის შემთხვევაში (სადაც ორ სუფიქსურ რანგშია „ებ“) ფონემური გამოსახულებით ერთსა და იმავე „ებ“ ფორმალურ ნიშნებს ვაძლევთ სხვადასხვა კვალიფიკაციას, რადგან ისინი ფუნქციურად განსხვავდებიან. პირველი ებ (კეთებ) ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელია და, ამდენად, ზმნური ფორმის ლექსიკური ერთეულის კუთვნილებაა, რომელიც გრამატიკული მნიშვნელობის მორფთა მიმდევრობაში მონაწილედ არ უნდა ჩაითვალოს.

რანგობრივი თეორიის თვალსაზრისით მორფემათა დამუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძირითადად მათი (მორფემების) მნიშვნელობისა და ფუნქციური დატვირთვის დადგენის ხარჯზე. ეს გასაგებია, რადგან მეთოდის ღირებულება და შეფასება დაკავშირებულია სწორედ ამ საკითხის გარკვევასთან. ამ თვალსაზრისით იგი ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობის ღირებულებისაა. ასეთ შემთხვევაში თავისთავად გამომდინარეობს ამ მეთოდის მნიშვნელობა კერძო ენათმეცნიერებისთვისაც, რადგანაც ამ საკითხის ზუსტად და სწორად გადაწყვეტის შედეგად გრამატიკაში არაერთი მოვლენა იპოვის თავისი თეორიული საფუძვლების მართებულ ახსნას, როგორიცაა, მაგ., ქართული ზმნის პრეფიქსულ წარმოებაში ქცევისა და ვნებითი გვარის, ხოლო სუფიქსურში — ვნებითი გვარისა და კაუზატივის აღმნიშვნელ ნიშანთა ერთ რიგში გაერთიანება, ან სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა განსხვავებულ რანგებში მოთავსება.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებულია მორფემათა ერთ რანგში გაერთიანების საფუძვლის გარკვევასთან — რა განაპირობებს მორფემათა ერთ რანგში გაერთიანებას. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე მომუშავე ლინგვისტებს ეს საკითხი არა აქვთ განხილული, თუმც ისინი ერთი რანგის მორფემებს ურთიერთგამომრიცხველებად მიიჩნევენ. ეს თავისთავად ცხადია, სხვაგვარად ისინი ერთი რანგისანი ვერ იქნებოდნენ.

ფორმალური ნიშნები ურთიერთგამომრიცხველები შეიძლება იყოს სხვადასხვა საფუძველზე: I. თუ ერთი მნიშვნელობის მიხედვით საპირისპირო შემთხვევებს წარმოადგენენ, სადაც ერთი სახეობა უარყოფს მის საპირისპიროს ასეთი მსჯელობის საფუძველზე: სადაც წარმოდგენილია ერთი, იქ ვერ იქნება მეორე.

ასეთ შემთხვევებს გვაძლევს იდენტური გრამატიკული მიმართების საპირისპირო შემთხვევები, მაგ., მხოლობითი და მრავლობითი — რიცხვის საპირისპირო შემთხვევებია, სადაც წარმოდგენილია მრავლო-

ბითი რიცხვის ნიშანი, იქ გამორიცხულია მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობა.

2. თუ ნიშანი ჰარბია, ამ შემთხვევაში ნიშანი გამორიცხულია მეტყველების ეკონომიის საფუძველზე.

ერთი რანგობრივი კვალიფიკაციისა არის ქართულში ზმნური პრეფიქსული ხმოვნები: ი-, ე- (ვნებითი გვარისა), ი-, ი-/უ- (ქცევისა) და პირიანობის მმატებელი ა- პრეფიქსი.

ი-, ე- ვნებითი გვარის პრეფიქსები ერთი გრამატიკული მიმართების — ვნებითი გვარის — საპირისპირო შემთხვევებია და ამ საფუძველზე გამორიცხავენ ურთიერთს.

ი-, ი-/უ- სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ნიშნებიც ერთი გრამატიკული მიმართების — ქცევის — საპირისპირო შემთხვევებია და ამ საფუძველზე გამორიცხავენ ურთიერთს.

სასუბიექტო ქცევის ი- პრეფიქსი ვნებითი გვარის ნიშნებს გამორიცხავს, როგორც ერთი გრამატიკული მიმართების — გვარის — საპირისპირო შემთხვევები, რადგან სასუბიექტო ქცევა გვარის მიხედვით მხოლოდ მოქმედებითია.

ვნებითის ე პრეფიქსი საობიექტო ქცევის ნიშნებს გამორიცხავს მეტყველების ეკონომიის საფუძველზე -ე პრეფიქსი იბავსებს ი/უ პრეფიქსის მნიშვნელობას, ამიტომ ი/უ ჰარბია -ე პრეფიქსთან.

ა პრეფიქსი სხვა პრეფიქსულ ხმოვნებს უპირისპირდება ზმნის პირიანობის მატება-კლების თვალსაზრისით. იგი ხან ჰარბია, ხან საპირისპირო შემთხვევაა.

ურთიერთგამორიცხვის ორივე შემთხვევაში ამოსავალია გრამატიკული მიმართების იდენტური მნიშვნელობა; ეს განსაზღვრავს ერთ რანგში მორფემათა გაერთიანების საფუძველს.

გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა მოცულობით სხვადასხვა განზომილებისა არის. ერთ შემთხვევაში ამოსავალია უფრო ზოგადი მნიშვნელობა, სხვა შემთხვევაში — ნაკლებ ზოგადი (შდრ., გვარის კატეგორიაში მოქმედებითის, საშუალისა და ვნებითის გამოყოფა და ვნებით გვარში, რომელიც ნაკლებ ზოგადია, ინიანისა და ენიანის ან სუფიქსურის გამოყოფა). ეს დამოკიდებულია ენების გრამატიკულ მნიშვნელობათა ფორმალურად გამოსახვის განსხვავებულ უნარზე.

-ა პრეფიქსი ქცევის მაწარმოებელ ფორმალურ ნიშნად არ ჩავთვალეთ, რადგან იგი არ გამორიცხავს საობიექტო და სასუბიექტო ქცევის მნიშვნელობებს. მის დანიშნულებად მიგვაჩნია ზმნის პირიანობის მატება.

სასუბიექტო ქცევის მიმართებას ვნებით გვართან ვუწოდეთ რელატიურ-იდენტური დამოკიდებულება.

ჩვენი მოსაზრებები ერთი რანგობრივი კვალიფიკაციის მორფემათა ანალიზის შედეგია.

სუბიექტურსა და ობიექტურ პირის ნიშნებს მიეცით განსხვავებული პრეფიქსული რანგები, რადგან მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით ისინი ვერ უპირისპირდებიან ერთმანეთს ურთიერთგამორიცხვის წესით.

ფონემის მორფემასთან შეპირისპირებამ, რომელსაც სპეციალური თავი დაეთმო, ნათლად წარმოგვიდგინა თითოეულის სპექიციფკა; ამით ხაზი გაესვა მორფემათა კვლევისათვის სპეციფიკური დამატებითი მეთოდების საჭიროებასაც.

ნაშრომის ამავე ნაწილში გამოყოფილია თავი, სადაც განხილულია სისტემისა და სტრუქტურის არსის განმსაზღვრელი ნიშნები.

სისტემურობის განმაპირობებელ ნიშნად დავსახეთ ერთეულთა დაჯგუფება ერთი ნიშნის მიხედვით. სიმრავლე სისტემურია და ორგანიზებული, თუ სიმრავლის ყოველ წევრს აქვს ერთი და იგივე, ყველა წევრისათვის საერთო, მადიფერენცირებელი ნიშანი, რომლის საფუძველზეც იგი ამ სიმრავლის წევრი გახდა.

ყოველი ენობრივი ერთეული ერთზე მეტი ნიშნის მატარებელია. ამის გამო, ერთი ენობრივი ერთეული განსხვავებული ნიშნების მიხედვით სხვადასხვა სიმრავლეებში — სასისტემო რგოლებში — ხვდება და ამავე საფუძველზე სისტემური სიმრავლის ერთეულები ერთმანეთთან ურთიერთგანპირობების მიმართებაში იმყოფებიან.

ენის სისტემას საფუძვლად მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა უძევს. სისტემისა და ანალოგიით ფორმათა წარმოების პრინციპებს საერთო საფუძველი აქვთ. ორივე შემთხვევაში მოქმედების პირობა ერთი და იგივეა.

მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა განაპირობებს ენის სისტემის გამძლეობას.

მუდმივმოქმედი ანალოგია ამოსავალია ნეოლოგიზმებისა და ახალი გრამატიკული ფორმების არსებული სისტემის ნორმათა მიხედვით გაწყობაში, მათი ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამშობლიურებაში.

სტრუქტურას ქმნის სასისტემო რგოლთა ურთიერთდამოკიდებულების რთული, მაგრამ ორგანიზებული კავშირები. სტრუქტურა სისტემის მოდელს წარმოადგენს.

ამგვარად, შრომის პირველ ნაწილში თეორიული საფუძვლების ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბეთ ზმნურ მორფემათა სტრუქტურის კვლევის ზოგადი პრინციპები.

მიღებული ჩვენი დებულებები და ზოგადი პრინციპები შევამოწმეთ შრომის მეორე ნაწილში ზმნური გრამატიკული მნიშვნელობის მორფემების მასალებზე.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ქართული ზმნის პირის, გვარის, ქცევისა და კაუზატივის გრამატიკული კატეგორიები ზემოთ აღნიშნული მეთოდური საშუალებებით. ანალიზმა დაადასტურა სპეციფიკური ურთიერთმიმართება გვარისა ქცევასთან და კაუზატივისა გვართან, რამაც ახლებურად გააშუქა მათ აღმნიშვნელ ნიშანთა ფუნქციები, როგორც ივარაუდებოდა ჩვენი დებულებების მიხედვით.

აღნიშული ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ჩვენ არ გაგვიკეთებია დასკვნა, რომ ქართულში ქცევა და გვარი იდენტური — ერთი გრამატიკული მნიშვნელობის კატეგორიას წარმოადგენს; დაპირისპირების შევიწროებული ხერხის მეშვეობით „პოტენციურმა“ ერთეულებმა გამოააშკარავეს ქართული ზმნის პრეფიქსული ნიშნების მრავალმხრივი ფუნქციური დატვირთვა.

ქართული ზმნური მორფემების ჩვენი ანალიზი ვაწარმოეთ სინქრონული ასპექტის მონაცემების მიხედვით (სალიტერატურო თანამედროვე ქართულის მონაცემების მიხედვით). მაგრამ კერძოულ შემთხვევაში მოვლენათა ახსნა-კვალიფიკაციისათვის მოგვიხდა მათი ისტორიული საფუძვლების გათვალისწინებაც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდები და კვლევის სინქრონული ასპექტი არ გამორიცხავს დიაქრონიით ნაკარნახევ ტენდენციებს, პირუკუ, სინქრონულ მონაცემთა თანამიმდევრობა ასახიერებს ენობრივ მოვლენათა განვითარებას დიაქრონულ ჭრილში.

ნაშრომის მესამე ნაწილი, ფაქტიურად, წარმოადგენს ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურულ მოდელებს.

მორფემების პრეფიქსულ-სუფიქსურ კონათა ლექსიკონები წარმოადგენს დისტრიბუციული თვალსაზრისით დამუშავებულ მასალას, რომელთაც სინტაგმატურთან ერთად პარადიგმატულ მიმართებათა მნიშვნელობებსაც ეძლევეთ.

ნაწილი პირველი

მორფემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები

მორფემის რაობა

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ნაშრომის მიზანია ზმნური მორფემების სტრუქტურის ანალიზი. ეს კი მოითხოვს იმ თეორიული საკითხების კვლევას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მორფემის ბუნების გარკვევასთან და მისი ანალიზისათვის საჭირო სპეციალური მეთოდების შემუშავებასთან.

ზმნური მორფემების სტრუქტურის ანალიზი და მათი თეორიული საფუძვლების განსაზღვრა, უწინარესყოვლისა, მოითხოვს მორფემის რაობის დადგენას. მორფემის რაობის განსაზღვრა, როგორც არაერთ ენათმეცნიერს აქვს აღნიშნული, დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ამით აიხსნება, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება მორფემის უნივერსალური და ზუსტი განსაზღვრა. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ კვლევის პროცესში ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნული სირთულეების ჩვენებაზე და ამ გზით თანდათან ჩამოვაყალიბებთ ჩვენს თვალსაზრისს მორფემის არსზე.

თანამედროვე ენათმეცნიერთა უმეტესობის მიხედვით, მორფემა გრამატიკული ანალიზის უმცირესი მინიმალური ერთეულია, resp. მორფემა მნიშვნელობის მქონე ერთეულია, რომლის შემდგომი დანაწევრება მნიშვნელობის მქონე ერთეულებად შეუძლებელია.

ასეთი შეხედულების თანახმად მორფემებია (ქართული ენისათვის): **კაც, ქალ, წიგნ, ბ** (ა-**ბ**-ამ-ს), **ა** (ა-ბ-**ა**მ-ს), **ამ** (ა-ბ-**ამ**-ს), **ს** (ა-ბ-ამ-**ს**), **ქ** (ა-**ქ**-ებ-ს)..., **პ** (და-ა-**პ**-ო)..., **ც** (ი-**ც**-ოდ-ა)..., **ურ** (კაც-**ურ**-ი), **ობა** (კაც-**ობა**), **დ** (ა-შენ-**დ**-ა), **ი** (ა-ბ-შენ-**ა**) და სხვა მრავალი. რუსული ენისათვის მორფემებია **стол**, (**стол**-ы), **ы** (стол-**ы**), **ят** (говор-**ят**), **говор** (**говор**-ят), **рыб** (**рыб**-ак), **ак** (рыб-**ак**),... მორფემებია ინგლისურში: **un** (**un**-accept-able), **accept** (un-**accept**-able), **able** (un-accept-**able**)...მორფემებია არაბულში: **ქთბ** (**ქათაბ**-თა), **თა** (ქათაბ-**თა**)...

მორფემათა აღნიშნული ნიმუშები, მართლაც, გრამატიკული ანა-

ლიზის მინიმალური ერთეულებია, რომელთა შემდგომი დანაწევრება მნიშვნელობის მქონე ელემენტებად შეუძლებელია. მაგრამ ყოველთვის ასე მარტივი არ არის გრამატიკული ანალიზის შედეგად მორფემების გამოყოფა. ამას განაპირობებს ის ცნობილი ფაქტი, რომ ენობრივი შინაარსის გამოხატვა სხვადასხვა ენაში ნაირგვარია. ყოველ ენას ახასიათებს მნიშვნელობის გამოხატვის თავისი წესი — ხერხი. ამდენად, მორფემა, როგორც ენობრივი მნიშვნელობის გამომხატველი ერთეული, ყოველი კონკრეტული ენის შემთხვევაში გამოხატვის თავისებური სახითაა წარმოდგენილი და არ ექვემდებარება ზემონაჩვენები ანალიზის წესს. უფრო მეტიც, მორფემები ერთი ენის ფარგლებშიც კი გამოხატვის სხვადასხვა წესით იწარმოებიან. ყოველივე ზემოხსენებული გამორიცხავს მორფემის უნივერსალური განსაზღვრის შესაძლებლობას; რთულზე რთულია, მიეცეს მორფემას ისეთი ამომწურავი განსაზღვრა, რომელიც გაითვალისწინებდა ყოველნაირი მორფემის სახეობას. ამაში დაგვარწმუნებს მორფემის სახეობათა სხვადასხვა შემთხვევების ანალიზი და არსებულ განსაზღვრათა შემოწმება მათი უნივერსალურობის თვალსაზრისით. ამის ჩვენება, უდაოდ, დახმარებას გაგვიწევს გარკვეული დასკვნების გამოსატანად მორფემის რაობასთან დაკავშირებით.

თანამედროვე ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არაერთსა და ორ ავტორს აქვს გამოთქმული აზრი მორფემის რაობაზე. არ მიგვაჩნია საჭიროდ, ყოველი მათგანის ფორმულირება წარმოვადგინოთ აქ. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, შემოვიფარგლოთ ორიოდე ისეთი ავტორით, რომელთა ფორმულირება არსებითად ასახავს მორფემის რაობის თანამედროვე განსაზღვრათა ძირითად ნიშნებს. ბლუმფილდის მიხედვით, მორფემა არის მინიმალური ფორმა, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ ანალიზს მნიშვნელობის მქონე უფრო მცირე ერთეულების მისაღებად. გლისონი მორფემის რაობის ფორმულირებას აყალიბებს ასე: მორფემა გამოხატულების პლანის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტიაო. ახმანოვა წერს: მორფემა არის გამოხატულების პლანის მნიშვნელობის მქონე ერთეული, რომლის შემდგომი დანაწევრება მნიშვნელობის დაუზიანებლად შეუძლებელიაო.

აღნიშნული ყველა ფორმულირება დაზუსტებას მოითხოვს. მორფემათა გარკვეული შემთხვევები საფუძველს გვაძლევს არსებული განსაზღვრებები არ ჩავთვალოთ უნივერსალურად. ყველა ამ ფორმულირების მიხედვით მორფემები უნდა გამოიყოს სეგმენტაციის პროცესის შედეგად. მაგრამ როგორ დადგებოდა საკითხი ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც არ ექვემდებარებიან სეგმენტაციას და მთლია-

ნი ყალიბით გადმოიცემა აშკარად ერთზე მეტი ენობრივი მნიშვნელობა. მაგ., ქართულში არ ექვემდებარება დანაწევრებას პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“, შდრ. მისსავე ნათესაობითის „ჩემ“ (ჩემთვის) გამოსახულებას. „ჩემ“ გამოსახულებაში რა სეგმენტი მიუთითებს ძირეული მორფემის მნიშვნელობაზე და რომელი — მიცემით ბრუნვაზე? „ჩემ“ არ დაიშლება სეგმენტებად, ძირეული მორფემისა და ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობები „ჩემ“ დაუშლელი, მთლიანი ყალიბით გადმოიცემა. ქართულში მსგავსი ნიმუშების გამრავლება არაა ძნელი.

ინგლისურში კიდევ უფრო ფართოდაა გავრცელებული ისეთი სიტყვაფორმები რომელთა სეგმენტაცია ვერ ხერხდება. მაგ. bad (ცუდი) ზედსართავის უფროობითი ხარისხი გადმოცემულია worse (უფრო ცუდი) სიტყვაფორმით, სადაც შეუძლებელია გამოიყოს ძირეული მორფემისა და უფროობითი ხარისხის სეგმენტები. იგი დაუშლადი მთლიანი ყალიბია, რომელიც ერთზე მეტ ენობრივ მნიშვნელობას ასახავს, და ამდენად, ერთზე მეტი მორფემის ეკვივალენტურია. განსაკუთრებით მრავლად ვხვდები ასეთ შემთხვევებს არაბულსა და მის მონათესავე ენებში: ქითაბ (წიგნი) მისი მრავლობითია ქუთუბ (წიგნები); ქაბირ (დიდი) მისი მრავლობითია ქიბარ(დიდები); ბაით (სახლი) მისი მრავლობითია ბუიუთ (სახლები). აღნიშნულ შემთხვევებში მრავლობითობის ამსახველი სეგმენტის გამოყოფა არ ხერხდება. მრავლობითობისა და ძირეული მორფემების მნიშვნელობები მთლიანი ყალიბებითაა ასახული, ხოლო ამ მთლიანი ყალიბებიდან ენობრივი მნიშვნელობები ამოიკითხება გრამატიკული ეკვივალენტობის პროპორციის საფუძველზე bad (ცუდი): worse (უფრო ცუდი)—tall (მაღალი): tallen (უფრო მაღალი), საიდანაც გამომდინარეობს, რომ worse ეკვივალენტურია tallen-ისა უფროობითი ხარისხის მნიშვნელობის თვალსაზრისით. თანაზომიან ფორმათა შეპირისპირება მნიშვნელობათა კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ზემონაჩვენები მასალა შესაძლებელს ხდის, გავაკეთოთ დასკვნა, რომ მორფემა ყოველთვის არაა იმ სიტყვის სეგმენტი, რომელშიც იგი ივარაუდება და ამდენად, მორფემის რაობის განსაზღვრის ერთი ნიშანი — სეგმენტირების საფუძველზე მორფემის გამოყოფისა ვერ აღმოჩნდა უნივერსალური. ასეთი არაუნივერსალური ნიშანი სხვაცაა.

ყოველი ენა შინაარსისა და გამოხატულების პლანისაგან შედგება. ენის შინაარსი ენობრივი სემანტიკის სფეროა, რომელიც მოიცავს როგორც ლექსიკურ, ასევე გრამატიკულ მნიშვნელობებს. ენის გამოხატულება კი ენობრივი შინაარსის (ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის) გამომსახველი პლანია, რომლის გამომხატველ უმცირეს ფორმანტებს წარმოადგენენ მორფემები. ე. ი. მორფემები გამოსახვის ფორმობრივი ერთეულებია. მაგ., „კაც“, „ქალ“, „ბ“ (ა-ბ-ამ-ს)..,

ლექიკური მნიშვნელობის გამომსახველი ფორმობრივი ერთეულებია— ძირეული მორფემებია. — „ს“ (3 სუბ. პირის ნიშანი), „დ“ (ვნებითობისა), „ე“ (ვნებითობისა)... გრამატიკული მნიშვნელობის გამომსახველი ფორმობრივი ერთეულებია — გრამატიკული მნიშვნელობის მორფემებია. მაგრამ ენა (მხედველობაში გვაქვს ბგერითი ენა) მნიშვნელობებს ყოველთვის ფონემური ყალიბებით როდი გამოხატავს. მას მნიშვნელობათა გამოსახატავად სხვა საშუალებებიც აქვს: ინტონაცია, მახვილი, ადგილმდებარეობა სიტყვისა, სიტყვაში აფიქსთა მიმდევრობის ყალიბი, სიტყვის გამეორება, ბგერის გაორმაგება და სხვა, რომლებიც ბგერითი ენის მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებებს წარმოადგენენ. აღნიშნული საშუალებები, ისევე როგორც მორფემები, თავისი დანიშნულებით გამოსახვის ფორმობრივი სახეობებია, რომელთაგან ზოგიერთს ნივთიერი სახე არც კი აქვს. ამის გამო, მორფემის განსაზღვრის კიდევ ერთი ნიშანი — იყოს ნივთიერად წარმოდგენილი ერთეული — ვერ იქნება უნივერსალური, რადგან ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა გამოხატულია გამოსახვის თავისებური ორგანიზაციით, resp. წესით და არა ერთეულით (ერთეული გულისხმობს ნივთიერი სახის მქონე ოდენობას).

მორფემას ვიდრე მივცემდეთ ფორმულირებას, განვიხილავთ იმ ენობრივ საშუალებებს (ასეთ საშუალებათაგან განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთს), რომლებიც ქმნიან მორფემათა განსხვავებულ ტიპებს გამოხატულების სახეობის თვალსაზრისით.

როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატვის დანიშნულებით არაიშვიათად მიმართავენ ძირის სრულ ან ნაწილობრივ განმეორებას ანუ რედუპლიკაციას. ეს ენობრივი საშუალება ქართულისათვის ნაკლებად დამახასიათებელია, მაგალითისთვის გამოდგებოდა: „დიდ-დიდი“, „მსუქან-მსუქანი“, „მაღალ-მაღალი“, ლამაზ-ლამაზი“, „თხელ-თხელი“, როგორც ნიმუშების შინაარსი გვიჩვენებს, სიტყვათა განმეორების მიზანია, გააძლიეროს მნიშვნელობა, მას ინტენსიური ელფერი მისცეს. ზოგჯერ სიტყვებს იმეორებენ ხმოვანმონაცვლეობით: „ბათქა-ბუთქი“, „დაგა-დუგი“, „ლაწა-ლუწი“, „ჩამი-ჩუმი“... ზოგჯერ თანხმოვანმონაცვლეობით ან თანხმოვან-ხმოვანმონაცვლეობით: „კუჭ-მაჭი“, „არე-მარე“, „გიჟ-მაჟი“, „ძუნ-ძული“, „ქოხ-მახი“...

ეს ენობრივი საშუალება სომხურში უფრო მეტადაა გამოყენებული: „ჩარ“ ნიშნავს ბოროტს, „ჩარიჩარ“ — უბოროტესი; „მეწ“ — დიდი „მეწამეწ“ — უდიდესი. აქ სიტყვის განმეორება აღმატებითი ხარისხის მაგივრობას ეწევა, რაც ქართულში გადმოიცემა უ -ეს აფიქსებით.

სომალის ენაში: „ბოდ“ ნიშნავს ხტუნვას, „ბოდბოდ“ — მრავალჯერ ხტუნვას; „დერ“ ნიშნავს გრძელს, დერ-დერ მისი მრავლობითია. ამ შემთხვევაში რედუპლიკაციას იგივე დანიშნულება აქვს, რაც ქართულში მრავლობითობის -ებ მორფემას.

აღნიშნული საშუალების სახეობად ითვლება ძირეულ მორფემაში თანხმოვნის გაორკეცებაც ანუ გემინირება. ეს ხერხი სემიტურ ენებში ფართოდაა გავრცელებული. ძირეული მორფემის მეორე თანხმოვნის გაორკეცება გრამატიკულ კატეგორიას აწარმოებს. ესაა მეორე თემა (ინტენსივი) მაგ., არაბულში: „დარაბა“ — სცემა, მაგრამ დარრაბა“ — მაგრად სცემა; „ქასარა“ — გატეხა, მაგრამ „ქასსარა“ — დაამსხვრია (წვრილწვრილად), „კათალა“ — მოკლა, მაგრამ „კათთალა“ — დახოცა.

არაბულში გრამატიკულ კატეგორიას აწარმოებს გრძელი ხმოვანიც, პირველი ძირეული თანხმოვნის ხმოვნის დაგრძელება. ესაა მესამე თემის დანიშნულება მაგ., „ქათაბა“ — დაწერა, მაგრამ „ქაათაბა“ მისწერა; მისი მეორე დანიშნულებაა გამიზნული მოქმედება: „კათალა“ — მოკლა, მაგრამ „კაათალა“ — შეეცადა მოეკლა...

მახვილი თანმედროვე ქართულისათვის უჩვეულოა, რუსულში კი მახვილით გამოისახება როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური მნიშვნელობები: «му́ка» — ტანჯვა, მაგრამ «мука́»—ფქვილი. «за́мок» — ციხე-დარბაზი, მაგრამ «замо́к»—საკეტი.

აღნიშნული შემთხვევები ლექსიკური მნიშვნელობის წარმოების დანიშნულებისა არიან. არის გრამატიკულიც: «во́ды» (წყლები), მახვილი გამოსახავს მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას, მაგრამ «воды́» (წყლის) გადმოცემულია მხ. რიცხვის ნათესაობითი, ბრალდებითი.

სიტყვის ადგილმდებარეობას თანამედროვე ქართულში არ აქვს გრამატიკული დანიშნულება, მაგრამ ძველ ქართულში ეს საშუალება გამოყენებული იყო საკუთარ სახელთა ბრუნვის საწარმოებლად: „აბრამ შუა ისააკ“ სიტყვათა თანამიმდევრობის მიხედვით განისაზღვრებოდა მოქმედების სუბიექტის ფორმა ე. ი., „აბრამმა შუა ისაკი“. დღეს ფორმობრივი გამოსახვის ეს ხერხი მრავალ ენაში მოქმედი ენობრივი საშუალებაა.

ინტონაცია ზოგ ენაში ფორმობრივი ერთეულის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს. „ძველ ქართულში კითხვის გამოსახატავად საგანგებო სუფიქსი ა მოიპოვებოდა: კაცი ხარა? მეგრულში ეს კითხვითი სუფიქსი ო-ს სახით ახლაც ხმარებაშია: გოწოს გაათუო? — შარშან დაამთავრა? კოჩი რექო? — კაცი ხარ? ჭანურში იმავე დანიშნულებას — ი სუფიქსი ასრულებს: კოჩი რეი? — სვანურში კიდევ— ა. მარე ხია? — კაცი ხარ?

ამგვარად, ახლანდელი კითხვითი ინტონაცია იმავე მიზანს ემსახურება, რისთვისაც წინათ — ა სუფიქსი იხმარებოდა: ინტონაცია ეწევა აფიქსის მაგივრობას". — წერს არნ. ჩიქობავა[1].

სიტყვაფორმაში აფიქსთა მიმდევრობის ყალიბი ზოგჯერ ფორმობრივი გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს. ქართული ენის მასალების მიხედვით გარკვეულ შემთხვევაში ენებითი გვარის მნიშვნელობა გადმოცემულია სიტყვაფორმაში აფიქსთა მხოლოდ მიმდევრობით. ენებითობის მნიშვნელობა გადმოცემულია ისე, რომ გამომხატველი სათანადო მორფემა მატერიალურად წარმოდგენილი არაა.

მაგალითად, „ვ-თბ-ებ-ი" ზმნური სიტყვაფორმის გრამატიკული შინაარსის კვალიფიკაცია ასეთია: აწმყო, პირველი პირი, მხოლობითი რიცხვი, ენებითი გვარი, თუმცა ენებითი გვარის ამსახველი სპეციალური ფორმანტი აქ არ გვაქვს, გვარი განისაზღვრება ებ თემის მაწარმოებელი ნიშნისა და ი-ს მიმდევრობით[2].

როგორც ვხედავთ, გრამატიკული მნიშვნელობა გადმოცემულია აფიქსთა მიმდევრობის მთლიანი ყალიბით. ამ ყალიბის სეგმენტირება და შემადგენელ ცალკეულ ელემენტთა ანალიზი ფაქტობრივად არ შეესაბამება იმ გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც გადმოცემულია აფიქსთა მიმდევრობის მთლიანი ყალიბით.

ენობრივ მნიშვნელობათა გადმოცემისათვის ენას აქვს კიდევ სხვა საშუალებებიც, რომლებიც სუბსტანციურად (მასალობრივ) ფონემურია, მაგრამ სეგმენტური ერთეულებით გამოხატულ აფიქსებს არ წარმოადგენენ. ასეთ ენობრივ საშუალებად ითვლება ძირითადი ლექსიკური ერთეულის ფონემური მონაცვლეობა — აბლაუტი. მაგ., გრეხს (აწმყო დრო)—გრიხა (ნამყო, წყვეტ.); ჰყლეტს (აწმყო დრო)—ჰყლიტა (ნამყო წყვეტ.); კვნეტს (აწმყო დრო) — კვნიტა (ნამყო წყვეტ.). გლეჯს (აწმყო დრო) — გლიჯა (ნამყო წყვეტ.).

ქართულში და ქართველურ ენებში აბლაუტის ფუნქციონალური მონაცვლეობის საკითხები დამუშავებულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, სადაც ავტორებმა დაადგინეს ქართულში ამ ენობრივი საშუალების ფართო გამოყენება. „ხმოვანთა აბლაუტური მიმართებები მორფემებში ქართველურ ენათა ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენდა, მომდინარეს საერთო-ქართველური ეპოქიდან, რო-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 256.

[2] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 297—299.

დესაც მორფოლოგიური დერივაცია არსებითად აბლაუტს ემყარებოდა"[3].

ენობრივ მნიშვნელობათა გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებას სუპლეტიურ სიტყვათა გამოყენება წარმოადგენს. იგი მეტად ფართოდ გავრცელებული ენობრივი საშუალებაა და ამდენად, ქართულსაც ახასიათებს: ერთი გრამატიკული კატეგორიის საპირისპირო ერთეულებისათვის ენა იყენებს სხვადასხვა ძირეულ მორფემას, სხვადასხვა ძირებს. ვაძლევ (აწმყო დრო), მივცემ (მომავალი); ვთქვი (წარსული დრო), ვამბობ (აწმყო დრო), ვიტყვი (მომავალი); ამგვარადვეა: ვიყავი (წარსული), ვარ (აწმყო), ვიქნები (მომავალი). დროის გრამატიკული კატეგორიის საპირისპირო შემთხვევები ასახულია სხვადასხვა ძირით. რიცხვის გამოსახვის შემთხვევებში გვაქვს: ვზივარ (მხოლობითი რიცხვი), ვსხედვართ (მრავლობითი რიცხვი); აბია (მხოლობითი რიცხვი); ასხია (მრავლობითი რიცხვი); შენ ჩავარდი — თქვენ ჩაცვივდით; ის კვდება — ისინი იხოცებიან; მე ჩავაგდებ მას, მაგრამ მე ჩავყრი მათ...

ასევეა: შეიკრიბა (ხალხი), მხოლოდ მრავლობითი რიცხვისათვისაა გამოყენებული.

აქ რიცხვის მიხედვით საპირისპირო ერთეულებია სუპლეტიურად ასახული. გრამატიკული მნიშვნელობა ლექსიკური მორფემების საშუალებით აისახა. მსგავსი ნიმუშები ყველა ენაში მოიპოვება.

ენობრივი მნიშვნელობების გამოსახვის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ საშუალებად ითვლება აღწერითი ფორმები. ქართულში ორგანული წარმოების პარალელურად გამოყენებულია მნიშვნელობათა ასახვის აღწერითი ფორმებიც: შდრ.: გაკეთდა (ორგანული წარმოებაა) — გაკეთებულ იქნა (აღწერითი ფორმაა); აღიზარდა (ორგანული წარმოებაა) — აღზრდილ იქნა (აღწერითი ფორმაა)... ეს ფორმები გამოსახვის თვალსაზრისით განსხვავებულია, ხოლო მნიშვნელობით ერთმანეთის ბადალია.

თურმეობითში ვნებითი გვარი ნაწარმოებია აღწერითი ფორმით: ნამყო დროის მიმღეობის ფორმას პირველ თურმეობითში ერთვის აწმყო დროის მეშველი ზმნის ფორმა, ხოლო მეორე თურმეობითში— ნამყო დროის მეშველი ზმნის ფორმა. მაგალითად:

I თურმეობითი — გავკეთებულ-ვარ, გაკეთებულ-ხარ, გაკეთებულ-ა(რს); დავმალულ-ვარ, დამალულ-ხარ, დამალულ-ა (რს).

---

[3] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 175.

II თურმეობითი — გავკეთებულ-იყავი, გაკეთებულ-იყავი, გაკეთებულ-იყო; დავმალულ-იყავი, დამალულ-იყავი, დამალულ-იყო.

რიცხვის აღსანიშნავად გამოყენებულია რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები. შდრ.: ერთი მოვიდა, ბევრი მოვიდა, ყველა მოვიდა. ზმნასთან დართული რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების გამო რიცხვი ზმნაში ფორმალურად არ აღინიშნა. ფორმა ანალიზურად გადმოიცა.

მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოყენებულია ნაწილაკებიც. ქართულში ზმნური მორფემის მესამე პირის სხვათა სიტყვის ო სუფიქსის შემცველ ენობრივ საშუალებას პირველი პირისათვის ეწევა „მეთქი“ ნაწილაკი, მეორე პირისათვის-„თქო“ ნაწილაკი, შდრ.: გავაკეთე-მეთქი; გააკეთე-თქო, გააკეთაო.

ყველა ენას აქვს ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოსახვის საშუალებები — მორფემობრივი სახეობები. სხვაგვარად ენა ვერ შესძლებდა ყოფილიყო აზრთა გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალება. სხვადასხვა ენის მასალაში კიდევ დაიძებნება მნიშვნელობის გამოსახვის ენობრივი საშუალებები, მაგრამ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მათი სრულად აღნუსხვა, რადგან ჩვენი კვლევის ობიექტი მხოლოდ სეგმენტურად გამოხატული, ფონემური სუბსტანციის ზმნური მორფემებია. ეს გასაგები იქნება, თუ უფრო დავაზუსტებთ ჩვენს მიზანს, რაც ითვალისწინებს ქართული ზმნური ფორმის მორფემათა რანგობრივი სტრუქტურების დადგენასა და კვლევას, ე. ი. ძირეული მორფემის მიმართ აფიქსების ადგილის განსაზღვრას მათი განლაგების მიხედვით ზმნურ სიტყვაფორმაში.

ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა მორფემული მასალისა და მორფემის რაობის არსებულ განსაზღვრათა გათვალისწინების საფუძველზე ჩვენ მორფემას ვაძლევთ ასეთ ფორმულირებას: მ ო რ ფ ე მ ა ა რ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ი ს პ ლ ა ნ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მ ქ ო ნ ე ფ ო რ მ ო ბ რ ი ვ ი ს ა ხ ე ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა თ ა ნ ა ზ ო მ ი ა ნ ო დ ე ნ ო ბ ა თ ა შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი თ დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ შ ე მ დ გ ო მ ა ნ ა ლ ი ზ ს ა რ ე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა.

მორფემა და ალომორფები

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი კვლევის საგანი სეგმენტურად გამოხატული, ფონემური სუბსტანციის ზმნური მორფემებია; ამიტომ აწ და შემდგომ მორფემაზე მსჯელობის დროს ყოველთვის მხედველობაში გვექნება მხოლოდ ამგვარი მორფემები.

ჩვეულებრივ ერთი მორფემა სხვადასხვა გარემოცვაში სხვადასხვა ფონემური გამოხატულებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ქართულ ზმნაში მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ერთ მორფემას სამნაირი ფონემური გამოხატულება აქვს:

-ს (წერს); -ა (გააკეთა); -ო (დადო).

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირი კი ხუთი ფონემური გამოხატულებით წარმოგვიდგება: **-ენ** (იყვნ-ენ); **-ნენ** (წავიდ-**ნენ**); **-ან** (ჭრი-**ან**); **-ნ** (ააგო-**ნ**); **-ეს** (გააკეთ-**ეს**).

რუსულში მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირი ორი ფონემური გამოხატულებით არის წარმოდგენილი:-ет (думает); -ит (готво**рит**). მრავლობითი რიცხვისათვის კი გამოყენებულია ოთხი ფონემური გამოხატულება:-ут (несут); -ют (думают); -ат (слышат); -ят (говорят). ანალოგიური ვითარებაა ყველა ენაში.

ერთი მორფემის სხვადასხვაგვარ ფონემურ გამოხატულებებს ალომორფები ეწოდება resp. მორფემის ვარიანტები ან მორფემული ალტერნანტები[4]. ალომორფების ფონეტიკურ მსგავსებას თუ განსხვავებას მათი ფუნქციური იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ალომორფთა გამოვლენა შეიძლება შეპირობებული იყოს, როგორც ფონოლოგიურად, ასევე მორფოლოგიურად.

ზმნური ალომორფები შეიძლება გამოხატული იყოს ერთი ან მეტი ფონემით, შეიძლება ერთი მარცვლით, შეიძლება მეტითაც. შეიძლება ეს ერთი ფონემა იყოს ხმოვანი, მაგ., ქართულში **ი**- გვარისა (იყო); უ-ქცევის (უწერს); ე-გვარისა (ემალება)... შეიძლება ეს ფონემა იყოს თანხმოვანი — **დ** გვარისა (შენდება), **ს**-პირისა (სწერ); თ რიცხვისა (ხართ)... შეიძლება იყოს ორი თანხმოვანი: **გვ**-პირისა და რიცხვისა (გვიხატავს); ორხმოვნიანი მორფი ქართულში არა გვაქვს. ერთმარცვლიანი მორფებია: ქართულში კაუზატივის მაწარმოებელი **-ინ** (დააწერინა); **-ოდ** უწყვეტლის მაწარმოებელი (დგებოდა); მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ეს** (გააკეთეს)... ქართულში ორმარცვლიანი მორფია კაუზატივის **-ევინ** (მოაკვლევინა); ყველა ენაში, სადაც ზმნური მორფემები გვაქვს, გამოყენებულია ხმოვნებიც და თანხმოვნებიც. სხვადასხვა ენის ზმნურ მორფემებს რომ გადავავლოთ თვალი, შეინიშნება დაახლოებით საერთო თანხმოვნები დ, თ, მ, ნ, ს, ტ, ვ... რა საფუძველი უდევს მხოლოდ გარკვეულ თანხმოვანთა გამოყენებას, სპეციალურად ეს საკითხი არ შეგვისწავლია, ამიტომ სავარაუდო მოსაზრებებისაგან თავს შევიკავებთ.

[4] ალომორფი უნდა განვასხვაოთ მორფისგან. ალომორფები ერთი მორფემის გამომხატველი ერთეულებია, მ. რფი კი—სეგმენტაციის შედეგად მიღებული მნიშვნელობის მქონე ყოველი ერთეული.

მორფთა ფორმალური იგივეობა თუ სხვადასხვაობა (ე. ი. მისი გამოხატულება) ყოველთვის არ არის დაკავშირებული მათ ფუნქციონალურ მნიშვნელობასთან: ბგერითად ერთნაირი მორფები შეიძლება სხვადასხვა მორფემის ალომორფები იყონ, თუ მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

ქართულ ზმნაში ფონემურად ერთი და იგივე ს სამი მორფემის ალომორფების სახით არსებობს:

ს- პრეფიქსი, როგორც მეორე სუბიექტური პირის ნიშანი (ს-წერ შენ);

ს- პრეფიქსი, როგორც მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი (ს-წერენ ისინი მას წერილს).

ს- სუფიქსი, როგორც მესამე სუბიექტური პირის ნიშანი (წერ-ს ის წერილს). სხვა შემთხვევაში ფონემურად ერთი და იგივე ი მორფი ხუთი მორფემის ალომორფებია:

ი- პრეფიქსი, როგორც ვნებითი გვარის მორფი (ი-ზრდება)

ი- პრეფიქსი, როგორც სათავისო ქცევის მორფი (ი-შენებს)

ი- პრეფიქსი, როგორც სასხვისო ქცევის მორფი (მ-ი-შენებს)

ი- სუფიქსი, როგორც თემის მაწარმოებელი მორფი (ექმნ-ი)

ი- სუფიქსი, როგორც მწკრივის მაწარმოებელი მორფი (ვიტყოდი)[5].

ანალოგიური შემთხვევები სხვა ენებშიც დასტურდება. რუსულში—ы, აწარმოებს მრავლობითი რიცხვის სახელობითს (воды) და მხოლობითი რიცხვის ნათესაობის (у меня нет воды)...

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც; ფორმალურად განსხვავებული მორფები ერთი და იგივე მნიშვნელობისაა.

ქართულ ზმნაში სუბიექტო ქცევის ერთი მორფემა ორი მორფის (ალომორფის) სახით აღინიშნება; უ- (უ-წერს); ი (მიწერს).

როგორც ვხედავთ, მორფემის მხოლოდ ფორმა ე. ი. გამოხატულება, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განისაზღვროს მისი ფუნქცია და მნიშვნელობა. სწორედ მორფემის მნიშვნელობის დადგენა ერთერთი ძირითადი და არსებითი საკითხთაგანია, რომელიც საჭიროებს ზოგადთეორიული პრინციპებით შემუშავებული მეთოდების გამოყენებას, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ზოგიერთი მორფემა ერთ მნიშვნელობას გამოხატავს, ზოგი ითავსებს ერთზე მეტს.

---

[5] მწკრივის მაწარმოებელი ი-მორფემისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 433.

მეორის შემთხვევები ჩვეულებრივად ითვლება ისეთი მორფოლოგიური ტიპის ენებისათვის, როგორიცაა ფლექსიური. პირველი რიგის შემთხვევები დამახასიათებელია აგლუტინაციური ენებისათვის. ქართული პირველს განეკუთვნება — იგი აგლუტინაციური მორფოლოგიური ტიპის ენაა. მაგრამ, როგორც ცნობილია, აღნიშნული მორფოლოგიური ტიპის ენები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არაა, ფლექსიურ ენებში ვხვდებით აგლუტინაციური ენებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ხოლო აგლუტინაციურ ენებში — ფლექსიურისას.

აქედან გამომდინარე, ქართულ ზმნაში ზოგიერთ მორფემას ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში ეს ეხება პირისა და რიცხვის აღმნიშვნელ მორფემებს: გვ- ზმნური მორფემა პირველ ობიექტურ პირთან ერთად მრავლობით რიცხვსაც აღნიშნავს (გვხატავს, გვწერს, გვშვენის...) ანალოგიური ვითარება გვაქვს მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელ მორფემის შემთხვევაში: -ნენ, -ენ, -ნ, -ან -ეს ალომორფები მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობასაც გადმოგვცემენ (იყვნ-ენ, წავიდ-ნენ, ჰკრი-ან, ააგო-ნ, გააკეთ-ეს).

რუსულში ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივია.

ასეთ ვითარებაში უნდა გავარჩიოთ ორი რიგის შემთხვევა; ერთი რიგისა იქნებოდა: მაგალითად, ქართულში მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა გვაქვს, მაგრამ სპეციალური ფორმანტებით არ გადმოიცემა ისევე, როგორც არ გადმოიცემა მორფებით მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევებში გრამატიკული მნიშვნელობა ასახულია, მაგრამ ∅ (ნულოვანი) ნიშნით. გვარის კატეგორიაში — მოქმედებითი, ხოლო რიცხვის კატეგორიაში — მხოლობითი ოპოზიციის არაფორმაწარმოქმნილ ანუ არამარკირებულ წევრებს წარმოადგენენ განსხვავებით ვნებითისაგან და მრავლობითი რიცხვისაგან, რომლებიც ოპოზიციის ფორმაწარმოქმნილი ანუ მარკირებული წევრებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მორფით გამოხატული მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში ორი გრამატიკული მნიშვნელობიდან ერთი აისახა უნიშნობით — მრავლობითის ფორმალურად აღნიშვნის ფონზე უნიშნობამ ნიშნის ფუნქცია გაასწია.

ამ რიგის მოვლენებიდან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც გრამატიკული კატეგორიის ოპოზიციური მარკირებული წევრები ერთმანეთის მნიშვნელობებს ითავსებენ და ერთი ნიშნით გამოისახებიან. ამის ნიმუშია ქართულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ამსახველი ალომორფები: ნენ, -ენ, -ნ, -ან, ეს, სადაც

ერთი მორფით აისახა ისეთი ორი გრამატიკული მნიშვნელობა, (პირი და რიცხვი), რომელიც სხვა შემთხვევებში შეიძლება მარკირებული იყოს.

ორი რიგის გამოყოფას და მათ შორის აღნიშნული სხვაობის ჩვენებას მნიშვნელობა აქვს მორფემათა ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით კვალიფიკაციისათვის, თორემ გამოხატვის შედეგით ორივე რიგის ყველა შემთხვევა ერთნაირია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორფემის არსებითი ნიშანია მნიშვნელობის ასახვა. ამიტომ მორფემის ყოველი ალომორფი მნიშვნელობის მქონე ერთეულია. თუ ალომორფი მნიშვნელობას დაკარგავს, იგი აფიქსად იქცევა[6]. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე ფორმალური ნიშანი ალომორფიცაა და აფიქსიც, იმის გამო რომ კონკრეტულ შემთხვევებში მას მნიშვნელობა არ აქვს, იგი უფუნქციოა. ქართულ ზმნაში არ არის ძნელი, დაიძებნოს ასეთი უფუნქციო აფიქსები[7].

ქართულ ზმნაში უ- საობიექტო ქცევის აღმნიშვნელი პრეფიქსული ალომორფია: „უ-კრავს“ (იგი ჩონგურზე) ზმნურ სიტყვაფორმაში უ- საობიექტო ქცევის ფორმალურ მაჩვენებელს არ აქვს ფუნქცია. იგი მორფემის სათანადო მნიშვნელობას არ გადმოგვცემს. ამათ რიგს განეკუთვნება ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: უ-ყურებს, უ-კეირს, უ-წყის...

ასევე უფუნქციოა სასუბიექტო ქცევის ფორმალური მაჩვენებელი შემდეგ შემთხვევებში: და-ი-წყო (მან ლექციების კითხვა), ი-ცის... ასეთი უფუნქციო მორფი დროთა განმავლობაში ხდება უქმი და არამოქმედი აფიქსი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ან საერთოდ ამოვარდება ენობრივი მასალიდან, ან იარსებებს მკვდარი აფიქსის კვალიფიკაციით. მაგრამ, როდესაც უფუნქციო ალომორფთა შემთხვევები სპორადულ ხასიათს არ ატარებს და იგი გაცილებით ფართო საზღვრებისაა, მაშინ ამ მორფემის არსებობას საფუძველი ეცლება.

აქ ბუნებრიად დაისმის საკითხი: რა იწვევს მორფთა უფუნქციობას და როგორ ავხსნათ განმაპირობებელი მიზეზი?

---

[6] მორფემისაგან განსხვავებით, აფიქსი შეიძლება იყოს უქმი, უფუნქციო, მკვდარი.

[7] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლების გვ. 354—357; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I თბ., 1950. გვ. 51; შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბ., 1956, გვ. 115; იე. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 251; ა. დოლითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 40; W. Boeder, Über die Versionen des georgischen Verbs, Folia Linguistica (Acta Societatis Linguisticae Europaeae), т. II, 1/2, 1968.

მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს:

1) ერთი მორფემის დანიშნულებას ითავსებს იმავე ენაში მოქმედი სხვა მორფემა. იქმნება სინკრეტული მორფემა. ასეთ შემთხვევებში ყალიბდება ენის სხვა მორფოლოგიური ტიპი; აგლუტინაციური მორფოლოგიური ტიპის ენა გადადის სხვა მორფოლოგიურ ტიპში.

2) მორფემის გამოსახვის წესი იცვლება სხვა სახეობით (მახვილით, ინტონაციით...). მორფემის გამოხატვის ფონემური ყალიბები უფუნქციოდ რჩებიან, უქმდება მათი მორფემული დანიშნულება.

ასეთი შემთხვევებიც ენის მორფოლოგიური ტიპის ცვლას იწვევენ.

3) იდენტური დანიშნულების მორფემა შემოდის სხვა წყაროდან— სხვა ენის მასალიდან, მოიპოვებს უპირატესობას და დამკვიდრდება. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება იმავე ენის დიალექტური მასალა, რადგან ტენდენციის მიხედვით ენა ვერ ეგუება სხვა ენიდან გრამატიკული მნიშვნელობის მორფემის შემოტანას.

აღნიშნული ბოლო შემთხვევები ცვლიან ენას მასალობრივ, მაგრამ მის მორფოლოგიურ ტიპს ვერ ცვლიან.

გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მორფემებთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მათი სესხება ერთი ენიდან მეორეში ძალიან ძნელად ხდება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წარმოდგენილი ალომორფი მორფემის სათანადო მნიშვნელობას არ გადმოგვცემს; მას სხვა მორფემის შინაარსი აქვს — გრამატიკული კვალიფიკაცია არ ეთანადება გადმოცემულ მნიშვნელობას; მაგალითად, ფორმით სასუბიექტო — მნიშვნელობით საობიექტოა: შემ-ი-ბრალა, შემ-ი-ცოდა, შემ-ი-კედლა, შემ-ი-ყვანა, დამ-ი-ცვა...

ფორმით საობიექტო — მნიშვნელობით სასუბიექტოა: „მ-ი-ნდა, მ-ი-ხა-რია, მ-ი-ყვარს...“

ფორმალური ნიშნის მიხედვით ვნებითია, სტრუქტურულად და მნიშვნელობით — მოქმედებითი: ე-სროლა, ე-ძება, მივ-ე-ც.

ასეთი შემთხვევები მეტნაკლებად ყველა ენაში მოიპოვება. ასეთი ფაქტები ანგარიშგასაწევ არგუმენტებს წარმოადგენენ სათანადო დასკვნების გამოსატანად. სხვადასხვა ენაში, ან ერთი ენის სხვადასხვა მასალაში ამ მოვლენათა საფუძველი შეპირობებულია განსხვავებული მიზეზებით, ამიტომ შემთხვევათა ყოველი სახეობისათვის კვალიფიკაცია უნდა დადგინდეს კონკრეტული ენის შესაბამი მასალების მიხედვით.

აღნიშნულის გამო, ჩვენ აქ არ შევეცდებით განმაპირობებელი მიზეზების ახსნას და მათზე ამ ნაშრომის მეორე ნაწილში გვექნება მსჯელობა, სადაც ჩვენს მოსაზრებებს ფაქტიური მასალებით დავადასტურებთ.

მორფემათა კლასიფიკაცია მათი დანიშნულების მიხედვით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორფემები ენობრივი შინაარსის გამომხატველი ერთეულებია — ენის შინაარსის გამომხატველი ფორმობრივი სახეობაა. ამის შესაბამისად მორფემა ასახავს ენის ლექსიკურ, ლექსიკურ-გრამატიკულსა და გრამატიკულ მნიშვნელობებს.

ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველ მორფემებს ძირეულ მორფემებს უწოდებენ, რადგან მათი დანიშნულება სიტყვის ძირის ანუ ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ასახვაა. ქართულში ძირეული მორფემებია: კაც, კედელ, ქალ, ბ (დაა-ბ-ა), ქ (შეუ-ქ-ია), პ (დაა-პ-ო), ც (ი-ც-ოდა)...

არაბულში ძირეული მორფემებია: კთლ (მოკვლის ამსახველი), ქთბ (წერის ამსახველი), ფყლ (ქეთების ამსახველი)...

ამ მორფემებს უკავშირდება ძირითადი საგნობრივი მნიშვნელობა.

ურ (კაც-ურ), სა-ე (სა-მელნ-ე), ობა (ბავშვ-ობა) მორფემებიც თავისი დანიშნულებით ლექსიკურ მნიშვნელობას აწარმოებენ, ცვლიან სიტყვის საგნობრივ მნიშვნელობას, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად ვერ არსებობენ, ისინი აღნიშნულ ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დაერთვიან ძირეულ მორფემებს[8]. ასეთ მორფემებს დერივაციულს უწოდებენ.

თავის დანიშნულებით ამათგან განსხვავდება დ (აშენდა), ი- (აიშენა), უ (დაუწერა) მორფები, რომლებიც გარკვეულ გრამატიკულ მიმართებას ასახავენ და ამავდროს ლექსიკური მნიშვნელობის მოდიფიკაციასაც აწარმოებენ[9].

---

[8] ამ თვალსაზრისით სხვა მაწარმოებლების გარეშე ბ, ქ, პ, ც მორფემებიც არ გადმოგვცემენ ლექსიკურ მნიშვნელობას (შდრ., კაც, ქალ, კედელ), რომელთაც სხვა მორფემებისაგან დამოუკიდებლად აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, მაგრამ ამის გამო ბ, ქ, პ, ც და ქალ, კაც, კედელ მორფემათა დაპირისპირება არ გვაძლევს საფუძველს შევაფასოთ ეს მორფემები ფუნქციონალურად განსხვავებული ღირებულებით; მეორე ტიპის მორფემათაგან განსხვავებით, ისინი სიტყვის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. ისინი კი არ დაერთვიან სხვა მორფემებს, სხვა მორფემები დაერთვიან მათ.

[9] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 165, გვ. 165—167; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 235—237.

ს (ს-წერ) ს (წერ-ს), ეს (დაწერ-ეს), ს (კაც-ს), მა (კაც-მა), მ (დედა-მ) მორფემები მხოლოდ გრამატიკული შინაარსის მიმართებას ასახავენ. ასეთ მორფემებს გრამატიკულს ანუ ფლექსიურს უწოდებენ.

ამგვარად, მორფემათა მნიშვნელობის მიხედვით გამოყოფენ სამი ტიპის სახეობას:

I ლექსიკური მნიშვნელობის მორფემები. ეს ტიპი აერთიანებს ძირეულ მორფემებს, როგორიცაა: კაც, ქალ, კედლ, ბ, ქ, პ, ც... და ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებულ მორფემებს, როგორიცაა: ურ, სა-ე, ობა...

II ლექსიკურ-გრამატიკული მორფემები

მორფემათა მეორე ტიპისაა დ (აშენდა), ი (აიშენა), უ (დაუწერა) და მრავალი სხვა ამგვარი დანიშნულებისანი. ქართულში ასეთი დანიშნულების არის ქცევის, გვარის, კონტაქტის, გეზის, ორიენტაციის, ასპექტის ამსახველი ფორმალური ნიშნები.

III გრამატიკული მორფემები. ესენია მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მიმართების ამსახველი ფორმები, რომლებიც სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ იცვლიან. ასეთებია: ს (სწერ), ს (წერს), ეს (დაწერეს), ს (კაცს), მა (კაცმა), მ (დედამ)...

ჩვენს ნაშრომში ძირეული მორფემები R-ით აღვნიშნეთ (ლათინური radix-ის მიხედვით, რომელიც ნიშნავს ძირს), ყველა სხვა მორფემა კი განსხვავებული პრინციპით — სიტყვაფორმაში მათი მიმდევრობითი ადგილის — მიხედვით. ჩვენს მიერ მორფემათა სხვადასხვა პრინციპით აღნიშვნა მხოლოდ და მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებს და არა თეორიულს.

მორფემების განსხვავებული ნიშნებით ასახვა ჩვენთვის მიზანშეწონილი იყო ტექნიკურად. ეს მკითხველისათვის გასაგები გახდება, თუ მას მოვაგონებთ, რომ ჩვენი სინტაგმატური და პარადიგმატული ლექსიკონების მასალა ითვალისწინებს ზმნის მხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკულ და გრამატიკულ მორფემებს მათი რანგობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით.

მორფემა და აფიქსები

I. გრამატიკული კვლევის კლასიკური პრინციპით სიტყვაფორმის სეგმენტაციის პროცესის შედეგად მიღებული ფორმობრივი ერთეულები ან ძირი იყო, ან—აფიქსები (ლათ. affixum). ძირი არის ძირეული მორფემა, ხოლო აფიქსებად იწოდება ყველა სხვა (ფონემურად გამოხატული) ფორმობრივი ერთეულები. სიტყვაფორმაში აფიქსთა ადგილმდებარეობის მიხედვით განარჩევენ პრეფიქსს (ლათ. prefixum), სუფიქსს (suffixum), ინფიქსს (ლათ. in-

fixum) და კონფიქსს (ლათ. confixum). ადგილ მდებარეობის დასადგენ საორიენტაციო ერთეულად ითვლება სიტყვის ძირი.

ძირის წინ მყოფი აფიქსები წარმოადგენენ პრეფიქსებს: ჯ-წერ, ი-ზრდება...

ძირის შემდგომ მდგომები — სუფიქსებს: წერ-ს, წერ-ენ...

ინფიქსები შიგ ჩაერთვის ძირს: კლავ-კვლ-ა მოხდა ვ ელემენტის გადანაცვლება ძირში.

კონფიქსი გარს ერტყმის ძირეულ მორფემას. მაგ.: სა-მელნ-ე, სა-ზო-გად-ო, მო-სწაელ-ე... სა-ე, სა-ო, მო-ე კონფიქსებია.

ზოგ ენას მხოლოდ სუფიქსაცია ახასიათებს (თურქული). ზოგ ენას მხოლოდ პრეფიქსაცია (სუაჰილის ენა ბანტუს ენათა ჯგუფი — ცენტრალური აფრიკა)[10].

ქართულს პრეფიქსაციასთან ერთად სუფიქსაციაც ახასიათებს.

სემიტურ ენებს პრეფიქს-სუფიქსაციასთან ერთად ინფიქსაციაც ახასიათებს. მაგალითად, არაბულში რეფლექსივს მერვე თემა თა ინფიქსით აწარმოებს: ფაკარა (პირველი თემა) -იფთაკარა (მერვე თემა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მორფემები ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება იყოს პრეფიქსული, სუფიქსური, ინფიქსური და კონფიქსური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მორფემისათვის არსებითია მნიშვნელობის ასახვა. აფიქსი კი შეიძლება იყოს უქმი — მნიშვნელობისაგან დაცლილი ერთეულიც. ამიტომ, ფონემურად გამოხატული ყოველი მორფი და, აქედან, მორფემის ყოველი ალომორფიც ყოველთვის არის აფიქსი, მაგრამ ყოველი აფიქსი არაა მორფი და არც მორფემის ალომორფი.

მორფემათა გამოყოფა

ყოველივე ის, რაც აქამდე ითქვა, ეყრდნობოდა ანალიზის შედეგად უკვე დადგენილ მორფემებს, ე. ი. ივარაუდებოდა, რომ მორფემები გამოყოფილია და მათი დანიშნულებებიც ცნობილია; იგულისხმებოდა, რომ სეგმენტაცია უკვე ჩატარებული იყო და მორფემათა ფუნქცია იმდენად ცნობილი, რომ არავითარ სპეციალურ დასაბუთებას არ საჭიროებდა. მაგრამ, არსებითად, მთელი სირთულეები დაკავშირებულია სწორედ მორფემათა გამოყოფისა და მათი ფუნქციური ღირებულების განსაზღვრის საკითხებთან, ე. ი. მის ანალიზთან, რად-

---

[10] А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1955, с. 208.

გან მორფემების გამოყოფა და დადგენა დაკავშირებულია მათი იდენტურობის თუ სხვაობის გარკვევასთან. ყოველი მეცნიერებისათვის საკვლევი ობიექტების დადგენა და ამ შემთხვევაში კი ენათმეცნიერებისათვის მორფემათა დადგენა-გამოყოფა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს იმ თეორიულ საკითხთა შორის, რომლებიც მორფემის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც საჭიროებს თეორიული დებულებების შემუშავებას მათი ანალიზის მეთოდებისათვის. თეორიული ხასიათის დებულებები სწორედ ანალიზის პროცედურასთანაა დაკავშირებული.

მორფემათა სტრუქტურის აღწერა და მათი მოდელების დადგენა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მათ ლინგვისტურ ანალიზთან. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მორფემათა გამოყოფისა თუ დადგენის მეთოდური საშუალებები და მორფემათა ურთიერთმიმართებითი დამოკიდებულებები. დამოკიდებულებათა ანალიზი, ერთის მხრივ, მოგვცემს სინტაგმატური ხასიათის ინფორმაციებს — ესაა მორფემათა განლაგება სიტყვათფორმაში მათი მიმდევრობის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, მორფემათა პარადიგმატული ხასიათის ინფორმაციებს, რაც ვარაუდობს მორფემათა ურთიერთმიმართებას მათი დანიშნულების თვალსაზრისით.

ჩვენი მიზანია, შევაფასოთ ამ მიმართებათა ღირებულება — გავარკვიოთ, რას მოგვცემს სინტაგმატური ინფორმაციები პარადიგმატულ მიმართებათა დასადგენად და, თავის მხრივ, რა ზემოქმედებას ახდენს პარადიგმატიკა სინტაგმატიკაზე. ამით დაზუსტდება მათი როლი მორფემათა დანიშნულების განსაზღვრაში.

აღნიშნული საკითხების გარკვევას დავიწყებთ მასალის ანალიზით.

ყოველი ანალიზი, მით უფრო ლინგვისტური, პირველ რიგში, მოითხოვს გარკვეული წინასწარი პროცედურების ჩატარებას საკვლევი ობიექტის დასადგენად. მორფემათა ანალიზის შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადთეორიული ხასიათის კრიტერიუმების გარეშე ეს არ მოხერხდება.

ასეთი ანალიზისათვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს, განვიხილოთ ენა, როგორც სხვადასხვა დონეებისაგან შემდგარი მთლიანობა[11]. რადგანაც ყოველი ენობრივი ერთეული დისკრეტული ხასიათისაა, ამდენად ენობრივი ელემენტების ანალიზი სხვადასხვა დონე-

---

[11] ლინგვისტური ანალიზის დონეებისათვის იხ. Э. Бенвенист, Уровни лингвистического анализа «Общая лингвистика», М., 1974, с. 129—140; Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, с. 108.

ების მიხედვით გამართლებულია და აუცილებელიცაა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს ფონოლოგიური. მისი ობიექტია ფონემა. ბენვენისტი ანალიზს აგრძელებს უფრო დაბალ დონეზეც და, ფონოლოგიურთან შედარებით, უდაბლეს დონედ ანუ ქვედა ზღვრად გამოყოფს მერიზმების დონეს, რომელთა ობიექტს ფონემის აკუსტიკური და ფიზიოლოგიური ხასიათის (მეღერობა, ხშულ-მსკდომობა, ნაპრალოვნება...) დიფერენციალური ნიშნები წარმოადგენს[12].

ფონოლოგიურის მომდევნო და უფრო მაღალი დონეა მორფოლოგიური. მისი ობიექტია მორფემა. ყველაზე მაღალი დონე, ანუ ზედა ზღვარი, არის სინტაქსური, რომლის ობიექტი წინადადებაა.

ყოველი მათგანი წარმოადგენს შესაბამისი ერთგვაროვანი ერთეულების სისტემას.

მორფემათა გამოყოფის მიზნით პირველ საფეხურზე, წინასწარი პროცედურის სახით, ხდება ფიქსირებული მეტყველების ნაკადის, ჩვენს შემთხვევაში სიტყვის, დანაწევრება ანუ სეგმანტაცია, მნიშვნელობის მქონე ერთეულებად, რომელთა შემდგომი დაშლა მნიშვნელობის ერთეულებად შეუძლებელია. ე. ი. სეგმენტაციის შედეგად ერთეული ერთი საფეხურით დაბალი დონის ელემენტი ხდება. ნათქვამი ვრცელდება ყოველი დონის ერთეულის მიმართ[13].

ფონემის დანაწევრება გვაძლევს აკუსტიკური და ფიზიოლოგიური ხასიათის დიფერენციალურ ნიშნებს — მერიზმების დონის ერთეულებს — ე. ი. ფონოლოგიურთან შედარებით, საფეხურით დაბალ დონეს.

მორფემების დანაწევრება გვაძლევს ფონემებს. აქაც მორფოლოგიის დონის ერთეული დანაწევრების შედეგად ხდება საფეხურით დაბალი, ფონოლოგიური, დონის ელემენტი.

ამგვარადვეა სხვა შემთხვევებშიც; წინადადების დანაწევრებით ვიღებთ საფეხურით დაბალი დონის ერთეულებს.

ჩვენთვის საინტერესო ზმნური მორფემები, აღნიშნული წესის მიხედვით, უნდა მივიღოთ ზმნური სიტყვაფორმის დანაწევრებით, სადაც ყოველი სეგმენტი მნიშვნელობის მქონე იქნება, მაგრამ სეგმენტის მნიშვნელობა, რის მიხედვითაც მათი გამოყოფა ხდება, მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას.

---

[12] იხ. Э. Бенвенист, დასახელებული ნაშრომ., გვ. 130.

[13] Э. Бенвенист, დასახელებული ნაშრომ., გვ. 133; Г. Глисон, დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

სეგმენტაცია და მორფემათა მნიშვნელობა ურთიერთმიმართ შეფარდებით დამოკიდებულებაშია: სეგმენტაცია ეყრდნობა მნიშვნელობის ცოდნას და პირუკუ, სეგმენტის მნიშვნელობა განისაზღვრება გამოყოფის საფუძველზე.

ტექნიკურად ეს ხდება ასე: სხვადასხვა მასალაში (ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ზმნები) შეპირისპირების წესით გამოვყოფთ იდენტური გამოხატულების (ფონემური გამოხატულების თვალსაზრისით) სეგმენტებს მაგ.: წერ-ს, ხატავ-ს, აბამ-ს, იცმევ-ს, აშენებ-ს, კითხულობ-ს, მღერი-ს, სტვენ-ს,... ამ მასალების მიხედვით გამოხატულებით იდენტურია მხოლოდ ს მონაკვეთი. ამის იქით მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად ანალიზს ვერ გავაგრძელებთ[14]. ამავე შეპირისპირების წესით უნდა შევამოწმოთ მათი შინაარსი და თუ აღმოჩნდა, რომ გამოხატულებით იდენტური მონაკვეთები მნიშვნელობითაც იდენტურებია, მაშინ გვაქვს საფუძველი, დავადასტუროთ მათი იდენტურობა. აღნიშნული მასალის მიხედვით ს-ს მნიშვნელობა დაუკავშირდა მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირს.

გავაგრძელოთ ანალიზი მოცემული მასალის პირველი ნიმუშის მიხედვით — „წერ-ს". დარჩენილი „წერ" მონაკვეთისათვის უნდა დავძებნოთ სხვა მასალა, სადაც დადასტურდება, რომ ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა უკავშირდება „წერ" მონაკვეთს და არა წ-ს ან წე-ს. თეორიულად „წ", „წე" შესაძლებლობები გამორიცხული არაა, რადგან ქართულში ძნელი დასაძებნი არაა C, CV ზმნური ძირები. ამიტომ, ამ მიზნით, გამოგვადგება ასეთი მასალა: წერ-და, დაუ-წერ-და, დაუ-წერ-ია, წერ-ილი, სა-წერ-ი, მ-წერ-ალი...

როგორც ვხედავთ, „წერ" სეგმენტის გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელობის გათვალისწინების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ გამოხატულების მიხედვით რომ ვეცადოთ გამოყოფა სხვა მასალის მაგალითზე, მივიღებთ ასეთ შეუსაბამ ერ-

---

[14] ენის ანალიზში მნიშვნელობის უგულებელყოფა ნიშნავს საერთოდ ენის უარყოფას. ენათმეცნიერები, რომელნიც უგულებელყოფენ ენის მნიშვნელობას, უკიდურეს ფორმალიზმამდე დადიან. ასეთი ენათმეცნიერების მიმართ ბენვენისტი ამბობს: Соотношение формы и значения многие лингвисты хотели бы свести только к понятию формы, но им не удалось избавиться от ее коррелята-значения. Чего только не делалось, чтобы не принимать во внимание значение, избежать его, отделаться от него. Напрасные попытки-оно как голова медузы, всегда в центре языка, околдовывая тех, кто его созерцает. (ბენვენისტის დასახელებული ნაშრომი, გვ. 136).

თეულებს: მატ-ერიკი, მატ-ყლი, მატ-ლი, მატ-აოცი, მატ-არებელი, მატ-იანე, მატ-ყუარა... რასაც მეცნიერულ ანალიზთან საერთო არაფერი ექნებოდა. აღნიშნულ მასალაში „მატ“ ბგერათა კომპლექსი არაა მორფემა, რადგან მისი გამოყოფა არაა დაკავშირებული მნიშვნელობასთან.

ამგვარად დავადასტურებთ, რომ „წერ“ ძირეული მორფემაა, ხოლო -ს მესამე სუბ. პირის ნიშანი მხოლობით რიცხვში.

ამავე წესით გავაანალიზოთ ჩვენი მასალის მეორე ნიმუში „ხატავს“, სადაც ს-ს ფუნქცია უკვე დადგენილია. დარჩენილ „ხატავ“ მონაკვეთს შევუქმნათ შეპირისპირებით მასალა, სადაც შევძლებთ საპირისპირო ყველა ერთეულის მიხედვით გამოვყოთ გამოხატულებით იდენტური მონაკვეთი.

ერთეულთა შეპირისპირება გამოგვიყოფს, ერთი მხრივ, „ხატ“ ძირითად ლექსიკურ მორფემას — შემდეგი მასალის მიხედვით: და-ხატოს, და-ხატ-ა, და-ხატ-ული, მ-ხატ-ვარი... და, მეორე მხრივ დარჩენილ „ავ“ მონაკვეთს შემდეგი მასალის მიხედვით: მალ-ავ-ს, აკრავ-ს, ფარ-ავ-ს, კერ-ავ-ს, ბერ-ავ-ს, ხეხ-ავ-ს, რთ-ავ-ს, ხნ-ავ-ს.

ამგვარად, თუ სხვადასხვა მასალაში მივიღებთ ისეთ მონაკვეთებს, რომელნიც იდენტურნი იქნებიან გამოხატულებითაც და მნიშვნელობითაც, ასეთ შემთხვევაში გვაქვს საფუძველი მათ გამოსაყოფად.

ენა ასეთი ანალიზის საშუალებას იძლევა თავისი სისტემური ხასიათის გამო, სადაც ენობრივ სიმრავლეებად ანუ სისტემურ ჯგუფებად ერთეულები ერთიანდებიან საერთო მადიფერენცირებელი ნიშნის საფუძველზე. გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის ყოველი მორფემა თავისი რიგის ყოველი მეორე მორფემისთვის ფორმობლივი და შინაარსობლივი ერთიანობის ყალიბს წარმოადგენს.

საინტერესოა და საყურადღებო ამ საკითხთან დაკავშირებით ფორტუნატოვის აზრი: «Формою отдельных слов, в собственном значении этого термина, называется способность отдельных слов выделять из себя для сознания говорящих формальную и основную принадлежность слова. Формальную принадлежностью слова является при этом та принадлежность звуковой стороны слова, которая видоизменяет значение другой, основной принадлежности этого слова, как существующей в другом слове или в других словах с другой формальной принадлежностью[15]

---

[15] Ф. Ф. Фортунатов, Сравнительное языковедение, курс 1901—1902 гг. с. 203—204.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორფემათა გამოყოფა ანუ ზმნური სიტყვაფორმის სეგმენტაცია, ანალიზის მხოლოდ პირველ საფეხურს წარმოადგენს.

ყოველი დანაწევრება ეს არის სეგმენტის — ფორმალური ელემენტის მხოლოდ კონსტატაციის ფაქტი, ხოლო ამ ელემენტის განსაზღვრა, რაც მდგომარეობს მისი დანიშნულებისა და მნიშვნელობის დადგენაში, კვლევის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს.

ეს სრულიად აშკარა გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ მორფემისათვის სწორი კვალიფიკაციის მიცემა ყოველთვის როდი ხერხდება. არსებითად, მეცნიერთა დავის საგანს სწორედ კვალიფიკაცია წარმოადგენს და კვლევის მიზანსაც სწორი კვალიფიკაცია ამართლებს.

ქართულ ზმნაში ა- პრეფიქსული მორფემის კვალიფიკაცია დღესაც სადაოა[16]. ასეთები სხვაც არის. ამგვარადვეა ყველა ენაში.

უფრო მეტიც, სწორი კვალიფიკაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო სიტყვას მორფემის დასახასიათებლად; კვალიფიკაცია, გარდა იმისა, რომ სწორი იყოს, სრულიც უნდა იყოს. ზუსტად უნდა აღნუსხავდეს მის ფუნქციურ დატვირთვას მორფემის გამოყენების ყველა შესაძლებელი შემთხვევის მნიშვნელობითი ნიუანსების მიხედვით და ამის საფუძველზე დადგინდეს მორფემის მიმართებითი ღირებულება, რაც მას გადამწყვეტ დახასიათებას მისცემს.

იმ მიზეზის გამო, რომ ყოველი ენის მასალაში მრავლად მოიპოვება ომონიმური (ქართულ ზმნაში ფონემური გამოხატულებით ერთი და იგივე ი- პრეფიქსული მორფემა ვნებით გვარსაც ასახავს და სასუბიექტო და საობიექტო ქცევასაც აწარმოებს; სუფიქსური -დ მორფემა ვნებითსაც ასახავს და ფუძის საერცობსაც წარმოადგენს...) და სინონიმური (მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის მორფებია სუფიქსები -ს, -ო, -ა, ხოლო მრავლობითისა -ნენ, -ენ, -ნ, -ან,-ეს) მორფები. მათი გამოყენების სფეროების განსაზღვრა და სათანადო (რომ ისინი ერთ მორფემას წარმოადგენენ ან პირუკუ — განსხვავებულს) კვალიფიკაციის მიცემა არ არის ადვილი.

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ დამსახურებად სწორედ ის მიიჩნევა, რომ ასეთი საკითხების კვლევისათვის გამოიმუშავა სპეციალური მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენება შესაძლებელს ხდის აღნიშნული დაბრკოლებების გადალახვას.

ერთ-ერთ ასეთ მეთოდს დისტრიბუცია წარმოადგენს. სტრუქტურული ენათმეცნიერების კვლევის ერთ-ერთი პრინციპის — ფუნქციუ-

---

[16] იხ. ამ შრომის მეორე ნაწილი ა-პრეფიქსის კვალიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით.

რი ეკვივალენტობის პრინციპის — მიხედვით მორფემათა იდენტურობისათვის განმსაზღვრელია ფუნქციურად იდენტურობა და არა მათი ფორმალური იგივეობა თუ განსხვავება. ერთ-ერთ კონსტიტუტიური მნიშვნელობის მეთოდს მიმდევრობაში მორფემათა რიგის დადგენა წარმოადგენს.

აღნიშნული საშუალებები, ე. ი. კვლევის მეთოდები, შემუშავებულია ენის სისტემურობის სტრუქტურული ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლის მიხედვით ენის სისტემა არის ისეთი მთლიანი რთული მექანიზმი, სადაც ელემენტები ურთიერთგანპირობების მიმართებაში იმყოფებიან, რის გამოც სისტემა ორგანიზებულია და შეპირობებულია ენაში მოქმედი მკაცრი კანონზომიერებებით.

საკვლევი ობიექტის კანონზომიერი და ურთიერთგანპირობებული ხასიათი განსაზღვრავს მათი კვლევის მეთოდის სპეციფიკასაც; ეს მეთოდები (მსგავსად ენის სისტემისა, სადაც ყოველი ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება სხვა ერთეულებთან მიმართებაში) არ წარმოადგენენ კვლევის, ერთმანეთისაგან, იზოლირებულ მეთოდებს, ერთი საშუალების გამოყენება ითვალისწინებს სხვა საშუალებების გამოყენებასაც. ამიტომ, მეთოდის შეფასება მხოლოდ ერთი დანიშნულებით საზიფათოა, უფრო ზუსტად, არ არის სწორი. ამ საკითხზე ჩვენ ცოტა ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა ბუნვენისტის შეხედულებებთან დაკავშირებით.

ახლა კი შევჩერდეთ თითოეულზე უფრო დაწვრილებით.

მორფემათა კვლევის მეთოდები

შეპირისპირების მეთოდი

ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის თუ დანიშნულების დადგენის აუცილებელ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შეპირისპირების, resp. სუბსტიტუციის მეთოდი.

ანალიზის პირველსავე საფეხურზე მორფემათა მხოლოდ გამოყოფაც კი, როგორც დავინახეთ, შეპირისპირების საშუალებით მოხერხდა; -ს სუფიქსი (და ასე ყველა სხვა ერთეული) გამოიყო იმის გამო, რომ მასთან სხვა მასალის შეპირისპირებამ ამის საშუალება მოგვცა. მაგრამ ენაში ყოველგვარი შეპირისპირება როდია დასაშვები. ენის სისტემის სპეციფიკური ხასიათის გამო, შეპირისპირების ერთეულებს ქმნიან ერთმანეთის მიმართ მხოლოდ ფარდი ერთეულები. ბუ-

ნებრივია, ეს მათი მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე ვერ მოხერხდება[17].

ორი ერთეული ფარდია, თუ ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ ერთი ფორმალურ-სემანტიკური ნიშან-თვისებით, ხოლო ყველა სხვა ნიშნის — თვალსაზრისის — მიხედვით იდენტურნი არიან.

ფონოლოგიაში ყოველი ორი სიტყვა ფარდი იქნება, თუ ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ ერთი ბგერის მიხედვით და ქმნიან მნიშვნელობის დიფერენციაციას (შგ., Hopfen «хмель»—hoffen—«надеяться») ასეთი ოპოზიციის ერთეულებს მინიმალურ წყვილებს უწოდებენ[18].

მორფოლოგიაშიც გრამატიკული მნიშვნელობის ორი მორფემა ფარდი იქნება, თუ ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ ერთი თანაზომიანი, ე. ი. ფარდი გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში შეპირისპირების მეთოდს იყენებს. თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებს.“

„ფორმების დაპირისპირება ერთი ნიშნის მიხედვით ხდება, დანარჩენი ნიშნები კი ყველა საერთოა... რიცხვის გამორკვევის დროს საპირისპირო ფორმებში პირიც იგივე რჩება, დროც, კილოც და სხვა კატეგორიები (უღლებისა თუ წარმოქმნისა), გვექნება ამგვარი შეყრა პირისპირ: ვაკეთებ — ვაკეთებთ. ქცევის გამორკვევის დროს მარტო კუთვნილება-დანიშნულებას ვაქცევთ ყურადღებას, სხვა ნიშნები კი ყველა უცვლელია; გვაქვს ასეთი საოპოზიციო ცალები: დაეწერე-დაიწერე-დავუწერე. ასეთი მეთოდით ვარკვევთ სხვა კატეგორიებსაც“[19].

ზოგიერთი გრამატიკული მნიშვნელობის მორფემისათვის დაზუსტებას მოითხოვს მათი თანაზომიანობის პირობა. გრამატიკაში მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავებული საპირისპირო ყოველი ორი მორფემა ვერაა ყოველთვის თანაზომიანი და ერთმანეთის ფარდი.

მაგ., ფორმები — „გაეზარდა“ (ორპირიანი ენებითი გვარი) და „გაზარდა“ (ორპირიანი მოქმედებითი გვარი) თუ იქნებიან ერთმანეთის თანაზომიანი საპირისპირო ფარდი ერთეულები? ეს ფორმები ხომ მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით — გვარის თვალსაზრისით — გან-

---

[17] მნიშვნელობა ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯერ არ უდრის ერთეულის ამომწურავ და სრულ კვალიფიკაციას; ერთეულთა ფუნქციური იდენტურობის დასაბუთება დამატებით სხვადასხვა მეთოდური ხერხის გამოყენებას მოითხოვს.

[18] Г. Глисон, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[19] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 392.

სხვავდებიან, სხვა ნიშნებით კი (დრო, პირი, რიცხვი...) იდენტურებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ფორმა ერთმანეთს მხოლოდ გვარის მიხედვით უპირისპირდება, მაინც „გაზარდა“ ფორმა „გაეზარდა“-ს ფარდ და თანაზომიან ერთეულს არ წარმოადგენს. ისინი საპირისპირო ფორმებია, მაგრამ არა ფარდი და თანაზომიანი, რადგან ერთმანეთის მიმართ არაკონვერსიულებია. მათი სხვაობა — კორელაცია — ფარდ ერთეულებს მოგვცემდა იმ შემთხვევაში, თუ კონვერსიის პირობასაც დააკმაყოფილებდა. „ის ფორმები, რომელთაც გვარობლივი კორელაცია, კონვერსიის ნიადაგზე დადგენილი, არ მოეპოვებათ, არსებითად უგვარონი არიან“, წერს ა. შანიძე[20].

გვარის „კონვერსიის დროს აუცილებელი პირობაა, რომ განსხვავება იყოს პირთა რაოდენობის მხრივ. თუ ეს პირობა დარღვეულია, ცხადია, ორი ფორმა ერთისა და იმავე ფუძისა, ერთი გარდამავალი, მეორე გარდაუვალი, ერთურთის მიმართ კონვერსიული ვერ იქნება“[21].

აქედან გამომდინარე, ხომ არ გვეფიქრა, რომ ფარდი შეპირისპირება მოითხოვს დაპირისპირებას ორი ნიშნის მიხედვით (ამ შემთხვევაში გვარი და პირთა რაოდენობა). არავითარ შემთხვევაში! ამ შემთხ-ევაში გვარის მიხედვით სხვაობას განაპირობებს პირთა რაოდენობა; აქ გვარი და მასთან დაკავშირებული გარკვეული პირთა რაოდენობა ერთ ნიშანს წარმოადგენს. ისინი ერთმანეთის ეკვივალენტებია.

ენის სისტემის ურთიერთგანპირობებულობა ამაშიც ვლინდება. იგი მოითხოვს გვარით განსხვავებულ ნებისმიერს კი არა, მხოლოდ მის ფარდს. ამიტომ ორპირიანი ვნებითი გვარის „გაეზარდა“ ფორმის ფარდია „გაუზარდა“ — სამპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმა, რომელიც კანონზომიერად მასზე ერთი პირით მეტია და არა „გაზარდა“, რომელიც მოქმედებითია, მაგრამ პირთა რაოდენობით მისი თანაბარი.

ამგვარად, ერთეულები თანაზომიანია, თუ უპირისპირდებიან მხოლოდ ერთი თვალსაზრისით, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთის ფარდნი არიან.

ამ დებულების თანახმად, პირველი პირის „ვწერ“ ფორმის შეპირისპირება პირის მიხედვით მეორე — „სწერ“ და მესამე „წერს“ პირებთან გვაძლევს განსხვავებას მხოლოდ პირის მიხედვით, სხვა თვალსაზრისით, პირობისამებრ, ისინი იდენტურებია.

მხოლობითი რიცხვის „ვწერ“ ფორმის შეპირისპირება რიცხვის მიხედვით მოგვცემს საპირისპირო მრავლობითი რიცხვის „ვწერთ“

---

[20] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 321.

[21] იქვე, გე. 294.

ფორმას. აქაც შეპირისპირება კანონზომიერია და ფარდი. განსხვავება მხოლოდ რიცხვის მიხედვით გვაქვს.

სასუბიექტო ქცევის „იწერს“ ფორმის შეპირისპირება ქცევის მიხედვით მოგვცემს საობიექტო ქცევის შემთხვევაში ფარდ სამპირიან „უწერს“ ფორმას. „უწერს“ — „იწერს“ ფორმები ქცევის თვალსაზრისით განსხვავებული ფარდი ერთეულებია.

ერთპირიანი ვნებითის საპირისპირო ფორმა გვარის მიხედვით მოგვცემს ფარდ ორპირიან მოქმედებითს: „იწერება“ (წერილი) ვნებითი გვარია — „წერს“ (იგი მას) ფარდი მოქმედებითია.

ორპირიანი ვნებითი გვარის საპირისპირო ფორმა გვარის მიხედვით გვაძლევს სამპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმას:

„წერილი ეწერება ბებიას“, „შვილიშვილი წერილს უწერს ბებიას“.

„ეწერება“-„უწერს“ გვარის მიხედვით ფარდი ერთეულებია. დაპირისპირება მხოლოდ ერთი თვალსაზრისის — გვარის მიხედვით — ვაწარმოეთ.

შეპირისპირების მეთოდის ფარდ ერთეულთა თანაზომიანობის წესმა საშუალება მოგვცა, შეგვემუშავებინა ერთი დამატებითი ხერხი. როგორც აღინიშნა, ორი ერთეული ერთმანეთის ფარდია და თანაზომიანი, თუ ერთი მეორისგან მხოლოდ ერთი სემანტიკური ნიშნით (ან შემთხვევაში გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით) განსხვავდება. ეს სუბსტიტუციის მეთოდის მყარი და შეუცვლელი პირობა არის. ასეთ შემთხვევაში დასადგენი და ასახსნელია, როგორ მოხდა, რომ მხოლოდ გვარის მიხედვით დაპირისპირების დროს („ე-წე-რება“ — „უ-წერს“) ფარდმა, თანაზომიანმა ერთეულმა („უ-წერს“) მოგვცა ორი მნიშვნელობის მიხედვით — გვარითა და ქცევით — განსხვავებული ფორმა. აღნიშნული წესის მიხედვით კი უნდა მოეცა მხოლოდ გვარით განსხვავებული, ე. ი სამპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმა. შდრ.: „ე-წერება“ — ვ ნ ე ბ ი თ ი გვარი, მხოლობითი რიცხვი, მესამე პირი, აწმყო დრო. „უ-წერს“ — მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი, მხოლობითი რიცხვი, მესამე პირი, აწმყო დრო, ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო ქ ც ე ვ ა. აქ გამორიცხულია, რომ სამპირიანი მოქმედებითი და საობიექტო ქცევა ჩაითვალოს ერთ ნიშნად, როგორც ეს ერთპირიან ვნებითის კონვერსიულ მოქმედებითში გვქონდა, (იწერება ვნ. გვ. — წერს მოქმ. გვ.) ,სადაც გვარი განისაზღვრა პირთა რაოდენობით და ამდენად, გვარი და პირთა რაოდენობა ერთ მნიშვნელობას წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ სამპირიანი მოქმედებითი მხოლოდ საობიექტო

ქცევის ფორმით არ არსებობს[22]. ასეთი შემთხვევების საფუძველზე ჩვენ გავაკეთეთ მართებული დასკვნა: „ე-წერება“ — „უ-წერს“ გვარის მიხედვით კონვერსიულ ფორმათა შემთხვევაშიც სხვაობა გვაქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობის (გვარის) მიხედვით, როგორც იყო მოსალოდნელი, ხოლო საობიექტო ქცევის მნიშვნელობა, „უ-წერს“ ფორმაში გამოხატული, „ე-წერება“ ფორმასაც ჰქონდა გამოუსატავად — ორპირიანი ვნებითი გვარის ე- მორფემას საობიექტო ქცევის მნიშვნელობა შეთავსებული ჰქონია. რელატიური ენიანი ვნებითი ქცევის მიხედვით საობიექტო აღმოჩნდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სუფიქსური ვნებითი გვარის რელატიური ფორმა ყოველთვის წარმოდგენილია მხოლოდ საობიექტო ქცევის ფორმით: უშრება, უჭკნება, უთეთრდება, უშენდება და სხვა.

ეს ჩვენ დავადასტურეთ სხვა მეთოდითაც; ამაზე ქვემოთ, სათანადო ადგილას, გვექნება მსჯელობა.

ამგვარად, შეპირისპირებამ ერთი მნიშვნელობის მიხედვით გამოამჟღავნა შესაპირისპირებელი ერთეულის შეთავსებული, დაფარული, სხვა მნიშვნელობაც. მორფემას მიეცა ზუსტი კვალიფიკაცია — დადგინდა მისი შეთავსებული, გამოუხატავი დანიშნულება.

შეპირისპირების ასეთ შემთავსებელ ერთეულებს ჩვენ ვუწოდებთ პოტენციურს. „გაეზარდა“ — „გაუზარდა“ გვარის მიხედვით დაპირისპირებაში „გაეზარდა“ პოტენციურ ერთეულს წარმოადგენს ქცევის მნიშვნელობის გამომჟღავნების თვალსაზრისით.

მორფემათა შეთავსებული მნიშვნელობის ამოსაცნობად შემუშავებული ხერხი წესის სახით ასე ჩამოვაყალიბეთ: თ უ დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ფ ა რ დ ი ა დ ა თ ა ნ ა ზ ო მ ი ა ნ ი, გ ვ ა ძ ლ ე ვ ს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს, ხ ო ლ ო ყ ო ე ლ ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ი დ ე ნ ტ უ რ ა დ უ ნ დ ა ჩ ა ი თ ვ ა ლ ო ს.

შეპირისპირება ლინგვისტური ანალიზის შეუცვლელი მეთოდია. სხვა მეთოდური საშუალებები (დისტრიბუცია, თანამიმდევრობაში მორფემათა რიგის დადგენა) ამ მეთოდს ავსებენ და სრულყოფენ. აღნიშნული სხვა მეთოდები შეპირისპირების მონაწილეობას ანალიზში კი არ გამორიცხავენ, პირუკუ, ყოველი ანალიზი რომელსამე ეტაპზე აუცილებლობით გულისხმობს შეპირისპირების მეთოდის გამოყენებას.

---

[22] მოქმედებითი გვარის საობიექტო ქცევის ზმნა სამპირიანია, მაგრამ ყველა სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნა არ არის საობიექტო ქცევისა.

დისტრიბუცია წარმოადგენს თანამედროვე ენათმეცნიერული, სტრუქტურალისტური, მიმდინარეობის ლინგვისტური ანალიზის ერთ მეთოდს. ამ მეთოდის შემუშავება და გამოყენება დაკავშირებულია უშუალოდ დესკრიფციულ (ამერიკა) და ფუნქციონალურ (პრაღის სკოლა) სტრუქტურალისტურ მიმდინარეობებთან.

ტერმინი დისტრიბუცია შემოტანილია მათემატიკიდან და ენათმეცნიერებაში პირველად დამატებითი დისტრიბუციის აღსანიშნავად 1934 წ. სვოდეშმა გამოიყენა[23].

მეთოდი პირველად გამოყენებული იყო ფონოლოგიაში ფონემის დადგენასთან დაკავშირებით. შემდეგ ეს მეთოდური საშუალება გამოიყენეს ენის სხვა ერთეულის მიმართაც.

დისტრიბუციული მეთოდის შემუშავება განაპირობა ფაქტიურმა ვითარებამ.

დესკრიფტივისტები იკვლევენ ამერიკის მკვიდრთა ენებს, რომელთა დიდი უმეტესობა უმწერლობოა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში კვლევის ანალიზის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ მეტყველება. მეტყველებაში კი ცნობილია, რომ ერთი ბგერის ზუსტად ერთნაირად განმეორება შეუძლებელია. აღნიშნულის გარდა, მეტყველების აქტში ივარაუდება ენისათვის ჰარბი ელემენტები (ინდივიდუალური წარმოქმნის თავისებურებანი და სხვა). ამ მიზეზებმა მოითხოვა ახალი საშუალებები ბგერათა გასარჩევად; უნდა დაედგინათ მეთოდოლოგიური ხასიათის კრიტერიუმი, რა შემთხვევაში იძლეოდა ბგერები ერთ ფონემას და რა შემთხვევაში — სხვადასხვას.

ახალმა მეთოდმა შესაბამისი ახალი ტერმინოლოგია შემოიტანა.

ფუნქციურად განსხვავებულ ბგერებს უწოდეს ფონემა, ფუნქციურად იდენტურ ბგერებს — ერთი ფონემის ალოფონები. ანალოგიურად ფუნქციურად განსხვავებულ ფორმალურ ნიშნებს უწოდეს მორფემა, ფუნქციურად იდენტურ ფორმალურ ნიშნებს — ერთი მორფემის ალომორფები.

დისტრიბუცია არის ენობრივ ერთეულთა დახასიათება პოზიციური მიმართების თვალსაზრისით. ამის საშუალებას იძლევა მეტყველების წრფივი (ხაზოვანი) ხასიათი, სადაც ელემენტები ერთი მეორის მომდევნოა: წინადადებას ქმნის სიტყვათა მიმდევრობა, სიტყვას — მორფემებისა, ხოლო მორფემებს ქმნის ფონემათა მიმდევრობა. ფო-

---

[23] Morris Swadesh, The phonemic Principle, «Language», 10, 1934, გვ. 117—129.

ნემას ქმნის ბგერის აკუსტიკური და ფიზიოლოგიური ხასიათის დიფერენციალური ნიშნები, რომელთაც მიმდევრობა არ აქვთ[24].

დისტრიბუცია იხილავს ერთი დონის ელემენტების ურთიერთმიმართებას მიმდევრობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ფონემის მიმართებას ფონემასთან მისი პოზიციის — ადგილის — მიხედვით, მორფემის მიმართებას მორფემასთან იმავე თვალსაზრისის — მიმდევრობის ანუ ადგილის (ანუ პოზიციის) მიხედვით.

ყოველი ელემენტის დისტრიბუცია იქნება მისი ყველა პოზიციათა ჯამი.

როგორც სვოდეში განსაზღვრავს, ყოველ ფონემას აქვს თავისი პოზიციური შეზღუდვა, ამასთან დაკავშირებით, დისტრიბუციის სფერო წარმოადგენს ყოველი ფონემის გადამწყვეტ დახასიათებას[25].

განასხვავებენ დისტრიბუციის სამ სახეობას, რომლის მეშვეობითაც ადგენენ ფონემათა იდენტურობას ან განსხვავებას.

1. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა რ ი რ ე ბ ა დისტრიბუციის უმარტივეს მოდელს წარმოადგენს. ამ დროს სხვაობა ბგერებს შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ ეს ბგერები ერთი ფონემის ზღვარს ვერ სცილდებიან და ითვლებიან ერთ ფონემად. ასეთად ითვლება მეტყველების ინდივიდუალური თავისებურებანი. ამავე რიგისაა ლ და რ ბგერების მონაცვლეობა იაპონურში.

დისტრიბუციის ამ სახეს ტრუბეცკოი უწოდებს ფაკულტატურ მონაცვლეობას[26].

ამგვარად, თავისუფალი ვარირების შემთხვევებში ორი ბგერა ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდება და მათი ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

2. დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ა. ამ მიმართებაში მყოფი ორი ბგერა არასდროს არ იქნება ერთსა და იმავე პოზიციაში მაგ., გერმანულში „ch" — ფონემა ა-ს შემდეგ იქნება ხ, ხოლო ი-ს შემდეგ ჰ, სადაც ხ-ჰ ბგერობრივი სახესხვაობა ერთი ფონემის ფარგლებს არ სცილდება. სადაც დასტურდება ერთი, იქ ვერ იქნება მეორე, ამიტომ ასეთი ბგერები ურთიერთგამომრიცხველნი არიან.

ტრუბეცკოი ასეთი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფ ბგერებს უწოდებს ერთი და იგივე ფონემის კომბინატორულ ვარიანტებს[27]. ასეთი ბგერები ფონეტიკურადაც მსგავსნი უნდა იყვნენ.

---

[24] ამაზე სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

[25] სვოდეშის დასახელებული ნაშრომი, იქვე.

[26] Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960, с. 53—54.

[27] Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრომი, გვ. 50—57.

ამგვარად, დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია ორი ბგერა თუ, პოზიციურად სადაც დასტურდება ერთი, არ შეიძლება შეგვხვდეს მეორე. ასეთი ურთიერთგამომრიცხველი ბგერები ერთი ფონემის ალოფონებად ითვლებიან.

3. კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ი ს მიმართებაშია ორი ბგერა, თუ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და სიტყვას მნიშვნელობას უცვლის. კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ბგერები სხვადასხვა ფონემებია.

ქართულში სხვადასხვა ფონემებია: ბ, დ, ზ, თ, კ, ლ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, შ, ხ, ჯ, რადგან ისინი ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდებიან და ცვლიან სიტყვის მნიშვნელობას: ბარი, დარი, ზარი, თარი, კარი, ლარი, სარი, ტარი, ფარი, ქარი, ღარი, შარი, ხარი, ჯარი.

ბგერათა დისტრიბუციის ყველა შესაძლებელი შემთხვევა ამოიწურება განხილული სამი სახეობით.

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის უფრო საინტერესოა დისტრიბუციის მეთოდის გამოყენება გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მორფემათა ანალიზისათვის.

დისტრიბუციის აღნიშნული სამივე სახეობა დადასტურებულია მორფემებისთვისაც (მხედველობაში გვაქვს ლექსიკურ-გრამატიკული და გრამატიკული მორფემები), მაგრამ მორფემების იდენტურობის დასადგენად აუცილებელია მათი მნიშვნელობის გათვალისწინება. ბგერითი გამოხატულების იდენტურობას ანგარიში არ ეწევა, რადგანაც ბგერითი გამოხატულებით იდენტური მორფემები არაიდენტურებიც არიან (ი-ვნებითისა და ი-ქცევისა) მათი განსხვავებული ფუნქციის გამო და პირუკუ, გამოხატულებით განსხვავებული ფორმალური ნიშნები (მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები -ს, -ა, -ო) ერთი მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ მათი იდენტური ფუნქციის გამო.

ფონემის მსგავსად, მორფემაც გამოხატულების ერთეულია, მაგრამ ფონემისგან განსხვავებით, იგი მნიშვნელობის პლანს უშუალოდ უკავშირდება. ფონემის დანიშნულებას მასზე ერთი საფეხურით მაღალი, მორფემის დონე, განსაზღვრავს. მორფემის მნიშვნელობას განზღვრავს მასზე საფეხურით მაღალი, სიტყვათა, დონე.

მორფემის დანიშნულებას განსაზღვრავს მისი მიმართებითი მნიშვნელობა შინაარსის სისტემის რომელიმე წერტილთან, რომელსაც იგი უშუალოდ უკავშირდება[28].

---

[28] Г. Г л и с о н, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

პოტებნია წერს: «Данная форма имеет для меня смысл по месту, которое она занимает в склонении или спряжении»[29].

ამიტომ, მორფემების დისტრიბუცია — ერთი მორფემის ალომორფებად თვლის ისეთ მორფებს, რომელნიც ერთნაირ მიმართებაშია მნიშვნელობის სისტემის ერთსა და იმავე წერტილთან, ხოლო მორფემებად თვლის ისეთ ერთეულებს, რომელნიც მნიშვნელობის სისტემის სხვადასხვა წერტილს უკავშირდებიან.

განვიხილოთ მორფემათა დისტრიბუციის შემთხვევები.

1. თუ ორი მორფი გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და მათ მნიშვნელობის სისტემაში შეესატყვისება ერთი და იგივე წერტილი, ასეთი ორი მორფი იქნება იდენტური მნიშვნელობისა.

ვფიქრობთ, ასეთი დისტრიბუციის ნიმუშად გამოდგებოდა ქართულ ზმნაში ერთი მნიშვნელობით გამოყენებული პარალელური ფორმები: მოაჭრა (მან მას ის) — მოსჭრა (მან მას ის); მოაგლიჯა (მან მას ის) მოჰგლიჯა (მან მას ის); მოსჭამა (მან მას ის) — მოაჭამა (მან მას ის) აკაწრავს (ის მას სახეს — ჰკაწრავს (ის მას სახეს); სდის (მას სუნი) — უდის (მას სუნი).

2. თუ ორი მორფი გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და მათ მნიშვნელობის სისტემაში შეესატყვისება სხვადასხვა წერტილი, ასეთი ორი მორფი სხვადასხვა მორფემად უნდა ჩაითვალოს.

სხვადასხვა მორფემას წარმოადგენს ვნებითი გვარის ი და ე- პრეფიქსები: ი-ზრდ-ება, ე-ზრდება; ვნებითი გვარის ი- პრეფიქსი და სასუბიექტო ქცევის ი- პრეფიქსი: იზრდება (იგი) — იზრდის (ის მას თავისთვის); აქვე მოთავსდება ერთი გრამატიკული კატეგორიის საპირისპირო ერთეულთა ფორმალური ნიშნები: სასუბიექტო ქცევის ი და საობიექტო ქცევის უ: ვ-ი-ზრდი, ვ-უ-ზრდი და ა. შ. ეს მორფემები კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან.

3. თუ ორი მორფი არასდროს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და მათ მნიშვნელობის სისტემაში შეესატყვისება ერთი და იგივე წერტილი, ასეთი ორი მორფი ერთი მორფემის ალომორფებად უნდა ჩაითვალოს. ესაა დამატებითი დისტრიბუციის მიმართება.

ასეთებია კაუზატივის ევინ და ინ (აჭრევინებს — აკერვინებს);

ასეთებია მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ს, ა, ო: დებს, დადგ-ა, დადო.

დისტრიბუციის მეთოდური ხერხი, არსებითად დამატებითი დისტრიბუციის მნიშვნელობის ხარჯზე, ერთ-ერთ რეალურ საშუალებას წარმოადგენს ერთეულთა იდენტურობისა და სხვადასხვაობის დასადგენად. მისი ღირებულება სრულიად აშკარაა.

[29] А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, т. I, с. 53.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დისტრიბუციის მეთოდი ენობრივ ერთეულებს იხილავს მათი პოზიციის თვალსაზრისით. ფონოლოგიაში ენობრივ ერთეულს ფონემა წარმოადგენს, მორფოლოგიაში — მორფემა.

ამდენად, მორფემათა რიგის დადგენის მეთოდიც დისტრიბუციას წარმოადგენს, მაგრამ იგი ითვალისწინებს მხოლოდ გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მორფემების პოზიციებს — მათ თანამიმდევრობას — სიტყვა-ფორმაში, რასაც უაღრესად კანონზომიერი ხასიათი აქვს მათთან დაკავშირებული გრამატიკული მნიშვნელობის გამო. ის ფაქტი, რომ მორფემა, განსხვავებით ფონემისაგან, მნიშვნელობის მქონე ერთეულია, განაპირობებს მის სპეციფიკურ ხასიათს. სპეციფიკურმა ობიექტმა მოითხოვა დამატებით სპეციალური მეთოდის შემუშავებაც — მორფემათა რანგობრივი თეორიის საჭით.

მორფემათა რანგის დადგენის მეთოდი ზემოთ აღნიშნული დისტრიბუციის, ერთგვარი შემოწმებისა და სრულყოფის მიზნით, მის გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი საკელევი მორფემების ანალიზისათვის.

მიმდევრობაში აფიქსთა რიგის — რანგის დადგენის პრინციპი არაერთ ლინგვისტს აქვს გამოყენებული[30]. მათ შრომებში მოცემულია ამ მეთოდის შემუშავების თეორიული დებულებები.

ზოგ საკუთარ მოსაზრებასა და დასკვნასთან ერთად თუ დავაჯამებთ ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერთა ნაშრომების მიხედვით მიღე-

---

[30] Г. Глисон, დასახ., ნაშრომ., გვ. 163—184; М. Щербак, О методике морфологического описания языка, В. Я. 1963, с. 31—38; Н. К. Дмитриев, Грамматика башкирского языка, 1948; Н. А. Баскаков. «Тюркские языки» языки народов СССР, II., 1966; Н. Яковлев, Д. Ашхамад, Грамматика адыгейского литературного языка, 1942 с. 352—357; И. И. Ревзин, Г. Д. Юлдашева, Грамматика порядков и ее использование, В. Я. 1969, с. 42—56; Морфологическая структура слова в языках различных типов, сб. статей, М., 1963; Н. Хомский, О некоторых формальных свойствах грамматики, кибернетический сборник, № 5, М., 1962. არსებითად, აფიქსთა რიგის პრინციპს ეყრდნობა ამ შრომის ავტორის მიერ მანქანური თარგმნისათვის შეღგენილი ალგორითმები. იხ. ვ. დამენია, მანქანური თარგმნის ანალიზური სქემების სპეციფიკისათვის ქართულში, ე ა რ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1960; მ. დამენია, ლ. მარგველანი, ლ. თამარაშვილი, ქართული ზმნის დაბოლოებათა ლექსიკონი მანქანური თარგმნისათვის, ე ა ტ ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1961.

ბუნებრივია, მანქანური თარგმნის პრაქტიკული ინტერესებით ნაკარნახევი შრომები ვერ იქნება ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისის დონეზე, მათი განსხვავებული თეორიული მიზნების გამო.

ბულ დებულებებს, მორფემათა რიგის დადგენის მეთოდის თეორიული პრინციპები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება.

იგულისხმება, რომ პირველი ეტაპი — სეგმენტაცია — მორფემების გამოყოფის პროცედურა, უკვე ჩატარებულია.

იმ ენას, რომელსაც ზმნური მორფემები გააჩნია, რა თქმა უნდა, ქართული ენის ზმნური მორფემებიც, რომელნიც მრავალნაირი და მრავალრიცხოვანია, ზმნაში წარმოდგენილია მკაცრი კანონზომიერებით შეპირობებული თანამიმდევრობით.

ზოგჯერ ზმნური სიტყვაფორმა მორფემათა გრძელი ჯაჭვისაგან შედგება (მაგ., და-გვ-ა-ბ-მ-ევინ-ებ-დ-ე-ს), ზოგჯერ ნაკლებ გრძელია (და-წერ-დ-ე-ს), ზოგჯერ ასეთი სახეც აქვს (წერ-ს). ამიტომ, ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე მორფი, როგორც ეს აღნიშნული შემთხვევებიდან დავინახეთ -ს მაგალითზე, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა მანძილით იყოს დაშორებული ძირეული მორფემიდან -R-იდან.

პირველ კონკრეტულ შემთხვევაში R-(ბ)-სა და ს-ს შორის ხუთი სხვა მორფი არის მოთავსებული.

მეორე კონკრეტულ შემთხვევაში R (წერ)-სა და ს-ს შორის მოთავსებული არის მხოლოდ ორი მორფი.

მესამე კონკრეტულ შემთხვევაში ს მორფი უშუალოდ მოსდევს R-ს ე. ი. მიმართება მიმდევრობის მიხედვით R-სა და ს-მორფს შორის პირველ ორ შემთხვევაში დისტანციურია, ხოლო მესამე შემთხვევაში უშუალო.

როგორც ვხედავთ, მორფემათა რიგის დასადგენად საჭიროა გავითვალისწინოთ მათი მიმდევრობის მიხედვით შესაძლებელ შემთხვევათა ყველა ვარიანტი.

პირველი რიგისა—რანგისა იქნება ის პრეფიქსული (ძირეული მორფემიდან მარცხნივ) და სუფიქსური (ძირეული მორფემიდან მარჯვნივ), მორფები, რომლებიც ყოველთვის R-თან იქნებიან მიმდევრობის მიხედვით უშუალო მიმართებაში.

მეორე რიგისა იქნება ის მორფები, რომლებიც უშუალოდ მოსდევენ (სუფიქსების შემთხვევაში), ან წინ უსწრებენ (პრეფიქსების შემთხვევაში) პირველი რიგის მორფებს ან R-ს (R-ს იმ შემთხვევაში თუ პირველი რიგის მორფები წარმოდგენილი არაა).

მესამე რიგისა იქნება ის მორფები, რომლებიც თანამიმდევრობის მიხედვით უშუალო მიმართებაშია მეორე რიგის მორფებთან ან R-თან, თუ პირველი და მეორე რიგის მორფები წარმოდგენილი არაა და ასე შემდეგ, ვიდრე არ გავითვალისწინებთ მათი მიმდევრობის მიხედვით შესაძლებელ შემთხვევათა ყველა ვარიანტს. მორფებს რიგითი ადგილის ანუ რანგის კვალიფიკაციას ვაძლევთ მხოლოდ მაქსიმალური პოზიციის მიხედვით.

მაგალითად, წერ-ს, წერ-ო-ს, წერ-დ-ე-ს, აკეთ-ებ-დ-ე-ს, აწერ-ინ-ებ-დ-ე-ს. ამ შემთხვევების მიხედვით, როგორც ვხედავთ, მიმდევრობაში მორფმა (ს-მ) შეიძლება დაიჭიროს წინა რიგითი ადგილებიც, თუ წინა რიგის მორფი წარმოდგენილი არაა, ასეთ შემთხვევებში მორფის წინა რიგის ადგილები იქნება პოზიციური[31].

ასეთია მორფემათა რანგის დადგენის წესი ყველა მითითებული ავტორის მიხედვით.

ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ჩვენც, როგორც ეს საერთოდაა მიღებული, მორფემას რანგობრივ კვალიფიკაციას ვაძლევთ მაქსიმალური პოზიციის მიხედვით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ამას ვაკეთებთ ალომორფთა კლასიდან იმ ალომორფის მიხედვით, რომელსაც ყველაზე მაქსიმალური პოზიცია აქვს. მაგ., მესამე სუბიექტური პირის მორფემა (რომელიც სამი ალომორფის სახითაა წარმოდგენილი: -ს, -ა, ო) ჩვენ მიერ კვალიფიცირებულია როგორც 05 რანგის მორფემა, თუმცა თითოეული ამ ალომორფის მაქსიმალური პოზიცია ასეთია: ა—04, ო—01, ს—05. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ მორფემას (მაგ., მესამე სუბიექტური პირისას) მიეცემა რამდენიმე რანგის კვალიფიკაცია: ა-ს — მეოთხე რანგი, რადგან ეს მისი მაქსიმალური პოზიციაა, ო-ს — პირველი რანგი და ს-ს — მეხუთე რანგი. მორფემათა რანგობრივი კვალიფიკაციის ჩვენი თვალსაზრისი გამართლებულია შემდეგი მოსაზრებით: მესამე სუბიექტური პირის ო ალომორფისათვის 01 რანგის კვალიფიკაცია რეალური რომ იყოს (მისი მაქსიმალური პოზიციური ადგილის მიხედვით ეს ხომ ასეა), მაშინ უნდა არსებობდეს მიმდევრობის მიხედვით ისეთი შემთხვევები, სადაც მისი მომდევნო იქნებოდა 02 ან 03 ან 04 რანგობრივი კვალიფიკაციის მორფემები. ასეთი მიმდევრობები ვერ დაიძებნება. მისი მომდევნო შეიძლება იყოს მხოლოდ 06 რანგის კვალიფიკაციის მორფი, როგორც ეს 05 რანგის მორფემას აქვს. ამგვარადვეა სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც. აღნიშნულის გამო, ო-ს და ა-ს მაქსიმალური პოზიციური ადგილები მორფემის რანგობრივი კვალიფიკაციისათვის კვაზი ადგილებად ანუ პოზიციურად უნდა ჩაითვალოს[32].

რანგობრივი კვალიფიკაციების გამოსახატავად გამოვიყენეთ შემდეგი პირობითი ნიშნები: სუფიქსური მორფემებისათვის ძირეული

---

[31] ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ვხვდებით ტერმინებს კვაზი და რანგი. კვაზის ეკვივალენტია პოზიციური ადგილი, რანგი—რიგითი ადგილია.

[32] შდრ. გლისონის დასახელებულ ნაშრომი, გვ. 165, 166, 168, პუნქტები 3—4, 6. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო იგი აღმოჩნდა წინააღმდეგობაში. ანალოგიური ვითარება არის სხვებთანაც. შდრ. რეზინის დასახ. ნაშრომი, გვ. 44—45.

მორფემიდან პირველი პოზიცია აღვნიშნეთ 01-ით, მეორე — 02-ით, მესამე — 03-ით, მეოთხე — 04-ით და ა. შ.

პრეფიქსული მორფემებისათვის ძირეული მორფემიდან პირველი პოზიცია აღვნიშნეთ 10-ით, მეორე — 20, მესამე — 30 და ა. შ.

დაუშლელი ძირითადი ლექსიკური მორფემა, ანუ ძირეული მორფემა, აღვნიშნეთ R ასოთი. ნაწარმოები ფუძე აღვნიშნეთ $\bar{R}$-ით, რაც ნიშნავს, რომ ძირეული მორფემა ნაწარმოებია — დაგრძელებულია ლექსიკური მნიშვნელობის აფიქსებით.

რანგობრივი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნების გამოსახვა ორი ციფრით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შემდეგი მოსაზრების გამო: პირველი ციფრები პრეფიქსების შემთხვევაში 10-ში ერთი, 20-ში ორი, 30-ში სამი..., ხოლო მეორე ციფრები სუფიქსების შემთხვევაში 01-ში ერთი, 02-ში ორი, 03-ში სამი... თავისი გამომხატველობითი მნიშვნელობით ადეკვატურია მორფემათა რიგითი ადგილისა — რანგისა. ორი ციფრიდან ნოლით აღინიშნა გადასათვლელად ამოსავალი პოზიცია, პრეფიქსული და სუფიქსური პოზიციების გასარჩევად.

ჩვეულებრივ, ერთი რანგისა არის ერთზე მეტი მორფი.

ასე მაგ., ზმნისწინებისათვის დავადგინეთ რანგი — 40, ხოლო ამ რანგისა ანუ ამავე რიგში შემავალი ზმნისწინები ანბანური რიგის მიხედვით დავალაგეთ და აღვნიშნეთ რიგობითი წესით:

ა—1
ამო(რთ.)—2
აღ —3
აღმო(რთ.)—4
გა—5
გადა(რთ.) —6
გადმო(რთ)—7
გამო(რთ.)—8
გან —9
გარდა(რთ.)—10
გარშემო(რთ.)—11
და —12
ჰი —13
მიმო(რთ)—14
მო —15
უკუ —16
უკუაღ(რთ.)—17
უკუგამო(რთ.)—18
უკუგან(რთ) — 19
უკუგარდა(რთ) — 20
უკუდა(რთ) — 21
უკუმო(რთ) — 22
უკუშე(რთ) — 23
უკუშემო(რთ) — 24
შე —25
შემო(რთ) — 26
შთა(რთ) — 27
ჩა —— 28
ჩამო(რთ) — 29
წა ——— 30
წამო(რთ) — 31
წარ — 32
წარმო(რთ) — 33

აღნიშვნა 40.4 მიუთითებს „აღმო“-ზმნისწინზე, 40.7 — „გადმო“-ზე, 40.9 — „გან“ ზმნისწინზე. ორი ციფრის გამოყენებამ აქაც ხელსაყრელი პირობა შეგვიქმნა საჭირო აღნიშვნების ფიქსირებისათვის.

ასეთი აღნიშვნები გამოვიყენეთ ჩვენს სტრუქტურული მოდელების სალექსიკონო მასალაში, რომელსაც ვურთავთ ამ ნაშრომს, სადაც ვათვალისწინებული გვაქვს ზმნურ სიტყვაფორმაში მიმდევრობის თვალსაზრისით პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფთა ყველა შესაძლებელი კონა.

ქართული ზმნური მორფემები რანგობრივი პოზიციების მიხედვით ასე განაწილდა:

40	30	20	10	R ან $\overline{R}$	01	02	03	04	05	06
ზმნისწინები	სუბიექტის პირის ნიშანი	ობიექტის პირის ნიშანი	გვარი, ქცევა	ძირეული მორფემა	უნებლიო გვარი, კონაკტი	თვების მაწარმოებელი	საერთობი	მწკრივი	პირი რიცხვთან	რიცხვი

მორფემათა რანგი მკაცრად განსაზღვრული ადგილია. მისი ურთიერთშენაცვლება ან გადაადგილება დაუშვებელია. მაგალითად, წარმოდგენილი რომ იყოს 01, 02, 03, 04... რანგის მორფები, არ შეიძლება, რომ 04-ის რანგის მორფი იყოს 01-ის ადგილზე და 01-ის მორფი კი 04-ის ადგილზე.

ამ დებულების შეუსაბამი აზრი აქვს გამოთქმული ვანდრიესს, რომელიც წერს: «В турецком связь между элементами так слабо, что порядок морфем неустойчив... Корень всегда стоит в начале слова, но грамматические элементы, выражающие время, лицо, число и т.п. в достаточной степени независимы и от корня и друг от друга и могут быть распределены с известной свободой в пределах слова»[33]

---

[33] Ж. Вандриес, Язык, М., 1937, с. 87.

ვანდრიესის აღნიშნული მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს, ეს რომ ასე იყოს, ენას სისტემური ხასიათი არ ექნებოდა და კანონზომიერების დადგენაც შეუძლებელი იქნებოდა.

ერთი რანგის მორფთა ურთიერთმიმართება

მორფები, რომელთაც ერთი რანგის კვალიფიკაცია აქვთ, ურთიერთგამომრიცხავები არიან[34]. ეს ნიშნავს, რომ ერთ სიტყვაფორმაში ერთი რანგის ორი მორფი დაუშვებელია, რადგან მიმდევრობაში ისინი აღმოჩნდებოდნენ სხვადასხვა რანგში იმის გამო, რომ ორიდან ერთ-ერთი იქნებოდა მომდევნო. ბუნებრივია, სხვადასხვა რიგში აღმოჩენილ მორფებს ერთი რანგის კვალიფიკაცია არ ეძლეოდათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორ დადგებოდა ისეთი ფორმების საკითხი, როგორიცაა შე-ვ-წუხებულ-ვ-არ ან აკეთ-ებ-ინ-ებ, სადაც, პირველ შემთხვევაში, პირველი სუბიექტური პირის ფორმალური ნიშანი ვ- და მეორე შემთხვევაში — ებ ფორმანტი, ერთი სიტყვაფორმის აფიქსთა მიმდევრობაში წარმოდგენილია ორჯერ. ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ ისეთი ორი შემთხვევა, რომელთა მონაწილეობა ერთ მიმდევრობაში ორჯერ განსხვავებული მიზეზებით აიხსნება. ჩვენი მოსაზრებები ამ შემთხვევების მიმართ ასეთია:

პირველ მაგალითში (შე-ვ-წუხებულ-ვ-არ) გვაქვს ის შემთხვევა, როდესაც ენა აძლიერებს გრამატიკული მიმართების ამსახველ საშუალებას ორმაგი წარმოებით (შდრ. ძველქართულში იყო შე-წუხებულ-ვ-არ). ასეთ დროს იდენტური მნიშვნელობის გამომხატველმა ფორმანტებმა — ალომორფებმა (ამ შემთხვევაში იგივე ვ მორფმა) შეიძლება „სხვადასხვა“ რიგი დაიმკვიდრონ, უფრო ზუსტად, გამოიყენონ თანაბარი დატვირთვით ენაში არსებული გრამატიკულ ფორმათა გამომსახავი პრეფიქსული და სუფიქსური საშუალებები — გამოსახვა განაწილდეს პრეფიქსებზეც და სუფიქსებზეც, როგორც ეს ქართულში გვაქვს სუბიექტური პირის ასახვის შემთხვევაში (სუბიექტური პირველი პირი პრეფიქსულ რანგშია, სუბიექტური მესამე პირი — სუფიქსურში) ან ვნებითი გვარის გამოსახვის შემთხვევაში: ი- და ე- პრეფიქსულ 10-შია, ხოლო დ — სუფიქსურ 01-ში.

აღნიშნულ და ანალოგიურ შემთხვევებში, როდესაც გამოსახვა თანაბრად ნაწილდება პრეფიქსებზე და სუფიქსებზე, ერთი მნიშვნელობის გამომხატველი პრეფიქსული და სუფიქსური რანგები უნდა

---

[34] გ. გლისონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

ჩაითვალოს ერთ რანგად (და არა ორ განსხვავებულ რანგად), სადაც პრეფიქსულს აგრძელებს სუფიქსური ანდა პირუკუ სუფიქსურს — პრეფიქსული. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს იმის შედეგი, რომ მათი გამოხატვა ისტორიულად სხვადასხვა პერიოდში მოხდა.

ორივე რანგი რომ ყოფილიყო სუფიქსური ან ორივე — პრეფიქსული, მაშინ მათ ვერ ჩავთვლიდით ერთ რანგად — ასეთ შემთხვევაში ორი განსხვავებული რანგი იქნებოდა და ამის საფუძველზე ამ რანგის მორფებს მივცემდით განსხვავებულ რანგობრივ კვალიფიკაციას, როგორც ეს მეორე ნიმუშის (ა-კეთებ-ინ-ებ) შემთხვევაში გვაქვს. განსხვავებული კვალიფიკაციის მორფები კი თავისი დანიშნულებით ვერ შეფასდება იდენტურად[35].

სიტყვაფორმაში (ა-კეთ-ებ-ინ-ებ) ფონემური გამოსახულებით იდენტური ებ ფორმანტები განსხვავებული დანიშნულებისაა. პირველი ებ ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელი ფორმანტია — ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს. შდრ.: კეთ — კეთებ(ა), მეორე — გრამატიკული. ამიტომ პირველი ებ ძირეული მორფემის რანგში მოხვდება და ასეთი ნაწარმოები ფუძეები აღვნიშნეთ პირობითი ნიშნით $\bar{R}$. ამის გამო, მას ზმნური სიტყვაფორმის გრამატიკული მნიშვნელობის აფიქსების მიმდევრობაში მონაწილედ არ ვთვლით.

ამგვარად, ზემოაღნიშნული დებულება ძალაში რჩება — ერთ მიმდევრობაში ორი ერთი რანგის მორფი არ მონაწილეობს.

რანგობრივი თეორიის შესაფასებლად და მისი ღირებულების დასადგენად არსებითი მნიშვნელობა აქვს, გავარკვიოთ ერთი რანგის — ურთიერთგამომრიცხავ — მორფთა ურთიერთისადმი მიმართება მათი პარადიგმატული მნიშვნელობის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხისადმი ბუნებრივია, რადგან ამის განსაზღვრა ერთ-ერთი იმ ძირითადი — თეორიული, საკითხთაგანია, რომელიც დაადგენს კრიტერიუმს მორფემათა სტრუქტურის აღწერისათვის, რასაც ზოგადენათმეცნიერული ღირებულების მნიშვნელობა აქვს. ნაკლებმნიშვნელოვანი როდია იგი კერძო ენათმეცნიერებისათვისაც, რადგანაც ამ საკითხის ზუსტად და სწორად გადაწყვეტის შედეგად გრამატიკაში არაერთი მოვლენა იპოვის თავის თეორიული საფუძვლების მართებულ ახსნას, როგორიცაა, მაგ., ქართული ზმნის პრეფიქსულ წარმოებაში ქცევისა და ვნებითი გვარის, ხოლო სუფიქსურში — გვარისა და კაუზატივის მორფემების ერთ რანგში გაერთიანება.

---

[35] ამაზე მსჯელობა უფრო დაწვრილებით ამავე თავში გვექნება.

აღნიშნული კანონზომიერების დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება. გათვალისწინებული გვაქვს ზმნურ პრეფიქსთა და სუფიქსთა მიმდევრობის მიხედვით შესაძლებელ შემთხვევათა ყველა ვარიანტი[36].

სინტაგმატური ანალიზის შედეგად დადგენილი რანგების მიხედვით, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი რამ არის აშკარა: ერთი რანგის მორფები ურთიერთგამომრიცხველები არიან, როგოც ამაზე ზემოთ მივუთითეთ. ასეთი დასკვნა აუცილებლობით გამომდინაეობს ერთი რანგის სინტაგმატური რაობის მნიშვნელობიდან; იგულისხმება, რომ სიტყვაფორმის აფიქსთა მიმდევრობაში ერთი რანგისა არიან ის მორფები, რომელთაც დაკავებული აქვთ ერთი და იგივე ადგილი. აქედან გამომდინარე, ყოველი მომდევნო აფიქსი სხვა რანგისა იქნება — ეძლევა სხვა რანგის კვალიფიკაცია. როგორც ვხედავთ, მორფთა მხოლოდ ურთიერთგამომრიცხველობა სინტაგმატური მნიშვნელობის კონსტატაცია არის, რომელიც ვერ ხსნის იმ საფუძველს, რამაც განაპირობა მორფთა განაწილება ერთ რანგში, სადაც ვხვდებით როგორც ერთი მორფემის ალომორფებს (ეს სრულიად გასაგები იქნებოდა, რდგან ერთი მორფემის ალომორფები ურთიერთგამომრიცხველებია), ასეე სხვადასხვა მორფემებს. უფრო მეტიც, სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის ამსახველ მორფემებს.

ზემოთ, დისტრიბუციის საკითხებთან დაკავშირებით, აღვნიშნეთ, რომ რანგობრივი კვალიფიკაციის მეთოდი, რომელიც საკუთრივ მორფემებისთვისაა შემუშავებული, უნდა ითვალისწინებდეს დამატებითი და კონტრასტული დისტრიბუციის მონაცემებს და გვაძლევდეს დამატებით ინფორმაციებს მორფემათა დანიშნულებებზე მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით და ამით დისტრიბუციის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. ძირითადად დამატებითი დისტრიბუციის ხარჯზე ჩვენ გვაქვს საშუალება მორფემათა იდენტურობისა თუ სხვადასხვაობის დასადგენად, მაგრამ ეს ვერ აღმოჩნდა საკმარისი მორფთა გრამატიკული მიმართებების მნიშვნელობათა დასადგენად. მორფთა სხვადასხვაობის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი მნიშვნელობის განსაზღვრას. რანგობრივი კვალიფიკაციის დანიშნულება სწორედ მორფთა გრამატიკული მიმართების მნიშვნელობის განსაზღვრაში მდგომარეობს — მან უნდა მოგვცეს კრიტერიუმი მნიშვნელობის დასადგენად.

ჩვენი ეგზომ დიდი ინტერესი ამ საკითხისადმი იმანაც განაპირობა, რომ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში რანგობრივი კვალიფიკა-

---

[36] იხ. ნაშრომის მესამე ნაწილი, სადაც მოცემულია პრეფ. და სუფ. ვაერთიანებათა

ციის ღირებულება არაა სათანადო სისრულით შეფასებული, უფრო ზუსტად, არაა მოცემული.

ამის ნათელსაყოფად მივმართოთ იმ ლინგვისტებს, რომელთაც სპეციალურად უმუშავნიათ რიგის ანუ რანგის დადგენის მეთოდზე.

გლისონის მიხედვით, რიგითი ადგილის დადგენის მეთოდი მხოლოდ არსებულ შეზღუდვათა კონსტატაციის ხერხიაო[37].

მსგავსი მნიშვნელობისაა ბენვენისტის აზრი. ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ ბენვენისტი ენობრივი ერთეულის ანალიზისათვის საჭიროდ სცნობს, განვიხილოთ ენა როგორც სხვადასხვა დონეებისაგან შემდგარი მთლიანობა. ამის მიხედვით, ყოველი ელემენტის ანალიზი დონეების მიხედვით ასე გაანაწილა: ელემენტის დაშლა (დაყოფა) ანუ სეგმენტაცია იძლევა ერთი საფეხურით დაბალი დონის ელემენტს (მაგ., მორფის დაშლა — ფონემებს). ელემენტთა გამოყოფა (იგი განასხვავებს დაყოფას გამოყოფის მნიშვნელობისაგან) ანუ კონტატაცია ხდება იმავე დონის ფარგლებში. ელემენტის პარადიგმატული და ფუნქციური მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო ერთეულს (შეპირისპირების მიზნით) გავხდით ერთი საფეხურით მაღალი დონის ერთეულად. ასეთ შემთხვევაში ის ინტენგრატი იქნება მაღალი დონისათვის (მაგ., ფონემურობის დადგენა შესაძლებელია, თუ იგი განიხილება მორფემაში, მორფემისა კი, თუ იგი განიხილება სიტყვაში და ა. შ.).

აქედან გამომდინარე, დისტრიბუცია და კონსტატაცია, რომელიც ელემენტთა გამოყოფას ეხება ვერ იქნება პარადიგმატულ-ფუნქციური მნიშვნელობის ინფორმატორი, თუ იგი არ მოვათავსეთ ინტენგრატად საფეხურით მაღალ დონეში[38].

სხვა ავტორები იძლევიან მხოლოდ რანგის დადგენის წესებს, ხოლო მეთოდის შეფასების საკითხს საერთოდ არ ეხებიან. მაგალითად, შჩერბა მიხედვით ამისათვის საჭიროა: «Использование приема замены морф для определения состава форм внутри каждого ряда пример:

Таш-ча-лар—ім-о	—мои камешки
Таш-ча-лар—ім-ниц	—моих камешков
Таш-ча-лар—ім-ҍа	—моим камешкам
Таш-ча-лар—ім-ні	—мои камешки
Таш-ча-лар—ім-да	—на моих камешках
Таш-ча-лар—ім-дан	—от моих камешков
Таш-ча-лар—ім-бача	—до моих камешков
Таш-ча-лар—ім-дäк	—подобно моим камешкам

[37] გ. გ ლ ი ს ო ნ ი, დასახ. ნაშრომ, გვ. 168.

[38] ე. ბ ე ნ ვ ე ნ ი ს ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

და იქვე დასძენს Так для первого ряда оказываются возможными восемь разных форм»[39]

რეზნინისა და იულდაშევას მიხედვით: «Два элемента» относятся к одному порядку, если в любой последовательности замена X на Y и Y на X приводит к правильной последовательности»[40]

X-სა და Y-ში ნავარაუდევია ერთი რიგითი ადგილის მორფები.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, მათ განსაზღვრებებში მოცემულია რიგის დადგენის მხოლოდ ლინგვისტური ტექნიკა. ერთ რიგში მორფთა გაერთიანების საფუძვლის ახსნას არ იძლევიან. ეს კი მხოლოდ აღრიცხვის (ამ შემთხვევაში სინტაგმატური) ხერხია, ე. ი. ისინი აღწერენ, მაგრამ არ ხსნიან მოვლენის თეორიულ საფუძველს, რამაც გარკვეული მორფები ერთ რიგში გააერთიანა.

რანგობრივი თეორიის შეფასებასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს მოსაზრებები, რომლებიც ეყრდნობა ფაქტობრივი ხასიათის შემდეგ არგუმენტებს.

ჩვენს ხელთ არის სხვადასხვა მეთოდებით გაანალიზებული მასალა, რომლის მიხედვით შეგვიძლია შევამოწმოთ, როგორია ერთ რიგში მოხვედრილი მორფემების ურთიერთმიმართება თავისი პარადიგმატული მნიშვნელობის თვალსაზრისით. გარკვეული დასკვნების გამოსატანად განვიხილოთ ქართული ზმნური მორფემების ერთი რანგი, ესაა 10-ის რანგი. ამ რანგში გაერთიანდა: ვნებითი გვარის პრეფიქსული მორფემები ი, ე; ქცევის ამსახველი ფორმანტები ი- (სასუბიექტო ქცევისა), უ-/ი- (საობიექტო ქცევისა) და პრეფიქსული მორფემა ა.

განვიხილოთ ყოველი მათგანი ზემოთ მოცემული თანამიმდევრობით.

ი, ე პრეფიქსული მორფემები აწარმოებენ ვნებით გვარს და ერთმანეთის მიმართ არიან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში, რადგან წარმოდგენილი არიან ერთსა და იმავე პოზიციაში (შდრ.: ი-ზრდება, ე-ზრდება), მაგრამ ი- აწარმოებს ერთპირიან ვნებითს, ე— ორპირიანს.

გასაგებია, რომ ი და ე პრეფიქსული ხმოვნები ურთიერთგამომრიცხავები არიან, რადგან ესენი ერთი გრამატიკული მიმართების — ვნებითი გვარის — საპირისპირო ნიშნებს წარმოადგენენ, ამის საფუძველზე თუ წარმოდგენილია ერთი, ვერ იქნება მეორე, ამ შემთხვევაში მათთვის ერთი რანგი განაპირობა გრამატიკული მიმართების ერთმა მნიშვნელობამ — ორივე მორფემა ვნებითი გვარის გამომხატველია.

---

[39] ა. შ ჩ ე რ ბ ა კ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[40] ი. რ ე ზ ნ ი ნ ი, გ. ი. ი უ ლ დ ა შ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, პუნქტი 2.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე რანგში მოთავსებულია სასუბიექტო ქცევის ი პრეფიქსული ხმოვანი და საობიექტო ქცევის ი/უ პრეფიქსული ფორმალური ნიშნებიც.

საობიექტო ქცევის გამომხატველი ი/უ პრეფიქსული ნიშნები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან და ერთი გრამატიკული მნიშვნელობის — საობიექტო ქცევის — ამსახველი მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ. ცნობილია, რომ ერთი მორფემის ალომორფები ურთიერთგამომრიცხავები არიან. აქაც მათთვის ერთი რანგი განაპირობა მათმა იდენტურმა გრამატიკულმა მნიშვნელობამ.

სასუბიექტო ქცევის ფორმალური ნიშანი, ი- მორფემა, გამორიცხავს საობიექტო ქცევის ი-/უ- ალომორფებს იმ საფუძველზე, რომ ისინი ერთი გრამატიკული მიმართების — ქცევის — საპირისპირო შემთხვევების ამსახველი ფორმალური ნიშნებია. იგივე რანგი ამათთვისაც იგივე საფუძველმა — გრამატიკული მიმართების ერთმა მნიშვნელობამ — განაპირობა.

ამგვარად, ვნებითი გვარის ი- და ე- რომ ერთ რიგში მოთავსდა, ბუნებრივია. ისინი ერთი გრამატიკული მიმართების — ვნებითი გვარის — საპირისპირო ერთეულებს წარმოადგენენ. მათ გრამატიკული მიმართების იდენტურობა (ვნებითი გვარისაა ორივე) აერთიანებს ერთ რიგში — რანგში.

სასუბიექტო ქცევის ი- მოფემა და საობიექტო ქცევის ი-/უ- ალომორფებიც გაერთიანდა მათი გრამატიკული მიმართების იდენტურობის საფუძველზე.

საობიექტო ქცევის ი-/უ- ერთი მორფემის ალომორფების ერთ რანგში მოთავსება ბუნებრივია.

დასადგენია, რამ გააერთიანა ერთ რანგში განსხვავებული კატეგორიების — გვარისა და ქცევის ამსახველი მორფემები. აქაც ამოსავალია გრამატიკული მიმართების იდენტური მნიშვნელობის მიხედვით დაპირისპირება, რომელიც განსხვავებულ გრამატიკულ კატეგორიათა სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულების სახით არის განპირობებული.

ამგვარად, დაპირისპირება გვარისა ქცევასთან ასეთ სახეს იღებს:

ვნებითი გვარის პრეფიქსული მორფემები	—	ქცევის გამომხატველი ფორმალური ნიშნები
ი — ერთპირიანი ზმნებისათვის		ი — სასუბიექტო ქცევისა
ე — ორპირიანი ზმნებისათვის		ი/უ — საობიექტო ქცევისა

დავიწყოთ სასუბიექტო ქცევისა და ვნებითი გვარის გრამატიკული მიმართების ანალიზით.

სასუბიექტო ქცევისა და ვნებითი გვარის განსხვავებული გრამატიკული კატეგორიები უპირისპირდება ერთმანეთს როგორც ერთი გრამატიკული მიმართების საპირისპირო შემთხვევები და ამის საფუძველზე გამორიცხავენ ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ სასუბიექტო ქცევა აქვს მხოლოდ მოქმედებით გვარს და ამიტომ სასუბიექტო ქცევის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა აუცილებლობით გულისხმობს მოქმედებითი გვარის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობასაც. ამდენად, ამ ორი განსხვავებული კატეგორიის დაპირისპირების შემთხვევაში ესენი აღმოჩნდნენ ერთი გრამატიკული მიმართების, გვარის, მიხედვით დაპირისპირებულნი — ვნებითი გვარის და მოქმედებითი გვარის საპირისპირო შემთხვევების სახით. სასუბიექტო ქცევა და ვნებითი გვარი დაუპირისპირდა ერთმანეთს ვნებითი გვარის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობით და სასუბიექტო ქცევისათვის აუცილებლად ნიშანდობლივი მოქმედებითი გვარის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობით, ე. ი. დაპირისპირება მოხდა ქცევისა გვართან კი არა, არამედ გვარისა გვართან. ამან განაპირობა, რომ ისინი ერთი გრამატიკული მიმართების საპირისპირო შემთხვევებად აღმოჩნდნენ.

ამ ორი კატეგორიის ურთიერთდამოკიდებულების დაზუსტებისა და მათი სპეციფიკური მიმართების გამოჩინების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ზმნური ფორმა პირის კატეგორიასთან ერთად აუცილებლობით გულისხმობს სხვა კატეგორიებსაც, მაგ., რიცხვს, გვარს და სხვებს, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს ვნებითი გვარისა და სასუბიექტო ქცევის შემთხვევაში გვაქვს. სასუბიექტო ქცევისა და ვნებითი გვარის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებულ, სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. სხვაობის ნათელსაყოფად შდრ.: პირის კატეგორია აუცილებლობით გულისხმობს რიცხვის კატეგორიას, მაგრამ რიცხვის არა უსათუოდ ერთ სახეს: პირველი პირს ზმნა შეიძლება იყოს მხოლობით რიცხვში ისევე, როგორც მრავლობითში. დროსთან ამავე მიმართების საფუძველზე პირველი პირის ზმნა შეიძლება იყოს აწმყოში ან მომავალში, ან წარსულში. დროის არჩევის შესაძლებლობა არაა დამოკიდებული პირის კატეგორიაზე. ამ კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულებაში ერთი კატეგორიის სახეობა აუცილებლობით არ განსაზღვრავს მეორე კატეგორიის რომელსამე სახეობას. სასუბიექტო ქცევისათვის კი აუცილებლობითაა განსაზღვრული მოქმედებითი გვარის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების გრამატიკულ კატეგორიებს

(ვნებითი გვარისა და სასუბიექტო ქცევის) ჩვენ ვუწოდეთ ერთმანეთის მიმართ რელატიურ-იდენტურნი.

ამგვარად, სასუბიექტო ქცევისა და ვნებითი გვარის ერთსა და იმავე რანგში გაერთიანების საფუძველია მათი გრამატიკული მიმართების იდენტური მნიშვნელობა, სადაც ისინი საპირისპირო ერთეულების სახით წარმოგვიდგებიან და ერთმანეთს გამორიცხავენ.

ვნებითის ი- და ე- გამოირიცხებოდა სასუბიექტო ქცევის ი- ფორმანტით სხვაგვარი თვალსაზრისითაც: ერთპირიანი ვნებითის ი- გამოირიცხება სასუბიექტო ფორმით, რადგან ერთპირიან ზმნას ქცევა არა აქვს. ქცევის მიხედვით დაპირისპირება მოგვცემს ასეთ ერთეულებს: ქცევის მქონე — ქცევის არ მქონე. ორპირიანი ვნებითის ე- გამოირიცხება სასუბიექტო ქცევის ფორმით, როგორც ქცევის მიხედვით საპირისპირო ერთეულები: ე (საობიექტო ქცევა)[41] -ი (სასუბიექტო ქცევა). დარჩენილია საობიექტო ქცევისა და ვნებითი გვარის გრამატიკულ მიმართებათა ანალიზი. ახლა გავარკვიოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება.

საობიექტო ქცევა, სასუბიექტო ქცევისაგან განსხვავებით, შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქმედებითი გვარის ზმნას, ასევე ვნებითი გვარის ზმნებსაც (მხოლოდ ორპირიანებს)[42]. საობიექტო ქცევის მოქმედებითი გვარის ზმნურ ფორმათა შემთხვევაში ვნებითი გვარის მაწარმოებელი ნიშნები, ბუნებრივია, გამორიცხულია. ეს მსჯელობის საგანი ვერ იქნება მათი განსხვავებული გვარის გამო.

საობიექტო ქცევის ვნებითი გვარის შემთხვევაში კი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ვნებითობის მაწარმოებელი ე- ფორმანტიც და საობიექტო ქცევის გამომხატველი ფორმალური ნიშნებიც. მათ ერთმანეთი არ უნდა გამოერიცხათ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ვნებითი გვარის ზმნა ქცევის მიხედვით შეიძლება იყოს საობიექტო. ამ საფუძველზე უნდა გამოსახულიყო ორივე — ვნებითი გვარიც და საობიექტო ქცევაც, როგორც ეს ვნებითობის სუფიქსური წარმოების შემთხვევაში გვაქვს, შდრ.: გა-უ-სუქ-დ-ა, გა-უ-თეთრ-დ-ა, ა-უ-შენ-დ-ა... ცნობილია, რომ სუფიქსური ვნებითისაგან განსხვავებით, ენიანი ვნებითის შემთხვევებში არასდროს არაა წარმოდგენილი საობიექტო ქცევის ნიშნები. ვნებითობის მაწარმოებელმა პრეფიქსულმა მორფემამ, ე-მ, გამორიცხა ობიექტური ქცევის მაწარმოებელი ი/უ პრეფიქსული ნიშნები. საკითხავია — რატომ?

აღნიშნული ფაქტი ნათელი დადასტურებაა ჩვენი მოსაზრებისა ე პრეფიქსული მორფემის შეთავსებულ მნიშვნელობასთან დაკავში-

[41] ე- რომ საობიექტო ქცევის მნიშვნელობას ითავსებს, ეს ზემოთ აღნიშნული იყო.

[42] ერთპირიანი, როგორც ქცევის არმქონე, გამოირიცხება.

რებით. სუბსტიტუციის მეთოდის ჩვენი დამატებითი ხერხით დავადგინეთ, რომ ვნებითობის მაწარმოებელი ე- მორფემა ითავსებს საობიექტო ქცევის მნიშვნელობასაც. ეს ასე რომ არ იყოს, ვნებითი გვარის მაწარმოებელ ე- მორფემას საობიექტო ქცევის მაწარმოებელი ნიშნები ვერ უნდა გამოერიცხა.

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს თუ დავაჯამებთ, მორფემათა ერთ რანგში გაერთიანების საფუძველი ასე დაზუსტდება: **ერთ რანგში მორფემათა გაერთიანების საფუძველს განსაზღვრავს გრამატიკული მიმართების იდენტური მნიშვნელობა.**

აღნიშნული ი, ე (ვნებითი გვარის), ი, ი/უ (ქცევის) პრეფიქსების ერთ რანგში გაერთიანება სხვა ფაქტორებით ვერ აიხსნება. იი, იუ, ეი, ეუ ბგერათა კომპლექსები ქართულში დასაშვებია და კანონიკური; ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის არ იქნებოდა უცხო და უჩვეულო ასეთი ბგერათმეზობლობა.

საფუძველს მოკლებულია ის აზრიც, რომ ადგილი დაკავებული ჰქონდა გვარს და ქცევისათვის შეუძლებელი შეიქნა თავისი ფორმალური მაჩვენებელი წარმოედგინა. ვინ შეზღუდა პოზიციათა რაოდენობა, ქართული პრეფიქსაციას ხომ არ ერიდება.

რაც შეეხება ა პრეფიქსულ მორფემას, მასაც ზემოთ აღნიშნული პრეფიქსული მორფების რანგობრივი კვალიფიკაცია აქვს. იგი პირის მმატებელ მორფემად მიგვაჩნია. პირის მატებისა და კლების — თვალსაზრისის მიხედვით პრეფიქსული მორფემები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ერთმანეთს გამორიცხავენ. ა- მორფემაზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა გვექნება ამ შრომის მეორე ნაწილში, სადაც შევეცდებით ჩვენი მოსაზრება ამ მორფემის დანიშნულებაზე დავასაბუთოთ.

ამგვარად, ერთი რანგი მიუთითებს, რომ მასში მოხვედრილ მორფემებს გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა იდენტური აქვთ და პირიქით, სხვადასხვა რანგის კვალიფიკაცია მინიშნებად უნდა ჩაითვალოს მორფემათა გრამატიკული მიმართების სხვადასხვა მნიშვნელობის დასადგენად.

დისტრიბუციის ზემოთ აღნიშნულ სახეობათაგან განსხვავებით, რანგობრივი კვალიფიკაცია თავისსავე დონეზე იძლევა ფუნქციური ხასიათის ინფორმაციებს. ამის დასადასტურებლად აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ მხოლოდ რიგითი კვალიფიკაციები მასალის გაუთვალისწინებლად საკმარისია გარკვეული პარადიგმატული მნიშვნელობის ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, თუ გვაქვს მიმდევრობაში რიგები — რანგები: 03+04 ზმნა ვნებითი გვარის არაა (ასეთებია წერ-დ-ი და ყველა ამგვარად გაფორმებული ზმნა): ან 03+04+06 (წერ-დ-ი-თ

და ყველა ასე გაფორმებული ზმნა); ან კიდევ 03+04+05 (წერ-დ-ე-ს და ყველა ამგვარად ნაწარმოები ზმნა).

აქედან მკითხველს ნუ დარჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შრომის ავტორი ფორმალიზმში ჩაეფლო. ჩვენ ენის ფორმას მნიშვნელობის გარეშე დაუშვებლად ვთვლით; მორფემათა რიგის დადგენის პირველი ეტაპი იმთავითვე გულისხმობდა მნიშვნელობის გათვალისწინებას, სხვაგვარად, მორფემებად დაყოფა, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, შეუძლებლად მიგვაჩნია.

სინტაგმატურ და პარადიგმატულ მიმართებათა ურთიერთობა ქმნის ენის სტრუქტურას, რომელიც არსებობს სისტემის სახით. ეს ნიშნავს, რომ ურთიერთს განაპირობებენ და ამ პრინციპის საფუძველზე ერთიანდებიან მთლიანში. საერთო გრამატიკულ-ფუნქციური მნიშვნელობა განაპირობებს მორფემებისათვის ერთ რანგს, ე. ი. პარადიგმატიკა განაპირობებს სინტაგმატიკას. აქ პარადიგმატიკა საფუძველია, სინტაგმატიკა — შედეგი. სხვაგვარ ახსნას ვერ პოულობს მორფემების ერთ რანგში გაერთიანების თეორიული საფუძველი. მორფემათა სტრუქტურის კონსტატაციის შემთხვევაში კი, სინტაგმატურ მიმართებათა რიგი საშუალება არის პარადიგმატულ მიმართებათა მნიშვნელობის დასახასიათებლად.

ფონემა და მორფემა

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც ზმნური მორფემების სტრუქტურის ანალიზისა და მისი თეორიული საფუძვლების საკითხებს მიეძღვნა, დისტრიბუციის საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ფონემისაგან განსხვავებით, მორფემათა დისტრიბუციული სრული ანალიზისათვის საჭირო შეიქნა მათი დახასიათება რანგობრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისითაც. აღინიშნა, აგრეთვე, ისიც, რომ მიმდევრობითი რანგის დადგენა საკუთრივ მორფემათა კვლევის მეთოდურ საშუალებას წარმოადგენს.

აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა ჩვენი მიზანი, შეეუპირისპიროთ მორფემა ფონემას. შეპირისპირების შედეგად უფრო ნათელ გახდება მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც უკეთ გაესაზღვრავს და გაამართლებს მორფემის კვლევის დამატებით მეთოდურ საშუალებებს.

ბგერათა დისტრიბუციული მიმართებების თვალსაზრისით კვლევა, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს თანამედროვე სტრუქტურალისტური ენათმეცნიერების მონაპოვარს. ეს მეთოდი ეფექტური და ნაყოფიერი აღმოჩნდა ფონოლოგიის სფეროში, სახელდობრ, ფონემის განსაზღვრისა და დადგენისას; დისტრიბუციის ზემოთ განხილული სამი ტიპი მოიცავს ნებისმიერი ენის ყოველი ორი ფონემის მიმართებას.

ფონემისათვის შემუშავებული დისტრიბუციის წესები შემდგომ განაზოგადეს და გამოიყენეს მორფემათა განსაზღვრისათვისაც. აღნიშნული წესები ასევე წარმატებით აღწერს მორფემათა მიმართების გარკვეულ შემთხვევებს, მაგრამ ვერ ამოწურავს მორფემათა მიმართების ყველა სახეობას მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამის მიზეზი, ცხადია, დაკავშირებულია ობიექტის (ერთ შემთხვევაში ფონემის და მეორე შემთხვევაში მორფემის) სპეციფიკასთან.

ჩვენ აქ მოკლედ, მხოლოდ დებულებების სახით, ჩამოვაყალიბებთ მათ განმასხვავებელ ნიშნებს, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები.

1. ფონემა ფონოლოგიის დონის ერთეულია და ენის შინაარსის ანუ მნიშვნელობის პლანს უშუალოდ არ უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, ფონემას თავისსავე, ე. ი. ფონოლოგიის დონეზე, შინაარსი (მნიშვნელობა) არა აქვს. ერთი ფონემა, თუ ის არ ემთხვევა მორფემას—სიტყვას (შდრ. რუსულში „И"- და, „А" მაგრამ), არ მოიცავს მნიშვნელობას. ის მნიშვნელობას იძენს მხოლოდ საფეხურით მაღალ დონეზე.

ფონემისაგან განსხვავებით, მორფემას მნიშვნელობა აქვს თავისსავე დონეზე. ეს ქმნის არსებითი ხასიათის სხვაობას ამ ორ ერთეულს შორის.

ამან განაპირობა, საკუთრივ მორფემებისათვის შემუშავებულიყო დამატებითი მეთოდური საშუალებები — რანგობრივი თეორიის სახით.

2. მორფემაში ფონემათა მიმდევრობებს განაპირობებს ფონეტიკური პოზიცია. ფონეტიკურად კი დასაშვებია ფონემათა მრავალრიცხოვანი კომბინაციები[43].

ნებისმიერი x (იქს) ფონემა მორფემაში მიმდევრობის თვალსაზრისით არ გაძლევს საფუძველს, წინასწარ განვსაზღვროთ მომდევნო ფო-

---

[43] ქართულისათვის ფონეტიკურად ბგერათა უჩვეულო მიმდევრობაა ვმ, მაგრამ მორფოლოგიური დატერთვით ასეთი მიმდევრობებიც გვაქვს მაგ., ვმუშაობ... ამ შემთხვევაში ეს არის ორი მორფემის მიმდევრობა, რომელიც მხოლოდ მათი მნიშვნელობითაა შეპირობებული და უგულებელყოფს ფონეტიკურ პოზიციას.

ნემის რომელობა მრავალი დასაშვები ვარიანტის გამო: მაგ., მორფემის თავკიდური ფონემა თუ არის ბ, ვერ ვიტყვით წინასწარ, რომ მომდევნო უსათუოდ უნდა იყოს ა, ი, ო, ე, უ, ან ზ, ნ, ლ, რ, ჭ..., რადგანაც ესენი ყველა შესაძლებელია: ბალი, ბიჭი, ბოლი, ბელი, ბურთი, ბზე, ბნელი, ბლაგვი, ბრძანება, ბჭობა და სხვა მრავალი.

ფონემისაგან განსხვავებით, სიტყვა-ფორმაში მორფემათა მიმდევრობა შეპირობებულია მათი მნიშვნელობით და ამის გამო ექვემდებარება მკაცრ კანონზომიერებას. მორფემათა მიმდევრობა სიტყვაფორმაში იმდენად კანონზომიერ ხასიათს ატარებს, რომ ზოგჯერ მხოლოდ მორფთა მიმდევრობა (მორფის გარეშე) გადმოგვცემს იმეთი პარადიგმატული მიმართების მნიშვნელობას, რომლის აღმნიშვნელი, მორფემა იმ შემთხვევაში წარმოდგენილი არც არის: მაგ., ვდნები. „ებ“ და „ი“ თანამიმდევრობა განსაზღვრავს გვარის სახეობას, თუმცა გვარის ამსახველი ფორმალური ელემენტი არც „ებ“ არის და არც „ი“.

მანქანური თარგმანი 1957—1958 წწ. ჩვენ, არსებითად, განვახორციელეთ სიტყვა-ფორმაში მორფემათა მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერი მიმდევრობის საფუძველზე[44].

ამგვარად, ფონემისაგან განსხვავებით, მორფემის მახასიათებელი ნიშანია მისი მნიშვნელობა და დანიშნულება, რაც განაპირობებს მკაცრ შეზღუდვებს სიტყვა-ფორმაში მათი მიმდევრობის თვალსაზრისით.

3. ფონემას ერთი ფუნქცია აქვს: ესაა მისი დისტინქტური ფუნქცია, განასხვავოს ერთი მორფემა მეორისაგან ფორმობლივ.

ფონემისაგან განსხვავებით, მორფემის ფორმობლივ მხარეს დიდი ანგარიში არ ეწევა, რადგან ზოგჯერ ფორმობლივად იდენტური მორფემები სხვადასხვა ოდენობებს წარმოადგენენ მათი განსხვავებული ფუნქციის გამო: მაგ., მორფემა ი ვნებით გვარს აწარმოებს, აგრეთვე, სასუბიექტო ქცევას, საობიექტო ქცევას, მწკრივს და თემის ნიშანსაც წარმოადგენს. აღნიშნულ ხუთ შემთხვევაში ფორმალურად — ფონემური გამოხატულებით — იდენტური მორფი ი ფუნქციონალურად სხვადასხვა ნიშანს წარმოადგენს. მორფემათა იდენტურობის ათვის განმსაზღვრელია მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით იდენტურობა და არა მათი ფორმალური იგივეობა თუ განსხვავება.

4. ერთი მორფის ფონემათა მიმდევრობაში ჩვეულებრივია, რომ ერთი და იგივე ფონემა მონაწილეობდეს ერთზე მეტჯერ მაგ., მაგა-

---

[44] მ. დ ა მ ე ნ ი ა, მანქანური თარგმნის ანალიზური სქემები ს სპეციფიკათვის ქართულში, ე, ა, ტ-ის ინსტ-ის შრომები, ტ. 1, 1960, გვ. 3—16; მ. დ ა მ ე ნ ი ა, მანქანური თარგმნის სინთეზური სქემების შედგენის მეთოდისათვის, ე, ა, ტ-ის ინსტ-ის შრომები, ტ. II, 1961, გვ. 43—61.

რი, წამალი, ტიტა, ლულა, ჰაჰა, გოდორი, ხახვი, ქალაქი, დიდი, თითი, ციცაბო, ძაძა, გოგო, მამა, დედა, თათი...

ფონემისაგან განსხვავებით, ზმნურ სიტყვაფორმაში, ე. ი. ერთ მიმდევრობაში, ერთი რანგობრივი კვალიფიკაციის ორი მორფი დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მორფთა რანგის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც ისინი ერთმანეთის მომდევნო იქნებოდნენ და სხვადასხვა რანგში მოთავსდებოდნენ.

5. ფონემისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია წინა და მომდევნო ფონემები, რომლებიც განაპირობებენ მის ფონეტიკურ პოზიციას.

ფონემისაგან განსხვავებით, მორფემა შეპირობებულია წინ მდგომი მორფემებით, მაგრამ არაა დამოკიდებული მომდევნოებისაგან. მორფემის ბგერობრივ ცვალებადობას, გამოწვეულს ფონეტიკური პოზიციით, ანგარიში არ ეწევა, რადგან ასეთი ხასიათის ცვლილება ვერ ცვლის მორფემის ფუნქციასა და მნიშვნელობას (ე. ი. მორფემულობას). მორფემათა მიმდევრობაში წინ მყოფი მორფემა განსაზღვრავს ან წარმართავს მომდევნო რანგს. მაგ., თუ პირველ, 01-პოზიციაში არის „ო" (მესამე სუბიექტური პირის ნიშანი), შემდეგ პოზიციებს ვერ დაიკავებს 02-ი, 03-ი, 04-ი, 05-ი რანგების ვერცერთი მორფი. მომდევნო პოზიცია შეიძლება დაიკავოს მხოლოდ 06-ი რანგის მორფემამ.

მორფემის შეპირისპირებამ ფონემასთან, როგორც დავინახეთ, გაამართლა მორფემათა მნიშვნელობის გამო კვლევის დამატებითი მეთოდური საშუალებების საჭიროება.

ენის სისტემა და სტრუქტურა

მორფემათა სტრუქტურის მოდელების დადგენა უშუალო კავშირშია სტრუქტურის ცნების რაობის გარკვევასთან, რომელიც თავის მხრივ პირდაპირ მიმართებაშია სისტემის ცნებასთან.

ამ საკითხებზე საგანგებოდ შეჩერება საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გამოც, რომ უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წლის განმავლობაში ამ ტერმინებს დაუკავშირდა თეორიული მნიშვნელობა, რომელიც სტრუქტურალიზმის განშტოებების თვალსაზრისების მიხედვით ერთი განზომილებისა არ არის. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სტრუქტურის ცნებას[15].

[15] სისტემისა და სტრუქტურის ცნებების სხვადასხვა თვალსაზრისისათვის იხ. არნ. ჩ ო ქ ო ბ ა ე ა, სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების

ყოველი სახის ელემენტთა კანონზომიერი ურთიერთდამოკიდებულება სისტემას წარმოადგენს, ყოველ სისტემას კი თავისი სტრუქტურა აქვს.

ენა რომ სისტემას წარმოადგენს, ადრევე ჰქონდათ შენიშნული. ამ საკითხის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამიტომაც, ეს მოსაზრება დებულების მნიშვნელობისაა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიცვალა თვით „სისტემა“ — ცნების ინტერპრეტაცია.

სოსიურამდე ენის სისტემურობა მხოლოდ მისი ერთიანობით და მთლიანობით ისაზღვრებოდა, სადაც შემადგენელი ელემენტების არითმეტიკული ჯამი იძლეოდა მთელს[46].

სოსიურის ენათმეცნიერული კონცეფცია და კერძოდ სისტემის ცნების მისი ინტერპრეტაცია, საფუძვლად დაედო თანამედროვე ენათმეცნიერულ მიმდინარეობას — „სტრუქტურალიზმს“, თუმცა თვით სოსიურის სიტყვა-ხმარებაში ვერ ვხვდებით ტერმინებს „სტრუქტურა“, „სტრუქტურალიზმი“[47].

როგორც ე. ბენვენისტი წერს: «Соссюра по праву называют предтечей современного структурализма. И он действительно является таковым во всем, кроме самого термина. При описании этого идейного течения нельзя подходить к вопросу упрощенно и следует подчеркнуть, что Соссюр никогда не употреблял слова «структура», в каком бы то ни было смысле. Для него самым существенным было понятие системы. Новизну его учения составляет именно - идея о том, что язык образует систему, из этой идеи вытекают далеко идущие следствия, которые в течение долгого времени постепенно осознавались и развивались лингвистами »[48].

სოსიურის მიხედვით ენის სისტემა არის ისეთი მთლიანი რთული მექანიზმი, სადაც ელემენტები ურთიერთგანპირობების წესით ქმნიან ორგანიზებულ მთლიანობას[49].

მიმდინარეობა; უნ-ის შრომები, XXVI, სერია B, 1944, თბ., გვ. 231—244; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, 1945, გვ. 97—103; Э. Бенвенист, Общая лингвистика, Понятие структуры в лингвистике, 1974, с. 60—66; Структурализм. Хрестоматия по истории языкознания, М., 1956, с. 409—411.

[46] იხ. Ф е р д и н а н д Д е-С о с с ю р, Курс общей лингвистики, 1933, с. 113.

[47] ტერმინები «სტრუქტურა», «სტრუქტურალიზმი» პირველად გამოყენებული იყო 1929 წელს პრაღაში სლავისტთა პირველი ყრილობის თეზისებში.

[48] იხ. ბენვენისტის დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[49] იხ. სოსიურის დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 84—89, 165—167, 112—116, 12

ენა წარმოადგენს ფორმას და არა სუბსტანციას[50]. ენობრივ ნიშანთა განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მიმართებაში.

აი, სოსიურისეული წინამძღვრები, რომლებიც სტრუქტურალიზმის და მისი განშტოებების ძირითად პოსტულატებს წარმოადგენენ.

სისტემისა და სტრუქტურის მჭიდრო კავშირის მიუხედავად, ეს ტერმინები განსხვავებულ შინაარსს მოიცავენ.

თუ დავაჯამებთ სისტემასთან დაკავშირებით თანამედროვე ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არსებულ სხვადასხვა ავტორთა შეხედულებებს, დასაშვებად მიგვაჩნია, დებულებები, ძირითადად, ორიოდე ავტორის მიხედვით წარმოვადგინოთ, რადგანაც სოსიურის შემდეგ სისტემას, არსებითად, ერთნაირი ნიშნებით განსაზღვრავენ.

ბრონდალის მიხედვით სისტემა წარმოადგენს ელემენტთა ისეთ ერთობლიობას, სადაც ელემენტები ურთიერთგანპირობებისა და ურთიერთდამოკიდებულების მიმართებაში იმყოფებიან[51].

მეჯე აღნიშნავს, რომ ენა მკაცრი კანონზომიერებით მოწესრიგებული სისტემაა, სადაც ყველაფერი ურთიერთგანპირობებულია[52].

არნ. ჩიქობავა წერს: „ენას გააჩნია ყველა ის ნიშანი, რაც სისტემა-ცნებით არის ნაგულისხმევი: სიმრავლე შემადგენელი ელემენტებისა, რომელნიც ერთმანეთან გარკვეულს მიმართებაში იმყოფებიან, რის გამოც ეს სიმრავლე ორგანიზებულია და მრავლადობა ქმნის მთლიანობას და არა ელემენტთა მექანიკურ გროვას“[53].

ამგვარად, ყოველი სისტემა წარმოადგენს ორგანიზებულ სიმრავლეს.

სიმრავლის ელემენტები სისტემაში ქმნიან ერთეულებს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთგანპირობების ან ურთიერთდამოკიდებულების მიმართებაში იმყოფებიან.

ერთეულები სისტემის მასალას ანუ გამოსახულების ფიზიკურ სახეობას — სუბსტანციებს — წარმოადგენენ. ბგერითი ენისათვის ეს იქნება ბგერები, სიტყვები, შესიტყვებები და ა. შ.

ჩვენი მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ სისტემის არსის განმსაზღვრელ მხარეზე, სახელდობრ, რა შემთხვევაში იქნება სიმრავლე ორგანიზებული, უფრო ზუსტად, რა პირობაა საჭირო იმისათვის, რომ სიმრავლეს ორგანიზებული ხასიათი ჰქონდეს, ხოლო ამის შედეგად მის ერთეულებს ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი.

---

[50] იხ. სოსიურის დასახ. ნაშრომი, გვ. 113, 119.

[51] იხ. В. Брендаль, Структурная лингвистика, Хрестоматия по истории языкознания, 415.

[52] იხ. ე. ბენვენისტის დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[53] იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბ., 1939, გვ. 30.

ეს პირობა არის ერთეულთა დაჯგუფება მათთვის საერთო მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით, რომელიც სიმრავლეში ექნება ყოველ მის ერთეულს. ასეთი ერთნაირნიშნიანი ერთეულებისაგან შემდგარი სიმრავლე ორგანიზებულია, ე. ი. იგი სისტემას წარმოადგენს. ასეთი სიმრავლის ყოველ წევრს აკავშირებს იმავე სიმრავლის მეორე წევრთან მათი საერთო მადიფერენცირებელი ნიშანი, რომელიც, როგორც აქედან გამომდინარეობს, საყოველთაოა იმავე სიმრავლის ყოველი წევრისათვის.

ამგვარად, ორგანიზებულია, resp სისტემურია, სიმრავლე ყველა შემთხვევაში, თუ ამ სიმრავლეში გაერთიანებულ ყოველ წევრს საერთო ექნება ამავე სიმრავლის სხვა წევრებთან ერთი მადიფერენცირებელი ნიშანი მაინც, რომლის საფუძველზეც ხვდებიან ისინი ამ სიმრავლეში. ეს არის საერთოდ სისტემის საფუძველი.

ყოველი ენობრივი ერთეული რამდენიმე, ყოველ შემთხვევაში, ერთზე მეტი ნიშნის მქონეა. თავისი ყოველი ნიშნის მიხედვით ის გაერთიანდება იმავე ნიშნის მქონე წევრებიან სიმრავლეში, და ასე შემდეგ, იმდენ სხვადასხვა სიმრავლეში მოხვდება, რამდენი ნიშანიც მას აქვს. მაგ., სიტყვა „კაცი“ შედგება შემდეგი მადიფერენცირებელი ნიშნებისაგან: არსებითი სახელია, საზოგადოა, სულიერია, ფუძეთანხმოვანია, სახელობით ბრუნვაშია. შედგება ორი სეგმენტისაგან „კაც“ და „ი“. პირველი ნიშნის მიხედვით იგი, როგორც არსებითი სახელი, მოხვდება არსებითი სახელების სიმრავლეში; მეორე ნიშნის მიხედვით, როგორც საზოგადო სახელი, მოხვდება საზოგადო სახელთა სიმრავლეში; მესამე ნიშნის მიხედვით, როგორც სულიერი, მოხვდება სულიერ სახელთა სიმრავლეში; მეოთხე ნიშნის მიხედვით, როგორც ფუძეთანხმოვნიანი სახელი, მოხვდება ფუძეთანხმოვნიან სახელთა სიმრავლეში, სახელობითი ბრუნვის ნიშნის მიხედვით იგი მოხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნიან სიმრავლეში. „კაც“ ძირეული მორფემის მიხედვით — ამ მორფემიან სხვა, ნაწარმოებ სიტყვათა სიმრავლეში და ა. შ. მაგრამ, მაგ., არსებითი სახელების სიმრავლეში, სადაც ამ სიმრავლის ყოველი სხვა წევრიც მოხვდა ამავე ნიშნის საფუძველზე (ამ შემთხვევაში „კაციც“), სხვა წევრებს აქვთ თავისი, სხვა წევრებისაგან განსხვავებული, ნიშნებიც, რომელთა გამო ის, თავის მხრივ, სხვადასხვა სიმრავლეში მოხვდება (არსებითი სახელი არის კონკრეტულიც, აბსტრაქტულიც, ფუძეთანხმოვნიანიც, არა სახელობით ბრუნვაშიც...). ამგვარად, სხვადასხვა მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით ისახება ურთიერთგადაჯაჭვული სხვადასხვა მოცულობის სიმრავლეები — სასისტემო რგოლები.

მადიფერენცირებელი ნიშანი შეიძლება მეტნაკლებად ზოგადი ხასიათისა იყოს. ამის მიხედვით, უფრო ზოგადი მადიფერენცირებელი ნიშანი უფრო მრავალრიცხოვანი ერთეულებისაგან შემდგარ სასისტემო რგოლს ან სიმრავლეს ქმნის, უფრო კონკრეტული მადიფერენცირებელი ნიშანი შექმნის შედარებით მცირერიცხოვან ერთეულთა სასისტემო რგოლს, მაგრამ ეს სასისტემო რგოლები ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულების მიმართებაში იმყოფებიან, რადგანაც კონკრეტული მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან და სხვადასხვა სასისტემო რგოლებში ხვდებიან, ხოლო უფრო ზოგადი ნიშნის მიხედვით ერთიანდებიან უფრო დიდ სასისტემო რგოლში და ასე ამგვარად, ბოლო საფეხურზე ერთიანდებიან ყველაზე ზოგადი მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით ერთ მთლიან სისტემაში, ამ შემთხვევაში, ბგერითი ენის სისტემაში. ენის სისტემაში ყველა ენობრივ ერთეულს აერთიანებს ერთ მთლიან სისტემად ყველა ენობრივი ერთეულისათვის დამახასიათებელი საერთო ფუნქცია — ფუნქცია ურთიერთგაგებინებისა. იგი ყოველი ენობრივი ერთეულის დანიშნულებას წარმოადგენს. ამიტომ, ამ ნიშნის საფუძველზე გაერთიანება სახავს ენის ერთ მთლიან სისტემას. ნაკლებად ზოგადი ნიშნის საფუძველზე გაერთიანება სისტემის შიგნით სასისტემო რგოლი მაგ., გრამატიკული სისტემისა, სადაც შევა მხოლოდ ის ენობრივი ერთეულები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს, მიუთითოს გრამატიკულ მნიშვნელობაზე. ეს ნიშანი უფრო კონკრეტულია ენის მთლიანი სისტემის შემქმნელ ნიშანთან შედარებით, რადგანაც ამ მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით გაერთიანება გამორიცხავს სხვა ენობრივ მონაცემებს, რომელთა დანიშნულებას საგნობრივი მნიშვნელობის ასახვა წარმოადგენს. ასეთი ფუნქციის ენობრივი ერთეულები ენის ლექსიკურ სისტემას ქმნის. გრამატიკული სისტემის ნიშანთან შედარებით, ნაკლებად ზოგადი ნიშანი იქნება, აღნიშნოს წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები, რომელიც სინტაქსურ სასისტემო რგოლს იწვევა. მეორეს მხრივ, მორფოლოგიური მნიშვნელობის დონის ენობრივი ერთეულები იძლევა მორფოლოგიურ სასისტემო რგოლს.

გრამატიკულსა და ლექსიკურ სასისტემო რგოლებში არსებობს უფრო მცირე სასისტემო რგოლები, რომლებიც ერთიანდება უფრო კონკრეტული დიფერენციალური ნიშნების საფუძველზე. მაგალითად, მორფოლოგიურ სასისტემო რგოლში უფრო მცირე სასისტემო რგოლებს ქმნიან ზმნისა და სახელის ფორმები; ზმნაში — ზმნათა სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიის (პირი, რიცხვი, დრო, გვარი...) დიფერენციალური ნიშნების მიხედვით გაერთიანდება, ზმნის სასისტემო რგოლთან შედარებით, უფრო მცირე სასისტემო რგოლები რო-

გორიცაა: პირის სასისტემო რგოლი, ან რიცხვისა, ან დროისა, ან გვარისა და ა. შ.

გვარის სისტემაში უფრო კონკრეტული ნიშნის მიხედვით ისახება მოქმედებითისა, ვნებითისა და საშუალი გვარის (მხედველობაში გვაქვს ქართული ენა) სასისტემო რგოლები. ვნებით გვარში უფრო კონკრეტული ნიშანი იქნება პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითისა, კიდევ უფრო კონკრეტული დიფერენციალური ნიშანი იძლევა, ერთის მხრივ, ინიანსა და ენიანს და მეორეს მხრივ, „უნიშნოსა“ და დონიანი ვნებითის სასისტემო რგოლებს.

აქედან გამომდინარე, თეორიულად სასისტემო რგოლი იმდენი შეიძლება არსებობდეს, რამდენი ნიშანიც შეიძლება არსებობდეს, რომელიც საერთო ექნება, თუნდაც, ორ წევრს. მაგრამ სინამდვილეში, განსაკუთრებით გრამატიკული სისტემა არ იყენებს სასისტემო რგოლად ჩამოყალიბების ყველა კონკრეტულ შესაძლებლობას. ყოველი კონკრეტული შესაძლებლობის გამოყენება დასახავდა ენის გრამატიკულ სისტემაში სასისტემო რგოლების უმაგალითო რაოდენობას, რაც ენის დაძლევას შეუძლებელს გახდიდა. რაც უფრო კონკრეტულია დაჯგუფებისათვის ამოსავალი დიფერენციალური ნიშანი, მით უფრო პატარა მოცულობისაა სასისტემო რგოლი (ნაკლები ერთეულების მომცველია რაოდენობრივად), სისტემაში კი სასისტემო რგოლთა რაოდენობა ამით იზრდება. ასეთ შემთხვევაში სისტემა რთულია. რაც უფრო ზოგადია სასისტემო როგოლებად დაჯგუფებისათვის ამოსაეალი საერთო დიფერენციული ნიშანი, მით უფრო დიდი მოცულობისაა (ერთეულთა რაოდენობის მიხედვით) სასისტემო რგოლი, მაგრამ მცირდება სასისტემო რგოლთა რაოდენობა სისტემაში. ასეთ შემთხვევაში სისტემა მარტივია.

ენაში, ჩვეულებრივ, სასისტემო რგოლების რაოდენობა მეტნაკლებად შეზღუდულია; ენის ტენდენცია ეწინააღმდეგება მათ დიდ რაოდენობას.

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი: სისტემური და ორგანიზებულია სიმრავლე, სადაც სიმრავლის შემადგენელი ელემენტები, როგორც მთლიანის ერთეულები, გარკვეულ კანონზომიერ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

ორგანიზებულ სიმრავლეს ქმნის სიმრავლეში ერთეულთა გაერთიანების პრინციპი მათთვის საერთო მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით. ეს განაპირობებს სიმრავლის მრავალ ერთეულთა არსებობას ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანმაპირობებელ მიმართებაში.

სისტემის ანალიზმა საფუძველი მოგვცა იმ მოსაზრებისათვის, რომ სისტემისა და ანალოგიით ფორმათა წარმოების პრინციპებს საერთო საფუძველი აქვთ. ორივე შემთხვევაში პირობა ერთი და იგივეა. ეს ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ანალოგიით ფორმათა წარმოება შესაძლებელია ენობრივ ერთეულთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ფარგლებში, სადაც ჯგუფის წევრებს აერთიანებს მათთვის საერთო ნიშანი; ანალოგია ხომ ერთი სემანტიკური თუ ფუნქციონალური ჯგუფის ფარგლებში მოქმედებს. სისტემაშიც ენობრივ ერთეულებს ერთ სიმრავლედ აერთიანებს ყოველი ელემენტისათვის დამახასიათებელი საერთო მადიფერენცირებელი ნიშანი.

აღნიშნულის დასადასტურებლად, განვიხილოთ ანალოგიით წარმოების ერთ-ერთი ნიმუში.

ქართულში საკუთარმა სახელებმა საზოგადო არსებით სახელთა ანალოგიით (ორივე არსებით სახელთა რიგს განეკუთვნება) გაიჩინეს სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები. ანალოგიით ფორმათა წარმოება შესაძლებელი იყო მათი საერთო ნიშნის საფუძველზე. ბრუნვათა ანალოგიით წარმოებაც გავრცელდა სისტემური კანონზომიერების წესით. საკუთარი სახელები სისტემური ხასიათის სიმრავლეა მათი საერთო დანიშნულების გამო.

ამგვარად, ანალოგიით ფორმათა წარმოებისა და სისტემური სიმრავლისათვის საჭიროა იგივე პირობა. პირველის მოქმედების სფერო და მეორის დასახვის შესაძლებლობა ითვალისწინებს ერთეულთა ისეთ ჯგუფებს, სადაც ელემენტები გაერთიანდნენ მათი საერთო დიფერენციალური ნიშნის მიხედვით. ანალოგიით ფორმათა წარმოებაში, ისევე როგორც სისტემაში, საერთო დიფერენციალური ნიშანი ამოსავალია ერთის მოქმედების ფარგლებისათვის და მეორის დასახვისათვის. ანალოგიაში ამ საერთო ნიშნის მიხედვით ვრცელდება მისი მოქმედების საზღვრები. სისტემაშიც ენობრივი ერთეულის მადიფერენცირებელი ნიშანი ნიმუშია იმავე სისტემის ყოველი მეორე წევრისათვს. სწორედ ეს ვითარება განაპირობებს სისტემის გამძლეობას და იცავს მას ცვლილებისაგან. ყოველგვარი ცვლილება თავდაპირველად ეხება ენის სისტემის თუ სასისტემო რგოლის, მხოლოდ ერთ ელემენტს, რომელიც ძნელად იკიდებს ფეხს დასამკვიდრებლად, რადგანაც მას ეწინააღმდეგება იმავე სასისტემო რგოლის უველა დანარჩენი ელემენტი, რომელიც ეწევა მას ძველის დაცვისაკენ. აქედან გამომდინარეობს, რომ ენის გამძლეობა შეპირობებულია მისი სისტემური ხასიათით. ენა გამძლეა იმის გამო, რომ იგი სისტემის სახით არსებობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისვას კითხვა როგორია სისტემისა და ანალოგიის ევოლუციურ-შემოქმედებითი გამოვ-

ლენა ენაში? მათმა ერთნაირი ხასიათის პირობადებულებამ მოქმედების თვალსაზრისით თითქოს უნდა მოგვცეს ფუნქციონალურად ერთნაირი ღირებულების შედეგი. მაგრამ, ცნობილია, რომ ანალოგია ენის ევოლუციის ფაქტორს წარმოადგენს, ენის ახალწარმოებებს ქმნის; ამისგან განსხვავებით, სისტემა იცავს ენას ახალწარმოებებისაგან.

ამ საკითხის გარკვევა გვავალებს, ორი თვალსაზრისით განვიხილოთ ანალოგიით მოქმედების შედეგები: ერთ შემთხვევაში, ანალოგია შედეგის მიხედვით ენობრივ სიახლეთა წარმომქმნელია; ასეთია იგი, როდესაც ქმნის სასისტემო რგოლების გადანაწილებას. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყოველი ენობრივი ერთეული რამდენიმე მადიფერენცირებელი ნიშნის მატარებელია; თავისი სხვადასხვა მადიფერენცირებელი ნიშნების მიხედვით იგი სხვადასხვა სიმრავლეებში — სასისტემო რგოლებში — ხვდება. სასისტემო რგოლები ერთნაირი მდგრადობისა არ არის. ზოგს, სხვებთან შედარებით, უპირატესობას უქმნის კომუნიკაციური სიცხადე ან ხშირი ხმარება ან რომელიმე სხვა ფაქტორი. ასეთი, ფუნქციონალურად გაძლიერებული, სასისტემო რგოლი ანალოგიის მოქმედების მეშვეობით სხვა რგოლიდან თავისაში გადმოიზიდავს ენობრივ ერთეულებს. ამ ორ რგოლს კი დააკავშირებს ენობრივი ერთეულის ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც საერთო იქნება ორივე რგოლის ერთეულისათვის. ამგვარად, მოხდება სასისტემო რგოლთა გადანაწილება. ყოველი გადანაწილება, გასაგებია, ცვლის არსებულს და ამდენად სიახლეს წარმოადგენს ენაში.

მეორე შემთხვევაში ანალოგია თავისი მოქმედების შედეგებით კონსერვატულია, არაპროდუქტულია, მაგრამ ასეთი ანალოგია მუდმივმოქმედია. ასეთი ანალოგიაა, რომ ენის სისტემის საფუძველს წარმოადგენს, ენის სისტემის მექანიკას ქმნის, რადგან, ფართო გაგებით, კონსერვატული ანალოგია სწორედ ის არის, რაც ენის სისტემის მექანიზმთანაა უმჭიდროესად დაკავშირებული და ენის სისტემის პრინციპებითაა ამოძრავებული.

საგანგებოდ გვინდა გავხაზოთ, რომ ანალოგიით მოქმედების ორივე შემთხვევაში, მიუხედავად მათი განსხვავებული შედეგებისა, მოქმედების ერთნაირ პროცესთან გვაქვს საქმე.

ანალოგიის სოსიურისეული ინტერპრეტაცია სწორედ ორი თვალსაზრისით ითვალისწინებს ანალოგიით მოქმედების შედეგებს: «Не в меньшей степени аналогия работает как консервативный фактор и в чистом виде: можно сказать, что она действует не только в смысле нового распределения существующих ранее элементов, но и в смысле сохранения в неприкосновенности прежних форм»...

«Чтобы в этом убедиться, достаточно вспомнить, что принцип аналогии по существу совпадает с принципом, лежащим в основе механизма языка»[54].

მუდმივმოქმედი ანალოგია წარმოადგენს საერთოდ გრამატიკის საფუძველს; ყოველი გრამატიკული პარადიგმი ემყარება ანალოგიის პრინციპს. ამის გამო, ყოველი ცალკეული ფორმა შესწავლას არ საჭიროებს. არაა საჭირო, რომ მეტყველს ყოველი სიტყვის ფორმა მისი გამოყენების მომენტამდე გაეგონა ან ეხმარა. თითოეული სიტყვის ფორმის ცალკე დასწავლა საჭირო რომ ყოფილიყო, ენის შესწავლა დაუძლეველი იქნებოდა. მეტყველს მუდმივმოქმედი (კონსერვატული) ანალოგიის მოქმედების შემწეობით შესაძლებლობა აქვს იხმაროს ფორმები კანონზომიერად, ორგანიზებულად. ენაში ყოველი გრამატიკული ფორმა თუ მნიშვნელობის მომცველი ერთეული გარკვეულ ადგილს პოულობს მისი დანიშნულებისა და მნიშვნელობის მიხედვით.

ენაში ფორმათა ასე გაწყობა და კანონზომიერად (ე. ი. სისტემურად) გამოყენება მხოლოდ ანალოგიის მოქმედების შედეგადაა შესაძლებელი.

მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა ამოსავალია უცხოური მასალის გამშობლიურებისას: მნიშვნელობათა, გრამატიკულ ფორმათა და შესიტყვებათა დახარისხება მშობლიური ენის ყალიბების ანალოგიით ხდება: მაგ., რუსულს ცუდად მცოდნე ქართველთა მეტყველებაში ვხვდებით ფრაზებს «посуду постирала» ამოსავალია ქართული ენის წესი შდრ., ქართ. „ჭურჭელი დარეცხე", «სარეცხი დავრეცხე» რუსულში კი: «посуду помыла», «белье постирала».

მსგავსი ვითარება არის ქართულის ცუდად მცოდნე სომხის მეტყველებაში. მაგალითისათვის გამოდგება ხალხში ცნობილი სომხის მიერ ნათქვამი ქართული ლექსი: „დედას ჭონდა ერთი შვილი, ისიც ფრონტზე წაღებული". აქაც მშობლიური ენის ყალიბია ამოსავალი; სომხური ენა „ჭონასა" და „ყოლას", „წაღებასა" და „წაყვანას" არ განასხვავებს ერთმანეთისაგან.

მუდმივმოქმედი ანალოგიის მოქმედების შედეგია, აგრეთვე, ის, რომ ენის ახალ მნიშვნელობათა და ფორმათა წარმოებისათვის ენაში არსებული ყალიბები ძირითად ბაზას წარმოადგენს: «რუსულში გვაქვს სახელები Ленинград, Харьков—ქართულად ითქმის ლენინგრადი, ხარკოვი (ი-დაერთო), მაგრამ Сталино, Одесса ისევ იმ დაბოლოებით რჩება: სტალინო, ოდესა... იმიტომ, რომ ქართულში სახელთა გაფორმებას შემდეგი ფორმულა განსაზღვრავს: თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს სახელობითში -ი დაერთვის

[54] იხ. სოსიურის დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

(თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი...), ხმოვანზე დაბოლოებულს—არა (სამტრედია, ახმეტა, ერწო, წყალტუბო)»[56].

აღნიშნულ შემთხვევებში უცხო ენის მასალა გადამუშავებულია მშობლიური ენის მოქმედი ნორმების მიხედვით.

მუდმივმოქმედი ანალოგია განაპირობებს ენის სისტემის გამძლეობას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, დაისვას კიდევ ერთი საკითხი: თუ ენას ცვლილებისაგან იცავს ენის სისტემური ხასიათი, ხოლო სისტემასა თუ მის სასისტემო რგოლებს საფუძვლად უდევთ მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა, რატომ განსხვავდება ცვლის ტემპით ენის სხვადასხვა მხარე? ენის ლექსიკური მხარე მეტად იცვლება ვიდრე ენის გრამატიკული წყობა.

ენის მხარეთა ცვლის განსხვავებული ტემპი შეპირობებულია ენაში მათი განსხვავებული დანიშნულებით.

გრამატიკული სისტემის გამძლეობას ხელს უწყობს ის, რომ ის სტრუქტურულ ყალიბებს წარმოადგენს და იგი ენაში ერთგვარი მნიშვნელობით იხმარება კონტექსტური სხვადასხვაობის მიუხედავად. ამის გამო, გრამატიკულ სისტემაში ცვლილება ადვილად ვერ მოიკიდებს ფეხს, რადგანაც ერთ შემთხვევაში შეცვლილი ფორმა თავს აღიდგენს სწორად ხმარების სხვა მრავალ შემთხვევაში. ამით იგი დაცულია ერთჯერ-ორჯერ არა სწორად ნახმარი ფორმით დამკვიდრებისაგან.

გრამატიკული სტრუქტურისაგან განსხვავებით, ლექსიკური ფონდი ისწრაფვის მრავალფეროვნებისაკენ. სიტყვას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს კონტექსტური სხვადასხვაობის მიხედვით, რაც განაპირობებს ამ ელემენტთა ცვლას. მაგ., სიტყვა „ხელი" სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს ამ სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში ხმარების გამო შდრ., 1. ხელმწიფება; უფლება; 2. წერის გვარი: ნუსხა ხელი, მრგვალი ხელი; 3. ასაკის სიდიდის: ჩემხელა; 4. მარტო-ხელა: 5. რა ხელი მაქვს ამ საქმეში; 6. ხელის შეწყობა; 7. ხელიდან გამოსვლა საქმისა; 8. ხელის დაფარება; 9. ხელის აღება; 10. ხელის დადება; 11. ხელის მომართვა; 12. ხელის მოწერა; 13. ხელობა და სხვა. როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, ყველა ეს მნიშვნელობა ერთმანეთთან დაკავშირებულია, რადგან ისინი მომდინარეობენ ერთი საგნიდან. მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში ამ საგნის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ[57]. აღნიშნული სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში ხმარებამ შექმნა ისეთი ახალი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ხელშეკრულება, ხელ

---

[56] იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბ., 1945, გვ. 18.

[57] შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგი

სუფლება, ხელმწიფე, ხელაღებული, ხელმძღვანელი, ხელნაკლული, ხელნაკრავი, ხელნახლები, ხელობა, ხელოვანი, ხელოვნება, ხელუპყარი, ხელფასი, ხელქვეითი, ხელყოფა, ხელშეუვალი, ხელშეწყობა, ხელწერილი, ხელწამკრავი, ხელწამოსაკრავი, ხელოსანი, ხელსაქმობა, ხელუკუღმართი, ხელცარიელი, ხელცივი, ხელჩართული, ხელუხვი, ხელჩაქნეული, ხელმოცარული, ხელმოჭერილი, ხელვიწრო, ხელბარაქიანი, ხელგამოდებული, ხელგარჯილობა, ხელდამშვენებული, ხელდამწვარი, ხელდახელ, ხელშენახული...

სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისა და დავიწროების, სიტყვის შინაარსის ცვლის საფუძველს, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება ქმნის.

როგორც ვანდრიესი წერს: «Постоянное употребление одного и того же слова в различных контекстах легко может стереть или изменить его значение»[57]

ამგვარად, მუდმივმოქმედი ანალოგია მოქმედებს ენაში განუწყვეტლივ თავისი მოქმედების შედეგის მიხედვით იგი არაპროდუქტულია, ვერ ქმნის ენის ახალწარმოებებს, მხოლოდ იცავს ენის მონაპოვარს. როდესაც მისი ტენდენციის ძალა სუსტდება, მას არღვევს ენის ევოლუციის სხვა ფაქტორები, როგორიცაა, თუნდაც, შემოქმედებითი — ახალწარმოებათა წარმომქმნელი ანალოგია, რომელიც შემდეგ გადაიზრდება მუდმივმოქმედ ანალოგიაში, რათა ახალი წარმონაქმნი შეუნარჩუნოს ენას.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, კავშირი სისტემისა და სტრუქტურის ცნებებს შორის იმდენად მჭიდროა, რომ ერთის გარკვევა მათი შინაგანი, ურთიერთგანპირობებული კავშირის გამო, ქმნის საფუძვლებს მეორის გასარკვევადაც.

ე. ბენვენისტი წერს, რომ სტრუქტურა არის ორგანიზებულ და ურთიერთდამოკიდებულ სისტემათა ერთობლიობა[58]. (ხაზი ჩვენია).

ე. სეპირის მიხედვით: «Кто вообще думал об этом вопросе или хоть немного почувствовал дух какого-либо иностранного языка, должно быть ясно, что в основе каждого языка лежит как бы определенный чертеж, что у каждого языка есть свой особый покрой. Этот тип, или чертеж, или структурный «гений» языка есть нечто гораздо более фундаментальное, нечто гораздо глубже его проникающее, чем та или другая наши в нем обнаруженная черта»[59]

---

[57] К. Вандриес, Язык, М., 1937, с. 186.

[58] იხ. ე. ბენვენისტის დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[59] იხ. Э. Сепир, Язык, რუსული თარგმანი, М., Л., 1934, გვ. 94.

ჩვენ შემოვიფარგლებით ამ ორი ავტორით; ვფიქრობთ, მათი ინტერპრეტაცია თავისი მნიშვნელობით ყველაზე შესაფერისია სტრუქტურის დასახასიათებლად, რადგანაც ისინი, ჩვენი თვალსაზრისით, ითვალისწინებენ სტრუქტურის არსებითსა და სპეციფიკურ ნიშნებს.

ამგვარად, სტრუქტურას ქმნის სასისტემო რგოლთა ურთიერთდამოკიდებულების რთული, მაგრამ ორგანიზებული კავშირები.

ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართება ერთი სიმრავლის ფარგლებში ქმნის სასისტემო რგოლს, ყველაზე ზოგადი მადიფერენცირებელი ნიშნის მიხედვით — მთლიან სისტემას, ხოლო ერთი სასისტემო რგოლის მეორე სასისტემო რგოლთან მიმართება ქმნის უკვე სტრუქტურას.

სტრუქტურა, მართლაც, სასისტემო რგოლთა გადაჯაჭვული მიმართებების თითქოს ნახაზს გვაძლევს. სტრუქტურა, მართლაც, სასისტემო რგოლთა კავშირების ერთობლიობაა. სტრუქტურა არის სისტემის მოდელი.

დასკვნები

1. ენობრივი შინაარსი გამოიხატება ენობრივი ფორმით. ენობრივი მნიშვნელობის გამოსახვის უმცირესი ფორმა არის მორფემა.

გამოსახატავი შინაარსის შესაბამისად მორფემა არის ლექსიკური და გრამატიკული.

2. მორფემები მათი სუბსტანციის თვალსაზრისით მხოლოდ ფონემური ყალიბებით არაა გამოსახული. იგი გამოისახება ენობრივი სხვა საშუალებებითაც (ინტონაცია, მახვილი, სიტყვის ადგილმდებარეობა...).

არსებულ შემთხვევათა გათვალისწინების საფუძველზე მორფემა განვსაზღვრეთ, როგორც გამოხატულების პლანის მნიშვნელობის მქონე ფორმობრივი სახეობა, რომელიც მიღებულია თანაზომიან ოდენობათა შეპირისპირებით და მნიშვნელობის თვალსაზრისით შემდგომ ანალიზს არ ექვემდებარება.

3. თანაზომიანი და ფარდი შეპირისპირების შემთხვევაში დაპირისპირებული ერთეულები უნდა განსხვავდებოდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ნიშნებით იდენტური უნდა იყოს. ამ პრინციპის საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნა: „ემალება" (ენ. გვარი) — „უმალავს" (ფარდი მოქმედებითი, მაგრამ საობიექტო ქცევით) ფარდ და თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების შემთხვევაში განსხვავება, როგორც ივარაუდება აღნიშნული პრინციპით, გვაქვს

მხოლოდ გვარის მიხედვით, ხოლო მიღებული განსხვაცება მეორე ნიშნითაც — საობიექტო ქცევის მნიშვნელობით — ფარულად ჰქონია შეთავსებული ვნებითი გვარის მაწარმოებელ ე პრეფიქსს.

მნიშვნელობის ფარულად შემთავსებელ ერთეულს (ე პრეფიქსს) ვუწოდეთ პოტენციური ერთეული. შეპირისპირების შემუშავებულმა ხერხმა საშუალება მოგვცა, გამოგვეაშკარავებინა ფორმალურ ერთეულთა ფარულად შეთავსებული ფუნქციები, ე. ი. დაგვედგინა ქართული ზმნური მორფემების სრული ფუნქციური დატვირთვა.

4. ზმნურ სიტყვაფორმაში მორფემათა მიმდევრობა მკაცრად განსაზღვრულია. ეს კანონზომიერება გამოხატულია მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში. მორფემათა რანგობრივი თეორიის თვალსაზრისით დამუშავებისათვის გვაქვს ჩვენი მოსაზრებები:

ა) მორფემებს რიგითი ადგილის (რანგის) კვალიფიკაციას მაქსიმალური პოზიციის მიხედვით აძლევენ, მაგრამ ჩვენ ამას ვაკეთებთ ალომორფთა კლასიდან იმ ალომორფის მიხედვით, რომელსაც ყველაზე მაქსიმალური პოზიცია აქვს. მაგ., -ს, -ა, -ო (მესამე სუბიექტური პირის მხოლობითი რიცხვის აღმნიშვნელი მორფემის ალომორფებია) სამივე ალომორფს მივეცით მეხუთე რანგის კვალიფიკაცია -ს ალომორფის მაქსიმალური პოზიციის მიხედვით, თუმცა -ო ალომორფისათვის მაქსიმალური პოზიცია პირველია, ხოლო -ასთვის — მეოთხე.

-ო და -ა ალომორფებისათვისაც მეხუთე რანგის კვალიფიკაციის უფლებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათი მომდევნო ალომორფები არასდროს არაა პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე რანგის კვალიფიკაციისა.

ბ) რანგობრივი თეორიის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით, ზმნურ ერთ სიტყვაფორმაში ერთი რანგის ორი მორფი დაუშვებლად ითვლება, რადგანაც ერთ-ერთი იქნებოდა მომდევნო, ე. ი. სხვა რანგში აღმოჩნდებოდა. ამ დებულებასთან დაკავშირებით, დადგა „წავსულვარ“, „აკეთებინებს“ ფორმების საკითხი, სადაც ერთი რანგის მორფი ორჯერაა წარმოდგენილი. პირველი რიგის შემთხვევებში მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით ორჯერაა წარმოდგენილი პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (შდრ., ძვ. ქართ. წასულვარ). ამ მიზნით პირველი პირის სუბიექტურ ნიშანს გამოყენებული აქვს მესამე სუბიექტური პირის ნიშნის სუფიქსური რანგიც. ჩვენ ასეთი შემთხვევები ავხსენით ენის უნარით, როდესაც ენა თანაბარი დატვირთვით იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ პრეფიქსულად და სუფიქსურად გამოსახვის საშუალებებს. ასეთ, ერთი დანიშნულების, პრეფიქსულსა და სუფიქსურ რანგებს ერთი რანგის ღირებულებას ვანიჭებთ.

„აკეთებინებს“ ზმნური ფორმის შემთხვევაში (სადაც ორ სუფიქსურ რანგშია „ებ“) ფონემური გამოსახულებით ერთსა და იმავე „ებ“ ფორმალურ ნიშნებს ვაძლევთ სხვადასხვა კვალიფიკაციას — ისინი ფუნქციურად განსხვავდებიან. პირველი ებ (კეთებ) ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელია, და ამდენად, ზმნური ფორმის ლექსიკური ერთეულის კუთვნილებაა, რომელიც გრამატიკული მნიშვნელობის მორფთა მიმდევრობაში მონაწილედ არ უნდა ჩაითვალოს. ზმნური ფორმის ნაწარმოები ლექსიკური ერთეული აღვნიშნეთ $\bar{R}$-ით, არანაწარმოები ლექსიკური მორფემა — R-ით.

5. მორფემები ერთ რანგში ერთიანდებიან მათი გრამატიკული მიმართების იდენტური (მაგ., საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ნიშნები) ან რელატიურ-იდენტური (მაგ., სასუბიექტო ქცევა და ვნებითი გვარის ნიშნები) მნიშვნელობის საფუძველზე და ამის გამო არიან ისინი ურთიერთგამომრიცხველები.

6. ყოველი სისტემა ორგანიზებულ სიმრავლეს წარმოადგენს.

ორგანიზებულია სიმრავლე ყველა შემთხვევაში, თუ ამ სიმრავლეში გაერთიანებულ ყოველ წევრს საერთო ექნება ამავე სიმრავლის სხვა წევრებთან ერთი მადიფერენცირებელი ნიშანი მაინც, რომლის საფუძველზეც ხვდებიან ისინი ამ სიმრავლეში. ეს არის საერთოდ სისტემის საფუძველი.

7. ყოველი ენობრივი ერთეული ერთზე მეტი ნიშნის მატარებელია, ამის გამო, ერთი ენობრივი ერთეული განსხვავებული ნიშნების მიხედვით სხვადასხვა სიმრავლეებში — სასისტემო რგოლებში — ხვდება და ამავე მიზეზის გამოა, რომ სისტემის ერთეულები ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობების მიმართებაში იმყოფებიან.

8. სისტემისა და ანალოგიით ფორმათა წარმოების პრინციპებს საერთო საფუძველი აქვთ. ორივე შემთხვევაში მოქმედების პირობა ერთი და იგივეა. ეს არის მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა.

9. მუდმივმოქმედი ანალოგიის მექანიკა განაპირობებს ენის სისტემის გამძლეობას.

მუდმივმოქმედი ანალოგია ამოსავალია ნეოლოგიზმებისა და ახალი გრამატიკული ფორმების არსებული სისტემის ნორმათა მიხედვით გაწყობაში და აგრეთვე შეთვისებული ლექსიკის, ფორმების და სინტაქსური კონსტრუქციების გამშობლიურებაში.

10. სტრუქტურას ქმნის სასისტემო რგოლთა ურთულესი, მაგრამ ორგანიზებული ურთიერთდამოკიდებულების მიმართებითი კავშირები. სტრუქტურა არის სისტემის მოდელი.

ნაწილი მეოთხე

გვარისა და ქცევის ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

ერთი სემანტიკური ნიშნის მიხედვით გრამატიკულ მიმართებათა უზოგადეს მნიშვნელობას, რომელიც გამოხატულია სპეციალური ენობრივი საშუალებებით, უწოდებენ გრამატიკულ კატეგორიას.

ეს კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, ჯერობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი, გეზი, ორიენტაცია.

ქართულ ზმნაში გრამატიკული მნიშვნელობების გამომხატველობით საშუალებას, მეტწილად, ფონემურად გამოსახული მორფემები წარმოადგენს. აღნიშნულ კატეგორიათაგან ფორმალური მაჩვენებლებით (მორფებით) აღინიშნება: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, პირი, რიცხვი, ქცევა, ენებითი გვარი, კონტაქტი. ამათგან გეზი, ორიენტაცია და ასპექტი გადმოცემულია ზმნისწინებით. დანარჩენ კატეგორიებს — დროს, კილოს, ჯერობას, აქტს — ფორმალური, მორფემული მაჩვენებლები არ აქვთ. ისინი გამოიხატებიან სხვა ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე.

ჩვენი მიზანია ფონემურად გამოსახული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელების დადგენა, ამდენად, ბუნებრივია, რომ განხილვისა და კვლევის ობიექტი იქნება ფორმალური მაჩვენებლები და ამ ნიშნებით გადმოცემული მნიშვნელობები[1]. ეს შესაძლებელია იმის გამო, რომ ქართული ზმნური სიტყვაფორმა ხშირად მორფთა გრძელი ჯაჭვისაგან შედგება (და-მ-ა-ბ-მ-ევინ-ებ-დ-ე-ს), სადაც ყოველი მორფის ადგილი — სიტყვაფორმაში მიმდევრობის მიხედვით — მკაცრადაა განსაზღვრული, ეს კანონზომიერება კი აისახება მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში.

ქართული ზმნის მორფემათა სინტაგმატურ ჭრილში განხილვის საფუძველზე მათ (მორფემებს) მივეცით რანგობრივი კვალიფიკაციები, რომელთა გამოსახატავად გამოვიყენეთ შემდეგი პირობითი ნიშნები:

---

[1] მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მორფემები. ზმნური ძირეული მორფემები არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს.

ზმნისწინი — 40
სუბიექტური პირი — 30
ობიექტური პირი — 20
გვარი და ქცევა — 10
ძირეული მორფემა — R
ვნებითი გვარი და კონტაქტი (კაუზატივი) — 01
თემა — 02
საერცობი — 03
მწკრივი — 04
პირი, რიცხვი — 05
რიცხვი — 06

როგორც ვხედავთ, ერთ პრეფიქსულ რანგშია (რანგი 10) გაერთიანებული ვნებითი გვარისა (ი-, ე-) და ქცევის (ი-, ი-/-უ) ამსახველი ნიშნები აგრეთვე პრეფიქსული მორფემა ა[2], ასევეა ერთ სუფიქსურ რანგში (რანგი — 01) ვნებითი გვარისა (-დ) და კაუზატივის (-ევინ, -ინ) ნიშნები, რომლებიც ამის გამო, ბუნებრივია, ურთიერთგამომრიცხველები არიან. ნაშრომის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ჩვენთვის არსებითი იყო, აგვეხსნა ერთ რანგში მორფემათა გაერთიანების საფუძველი. ნაშრომის მეორე ნაწილში ჩვენ მიერ შემუშავებული თეორიული დებულებების დადასტურების მიზნით განვიხილავთ ქართული ზმნის სწორედ ერთი რანგის (ანუ ურთიერთგამომრიცხავ) ფორმალურ ნიშანთა ფუნქციებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა ერთი მხრივ გვარისა და ქცევის, ასევე გვარისა და კაუზატივის ამსახველი ფორმალური მაჩვენებლების ფუნქციები და ამ ნიშნებით გადმოცემული მნიშვნელობები მათი შესაბამისობის თვალსაზრისით: აგრეთვე ამ ნიშანთა გრამატიკული მიმართებების დადგენა, რამაც განაპირობა ერთ რანგში მათი გაერთიანება, ხოლო, მეორე მხრივ, სინკრეტულად ნაწარმოებ პირისა და რიცხვის ზმნური მორფემები.

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ვხვდებით გვარის ტრადიციულ ამგვარ განსაზღვრას: გვარი ზმნის გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს და გადმოგვცემს ზმნის ქმედობის განსაკუთრებულ ნიუანსს ქვემდებარესთან შეფარდებით: „ქვემდებარე თვითმოქმედია ან მოქმედების თვითგანმცდელი, ან მოქმედებს თავის ინტერესისათვის თვითმოქმედებით“[3].

---

[2] ა-პრეფიქსული მორფემის კვალიფიკაციაზე მსჯელობა გვექნება ქვემოთ.
[3] იხ. Ж. Вандриес, Язык, М., 1937, с. 102—103.

„გვარი ქვემდებარის როლით განსაზღვრული ზმნის კატეგორიაა, ამოსავალია, ქვემდებარე არის თვითმოქმედი (მოქმედებითი გვარი) თუ მოქმედების თვითგანმცდელი (ვნებითი გვარი), თუ ამ მოქმედებით დაინტერესებული (საშუალი გვარი)“[4].

ზოგი ავტორი გვარს სხვა ჭრილში, სახელდობრ, სინტაქსური თანაფარდობის დონეზე განიხილავს. ამ შემთხვევაში გვარის დახასიათება ასეთ სახეს იღებს: ის, რაც აქტიურ კონსტრუქციაში გვევლინება პირდაპირ დამატებად, პასიურ კონსტრუქციაში გადაიქცევა ქვემდებარედ[5].

გვარი შეიძლება დავახასიათოთ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზეც, ე. ი. თუ დავაპირისპირებთ გვარის ფორმაწარმოქმნილ და არაფორმაწარმოქმნილ ერთეულებს, მაგ., ი-მალება(ინიანი ვნებითი), ე-მალება (ენიანი ვნებითი), მალავს (მოქმედებითი). როგორც ვხედავთ, გვარის განსაზღვრისათვის არაა ამოსავალი ერთი პრინციპი; ჩვეულებრივ, საჭირო ხდება, აღნიშნულ საშუალებათაგან გამოვიყენოთ ერთდროულად ყველა, რადგან ამ მოვლენის მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შეფასება ყოველთვის ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, რადგან ყველა ენაში ვხვდებით დადგენილი ნორმებიდან გადახვევის შემთხვევებს. მაგ., ქართულში ფორმები ე-კვეთა, ე-ცა, ე-ბრძვის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობის მიხედვით არ არიან პასიურნი, ხოლო ე-სროლა სტრუქტურულადაც ვერ ამართლებს პასიურობის ე-ნიშანს (მონადირემ ე-სროლა ნადირს თოფი — ერგატიული კონსტრუქციაა)...

აღნიშნული ზოგიერთი განსაზღვრიდან თუ ამოვალთ, გვარის ერთი გრამატიკული კატეგორიის ადეკვატად ქართულში გვაქვს ორი კატეგორია: გვარი და ქცევა ანუ ვერსია. ამის საფუძველი შექმნა ქართული ზმნის მონაცემებმა — გრამატიკულ მიმართებათა ნაირფეროვანმა მნიშვნელობამ და ფორმალურ მონაცემთა სიმრავლემ.

ამგვარად, ქართულში გვარის კატეგორიად მიჩნეულია ზმნის ქმედობის მხოლოდ ის ნიუანსი, რომელიც ქვემდებარეს წარმოგვიდგენს ან თვითმოქმედად (მოქმედებითი და საშუალი გვარი), ან მოქმედების თვითგანმცდელად (ვნებითი გვარი), ხოლო ზმნით გამოხატული გამიზნული ქმედობა ქვემდებარის ინტერესისათვის (სასუბიექტო ქცევა), ან ობიექტისათვის (საობიექტო ქცევა) ქართულში სხვა გრამატიკულ კატეგორიად გვევლინება და ეწოდება ქცევა ანუ ვერსია.

---

[4] Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960, с. 106.
[5] О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, с. 186—190.

ქართულში გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

„მოქმედებითია (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას მოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის სახელით ცნობილი მაგ.: ვაგორებ (მე მას)“[6].

„ვნებითია (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგ.: გორდება“[7].

„საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს. მაგრამ ამ მოქმედებას არ განიცდის; მაგ.: გორაობს“[8].

მარკირებულია, ე. ი. ფორმალური ნიშნით გამოხატული, მხოლოდ ვნებითი. იგი მოქმედებითისაგან იწარმოება[9].

ვნებითი გვარის ფორმალური მაჩვენებელია პრეფიქსები: ი- (ერთპირიანებთან) იშლება, იფურჩქნება, იზრდება... და ე- (ორპირიანებთან) ეშლება, ეფურჩქნება, ეზრდება... და სუფიქსი -დ თეთრდება, უთეთრდება, დიდდება, უდიდდება... აგრეთვე ვნებითად მიიჩნევა ზმნები, რომელთაც ახასიათებთ დაბოლოება — ებ (აწმყოს პირველსა და მეორე პირში) ვდნებ, ეთბებ. ასეთ ვნებითს „უნიშნოს“ უწოდებენ. რადგან სპეციალურად ვნებითის მაწარმოებელი ფორმალური ნიშანი ამ რიგის ზმნებში არ გვაქვს.

მოქმედებითიდან პრეფიქსული ვნებითით იწარმოებიან ზმნები. რომელთაც არ აქვთ თემის მაწარმოებელი ნიშანი: ვწერ-ვიწერები, ან თემის მაწარმოებლად აქვთ: -ამ, -ემ, -ავ, -ობ: ვსვამ — ვისმები. ვხატავ — ვიხატები.

ფუძედრეკადი ზმნები მაგ.: ვგრეხ — ვიგრიხები, ვგლეჯ — ვიგლიჯები.

-ობ თემიანი ზმნები, რომლებიც ვნებითში არ იცვლიან თავის თემის ნიშანს: ვსპობ — ვისპობი, ვშობ — ვიშობი...[10]

---

[6] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 267

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] იხ. არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 60.

[10] Б. Т. Р у д е н к о, Грамматика грузинского языка, Л., 1940, с

-დ სუფიქსით ვნებითს აწარმოებენ, არსებითად, ნასახელარი ზმნები: ვმშვენიერდები, ვკეთდები, ვშენდები. შდრ.: მშვენიერი, სიკეთე, ახალშენი.

გამონაკლისის სახით -დ პირველად ზმნებთანაც (გატყდა, გასკდა) გვხვდება[11].

უნიშნო ვნებითის წესით იწარმოებიან ობ-თემიანები, რომელთაც გარდამავლობის შემთხვევაში აქვთ პრეფიქსი ა- მაგ.: ვახმობ — ვხმები, ვალპობ — ვლპები, ვათბობ — ვთბები... ამათ მიჰყვება ომ თემიანები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ყოველთვის გარდაუვალია. მაგ.: კვდომა — ვკვდები, სხდომა — ვსხდებით, ჯდომა — ვჯდები...

პირველ ცნობებს ქცევის ფორმალური მაჩვენებლებით გადმოცემულ მნიშვნელობაზე, როგორც ეს ა. ღლონტმა დაადგინა, გვაწვდის ნ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, რომელსაც შესავლის სახით დართული აქვს ქართული ღრამმატიკა[12] (ივარაუდება 1815—1825 წლების შუალედი). ამ ფორმალურ მაჩვენებლებს ნ. ჩუბინაშვილი ზმნის მიჩემებით ფორმებს უწოდებს, რომლებიც ზმნის პირთა კუთვნილებით ურთიერთობას აღნიშნავსო. მანვე გამოჰყო მიჩემებითი კატეგორიის სამი ძირითადი ფორმა.

ა) როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს თ ა ვ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ (ხაზი ჩვენია — მ. დ.): ვიწერ, ვიშენებ, ვიყეფ, ვიტირი, ვიდევ, ვიჩენ; ბ) როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს ს ხ ვ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ (ხაზი ჩვენია — მ. დ.): ვუწერ, ვუშენებ, ვუყეფ, ვუტირი, ვუდევ, ვუჩენ; და გ) როდესაც მოქმედი პირი საზოგადოდ მოქმედებს მაგ., ვსწერ, ვაშენებ, ვჰყეფ... ეს ითქმის საზოგადოდ: გარნა მიჩემებითად[13].

ქცევის და გვარის ფორმალურ მაჩვენებლებს ჰ. შუხარდტი[14] და გ. დეეტერსი[15] ზმნის სახასიათო ხმოვნებს (charaktervokale) უწოდებენ. ნ. მარი

---

[11] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, ნ. 1, 1919, გვ. 89.

[12] იხ. ა. ღლონტი, ზმნის მიჩემებითი ფორმების შესწავლის ისტორიისათვის, თსუ შრომები, 99, 1962, გვ. 231—235. იხ. აგრეთვე ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი; ქართული ლექსიკონი, ა. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევითურთ, თბ., 1961.

[13] იხ. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117.

[14] იხ. H. S c h u c h a r d t, Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, 1895, Wien; მისივე kharthwelische Sprachwissenschaft, p. 121.

[15] G. D e e t e r s, Das kharthwelische Verbum, 1930, Leipzig, p. 70.

ქცევის—ვერსიის აღსანიშნავად იყენებს არაბულ ტერმინს ნაყი «Порода»[16]. მას უფრო ფართოდ ესმოდა ნაყის ცნება და მასში, გარდა საკუთრივ ქცევის კატეგორიისა, სხვა რიგის მოვლენებსაც აერთიანებდა.

აკად. ა. შანიძემ ქცევა სპეციალური კვლევის საგნად აქცია და ამ გრამატიკულ კატეგორიას ქცევა ანუ ვერსია უწოდა[17]. დასახელებულ გამოკვლევაში აკად. ა. შანიძე ქცევის ხუთ სახეობაზე მიუთითებდა: საარვისო, სათავისო, სასხვისო, სათანაო და საზედაო. შემდეგ დაიყვანა სამ სახეობამდე: საარვისო, სათავისო, სასხვისო[18].

ამგვარად, „ქცევა, ანუ ვერსია, არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის“[19].

„ქცევა არის კუთვნილებითი დამოკიდებულება ობიექტსა და სუბიექტს შორის ანდა ობიექტსა და ობიექტს შორის“[20].

ქცევა ქართველური ენების საერთო მოვლენაა;

მისი გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა შემოიფარგლება ზმნის პირთა მხოლოდ კუთვნილებითი დამოკიდებულების აღნიშვნით. კუთვნილების თვალსაზრისით ზმნის პირთა დამოკიდებულების სამ სახეობას გამოყოფენ: სასუბიექტო ანუ სათავისო ქცევა, საობიექტო ანუ სასხვისო ქცევა და ნეიტრალური ანუ საარვისო ქცევა. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, უპირატესობა უნდა მიეცეს უფრო ზუსტ ტერმინებს: საობიექტო, სასუბიექტო და ნეიტრალური. საობიექტო ქცევის ფორმები: მიშენებს, მიკლავს, მიზრდის, ხშირად ერევათ სათავისოში, რაკი „მე მიშენებს“ ე. ი. სათავისოა. ამგვარი გაუგებრობისათვის ნაკლები ადგილი დარჩება, თუ „საობიექტოს“ ვიხმართ[21].

სასუბიექტო ვერსია ანუ ქცევა აღნიშნავს პირდაპირი ობიექტის კუთვნილებითს ურთიერთობას სუბიექტურთან, უფრო ზუსტად, სუბიექტური პირი მოქმედებს ისეთ პირზე ან საგანზე, რომელიც მისია ან მისთვისაა განკუთვნილი[22]. სარფელების მეტყველების მასალების

---

[16] იხ. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925.

[17] ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1926.

[18] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, მორფოლოგია, თბ., 1930, გვ. 104; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 332.

[19] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 332.

[20] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 106.

[21] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 058.

[22] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 336—337.

მიხედვით ობიექტი სუბიექტის კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ არ აღნიშნავს იმას, რომ ობიექტი განკუთვნილია სუბიექტისათვის[23].

სასუბიექტო ქცევის ფორმალური მაჩვენებელია ი- პრეფიქსი. ა. შანიძე სათავისო ქცევის მიმართებითი მნიშვნელობის შემთხვევებად ასახელებს: ა) სუბიექტი თავის სხეულზე, სხეულის ნაწილზე მოქმედებს: თავი მოიფხანა, თვალები ამოიწმინდა, ყური გამოიჩხრიკა, კბილი გამოიცვალა, პირი გამოირეცხა, თმა მოიკრიჭა, ხელი გაიწაფა, ფეხი იღრძო, მუხლი დაიშავა... ყელი მოიღერა, გული გაიხარა... გამონაკლისიაო: პირი დააღო, თვალი აახილა, ხელი გამოყო (უნდა იყოს სათავისო ქცევის ფორმით, მაგრამ არაა).

ბ) მოქმედება განკუთვნილია სუბიექტისათვის: სახლი აიშენა, კაბა შეიკერა, ფული ისესხა...

საობიექტო ქცევა ანუ ვერსია აღნიშნავს კუთვნილების ურთიერთობას ობიექტებს შორის: იქვე დაზუსტებულია, პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბს ან განკუთვნილია ირიბისათვის[24]. განმარტება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ვიტყოდით,საობიექტო ვერსია აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც მიმართულია ირიბი ობიექტისათვის ან ირიბი ობიექტის კუთვნილებას წარმოადგენს, რადგან გარდაუვალ ზმნებთან ობიექტური ქცევის შემთხვევებში არა გვაქვს ორი ობიექტი, სახელდობრ პირდაპირი ობიექტი.

საობიექტო ვერსიის ფორმალური მაჩვენებლებია პრეფიქსები: ი (თუ ირიბი ობიექტი პირველსა ან მეორე პირშია) მ-ი-შენებს მე. გ-ი-შენებს შენ, და უ (თუ ირიბი ობიექტი მესამე პირშია) უ-შენებს მას, აგრეთვე, ვ-უ-შენებ, უ-შენებ.

საობიექტო ქცევის ხმარების შემთხვევები:

ა) მოქმედება მიმართულია ირიბი ობიექტისათვის: კაბა შეუკერა, წიგნი დაუწერა, ფული უსესხა, შეშა დაუჩეხა, თოკი დაუგრიხა, ლოგინი გაუშალა, საჩუქარი გაუკეთა...

ბ) მოქმედების საგანი ირიბი ობიექტის კუთვნილებას წარმოადგენს. მაგ., თვალები ამოუწმინდა; თმა შეუღება, დაუვარცხნა, დაუწნა, ხელი გაუწაფა, გული გაუხარა, თვალი აუხილა[25] თმა გაუთეთრდა, გული გაუსკდა, გული დაუმშვიდდა, ფეხები დაუსიედა, მომავალი გაუნათდა...

ნეიტრალურია ქცევა ანუ ვერსია, როდესაც ფორმალური მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი (ნეიტრალურ ქცევას

---

[23] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 107.

[24] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 339—340.

[25] შდრ. თვალები ამოუწმინდა, მაგრამ იმავე მნიშვნელობით იხმარება თვალები ამოწმინდა, თავი მოფხანა, დაეარცხნა, დააგლიჯა, კისერი მოტეხა...

გამოყოფენ გარდაუვალ ზმნებთანაც, აქ კი პირდაპირი ობიექტი არ გვაქვს მ. დ.) არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი[26]. ნეიტრალური ქცევის ფორმალურ მაჩვენებლად მიაჩნიათ პრეფიქსი ა-, ა-დუღებს, ა-თხოვებს, ა-ბერებს, ა-შრობს, ა-კეთებს, ა-გლეჯს... და∅(უნიშნობა). მაგ.: კერავს, თხრის, კვეთს, ტეხს, წერს, ხატავს... ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნეიტრალური ქცევა" საერთოდ ქცევის სახეობა არაა, რადგან ასეთ შემთხვევებში არაა გადმოცემული კუთვნილებითი ურთიერთობა ზმნის პირთა შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა- პრეფიქსი ქცევის მაწარმოებლად არ მიგვაჩნია. ქვემოთ ამ საკითხზე სპეციალურად შევჩერდებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ზმნური სიტყვაფორმაში აფიქსთა მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობის საფუძველზე ერთი და იგივე რანგობრივი კვალიფიკაცია მიეცა გვარისა და ქცევის პრეფიქსულ ხმოვნებს. მათი რიგითი ადგილი ანუ რანგი აღინიშნება 10-ით. 10-ის რანგისაა პრეფიქსები:

ი — ვნებითი გვარისა მაგ., ი-ზრდება
ე — ვნებითი გვარისა მაგ., ე-ზრდება
ი — სასუბიექტო ქცევისა მაგ., ი-ზრდის
უ — საობიექტო ქცევისა მაგ., უ-ზრდის
ი — საობიექტო ქცევისა მაგ., მ-ი-ზრდის
ა — მაგ., ა-ზის, ა-ხმობს, ა-დუღებს, ა-კეთებინებს.

ბუნებრივია, აღნიშნული ერთი რანგის პრეფიქსები ურთიერთგამომრიცხავებია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის მეზობლად, ე. ი. სხვა რანგში აღმოჩნდებოდნენ.

ვიდრე წარმოვადგენდეთ გვარისა და ქცევის გრამატიკულ კატეგორიათა ანალიზს, დავადგენდეთ მათ ამსახველ ფორმალური მაჩვენებლების დანიშნულებებს და გავარკვევდეთ ამ ნიშნებით გადმოცემულ მნიშვნელობებს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა ენისათვის დამახასიათებელ ერთ ფაქტს, სახელდობრ, სპორადული ხასიათის შეუსაბამობის შემთხვევებს ფორმასა და გამოსახატ მნიშვნელობას შორის.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ელინისტური ხანის ალექსანდრიელ გრამატიკოსებს შენიშნული ჰქონდათ, რომ ყველა ენის მასალების მიხედვით დასტურდება გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ფორმალური მაჩვენებელი არ ასახავს იმ მიმართებას ან მნიშვნელო

---

[26] იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 332.

ბას, რომელსაც იმ ენის ნორმატიული გრამატიკული ყალიბი მოითხოვს[27]. ასეთ შეუსაბამობის შემთხვევებს ანომალიას უწოდებდნენ.

მაგრამ, როდესაც შეუსაბამობის შემთხვევები სპორადულ ხასიათს არ ატარებს და იგი გაცილებით ფართო საზღვრებისაა, მაშინ რთულდება მორფემათა კვალიფიკაცია და იქმნება საფუძველი რამდენადმე განსხვავებული, ახალი დასკვნების გამოსატანად. ეს საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული ენობრივი ფუნქციის ფორმისადმი მიმართების პრობლემასთან, რასაც ენათმეცნიერებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ კვლევის პროცესში ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნული სირთულეების ჩვენებაზე — შეუსაბამობის შემთხვევათა ანალიზზე, იმ მიზნით, რომ ასეთი ანალიზი დახმარებას გაგვიწევს მორფემათა სწორი კვალიფიკაციისათვის.

ჩვენი ანალიზი შემდეგ ფაქტიურ მასალას ემყარება:

ვნებითი გვარის პრეფიქსული ფორმალური მაჩვენებლები ი- და ე- ყოველთვის ვერ ამართლებენ ვნებითობის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობას, სუბიექტის მოქმედების პასიურობის განზომილების მიხედვით. როგორც ა. შანიძე განმარტავს, „ნიშანდობლივი თვისება ვნებითისა ის არის, რომ ის ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს რეალურად შემსრულებელი პირის გამოუჩენლად... აქ მოქმედება „ემართება“ ანუ „მოსდის“ პირს, რომელიც გ ა ნ ი ც დ ი ს ვ ნ ე ბ ა ს, თუმცა კი ზმნის ფორმიდან არა ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითები: ვიქები, ვიტანჯები, ვტყდები, ვშენდები, ვთბები“[28].

ამგვარად, ვნებითის სუბიექტი უნდა იყოს მოქმედების თვითგანმცდელი, ე. ი. პასიური, განსხვავებით მოქმედებითის სუბიექტისაგან, რომელიც თვითმოქმედია და აქტიური.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად არის დაცული აღნიშნული პირობა პრეფიქსული ვნებითების ნიმუშებში, შევამოწმოთ სათანადო მაგალითებით:

ინიანის ნიმუშები:

იძლევა, იბღვირება, იგინება, იკბინება, ილანძღება, ილოცება (ლოცავს), ილოღნება, იმუქრება, ირწმუნება, ისწავლება, იტანება, იფიცება, იქოლება (ქოქოლას აყრის), იღრინება, იყლაპება, იყურება,

---

[27] გერმანულში სამ. სქესის ფორმალური მაჩვენებელი—არტიკლი das—გამოყენებულია გოგონასთვის—das Mädchen, რუსულში მდედრ. სქესის ფორმალური მაჩვენებლით, а-თი, ნაწარმოებია მამრი—мужчина. черепаха ყველა შემთხვევაში მხოლოდ მდედრობითი ფორმის სახითაა.

[28] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 291—292.

იცემება, იცქირება, იცოხნება, იწყევლება, იჭყლიტება, იხედება, იხვეწება და სხვაო, აღნიშნავს ა. შანიძე, ინიანი ვნებითია, ხოლო მნიშვნელობით აქტიურიო[29]. ამ ნიმუშებს ვუმატებთ. იკაწრება, იარაღდება, იარება (დადის), იფურთხება, იბარგება, იბუზება, იბუტება, იბღაჯნება (ბღაჯნის), იბღინძება, იზმორება, იკვებება, იკაზმება, იკორტნება (კორტნის), იკოცნება, იკრიბება (ხალხი), იკრიჭება (ულაზათოდ იცინის), ილუკმება, გაილურსა, ინაბება, იტრუნება, იმადლება, იმოწმება, იმრიზება, ინაზება, ინავსება (ნავსავს), იმალება, იპარება, იპრანჭება, ირთვება (იკაზმება) ირქინება, ირჩოლება, ირჯება (ჯაფას ეწევა), იტყლარჭება, იტყობინება, იტყუება, იუწყება (აცნობებს), იფუთნება (თბილად იცმევს), იფხორება იქადნება, იქაჩება (საჩხუბრად), იჭიმება (საჩხუბრად), იქექება, იქუფრება, იქცევა (კარგად იქცევა, თავი უჭირავს კარგად), იღეჭება, იღიმება, იღუშება, იყეფება, იყვედრება, იჩქმიტება, იცემება, იჭაჭება, იჭვრიტება, გაიჭრა (იგი ველად გაიჭრა).

ენიანის ნიმუშები:

ეკვეთა, ეცა, ებრძვის, შეება, ეტაკა, ეჩხუბება, ემუქრება, ეკამათება, ეჭიმება, ეჯება, ევედრება, ებრდღვნა, ეძგერა, ებუზღუნება, ებუტება, ებუტბუტება, ებღაუჭება, ებღლაძუნება, ეგებება, ეთამაშება, ედავება, ევაჭრება, ეზავება, ეღობება, ერჩის, მიეძალა, ერიდება, ეღრება, ეწაფება, ელაპარაკება, ეშურება, ეკითხება, ერევა (ჩხუბში მოერია), ერკინება, ესარჩლება, ექომაგება, ემოწმება, ესაუბრება, ესატყვისება, ესაყვედურება, ეტმასნება, ეტიკტიკება, ეტიტინება, ეწყახურება, ენაზება, ენაძლავება, ეომება, ეპაექრება, ეპატიჟება, ეპუება, ეფაფრება, ეუფლება, ეურჩება, ეფიცება, ექილიკება, ექცევა (კარგად ეპყრობა), ეჯიბრება, ეჯაჯგურება, ეჯახება, ეხუმრება, ექიცნება, ეკაპასება, ეკიდება, ეკინკლავება, ელოდება, ემალება, ეპარება, მიეპრა (მიუვარდა), ეშველება, ეშუღლება, ეცილება, გამოეცხადა, ეწევა (ჭაპანს), ეჭიდაება, ეღრინება, ეხმარება, ელაქუცება, ეპირფერება...

აღნიშნულ შემთხვევებში, წინააღმდეგ მოსალოდნელი პასიური სუბიექტისა, რეალურად შემსრულებელი პირი, სუბიექტი, ჩანს და სავსებით აქტიურიც არის (ზოგჯერ თავისი მნიშვნელობით ზომაზე მეტად).

ვნებითი გვარის პრეფიქსული ფორმალური მაჩვენებლების -ი-სა და -ე-ს წარმოქმნის თვალსაზრისით საინტერესო ფაქტია, რომ ისეთი აქტიური მნიშვნელობის ზმნები, როგორიცაა: „ებრძვის, ერჩის, ემე-

---

[29] მაგალითებისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გარამატიკის საფუძვლები, გვ. 305–

რება, ელის, ელირება, ეცა, შეიჭრა, გაიჭრა...“[30], მხოლოდ ვნებითის ფორმით არსებობს, მას სათანადო მოქმედებითი არც მოეპოვება.

პრეფიქსული ვნებითისაგან, ამ მხრივ, მკვეთრად განსხვავდება დ-ნიანი ვნებითი, სადაც აშკარად იგრძნობა სუბიექტის მოქმედების თვითგანცდა, მოქმედების პროცესის პასიური ხასიათი. შდრ.: გაცხელდა, გადიდდა, გაუნათდა, გაშეშდა, გათეთრდა, გაუტყდა, აშენდა, გაუქვავდა, შეუწუხდა, გაუკეთდა, ბეჩავდება, ცურდება, მშვენიერდება...

ამავე ხასიათის არის სუფიქსური წარმოების ვნებითის მეორე ტიპიც — „უნიშნო ვნებითი“.

მაგ.: ხმება, დნება, კვდება, ლპება, დგება, ჯდება, ლღვება, უხმება, უნდება, ულპება, უჯდება, ულღვება, თბება, უთბება...

ხშირად ქცევის ფორმალური მაჩვენებლები არ მიუთითებენ ზმნის პირთა კუთვნილებით ურთიერთობაზე, ასე ვთქვათ, ქცევის მნიშვნელობისაგან დაცლილ ფორმალურ ერთეულებს წარმოადგენენ[31]. მაგ.: „იკითხა (სახელი), შეინახა, წაიღო, მოიტანა, მოიპარა, ითხოვა (პური), მოიტაცა (ქალი)“, ინახულა; იხილა, ისროლა, იცის, იწყებს (ზოხსენების კითხვას), მოითმინა, დაიძახა, დაიჭირა, იყიდა, ივაჭრა, დაიბარა, გაისტუმრა, იბრძოლა (მან ომში), მოიტყუა და საერთოდ ბევრი აქტიანები: იქროლა (ქარმა), იყვირა, იბზუილა, იდუღა, იცხოვრა, ითოვა, იწვიმა, გაიელვა, იქუხა, იცურავა, იმეფა, იდინა (წყალმა), იწვეთა, იბოლა, იწუხა, იქანავა, იგორავა, იჭიდავა, იბანავა, ითევზავა, იცეკვა, იკოხტავა... ასევეა: უცქერის, უყურებს, უჰყიტინებს, უსმენს, დაუძახა, უღიმის, უცინის, უხარია, უწყის, დაუახლოვდა; დაუგეგობრდა, შეუდგა (მუშაობას) გაუკვირდა, უჭირავს, დაუჩქარა, უყვარს, დაუმოყვრდა, უპასუხა, უკბინა, უკრავს (ფორტეპიანოზე), უსტვენს (მელოდიას), უნდა, გაუსწრო, გაუშვა, დაუბარა, უთვალთვალებს, ურტყამს, დაუშვა, აურია (ღვინო წყალს)...

ხშირად ქცევის ფორმალური მაჩვენებლები სათანადო მნიშვნელობას არ გადმოგვცემენ, ფორმალური ნიშნის გრამატიკული კვალიფიკაცია არ ეთანადება გადმოცემულ მნიშვნელობას.

ა) ფორმით სასუბიექტოა მნიშვნელობით საობიექტო:

შემიბრალა (მან მე), შემიცოდა (მან მე), შემოვრდომა (მან მე), შემიკედლა (მან მე), შემიყვანა (მან მე), წამიყვანა (მან მე), დამიცვა (მან მე)...

---

[30] ნიმუშებისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 319.

[31] ნიმუშებისთვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 338; ბოედერის დასახ. ნაშრომი, გვ. 97—99 (2—3).

ბ) ფორმით საობიექტოა მნიშვნელობით სასუბიექტო: მინდა, უხარია, უკვირს, უყვარს...

ვნებითი გვარის დახასიათება სუბიექტის მოქმედების პასიურობის განზომილების მიხედვით და ქცევისა — მის მიერ გამოსახულ პირთა კუთვნილებითი ურთიერთობის მნიშვნელობით, ანალიზის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს და, შეიძლება ითქვას, ყველაზე პირობითსაც. ჩვეულებრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრული ანალიზი კომბინირებული საშუალებების გამოყენებას მოითხოვს.

გვარისა და ქცევის შემთხვევაში პირთა თანაფარდობის გათვალისწინება (ზმნის პირიანობის თვალსაზრისით), ფორმაწარმოქმნილი ერთეულების შეპირისპირება მათსავე საპირისპირო არაფორმაწარმოქმნილებთან, ფორმალური მაჩვენებლების რაობის გარკვევა მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით და ზოგი სხვა მახასიათებელი ნიშანი თავისი ხვედრი წონით კვლევისათვის უფრო არსებით და სარწმუნო არგუმენტებს წარმოადგენენ.

პრეფიქსიანი ვნებითი თავის ფორმალურ მაჩვენებლებს, ზმნის პირიანობასთან თანაფარდობის მიხედვით, უნდა ინაწილებდეს შემდეგნაირად: ი- ერთპირიან ვნებითს აწარმოებდეს, ხოლო ე- ორპირიანებს. ხშირად ეს პირობაც არ არის დაცული.

1. ი- ერთპირიანის ნაცვლად ორპირიან ზმნებში გვეძლინება ვნებითობის ფორმალურ მაჩვენებლად: იძლევა (იგი მას), იმადლება (იგი ლუკმას), იმუქრება (იგი ცემას), იძარცვება (ის მას), იხვეწება (იგი წასვლას), იევედრება (იგი მას) იფიცება (იგი დედას) იტყობინება (ი. ამბავს), ირწმუნება (იგი მას), იტყუება (ის მას).

2. ე- პრეფიქსი ვნებითს უნდა აწარმოებდეს მხოლოდ ორპირიანებში, ვხვდებით კი ერთპირიან და სამპირიან ზმნებთანაც.

ა) ე-ნიანი ვნებითი, რომელსაც ერთი პირის გაგება აქვს: ჩაეწერა (ის სიაში), გაემართა (ის), გაემგზავრა (ის), მოემზადა (ის), გაეჭანა (ის), მოეწყო (ის), გაეთრა (ის), დაეზხო (ძალაუფლება), დაეშვა (საბურავი), დაეცა (ის), ერია (ის მათში), ეგდო (ის მიწაზე) ეტეოდა (ის იქ) ეწყო (ის იქ), ესვენა (ის იქ), ება (ის იქ), ეფანტა (ის იქ), ეწინა (ის იქ), ეფარა (ის იქ), ეყარა (ის იქ), ეფლა (ის იქ), ეწყალი (წყალი იქ)[32], ენარცხება (ის), მოეშვა (ის დაღლილობისაგან), დაესახლა (ის იქ), ენთო (იქ ლამპიონები), ამასვე მოჰყვება ორგნების ვნებითი“ ეღიმება, ეცინება, ეტირება, ემღერება, შეეშინდა (მას), გაეღვიძა (მას), დაეძინა (მას), ეყვინთება (მას)...

---

[32] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 321, 325.

ბ) ე-ნიანი ვნებითი, რომელსაც სამი პირის გაგება აქვს: შეეკითხა (ის მას მას), ეხვეწება (ის მას მას), ეევდრება (ის მას მას), დაემუქრა (ის მას მას), ედავება (ის მას მას), ეუბნება (ის მას მას), ელაპარაკება (ის მას მას), ეტყვის (ის მას მას), ეთამაშა (ის მას მას), ეფიცება (ის მას მას), ეუღერა (ის მას მას), ევაჭრა (იგი მას საქონელს), ეჩურჩულება (იგი მას მას), ეძახის (ის მას სახელს)...

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქცევის შემთხვევებშიც. მოქმედებითი გვარის ზმნებთან საობიექტო ქცევა სამპირიანი უნდა იყოს, სასუბიექტო კი — ორპირიანი.

ა) ობიექტური ქცევის უ- პრეფიქსს ვხვდებით მოქმედებითი გვარის ორპირიან ზმნებში ნაცვლად სამპირიანისა: უკბინა (მან მას), უჩმიტა (მან მას), გაუცინა (მან მას), გაუღიმა (მან მას), გაუსწრო (მან მას), უყურა (მან მას), უქროლა (ქარმა მას), აუჩქარა (მან ფეხს), უკრავს (ის სიმფონიას)... შეიძლება „უკრავს“ იყოს ერთპირიანიც. შდრ.: უკრავს (ის ფორტეპიანოზე).

ვნებითის მაწარმოებელ ფორმალურ ნიშანს ე- პრეფიქსს გარდამავალი კონსტრუქციის ზმნებთანაც ვხვდებით, რომელთაც მოქმედებითი გვარის სტრუქტურა აქვთ: ესროლა (მან მას ის), მიეცა (მე მას ის), ეძება (მან იგი).

ვნებითი გვარის პრეფიქსული ფორმალური მაჩვენებლები გამოყენებულია განსხვავებული მნიშვნელობითი ნიუანსების აღსანიშნავადაც, რომელიც არის შესაძლებლობის ვნებითი, ანუ რომელიც ამას აკად. ჩიქობავა უწოდებს, პოტენციალის მნიშვნელობის ვნებითი. ვნებითის ეს სახეობა მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომელიც შესაძლებელია, ნებადართულია. მაგ., იქმევა — ექმევა; იცვება — ესმევა[33].

ჭანურში, ისევე როგორც ქართულში, პოტენციალისის და ვნებითის მაწარმოებელი ფორმები საზიაროა, მაგრამ მეგრულში პოტენციალისი ვნებითისაგან თითქმის მთლიანად გამიჯნულია ფორმაწარმოების მხრივ[34].

მიჩნევის ვნებითის შემთხვევებში გადმოცემულია „თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს, ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს. ასეთი ფორმა ყოველთვის ორპირიანია და მხოლოდ ნასახელარ ზმნებში გვხვდება. ამ შემთხვევაშიც ვნებითი

---

[33] არნ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლების, გვ. 299—300.

[34] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 113.

პრეფიქსიანია ,მისი ნიშანია ე: მედიდება, მებევრება, მეცოტავება, მემწარება, მემძიმება, მელამაზება“[35].

არის გუნების ვნებითიც, „რომელიც გამოხატავს, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება („გუნება“) მიმართულია იმ მოქმედებისკენ, რომელიც ზმნით არის აღნიშნული. ეს ვნებითი უთუოდ ორპირიანია და ე-თია ნაწარმოები: მემღერება, მეცინება, არ მეტირება, მეცეკვება[36].

ა. ფოცხიშვილი გეთავაზობს კიდევ ერთ სახეობას, მხოლოდ უკვე დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიის უფლებით და, რომელსაც უნებლიობის კატეგორიას უწოდებს. „უნებლიობის კატეგორია გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც რეალურმა სუბიექტმა — მოქმედების რეალურმა ჩამდენმა — შეასრულა უნებლიეთ, წინასწარ განუსაზღვრელად, შემთხვევით, ისე, რომ მას ამის გაკეთება არ სურდა. მაგ.: კაცი შემომაკვდა, ფული შემომეხარჯა, ფული შემომეჭამა, მეზობელი შემომელანძღა“[37]. ამ კატეგორიის მაწარმოებლად ა. ფოცხიშვილს მიაჩნია „შემო“ ზმნისწინი; სწორედ მას („შემო“-ს) უნდა ეკისრებოდეს უნებლიობის კატეგორიის წარმოებაო[38]. აღნიშნული ფაქტის მიმართ ა. ფოცხიშვილის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ზმნისწინი „შემო“ „უნებლიობის კატეგორიას“ რომ აწარმოებდეს, მაშინ მას სხვა შემთხვევებშიც იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც მასალებით არ დასტურდება, შდრ.: შემო-ეკრა, შემო-ეტმასნა, შემო-უწვა, შემო-უდგა (ის მას ხარჯში), შემო-ცვივდნენ (ბავშვები), შემო-ეცალა (ხეს ფოთლები), შემო-ესმა (მას ხმა)... არსად უნებლიეთ მოქმედების მნიშვნელობა არ იგრძნობა. მით უფრო არ აქვს „შემო“ ზმნისწინს უნებლიეთ მოქმედების ნიუანსი გარდამავალ ზმნებში: შემო-იწყო, შემო-ამტერია, შემო-ინახა, შემო-იხია, შემო-ირტყა, შემო-ანგრია... მეორე მხრივ, უნებლიეთ მოქმედების მნიშვნელობა აშკარად იგრძნობა სხვა ზმნისწინებით წარმოების შემთხვევაში, მაგ.: ა-მენთო, გა-მეღო (თვალები), მი-მელულა (თვალები), და-მესწავლა („კითხვაში ლექსი ზეპირად დამესწავლა“), გა-მიღარდა (ტყვიაზე რომ იტყვიან)... აღნიშნული ნიმუშები იმაზე მეტყველებენ, რომ უნებლიობის მნიშვნელობას მხოლოდ „შემო“ ზმნისწინი არ გამოხატავს, ვფიქრობთ, უნებლიობის ასახვის შემთხვევები იმ რიგს განეკუთვნება, სადაც

---

[35] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 300.

[36] იქვე, გვ. 300—301.

[37] ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, საუბილეო კრებული—გიორგი ახვლედიანს, თბილისი, 1969, გვ. 153.

[38] იქვე, გვ. 154.

გრამატიკული მიმართების მნიშვნელობის ნიუანსს გადმოგვცემს მორფთა გარკვეული გაერთიანება, მათი მიმდევრობა.

მით უფრო ვერ დავეთანხმებით ავტორს, როდესაც იგი ამ შემთხვევებისათვის გრამატიკული კატეგორიის უფლებას მოითხოვს; უნებლიეთ მოქმედების ამსახველი ყველა შემთხვევა თავსდება ვნებითობის გრამატიკულ კატეგორიაში. იგი მხოლოდ ნიუანსია, რომელიც ერთი მნიშვნელობის გრამატიკული მიმართების ფარგლებს არ სცილდება[39].

ვიდრე ანალიზს გავაგრძელებდეთ, მინდა ყურადღება გავამახვილო მორფემათა კვლევის მეთოდოლოგიური ხასიათის ერთ საკითხზე. ფორმობრივი ელემენტის ფუნქციური ღირებულების დადგენა ნიშნავს, გავითვალისწინოთ, ზოგჯერ კი გამოვამჟღავნოთ, მისი ფუნქციური დატვირთვის ყველა შემთხვევა. დიაქრონიის ჭრილში ეს მოგვცემს მასალას მორფემის წარმომავლობისა და გენეტური კავშირების მიკვლევისათვის, ხოლო სტატიკურ ჭრილში — მორფემის ზუსტ და სრულ კვალიფიკაციას.

ფუნქციური დატვირთვის აღნუსხვა კი ნიშნავს, აღვწეროთ ყველა შესაძლებელი, როგორც პარადიგმატული, ასევე სინტაგმატური ხასიათის მიმართებები, რადგანაც მორფემები მათთან თანაარსებულ ერთეულებთან პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებაში იმყოფებიან. მორფემის მიმართებათა მნიშვნელობების ჯამი ქმნის მის ღირებულებას. ასეთია თანამედროვე ენათმეცნიერების კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიური ხასიათის ძირითადი საშუალება. მიმართების დადგენა შეიძლება მხოლოდ ერთეულთა შეპირისპირების წესით. მაგრამ ნებისმიერი ორი ერთეული შეპირისპირებისათვის არ გამოდგება. ფუნქციურადაც და ფორმალურადაც (ე. ი. გამოხატულების მიხედვით) იდენტური ერთეულები ერთი და იგივეა, იდენტურია და მათი შეპირისპირება საფუძველს მოკლებულია. ფუნქციურად (მორფემისათვის გამოხატულების მიხედვით სხვაობას ანგარიში არ ეწევა) საკმაოდ განსხვავებული ერთეულებიც ვერ ქმნიან შეპირისპირებისათვის საჭირო პირობას. შეპირისპირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფუნქციურად მინიმალურად, ე. ი. მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით, განსხვავებული ორი ერთეული. ასეთი ორი ერთეული ფუნქციურად თანაზომიანნი არიან და ერთნაირად უპირისპირდებიან სათანადო მესამე ერთეულს. ამგვარად, ენა შეპირისპირებათა ერთიან სისტემას წარმოადგენს, სადაც ყოველი ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება სხვა ერთეულებთან მიმართებაში.

---

[39] უნებლიობის ამსახველი შემთხვევები ყოველთვის ვნებითი გვარისაა.

სტრუქტურული ენათმეცნიერების კვლევის ეს საშუალება თავისი, უდავოდ და ჭეშმარიტად, მეცნიერული ხასიათის გამო ანალიზისათვის მეტად მიზანშეწონილი და შესაფერისი ხერხია. მეთოდის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ კვლევის ასეთი საშუალებები არაცნობიერად, თავისთავად პოულობს გამოყენებასა და აღიარებას ლინგვისტების ნაშრომებში. ამით აიხსნება, რომ აკად. ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში ამ მეთოდებით ხელმძღვანელობს. როგორც გ. მაჭავარიანი აღნიშნავს, ა. შანიძის მეთოდოლოგიური აპარატი, კვლევის ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ის ცდილობს ამოხსნას ქართული ენის უაღრესად რთული მორფოლოგიური მექანიზმის საიდუმლოებანი, განსაცვიფრებელ მსგავსებას ამჟღავნებს ლინგვისტური კვლევა-ძიების იმ მიმართულებასთან, რომელიც „სტრუქტურალიზმის“ სახელით არის ცნობილი. თუმცა „ა. შანიძეს არ შეუქმნია ენის ზოგადი თეორია და არ ჩამოუყალიბებია ამოსავალი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად უძევს კვლევის მის მეთოდებს“[40].

ა. შანიძე სტრუქტურული ლინგვისტიკის სტრუქტურულობის პრინციპით ადგენს ოპოზიციურ წყვილებს. ასეთ ოპოზიციურ წყვილებს ანუ შეპირისპირებებს მოგვცემს ისეთი ორი ერთეული, რომელიც ერთმანეთს ფუნქციურად დაუპირისპირდება მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით.

ერთეულის გრამატიკულ მნიშვნელობას ანუ მის ადგილს გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში განსაზღვრავს ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპით: ფუნქციონალურად ეკვივალენტური ერთეულები იდენტურია. ამგვარად, ფორმალურ ერთეულთა შეპირისპირება, ანუ სუბსტიტუცია, ძირითად საშუალებას წარმოადგენს მორფემათა დასახასიათებლად მათი ფუნქციური ღირებულების მისაღწევად.

ნათქვამის ნათელსაყოფად განვიხილოთ ანალიზის პროცესი ა. შანიძესთან.

„გვარის მიხედვით“ „დაწერა“ მოქმედებითია, რადგანაც მოიცავება საპირისპირო „დაიწერა“, რომელიც ვნებითია.

ქცევის მიხედვით „დაწერე“ საარვისოა, რადგანაც მას პირისპირ სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები უდგას: „დავიწერე“ (სათ.); „დავუწერე“ (სასხვ.)...

---

[40] იხ. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ა. შანიძის გრამატიკული კონცეფცია სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, საუბილეო კრებული ეორიონიდ, თბ., 1967.

როგორც ვხედავთ, ფორმების დაპირისპირება ერთი ნიშნის მიხედვით ხდება, დანარჩენი ნიშნები კი ყველა საერთოა (ხაზი ჩვენია — მ. დ.)... რიცხვის გამორკვევის დროს საპირისპირო ფორმებში პირიც იგივე რჩება, დროც, კილოც და სხვა კატეგორიები (ულლებისა და წარმოქმნისა), გვექნება ამგვარი შეყრა პირისპირ: ვაკეთებ — ვაკეთებთ. ქცევის გამორკვევის დროს მარტო კუთვნილება-დანიშნულებას ვაქცევთ ყურადღებას, სხვა ნიშნები კი ყველა უცვლელია; გვაქვს ასეთი საოპოზიციო ცალები: დავწერე-დავიწერე-დავუწერე. ასეთივე მეთოდით ვარკვევთ სხვა კატეგორიებსაც"[41]. (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. დ.).

ვნებითი გვარის პრეფიქსული ე საობიექტო ქცევის ი-/უ-, ფორმალური მაჩვენებლების მნიშვნელობას ითავსებს. ამაში დაგვარწმუნებს საოპოზიციო ერთეულთა შეპირისპირება. გავიხსენოთ პირობა, გვარის მიხედვით შეპირისპირებამ უნდა მოგვცეს მხოლოდ გვარით განსხვავებული, ხოლო ყველა სხვა გრამატიკულ-ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით იგივე, უცვლელი, ერთეული. ასევე უნდა იყოს ქცევის, კაუზატივისა და საერთოდ ყველა სხვა შემთხვევაშიც.

ვიდრე განვიხილავდეთ ე-ს მიმართებას საობიექტო ქცევასთან, უნდა მივაქციოთ ყურადღება ინიანი ვნებითის საპირისპირო მოქმედებითის შემთხვევებზე.

ი- პრეფიქსიანი ვნებითის შეპირისპირება საპირისპირო მოქმედებითთან გვაძლევს მოქმედებითი გვარის შემდეგ ფორმებს; მაგალითად, იქოლება — ქოლავს, იბარგება — აბარგებს, იბუტება — აბუტებს, იპარება — აპარებს, იკაწრება — კაწრავს, იბღაჯნება — ბღაჯნის, გაილურსა — გალურსა, გაიტრუნა — გატრუნა, იმალება — მალავს, იქექება — ქექავს, იზრდება — ზრდის, იშლება — შლის, იფურჩქნება — ფურჩნის, — იწელება — წელავს, იწერება — წერს, იხატება — ხატავს, იცანძება — კანძავს... სპორადულად გვაქვს სხვაგვარი შემთხვევევებიც: „ამ ინსტრუმენტზე კარგად იკვრება" სათანადო მოქმედებითი მოგვცემს „ამ ინსტრუმენტზე კარგად უკრავს"; ვნებითის ფორმა „იკვრება" გვარის მიხედვით შევუპირისპირეთ სათანადო მოქმედებითს და მივიღეთ გვარის მიხედვით საპირისპირო-მოქმედებითის-ფორმა საობიექტო ქცევის ნიშნით. გვარის მიხედვით შეპირისპირებას უნდა მოეცა მხოლოდ გვარით განსხვავებული ფორმა, სხვა ნიშნებით კი იგივე.

სხვა შემთხვევაში: „კინოში იწყება სეანსი" სათანადო მოქმედებითი იქნება „კინომექანიკოსი იწყებს სეანსს". ამჯერად ინიანი ვნე-

[41] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 392.

ბითის ფარდი მოქმედებითი სასუბიექტო ქცევის ნიშნიანია; ან „აქ წიგნები ინახება“ — „აქ ფულს ინახავს“... სხვა შემთხვევებში იღიმება— უღიმის „ იყურება — უყურებს.

ამგვარად, ინიანი ვნებითის, გვარის მიხედვით ფარდი, მოქმედებითის ფორმები არიან: უპრეფიქსონი, ა პრეფიქსიანები (ამ შემთხვევაში ა პრეფიქსი მოქმედებით გვარს აწარმოებს და მისი არსებობა ამ ფორმებში გამართლებულია) და სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მაწარმოებელი — ი, უ პრეფიქსიანები. რა თქმა უნდა, ამის გამო ჩვენ არ ვაკეთებთ დასკვნას, რომ ინიანი ვნებითის ფორმა ითავსებს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მნიშვნელობებს, რადგან, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, უკრავს, უცინის, უღიმის, უყურებს, იწყებს, ინახავს ფორმები ქცევის მნიშვნელობისაგან დაცლილ ერთეულებს წარმოადგენენ[42], თუმცა აღნიშნულ სიტყვაფორმებს ქცევის მიხედვით საპირისპირო ფორმები მოეპოვებათ: შდრ.: დაიწყო — დაუწყო, შეინახა — შეუნახა, გაიღიმა — გაუღიმა, იყურა — უყურა, დაიკრა — დაუკრა.

თვით ის ფაქტი, რომ ფორმას მნიშვნელობა გამოეცალა, ანგარიშგასაწევ არგუმენტს წარმოადგენს სათანადო დასკვნების გამოსატანად.

ამგვარად, ინიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი სპორადულად წარმოდგენილია სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მაწარმოებელი პრეფიქსებით, მაგრამ ეს ფორმები ქცევის მნიშვნელობისგან დაცილებია.

ი- პრეფიქსიანი ვნებითისაგან განსხვავებით, ე- პრეფიქსიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი, როგორც წესი, საობიექტო ქცევის ნიშნიანია, რომელსაც საობიექტო ქცევის მნიშვნელობაც აქვს. აღნიშნულმა ფაქტმა საფუძველი მოგვცა, გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ენიანი ვნებითის ფორმალური მაჩვენებელი, ე-, ითავსებს საობიექტო ქცევის მნიშვნელობას.

ენიანი ვნებითის დაპირისპირება გვარის მიხედვით გვაძლევს საპირისპირო მოქმედებითს საობიექტო ქცევით. გვარის მიხედვით შეპირისპირებამ გამოააშკარავა ენიანი ვნებითის ფარულად შეთავსებული ფუნქცია. ენიანი ვნებითი, ფარდ მოქმედებითთან შეპირისპირებაში, პოტენციური ერთეული აღმოჩნდა ქცევის მნიშვნელობის გამომქლავნებისათვის.

განვიხილოთ ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითის შემთხვევები:

ეზნიქება — უზნიქავს, ეხრება — უხრის, ედრიკება — უდრეკს, ეგლიჯება — უგლეჯს, ელუნება — უღუნავს, ეძრახება — უძრახავს,

[42] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 357—359.

ეთლება — უთლის, ეთელება — უთელავს, ეთვისება — უთვისებს, ეთავსება — უთავსებს, ეთმობა — უთმობს, ეკუმშება — უკუმშავს, ეკურნება — უკურნავს, ეკერება — უკერავს, ეთხვრება — უთხვრის, ეკარგება — უკარგავს, ელანძღება — ულანძღავს, ელეწება — ულეწავს, ემასხრება — უმასხრებს, ემატება — უმატებს, ესახება — უსახავს, გაეშალა — გაუშალა, გაეფურჩქნა — გაუფურჩქნა, გამოეცხადა (მას განაჩენი) — გამოუცხადა, ეწევა (პაპანს) — უწევს, ეშლება (მას ხელი)— უშლის, დაემალა — დაუმალა, დაენგრა — დაუნგრია, გაეზარდა — გაუზარდა, შეეკედლა — შეუკედლა, ებეჭება — უბეჭავს, ებერება — უბერავს, ებერტყება — უბერტყავს, ებეჭდება — უბეჭდავს, ებზარება — უბზარავს, გაებლანდა — გაუბლანდა, ებლიტება — უბლიტავს, დაებნა — დაუბნია, ებორკება — უბორკავს, ებოჭება — უბოჭავს, ებრიცება — უბრიცავს, ებრაწება — უბრაწავს, ებუგება — უბუგავს, ეზიდება — უზიდავს, ევსება — უვსებს (ის მას ჭურჭელს)...

ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი ა პრეფიქსიანიცაა: შემოერტყა (ქამარი წელს) — შემოარტყა, ეკვრის (ხალიჩა კედელს) — აკრავს, დაეკისრა (მას საქმე) — დააკისრა, გაემგზავრა (ის) — გაამგზავრა (მან ის), ემზადება (ის) — ამზადებს (ის მას), — ეთრევა (ის) — ათრევს (ის მას), ენარცხება — ანარცხებს, მოეწყო (ის) — მოაწყო, (მან ის), დაემხო-დაამხო, გაება (ის) — გააბა (მან ის), დაება-დააბა, ესვენა (მიცვალებული) — დაასვენა, ენიშნება- — ანიშნებს, ელაგა (ის) — დაალაგა (მან ის), ეგდო (ის) — დააგდო (მან ის), დაეჯახა — დააჯახა, ესმევა — ასმევს, ეპმევა — აპმევს, ეძლევა — აძლევს, ეძლევა — აძლევს, ეცმევა — აცმევს, შემოეპარა — შემოაპარა, შემოეხარჯა — შემოახარჯა, დაესახლა — დაასახლა, შემოეგლიჯა — შემოაგლიჯა, ესესხა — ასესხა, ერიდება — არიდებს, მიეყუდა — მიაყუდა...

აქ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი, როდესაც ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი სამპირიანია და ა-პრეფიქსიანი, მაშინ ა-პრეფიქსიანი მოქმედებითი ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენებულ პარალელურ ფორმებს ქმნის უ, ჰ, ს, პრეფიქსიან მოქმედებითთან:

ეგუება — უგუებს / აგუებს (მებაღე ყვავილს ჰავას)

ეგლიჯება — ჰგლეჯს / უგლიჯს / აგლეჯს (ის მას ტანსაცმელს)

ედრება — უდარებს / ადარებს (მასწავლებელი ბეჯითს ზარმაცს)

მიესივნენ — მიუსიეს / მიასიჭს (მეცხვარეებმა ძაღლები მგელს)

ეჯიბრება — უჯიბრებს / აჯიბრებს (დედა შვილს ამხანაგს)

ემსახურება—უმსახურებს, ამსახურებს (გლეხი შვილს ბატონს)

ამოეწმინდა—ამოუწმინდა, ამოსწმინდა (დედამ შვილს თვალები)

ეწვევა—უწვევს, აწვევს (შვილი დედას სტუმრებს)

ეგებება—უგებებს, აგებებს (ის მას მას)

ეთავსება—შეუთავსა, შეათავსა (მან ისინი ერთმანეთს)

ეკაწრება—ჰკაწრავს, აკაწრავს, უკაწრავს (კატა ბავშვს სახეს)

მოეჭამა—მოაჭამა, მოსჭამა (ძაღლმა მელას კუდი)

მოეჭრა—მოაჭრა, მოსჭრა (დალაქმა გოგონას თმა)

ეწყვიტება—აწყვეტს, სწყვეტს (ძაღლი მელას კუდს)

ამ შემთხვევებს ჩვენ კვლავ განვიხილავთ უ-, ა-, ს-, ჰ, ფორმათა ანალიზთან დაკავშირებით.

ე-ნიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი კაუზატიური მნიშვნელობის მქონე ა- პრეფიქსიანია.

ელოდება—ალოდინებს, ეხვეწება—ახვეწინებს, მოეწყო (მგელი—ცხვარს) — მოაშვებინა (კაცმა მგელი ცხვარს), დაეღვება — დააღვენს. შემენანა — შემანანა, მეხამუშა — მახამუშა, შეებრალა — შეაბრალა. შეეცოდა — შეაცოდა, დაეჭიდა — დააჭიდა, ეფიცება — აფიცებს, ეკიცრება — ავაკრებს, ელაპარაკება — ალაპარაკებს, ეგებება — აგებებს. ეწაფება — აწაფებს, ეწონება — აწონებს, ეგლება — აგლებს...

საპირისპირო მიღებული ერთეულები გვარით მოქმედებითია და აშკარა კაუზატივიც: „სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით“[43].

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ენიან ვნებითს ეს ფარდად საპირისპირო მოქმედებითში მოეღის ირიბი ობიექტის ნიშნად ჰ-ან ს-, რომელსაც ზოგჯერ აშკარად ქცევის მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ ალნიშნული სათანადო ნიმუშების მიხედვით: მიეწერა (წერილი კაცს) — მისწერა (ამხანაგმა კაცს წერილი), მოეჭამა (მელას კუდი) — მოსჭამა ძაღლმა მელას კუდი) კუდი მელასი იყო. ასეთ პი-

[43] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 367.

რობას ითხოვს სასხვისო ქცევა[44]. მოეჭრა (მას თავი) — მოსჭრა (მან მას თავი). აქაც ცხადია საობიექტო ქცევის მნიშვნელობა. მოეკვეთა (ქურდს ხელი) — მოჰკვეთა (ჯალათმა ქურდს ხელი) ისევ საობიექტო ქცევაა. მოებანა (მას სისხლი) — მოჰბანა (მან მას სისხლი) ისევ საობიექტო ქცევასთან გვაქვს საქმე. მოეგლიჯა (ბავშვს სახელო) — მოჰგლიჯა (ამხანაგმა ბავშვს სახელო) ქცევა საობიექტოა. სახელო ბავშვის იყოს. ეწყვიტება (მელას კუდი) — სწყვეტს (ის მელას კუდს) საობიექტო ქც.); ელადრება (მას ყელი) — ჰლადრავს (ის მას ყელს. საობიექტო ქც.); ეფხანება (მას ზურგი) — ჰფხანს (ის მას ზურგს. საობიექტო ქც.); ეწირება (სიცოცხლე ომს) — სწირავს (კაცი სიცოცხლეს ომს. საობ. ქც.); ეკაწრება (მას სახე) — ჰკაწრავს (ის მას სახეს. საობ. ქც.); ეფინება (სახეს ნათელი) — ჰფენს (მზე სახეს ნათელს. საობ. ქც.); ეთხოვა (მას მოსვლა) — სთხოვა (მან მას მოსვლა. საობ. ქც.); ეგვრება (ბატონს ყმა) — ჰგვრის (ის ბატონს ყმას. საობ. ქც.); ეკრება (მათრახი ძაღლს) — ჰკრავს (კაცი ძაღლს მათრახს):, ეკიდება (მღვდელს ჯვარი) — ჰკიდებს (ეპისკოპოსი მღვდელს ჯვარს); ეწვის (მას სახე) — სწვავს (მზე მას სახეს. საობ. ქც.); სდის (მას სუნი) — უდის, მოსჭამა — მოუჭამა, მოსჭრა — მოუჭრა, მოუბანა — მოჰბანა, ჰლადრავს — ულადრავს, უწვავს — სწვავს, ჰფხანს — უფხანს და სხვები, სრულიად ნათელია, რომ შინაარსით იდენტურებია[45]. ამას ადასტურებს სიტყვა-ხმარებაში მათი ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენება. სულერთია ვიტყვით უფხანს თუ ჰფხანს, უბანს და ჰბანს, ჰლადრავს თუ ულადრავს, უწვავს თუ სწვავს და ა. შ.

ფუნქციური დატვირთვის გამოვლენის მიზნით ინიანი და ენიანი ვნებითის შეპირისპირებამ მათ ფარდ მოქმედებითი გვარის ფორმებთან გვიჩვენა, რომ ინიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს:

1. ა-პრეფიქსით, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებითს აწარმოებს. (ი-პარება — ა-პარებს).
2. ი-პრეფიქსით, რომელიც სასუბიექტო ქცევისაა, მაგრამ ქცევის მნიშვნელობა არა აქვს (ი-ნახება — ი-ნახავს).
3. უ-პრეფიქსით, რომელიც საობიექტო ქცევისაა, მაგრამ ქცევის მნიშვნელობა არა აქვს (ი-ყურება — უ-ყურებს).
4. უპრეფიქსო ორპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმით (ი-ზრდება — ზრდის).

---

[44] იხ. იქვე, სასხვისო ქცევის განსაზღვრა.

[45] შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 355—356.

აღნიშნულ შემთხვევებში მოქმედებითი გვარის სასუბიექტო და საობიექტო ქცევიანი ფორმები (ი-ნახავს, უ-ყურებს) ქცევის მნიშვნელობის თვალსაზრისის მიხედვით გაყინული ფორმებია. ორპირიანი მოქმედებითი გვარისათვის მათ სხვა ფორმა არც აქვთ.

ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი, როგორც წესი, საობიექტო ქცევისაა, როგორც ფორმით, ასევე მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევებში გვაქვს საფუძველი დასკვნისათვის: ვნებითის ე- ითავსებს საობიექტო ქცევის მნიშვნელობასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ფარდი მოქმედებითის ფორმა მხოლოდ გვარის მიხედვით უნდა ყოფილიყო განსხვავებული, არის კი — გვარითაც და ქცევითაც. (ე-მალება — უ-მალავს). გვაქვს სხვა შემთხვევებიც, როცა ენიანის ფარდი მოქმედებითი არის:

1. ა- პრეფიქსიანი (დაეკისრა — დააკისრა).

2. ა პრეფიქსიანი კაუზატიური მნიშვნელობის ფორმები (ელოდება — ალოდინებს).

3. მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნიანი ფორმები.

ეს ბუნებრივია, რადგან რელატიური ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი უნდა იყოს სამპირიანი, ე. ი. ირიბობიექტიანი, რომელსაც თავისი ნიშნები აქვს.

ენიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი, როცა ის საობიექტო ქცევის ფორმისა არ არის, მაგრამ ა პრეფიქსიანია, გვაძლევს ერთი მნიშვნელობის, ხმარება-გამოყენების თვალსაზრისით პარალელურ ფორმებს, რომლებიც უმეტესწილად საობიექტო ქცევის დანიშნულებისა არიან.

მაგ.: ერტყმება (ქამარი კაცს)—ართყამს||ურტყამს (კაცი კაცს ქამარს). ეგლიჯება (სახელო კაცს)—აგლეჯს||ჰგლეჯს (კაცი კაცს სახელოს). ეწყვიტება (კუდი მელას)—აწყვეტს||სწყვეტს (ძაღლი მელას კუდს)...

ზემოაღნიშნული ნიმუშებიდან სრულიად აშკარად ჩანს ს, ჰ, ა, უ პრეფიქსთა ურთიერთმონაცვლეობა ერთი და იგივე დანიშნულებით.

შეუნიშნავი არ დარჩენილა, რომ ენიან ვნებითს სასხვისო ქცევის ფუნქციაც აქვს. ა. შანიძე გრამატიკის საფუძვლებში წერს: „ენიან ვნებითში ქცევა არის, მაგრამ ისე მკაფიოდ გამოხატული არაა, როგორც სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითში, ან კიდევ საშუალ ზმნებში ან, მითუმეტეს, გარდამავალ ზმნებში.

ქცევებრივი მიმართება აბსოლუტურსა და რელატიურ ფორმებს შორის აქ ასეთია: აბსოლუტური (ინიანი) საარვისოდ მიდის, რელატიური (ენიანი) — სასხვისოდ. მართლაც ურთიერთობა ამ ფორმებს

შორის: და-ი-კარგა — და-ე-კარგა (ამ ფრაზებიდან: „ცხენი დაიკარგა“ და „ცხენი დაეკარგა“) კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით იქნებიყო, როგორც ამაებში: მო-კვდა — მო-უ-კვდა — შემდეგ აგრძელებს ავტორი — რისი ნიშანია ი და ე, გვარისა თუ ქცევისა? რა თქმა უნდა, გვარისა (პასივისა), მაგრამ სათანადო აქტივთან მიმართებით და აგრეთვე სხვა ტიპის ვნებითებთან ფუნქციონალური დამოკიდებულებით მათ შეუძლიათ ქცევის ნიშნობაც გასწიონ... მაგალითად, „გადამეშალა“ ისეთსავე გაგებას გვაძლევს, როგორსაც „ამიყვავდა“ ამ წინადადებაში „როგორც კოკორი მზისგან, გული ისე გადამეშალა და ამიყვავდა“[46].

გ. მაჭავარიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში წერს: „ე პრეფიქსიანი ვნებითი, მართალია, რელატიურია, მაგრამ საობიექტო ქცევის გაგება მას იშვიათად თუ ახლავს (შდრ. მაგ. ე-მალება დედას შვილი და ე-ზრდება დედას შვილი). გარდა ამისა, ე- პრეფიქსი საობიექტო ქცევის სპეციალურ მაწარმოებლად ვერ ჩაითვლება. მის ძირითად ფუნქციას ქართველურ ენათა განვითარების დღევანდელ საფეხურზე (აგრეთვე ძვ. ქართულშიც) რელატიური ვნებითის წარმოება შეადგენს. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ე- პრეფიქსს არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ქცევის მაწარმოებლებთან. პირიქით, საფიქრებელია ისტორიულად ე- პრეფიქსი დაახლოებით იმგვარივე ღირებულების მონაცემი იყოს, როგორიცაა ი ან უ პრეფიქსი (შდრ. ერთპირიანი ვნებითის ი და სასუბიექტო ქცევის ი), მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს იგი (ე) ქცევის მაწარმოებელს არ წარმოადგენს“[47].

ჩვენი აზრით, ე-ს, რა თქმა უნდა, საობიექტო ქცევის ფუნქცია აქვს. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტიურ მასალას, რომელიც მივიღეთ ფარდ ფორმათა შეპირისპირების ხერხით. ამ გზით ჩვენ შევძელით გამოგვეკვლინა მორფემის ფარული ფუნქციები. ნიმუშები „შვილი გაეზარდა დედას“ და „შვილი დაემალა დედას“ აკმაყოფილებს საობიექტო ქცევის პირობას: „სუბიექტი ეკუთვნის ობიექტს[48]. შვილის ნაცვლად წიგნი რომ ყოფილიყო, რომელიც არ ვიცით ვის ეკუთვნის, საჭირო პირობა იმ შემთხვევაშიც არ იქნებოდა დარღვეული — წიგნი დაემალა (დამალულ იქნა) დედისთვის, — თუმცა ისეთი აშკარა ვერ იქნებოდა, როგორც ეს „შვილის“ შემთხვევაში არის. ე-ს რომ საობი-

---

[46] იხ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 350—351.

[47] იხ. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, საკანდ. სადისერტაციო ნაშრომი, 1953, გვ. 131—132.

[48] იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 59.

ექტო ქცევის ფუნქციაც აქვს, ჩვენთვის ეს სრულიად აშკარა გახდა შეპირისპირების წესით მიღებული მასალების მიხედვით.

რაც შეეხება დებულების მეორე ნაწილს, სადაც გ. მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ ისტორიულად ე პრეფიქსი დაახლოებით იმგვარივე ღირებულების მონაცემი უნდა იყოს, როგორიც არისო ი ან უ, იგი სავსებით გასაზიარებელია. ჩვენს დასკვნით მოსაზრებებს ამ ფორმების შესახებ ცოტათი ქვემოთ ჩამოვაყალიბებთ.

როგორც ივ. ქავთარაძე აღნიშნავს, „ე- პრეფიქსიანი ზმნები ძველ ქართულში სასხვისო ქცევის დამახასიათებელ კონსტრუქციას ქმნიან: ობიექტი ნათესაობითშია (თანდებულით ან უთანდებულოდ).

თუალნი მათნი განეხუნეს: ლკ 24, 31.
ელმოდა გული მისი: თხრობა, 15
განე-ჯ-სნა კრულება იგი ენისა მისისაჲ: C მრვ 7, 35
შაბათი კაცისათჳს დაებადა: მრკ 2,27[49].

ჩვენი ერთნაირი მოსაზრებები ამ საკითხის გარშემო მიღებულია სხვადასხვა ჭრილში (სტატიკურისა და დიაქრონულის) კვლევის შედეგად. მათთვის ამოსავალი დიაქრონული იყო, ჩემთვის — სტატიკური. იქ გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, აქ ანალიზი ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპების მიხედვით ჩატარდა.

ე პრეფიქსის ანალიზთან დაკავშირებით ნაჩვენები იყო, რომ ეითავსებს საობიექტო ქცევის მაჩვენებლის მნიშვნელობას. შეთავსება, რა თქმა უნდა, საურთიერთო ხასიათს არ ატარებს. ენებითი გვარის პრეფიქსული ხმოვანი ითავსებს საობიექტო ქცევის მნიშვნელობას, მაგრამ ქცევა ვერ ითავსებს ენებითი გვარის მნიშვნელობას. შეთავსება ცალმხრივია.

საურთიერთო ხასიათის შეთავსება მოგვცემდა იდენტურ მიმართებას. იდენტური მიმართების შემთხვევები ერთნაირი მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს გვაძლევს. მაგ., მოაგლიჯა — მოჰგლიჯა, მოსრა — მოსჭრა...

უ- და ი- საობიექტო ქცევის პრეფიქსულ ხმოვანთა ანალიზთან დაკავშირებით მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ფაქტზე: ისინი იდენტური მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს იძლევიან ე პრეფიქსთან და ირიბი ობიექტის ჰ, ს- პრეფიქსულ ნიშნებთან. მაგ

---

[49] იხ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 311.

მიუსიეს — მიასიეს, უგუებს — აგუებს, უდარებს — ადარებს, უჯიბრებს — აჯიბრებს, ჰგლეჯს — უგლეჯს, მოუჭამა — მოაჭამა — მოსჭამა, უწყვეტს — აწყვეტს — სწყვეტს, მოუჭრა — მოაჭრა — მოსჭრა, მოუგლიჯა — მოაგლიჯა — მოჰგლიჯა, უკაწრავს — აკაწრავს — ჰკაწრავს[50]...

საობიექტო ქცევისა და ა, ს, ჰ პრეფიქსულ ფორმალურ ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობა იდენტური დანიშნულებით ვფიქრობთ, საინტერესო მასალას გვაძლევს მათი გენეზისისათვის.

რაც შეეხება სასუბიექტო ქცევის ი- პრეფიქსს, იგი იდენტური მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს ვერ გვაძლევს, მაგრამ ამჟღავნებს საინტერესო მნიშვნელობის ერთ თავისებურებას: სასუბიექტო ქცევა თუ მისი ობიექტი პირველსა ან მეორე პირშია, ი- პრეფიქსის ნაცვლად შეიწყობს ა- პრეფიქსს ან Ø (უნიშნობას). შდრ., ბშენებს (ის მას), მაგრამ მაშენებს (ის მე); იკერავს (ის მას), მაგრამ მკერავს (ის მე)...

გარკვეული წყება ზმნებისა როგორიცაა: იქირავა, დაიყენა, იშვილა, დაიბარა, მოიგდო (მან ის ფეხქვეშ), ჩაიკრა (მან ის გულში), დაიპირა, ჩაიკვეხა, დაიტოვა (მან ბავშვი)... პირველსა და მეორე ობიექტურ პირში ინარჩუნებენ სასუბიექტო ქცევის ი პრეფიქსს, მაგრამ ამ შემთხვევებში ფორმობლივ დამთხვევას ქმნიან საობიექტო ქცევასთან. შდრ. დამიქირავა მან მე მოჯამაგირედ (სასუბიექტო ქცევა), დამიქირავა მან მე ბიჭი მოჯამაგირედ (საობიექტო ქცევა); დამიყენა მან მე მსახურად (სასუბიექტო ქცევა), დამიყენა მან მე ბიჭი მსახურად (საობიექტო ქცევა); მიშვილა მან მე (სასუბიექტო ქცევა), მიშვილა მან მე ბავშვი (საობიექტო ქცევა); დამიბარა მან მე (სასუბიექტო ქცევა), დამიბარა მან მე ბავშვები (საობიექტო ქცევა); მომიგდო მან მე ფეხქვეშ (სასუბიექტო ქცევა), მომიგდო მან მე ლუკმა (საობიექტო ქცევა): ჩამიკრა მან მე გულში (სასუბიექტო ქცევა), ჩამიკრა მან მე სურათი წიგნაკში (საობიექტო ქცევა); ჩამიკვეხა მან მე (სასუბიექტო ქცევა), ჩამიკვეხა მან მე ის (საობიექტო ქცევა); დამიპირა მან მე (სასუბიექტო ქცევა), დამიპირა მან მე პეპელა (საობიექტო ქცევა); დამიტოვა მან მე სამუშაოდ (სასუბიექტო ქცევა), დამიტოვა მან მე ბავშვი (საობიექტო ქცევა)...

მასალის სრული ანალიზი გვავალებს გავითვალისწინოთ ფორმობლივი გამოხატულების დამთხვევის შემთხვევებიც. გვარისა და ქცევის პრეფიქსული ნიშნების რაობის და ურთიერთობის გარკვევისათვის ერთ-ერთ არგუმენტს ესეც წარმოადგენს.

---

[50] იხ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 355. იგივე ვითარება არის დაფიქსირებული ძვ. ქართულში: «დაჰბანა კელი მისი და არა დაუბანა კელი მისი». იხ. ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

მეორე სერიაში გვაქვს ფორმობლივი დამთხვევა ინიანი ვნებისა სასუბიექტო ქცევასთან[51].

მაგ.: მან წყურვილი **მოიკლა** — სასუბიექტო ქცევა
ის ბრძოლაში **მოიკლა** — ვნ. გვარი
ბავშვმა ჯიბეები **აივსო** — სასუბიექტო ქცევა
ჭურჭელი **აივსო** — ვნ. გვარი
მან გზა **გაიკაფა** — სასუბიექტო ქცევა
გზა **გაიკაფა** — ვნ. გვარი

ე-პრეფიქსით ნაწარმოები დინამიკური ვნებითის წყვეტილი ემთხვევა მოქმედებითი გვარის მეორე თურმეობითის ფორმას[52].

კურდღელს შიშისაგან ყურები **დაეცქვიტა** — ვნ. გვარი, წყვეტ.
თურმე ყურები **დაეცქვიტა** და ისე უსმენდა — მოქმ. გვარი, თურმეობითი II
ბავშვს ტანსაცმელი **დაეგლიჯა** — ვნ. გვარი, წყვეტილი
სიბრაზისაგან თურმე ტანსაცმელი **დაეგლიჯა** — მოქმ. გვარი, თურმეობითი II
მიწას თოვლი **დაეფინა** — ვნ. გვარი, წყვეტილი
კარგს იზამდა, დღეს რომ ოთახში ხალიჩა **დაეფინა** — მოქმ. გვარი, თურმეობითი II

გვაქვს ფორმობლივი დამთხვევა სასუბიექტო ქცევისა საობიექტოსთან[53].

ვაჭარმა მსახურად მე **დამიყენა** — სასუბიექტო ქც.
მამამ მსახურად მე ბიჭი **დამიყენა** — საობიექტო ქც.
პოლიციელმა შენ **დაგიჭირა** — სასუბიექტო ქც.
ბიჭმა შენ პეპელა **დაგიჭირა** — საობიექტო ქც.

არსებობს მოსაზრება, რომ საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ამსახველი ი პრეფიქსი ერთი და იგივეა[54]. იგი იმ პირის ნიშნის კუთვ-

---

[51] იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში, აკად. მოამბე, XII, 1942, გვ. 233; ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, გვ. 297.

[52] იხ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 449.

[53] იხ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 341.

[54] იხ. Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, Л., 1940, с.

უბას ასახავს, რომელიც ფორმალურად წარმოდგენილია ზმნაში— იექტურ პირის ნიშანთან გვაძლევს სუბიექტურ ქცევას, ხოლო ექტურ პირის ნიშანთან — ობიექტურ ქცევას, ამით აიხსნებაო, ! სუბიექტური წყობის ზმნებს საობიექტო ქცევის ი- არ აქვთ.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საობიექტო და სასუბიექ- ქცევის ამსახველი ი პრეფიქსი ერთი და იგივეა, მაგრამ სხვაგვარად ით იმ ფაქტს, რომ სუბიექტური წყობის ზმნებთან საობიექტო ეის მოსალოდნელი ი პრეფიქსის ნაცვლად გვაქვს საობიექტო ქცე- მეორე მაჩვენებელი უ პრეფიქსი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება ასეთია: სუბიექტუ- წყობის ზმნებში, საობიექტო ქცევის შემთხვევაში, წარმოდგენილი ა ყოფილიყო მესამე ირიბი ობიექტის ნიშანიც (ცნობილია, რომ ბიექტო ქცევა აუცილებლობით გულისხმობს ირიბ ობიექტს) და ა მიგვეღო „ვ-ს-ი-წერ“ ფორმა ასეთი რანგობრივი თანამიმდევ- ბით[55]. ამ შემთხვევაშიც კუთვნილების ამსახველი ერთი და იგივე ი უქსი აღმოჩნდებოდა ირიბი ობიექტის ნიშანთან და შეიქმნებოდა ერო პირობა საობიექტო ქცევის მნიშვნელობის გადმოსაცემად. ერ“ თეორიულად შესაძლებელი ფორმა არ მივიღეთ მხოლოდ ა გამო, რომ უ პრეფიქსი შეთავსებით ასახავს ორ მნიშვნელობას— ბე ირიბი ობიექტისას და კუთვნილებისას (ქცევა)[56]. ამგვარად, უ ქსი სი- ჰი- მორფემათა ეკვივალენტია. ამის შემოწმება ადვილად ება პირის მიხედვით საპირისპირო ფარდი ერთეულების შეპი- ირებით; პირის მიხედვით მ-ი-წერს ფორმის ფარდია უ-წერს ბა, სადაც უ- პირით განსხვავებული ირიბი ობიექტის მნიშვნელო- და იგივე კუთვნილების მნიშვნელობაა. უ- პრეფიქსი რომ აშკარად ირიბი ობიექტის ფუნქციასაც ასრულებს, ეს ჩანს არამცირერი-

---

ფილოგურ კატეგორიებში, აკად. მოამბე, ტ. III, № 2. 1942, გვ. 207—211; გ. ა ე ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტ. ნაშრომი, 1953, თავი II.

[55] ე (სუბიექტური პირისა) ს (ირიბი ობიექტისა) თანამიმდევრობა დადასტურებუ- ქართულ ენაში, შდრ.: ესწერ. ამის საფუძველზე მათ განსხვავებული რანგობრივი ერაციული მიეცით. ხოლო ის დებულება, რომ პრეფიქსული ხმოვნების წინ მეორე ერიქტერისა და მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ს-, ჰ- არაა წარმოდგენილი, ის კონსტატაციას წარმოადგენს და არა აკრძალვას. ფონეტიკურად სავსებით ნები იქნებოდა (ქართულის ფონეტიკური კანონზომიერების მიხედვით) ჰი, სი. ვნობები, მით უფრო, მორფოლოგიური დატვირთვით. ასეთ მიმდევრობათა არ- ნას განაპირობებს სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულება პრეფიქსული ნიშნებსა აღნიშნულ პირის ნიშნებთან. მათი სპეციფიკური ურთიერთმიმართების ი შემთხვევა (უ პრეფიქსი შეთავსებით ორ მნიშვნელობას რომ ასახავს) აქვეა წარ- დგენილი.

[56] იხ. ე. ბოედერის დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97 (2. 2).

ცხოვან ზმნათა ფორმებიდან, სადაც ასახულია მხოლოდ ირიბი ობიექტის მნიშვნელობა, მაგრამ საობიექტო ქცევის მნიშვნელობა კი არა საპირისპირო ქცევის ფორმათა უქონლობის გამო. ასეთებია: ვ-უ-ყურებ, ვ-უ-ჩმიტე, უ-კბინა, უ-კბიჩა, ვ-უ-ცქერ, ვ-უ-ჰვრეტ, ვ-უ-ძლებ, ვ-უ-ყვირი, უ-სმენს, ვ-უ-წივი, ვ-უ-ცინი, ვ-უ-ბღვერ, ვ-უ-სტვენ, ვ-უ-ღიმი, გა-უ-სწრო, უ-ქროლა, ა-უ-ჩქარა, უ-ღრენს, უ-ლოლიავებს, და-უ-ტატანა, უ-ქომაგა, უ-ალერსა, და-უ-ბერა, მო-უ-ბიდიშა, უ-ბოროტა, უ-გალობებს, უ-განა, უ-დარაჯა, უ-დეპეშა, უ-თავაზა, უ-ზაპუნა, უ-თათქუნა, უ-თანაგრძნო, და-უ-კაკუნა, უ-კიჟინებს, უ-კირკიტა, უ-კლო მან სიარულს, უ-მატა მან სწავლას, უ-ლაწუნებს, შე-უ-ლოცა, მო-უ-ლხინა, უ-მეზობლა, უ-ხელმძღვანელა, უ-მუხთლო, უ-მტრო, უ-პანღურა, უ-რქინა, უ-სუნა, უ-ყნოსა, უ-ღიტინა, უ-ღრინა, და-უ-ყვავა, უ-შველა... აღნიშნული ნიმუშები ქცევის მნიშვნელობისაგან დაცლილია და უ- პრეფიქსი მხოლოდ ირიბზე მიუთითებს. ანუ გვარად, უ პრეფიქსი აშკარად ითავსებს მესამე ირიბობიექტური პირის მნიშვნელობის ასახვას.

დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც ირიბი ობიექტის მესამე პირის ნიშანი ს- ჰ- და უ- პრეფიქსი ერთმანეთს ენაცვლებიან ისე, რომ მნიშვნელობაში ცვლილებას არ იწვევენ: უ-დის მას სუნი-ს-დის მას სუნი, მი-ჰ-გვარა მან მას ის, მი-უ-გვარა მან მას ის.

რას წარმოადგენს დონიანი ენებითი და როგორია მისი ფუნქციური ღირებულება პრეფიქსული ენებითების ფორმებთან შეპირისპირებით?

დ სუფიქსი აწარმოებს ენებით გვარს ნასახელარსა და გარეშეული ტიპის სტატიკურ ზმნებში: გორავს — გორდება, ჩანს — ჩნდება, მწიფს — მწიფდება, დუმს — დუმდება, ტირის — ტირდება, წეხს — წუხდება, დუღს — დუღდება, უყვარს — შეუყვარდა, უხარია — გახარდა... ნასახელარებია: გაცხელდა, გაჯიდდა, განათდა, უკეთდა, გაუშეშდა, დაღამდა, დაბერდა, აშენდა...

დონიანი ენებითის შეპირისპირება გვარის მიხედვით გვაძლევს მხოლოდ გვარით განსხვავებულ საპირისპირო მოქმედებითი გვარის ზმნებს მათ, ე- პრეფიქსისგან განსხვავებით, სხვა დამატებითი მნიშვნელობა არ აქვთ: გაუცივდა — გაუცივა, გადაუცივდა — გადაუცივა, გაუცხელდა — გაუცხელა, გაუდიდდა — გაუდიდა, გაუნათდა — გაუნათა, მიუგორდა — მიუგორა, აუდუღდა — აუდუღა, დაუტრიალდა — დაატრიალა, უპრელდება — უპრელებს, ატკივდა — აატკივა, აკლდება — აკლებს, აუხირდა — აუხირა, მიუბრუნდა — მიუბრუნა, უმწიფდება — უმწიფებს, გაუცურდა—გაუცურა, აუჩქარდა—აუჩქარა, აუბოლდა

აუბოლა, — გაუქანდა — გაუქანა, გაუტყდა — გაუტეხა, გაუსკდა — გაუხეთქა, გაუშეშდა — გაუშეშა, აუტოკდა — აუტოკა, დაუახლოვდა — დაუახლოვა, გაუმაგრდა — გაუმაგრა, გაუხარდა — გაუხარა, აუშენდა — აუშენა...

ერთპირიანი დონიანი ვნებითის საპირისპირო მოქმედებითი ა პრეფიქსიანიცაა[57]. გაცივდა — გააცივა, გაცხელდა — გააცხელა, გადიდდა — გაადიდა, განათდა — გაანათა, დუღდება — ადუღებს, ტრიალდება — ატრიალებს, ჭრელდება — აჭრელებს, მწიფდება — ამწიფებს, ცურდება — აცურებს, აჩქარდა — აააჩქარა, ბოლდება — აბოლებს, შენდება — აშენებს, ახლოვდება — აახლოვებს, თეთრდება — ათეთრებს, მაგრდება — ამაგრებს, შენდება — აშენებს, წითლდება — აწითლებს, ქვავდება — აქვავებს, ბეჩავდება — აბეჩავებს, კეთდება — აკეთებს, წუხდება — აწუხებს, ღამდება — აღამებს, თენდება — ათენებს...

როგორც სათანადო ნიმუშებიდან დავინახეთ, სუფიქსური წარმოების დონიანი ვნებითი, პრეფიქსიანი ვნებითისაგან განსხვავებით, აშკარად გადმოგვცემს ქმედობის პასიურ და პროცესობრივ ხასიათს. დონიანი ვნებითის სუბიექტი თავის მოქმედებაში პასიურია. იგი მოქმედების თვითგანმცდელია და არა თვითმოქმედი. ამდენად, ქმედობის ხასიათით და გრამატიკული მიმართების მნიშვნელობით იგი საკუთრივ აკმაყოფილებს პასიური გვარისათვის საჭირო პირობას.

აღნიშნულის გარდა, სუფიქსური ვნებითის დ თავის ფორმალურ მაჩვენებელში არ ითავსებს ქცევის მნიშვნელობას. მისი ფუნქცია მხოლოდ ვნებითი გვარის წარმოებაა. სწორედ ამით უნდა აიხსნას რომ იგი ქცევის აღსანიშნავად სათანადო ფორმებს იყენებს, ე. ი. დონიანი ვნებითის დ და ქცევის ფორმალური მაჩვენებლები არ არიან ურთიერთ გამომრიცხავი მორფემები; მათი თანაარსებობა ერთი ზმნური სიტყვაფორმის მორფემათა მიმდევრობაში ნორმალურია (ბუნებრივია, სასუბიექტო ქცევის ნიშანი არ იგულისხმება, რადგანაც იგი შინაარსობრივად დაუშვებელია გარდაუვალ ზმნასთან). ეს არგუმენტები იმის დამადასტურებლად მეტყველებენ, რომ დ სუფიქსი, ყოველ შემთხვევაში დღეს, ნამდვილად მხოლოდ ვნებითი გვარის მაწარმოებელ ფორმანტს წარმოადგენს. მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დ-ს ფუნქცია, პრეფიქსული ვნებითის ფორმებისაგან განსხვავებით, თავი-

---

[57] ა ქცევის მაწარმოებლად ამ შემთხვევებში თვით ა. შანიძეს (ნეიტრალური—საერისო—ქცევის აეტორს) არ მიაჩნია; იგი მიუთითებს ა-ს განსხვავებულ ფუნქციაზე: სახელთა ფუძეებიდან ა-თი გარდამაელობას აწარმოებენ გარკვეული ტიპი ზმნებისა: შეშდება-აშეშებს...

დანვე ვნებითი გვარის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მოსაზრებები:

1. სრულყოფილად ასახავს ვნებითი გვარის გრამატიკულ მნიშვნელობას. ამის გამო დონიანი ვნებითის დროს არა გვაქვს შეუსაბამობის შემთხვევები ფორმასა და მის მიერ გადმოცემული მნიშვნელობის თვალსაზრისით, რასაც ზომაზე მეტად აქვს ადგილი პრეფიქსული ვნებითის წარმოების დროს (ნიმუშებისათვის იხ. ამავე ნაშრომში სათანადო ადგილები).

2. ვნებითობის ასახვის მიღმა მას არ აქვს შეთავსებული სხვა ფარული ფუნქციები. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ფარული ფუნქციები, ჩვეულებრივ, გენეტურად მორფემათა სხვა დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს.

3. ჩვენი ვარაუდით ვნებითის მაწარმოებელი დ სუფიქსი ახალი წარმონაქმნია გვარის ი-, ე- და აგრეთვე სხვა პრეფიქსებთან შედარებით[58]. დ-ს გამოყენება ვნებითი გვარის აღსანიშნავად დიახლოებით უნდა უკავშირდებოდეს იმ დროს, როცა ქართულში გვარის კატეგორია დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიის უფლებით ყალიბდებოდა. ალბათ, ამის გამოა, რომ იგი დამკვიდრდა ერთი დანიშნულებით — აესახა ვნებითი გვარი. ამავე საფუძვლით აიხსნება მისი ხმარება ერთი ფუნქციით, სხვა პრეფიქსებისაგან განსხვავებით.

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ტენდენცია არის პრეფიქსული წარმოების ვნებითი სუფიქსურით შეცვლა[59]. ასეთი ტენდენცია ძველ ქართულშიც იგრძნობოდა[60]. ვფიქრობთ, დ სუფიქსის თავიდანვე მხოლოდ ერთი ფუნქციით ვამოყენებამ აამაღლა

---

[58] ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად დავიმოწმებთ იე. ჭავჭავაძეს: «როცა შეხვდება ვნებითის -დ სუფიქსს, მის შესახებ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც გვარის საწარმოებელი, ახალია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სუფიქსია: მეორე, ჩნდება არქაულ ძეგლებში, რომლებიც ძველად ე- პრეფიქსიანი იყო: შე-ე-მწია, მო-ე-წყურა, მო-ე-დ-ა,მო-სწყურ-დ-ა.. აღ-ე-შენა, და-ე-წესა, აღშენ-დ-ა, დაწეს-დ-ა, შე-ე-შინა, ვა-ე-ხ-შე-ეშინ-დ-ა, გა-ე-ხარ-დ-ა, XI—X VIII სს. ქართული ისტორიული დოკუმენტების ათეულობით ადასტურებს ასეთ ფაქტებს» (იხ. იე. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ზმნის ძირითა კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 310—311) და მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს: «Суффиксальный тип страдательного залога, возникший на почве грузинского (отчасти также и занского) языка,—явления относительно новсе».

[59] იხ. გ. მაჭავარიანის სადისერტაციო ნაშრ., ავტორეფერატი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, 1953, გვ. 15.

[60] იქვე, გვ. 206; აგრეთვე, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, პრეფიქსული და სუფიქსური ენების ურთიერთობისათვის ქართულში, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები

ფორმალური მაჩვენებლის ხვედრითი წონა და დაუსახა პროდუქტული მომავალი პერსპექტივაში. სხვაგვარად ამის ახსნა შეუძლებლად გვეჩვენება.

საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით ორი მეცნიერის (ერთმანეთის საწინააღმდეგო) მოსაზრება.

ვ. თოფურიას აზრით, დ(ედ) სუფიქსი ძველიდანვე ვნებითის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო[61].

გ. მაჭავარიანს სადავოდ მიაჩნია, რომ დ(ედ) თავიდანვე ვნებითის მაწარმოებელი იყო: სხედან აშკარად სტატიკურია და არა ვნებითიო. იგივე ედ გვაქვს შემდეგ ფუძედრეკად ზმნებში: წმ-ედ-ს — წმ-იდ-ა, წყუ-ედ-ს — წყუ-იდ-ა, რომლებიც გარდამავალი ზმნებია და დ(ედ) აქ ვნებითის მაწარმოებელი ვერ იქნებაო[62].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ გ. მაჭავარიანის აზრს შემდეგი მოსაზრების გამო: „წყუედ"-ში -ედ სუფიქსი ეტ-ის ბადალი უნდა იყოს. შდრ.: წყუეტა—გამოწყვეტა. ამას გვაფიქრებინებს მათი ერთნაირი მნიშვნელობა („წყუ-ედ-ს", „წყუეტს" ორივე ნიშნავს ხოცავს, კლავს), სადაც ეტ ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს, როგორც ეს პირველად ნ. მარმა აღნიშნა (შდრ.: შრ-ეტ-ს — ა-შრობს — ფენ-ეტ-ს — ფშვნის[63]). აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გ. მაჭავარიანის აღნიშნულ შემთხვევებში საქმე გვაქვს იგივე დ/ედთან, რომელიც ვნებითის ფორმალურ მაჩვენებლად ივარაუდება.

რა შეიძლება ითქვას „უნიშნო" ანუ „-ები" სუფიქსიან ვნებითზე: უნიშნო ვნებითი, პრეფიქსიანი ვნებითისაგან განსხვავებით და დონიანი ვნებითის მსგავსად, გვარის უფრო აშკარა მაწარმოებლად გვეელინება. მიუხედავად იმისა, რომ „ებ-ი" ფორმალურ მაჩვენებლებში ცალ-ცალკე კომპონენტებს თუ ავიღებთ, ებ სუფიქსი გარდამავალი ზმნების აწმყოს ფუძეს აწარმოებს და ამდენად ვნებითის მაწარმოებელი არაა. რაც შეეხება ი-ს, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს[64], წარმოშობით ხოლმეობითის მაწარმოებელია და გარდამავალ ზმნათა აწმყოშიც გეხვდება (ზრდ-ი-ს, თხრ-ი-ს, შლ-ი-ს, მკ-ი-ს). ამდენად, სუფიქსი ი-ც არაა ვნებითის მაწარმოებელი; მაგრამ რამდენადაც კომბინირებული -ები დაბოლოება არ არის დამახასიათებელი მოქმედე-

---

[61] იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 533—536.

[62] იხ. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

[63] იხ. ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

[64] იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, 1948, გვ. 73—74, 106.

ბითი გვარის ზმნებისთვის და არც სტატიკურთათვის, ამდენად -ები ვნებითის მეორეულ ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ[65].

აღნიშნული შემთხვევა იმ რიგს განეკუთვნება, როდესაც მორფემათა გაერთიანებაში მხოლოდ მიმდევრობა (ებ-ი კომბინირებული ფორმის ერთეულები) გადმოგვცემს გრამატიკული მიმართების მნიშვნელობას.

საინტერესოა, როგორია უნიშნო ვნებითის სათანადო მოქმედებითის ფორმა? ამ მიზნით შევუპირისპიროთ უნიშნო ვნებითი სათანადო მოქმედებითს: დნება — ადნობს; უდნება — უდნობს; ჰკნება — აჰკნობს; უჰკნება — უჰკნობს წვება — აწვენს; უწვება — უწვენს; ხმება — ახმობს; უხმება — უხმობს; ტკბება — ატკბობს; უტკბება — უტკბობს; ცხვება — აცხობს; უცხვება — უცხობს; თბება — ათბობს; უთბება — უთბობს; შრება — აშრობს; უშრება — უშრობს; ცვთება — ცვეთს; უცვთება — უცვეთს...

როგორც ვხედავთ, ორპირიანი უნიშნო ვნებითი, რომელიც ჩვეულებრივ, სასხვისო ქცევის ფორმითაა, გვაძლევს აბსოლუტურად შესაბამ, ქცევით საობიექტოს და გვარით მოქმედებითის ფორმას.

რაც შეეხება ერთპირან უნიშნო ვნებითს, იგი სათანადო მოქმედებითს გვაძლევს -ა პრეფიქსით, იმ ა- პრეფიქსით, რომლის ფუნქცია დასადგენია და რომელზედაც ჩვენს მოსაზრებებს ცოტა ქვემოთ, კაუზატივთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ.

ამ თავში, როგორც დასათაურების მიხედვით ივარაუდებოდა, განვიხილეთ გვარისა და ქცევის გრამატიკულ კატეგორიათა ურთიერთმიმართება. მასალის ანალიზი ვაწარმოეთ სხვადასხვა თვალსაზრისითა და მეთოდური საშუალებებით. არსებული საშუალებების შემოწმების მიზნით გამოვიყენეთ ერთეულთა შეთავსებული მნიშვნელობის ამოსაცნობად შემუშავებული წესიც. მიღებული შედეგების მიხედვით დადასტურდა სპეციფიკური ურთიერთმიმართება გვარისა ქცევასთან, რამაც საფუძველი მოგვცა რამდენადმე ახლებურად გაგვეშუქებინა მათი აღმნიშვნელ ნიშანთა ფუნქციებიც და მართებულად აგვეხსნა ამ ნიშანთა ერთ რანგში გაერთიანების საფუძველი.

---

[65] იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, 1948, გვ. 73-74, 106.

1. ვნებითი გვარის პრეფიქსული ხმოვნები ი- და ე- ხშირად ვერ ამართლებენ იმ გრამატიკული მიმართების მნიშვნელობას, რომელსაც მოითხოვს ვნებითი გვარი.

ა) მათი სუბიექტი ხშირად თვითმოქმედია და აქტიური; უნდა ყოფილიყო მოქმედების თვითგანმცდელი და პასიური მაგ.: იბინება, იყურება ირხევა... ეკვეთა, ეცა, ებრძვის, შეება, ეტაკა...

ბ) ი- ვნებითობის მაწარმოებლად გვეელინება ორპირიან ზმნებშიც: იფიცება, ირწმუნება...

ე- აწარმოებს ერთპირიან და სამპირიან ზმნებსაც: ჩაწერა (ის სიაში), გაემგზავრა (ის)... ევაჭრება (ის მას მას), ესესხა (ის მას ფულს), შეეკითხა (ის მას მას)...

გ) ვნებითი გვარის ე- პრეფიქსს გარდამავალი კონსტრუქციის ზმნებთანაც ვხვდებით, რომელთაც მოქმედებითი გვარის სტრუქტურა აქვთ: ესროლა (მან მას ის), ეძება (მან იგი), მიეც (მე მას ის).

2. ვნებითი გვარის პრეფიქსული ხმოვნები მრავალფეროვან დანიშნულებას ეწევიან: ასახავენ განსხვავებულ მნიშვნელობით ნიუანსებს და ითავსებენ სხვა პრეფიქსული ნიშნების ფუნქციებს.

ა) ი- პრეფიქსი აწარმოებს ვნებით გვარს, პოტენციალისს.

ბ) ე- პრეფიქსი აწარმოებს ვნებით გვარს თავისი განსხვავებული ძნიშვნელობითი ნიუანსებით: შესაძლებლობის ვნებითს, მიჩნევის ვნებითს, გუნების ვნებითს, უნებლიობის ვნებითს.

გ) ენიანი ვნებითის ფორმა სისტემატურად ითავსებს ი/უ (ობიექტ. ქცევის პრეფიქსების) მნიშვნელობას: ემალება — უმალავს. ზოგჯერ მისი ფარდი მოქმედებითი ა- პრეფიქსიანიცაა. ასეთ შემთხვევებში ა პრეფიქსი იგივე მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს გვაძლევს ს-, ჰ- პირის ნიშნიან მოქმედებითი გვარის ფორმებთან: ეგლიჯება — აგლეჯს//ჰგლეჯს; ეწყვიტება — აწყვეტს//სწყვეტს, რომელთაც აშკარად საობიექტო ქცევის მნიშვნელობა აქვთ.

3. ქცევის ი- და ი-/უ- ფორმალური მაჩვენებლები ზოგჯერ არ მიუთითებენ ზმნის პირთა კულენილებით ურთიერთობაზე, ასე ვთქვათ, ქცევის მნიშვნელობისაგან დაცლილ ფორმალურ ერთეულებს წარმოადგენენ: იკითხა, შეინახა, დაიწყო, უკვირს...

4. ხშირად ქცევის ფორმალური ნიშნის გრამატიკული კვალიფიკაცია არ ეთანადება გადმოცემულ მნიშვნელობას: უნდა, უყვარს ფორმით საობიექტოა, მნიშვნელობით — სასუბიექტო, შეიკედლა, შეივრ-

დომა, შეიცოდა, ფორმით სასუბიექტოა, მნიშვნელობით — საობიექტო.

5. სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმალურ მაჩვენებლებს ვხვდებით შეუსაბამ სტრუქტურაში: გაუცინა მან მას, უკბინა მან მას... უკრავს ის (ერთპირიანის გაგებით). მედიოაქტივები — იმეფა მან, იცხოვრა მან...

6. გვაქვს ფორმობლივი გამოხატულების დამთხვევის შემთხვევები.

ა) ი(ვნებითი)-სა სასუბიექტო ქცევასთან:

მან წყურვილი **მოიკლა** (სასუბიექტო ქც.);
ის ბრძოლაში **მოიკლა** (ვნ. გვარი).

ბ) სასუბიექტო ქცევისა საობიექტოსთან:

ვაჭარმა მსახურად მე **დამიყენა** (სასუბიექტო ქც.);
მამამ მსახურად მე ბიჭი **დამიყენა** (საობიექტო ქც.);

გ) ე-ს მოქმედებითი გვარის თურმეობით მეორესთან:

თურმე ყურები **დაეცქვიტა** (მოქმ. გვ.);
შიშისაგან ყურები **დაეცქვიტა** (ვ. გვ.).

7. დონიანი და „უნიშნო ვნებითი" აშკარად გადმოგვცემს ქმედობის პასიურ ხასიათს. ასევე აშკარაა მათი დანიშნულება— ყოველთვის გადმოგვცემენ ვნებითი გვარის გრამატიკულ მნიშვნელობას. ისინი არ ითავსებენ სხვა გრამატიკულ კატეგორიათა ფუნქციებს. ამიტომ მიმდევრობით რიგში არ გამორიცხავენ პრეფიქსულ ხმოვნებს. დ-ს დანიშნულება თავიდანვე ვნებითი გვარის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს მისი ფუნქციური სიცხადე.

სუფიქსური ვნებითის ოდენ გარკვეული დანიშნულებით გამოყენებამ ძველსა და ახალ ქართულში განაპირობა ტენდენცია — პრეფიქსული წარმოების ვნებითი სუფიქსურით შეიცვალოს.

8. ქართულში ზმნის პირთა შორის კუთვნილებითი მიმართების მნიშვნელობას ასახავს ქცევის კატეგორია. კუთვნილების აღმნიშველ ფორმანტია ი პრეფიქსი, რომელიც, თუ წარმოდგენილია სუბიექტური პირის ნიშანთან (ვ-ი-ზრდები, ვ-ი-შენებ), სასუბიექტო ქცევის მნიშვნელობას ასახავს, თუ ობიექტური პირის ნიშანთანაა — ასახავს საობიექტო ქცევის მნიშვნელობას: მ-ი-ზრდი, მ-ი-შენებ.

9. საობიექტო ქცევის მეორე ფორმანტი, უ პრეფიქსი, სინკრეტულად წარმოების წესით ასახავს ორ მნიშვნელობას: მისამი ირიბობ

ექტური პირისას და კუთვნილების მნიშვნელობებს. ირიბ ობიექტთან დაკავშირებულმა კუთვნილებამ, ბუნებრივია, მოგვცა საობიექტო ქცევის მნიშვნელობა.

10. გვარისა და ქცევის გრამატიკულ მიმართებათა სპეციფიკურ ხასიათს განაპირობებს: ა) სასუბიექტო ქცევა გვარის კატეგორიის მიხედვით აუცილებლად მოქმედებითია. ამის გამო, სასუბიექტო ქცევის მიმართება ვნებით გვართან იმგვარიცაა, როგორსაც ქმნის ერთი მნიშვნელობის გრამატიკული მიმართების მქონე საპირისპირო მონაცემები. სასუბიექტო ქცევა და ვნებითი გვარი უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ერთი კატეგორიის, გვარის, საპირისპირო მონაცემები: ვნებითი — მოქმედებითს. ასეთი მიმართების გრამატიკულ კატეგორიებს ჩვენ ვუწოდეთ რელატიურ-იდენტურ.

ბ) რელატიური ვნებითის ე პრეფიქსი ითავსებს ი/უ პრეფიქსების მნიშვნელობებს, როგორც ეს ჩვენ შეთავსებული მნიშვნელობის ამოსაცნობად შემუშავებული წესით დავადგინეთ.

II. გვარისა და ქცევის აღნიშნული ურთიერთმიმართების საფუძველზე მათი აღმნიშვნელი ნიშნები ერთ რანგში არიან მოხვედრილნი და ურთიერთს გამორიცხავენ.

სასუბიექტო ქცევა გამორიცხავს ვნებითის ნიშნებს, ხოლო რელატიური ვნებითის ე — საობიექტო ქცევის ნიშნებს.

ვნებითის ი გამოირიცხება ქცევის შემთხვევაში, რადგან ერთპირიან ზმნას ქცევა არ აქვს, და რელატიური ვნებითის შემთხვევაშიც, როგორც მისი (ვნებითის) საპირისპირო ერთეული.

12. გვარი და ქცევა სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიებია, მაგრამ ვნებითი გვარი სასუბიექტო ქცევასთან რელატიურ-იდენტურ მიმართებაშია.

კაუზატივის გრამატიკული კატეგორია და მისი წარმოება ქართულში

ყოველი გრამატიკული კატეგორია ასახავს ენობრივ ერთეულთა განზოგადებულსა და კანონზომიერი ხასიათის გრამატიკული მნიშვნელობის მიმართებებს, რაც გამოხატულია სინტაქსური და მორფოლოგიური კონსტრუქციებით.

სინტაქსური მოვლენები, რომლებიც ვლინდება სინტაქსურ ერთეულთა შორის მიმართებაში, გამოხატულია მორფოლოგიური კატეგორიებით. მორფოლოგიური კატეგორიები კი, თავის მხრივ, განპირობებულია სინტაქსური მიმართებებით. მორფოლოგიურ მოვლენათა არსებობას განაპირობებს მისი ფუნქცია წინადადებაში, ე. ი. მორფოლოგიური მოვლენა შეიძლება გვქონდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ იგი სინტაქსურად დადასტურებულია; თავის მხრივ, სინტაქსური ფუნქციის გამოსახატავად (გასაფორმებლად) გამოყენებულია მორფოლოგიური კატეგორიები და ფორმები; ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი გრამატიკული კონსტრუქციის ანალიზი მოითხოვს იმ მორფოლოგიურ-სინტაქსური სიტუაციების განხილვას, რომლებშიც დადასტურებულია ეს კონსტრუქცია. ჩვენი მიზანია, განვიხილოთ კაუზატიური კონსტრუქციები და, ამდენად, მისი განმაპირობებელი სიტუაციები, რომლებიც იწოდება კაუზატიურ სიტუაციად.

საერთოდ სიტუაცია შეიძლება იყოს მარტივი: „მზე ანათებს“ და რთული: „მზე ანათებს, რადგან ზაფხულია“. მარტივი იწოდება მიკრო-სიტუაციად, რთული კი — მაკრო სიტუაციად[66].

კაუზატიური სიტუაცია მაკრო სიტუაციურია, რადგან კაუზატიური მიმართება გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას და ამდენად, იგი ორი მიკრო სიტუაციისაგან მაინც უნდა შედგებოდეს. კაუზატიური მაკრო სიტუაციის უშუალო შემადგენლებს მიკრო სიტუაციები წარმოადგენენ. კაუზატიური მაკრო სიტუაციის ერთი უშუალოდ შემადგენელი მიკრო სიტუაცია მაკაუზატივებელია — ა ნ ტ ე ც ე დ ე ნ ტ ი ა, ხოლო მეორე უშუალოდ შემადგენელი მიკრო სიტუაცია კაუზატივირებულია — კ ო ნ ს ე კ ვ ე ნ ტ ი ა. კაუზატიურ მაკრო სიტუაციაში „ჩვენ დავბრუნდით, რადგან ამინდი გაფუჭდა“ მაკაუზატივებელია, ანტეცედენტია „ამინდი გაფუჭდა“, ხოლო „ჩვენ დავბრუნდით“ კაუზატივირებულია, კონსეკვენტია. ანტეცედენტსა და კონსეკვენტს სიტუაციებს ჰყავთ თავისი მოქმედი პირები თავისი პრედიკატული მდგომარეობითურთ. ანტეცედენტის მოქმედი პირია ა გ ე ნ ს ი. კონსეკვენტის მოქმედი პირია პ ა ც ი ე ნ ს ი.

როგორც ვხედავთ, კაუზაცია გულისხმობს ორ მოქმედ პირს — აგენსი მაიძულებელი პირია, ხოლო პაციენსი, აგენსის მცდელობით მოქმედების რეალური შემსრულებელი პირია. აღნიშნული ორი მიკრო სიტუაციის მიმართება იძლევა კაუზაციურ მაკრო სიტუაციას: კაუზაციური სიტუაციის კონსტანტას ანუ, კაუზატიური კონსტრუქციის

---

[66] იხ. კრებული «Типология каузативных конструкций», ლენინგრადი, 1969; В. П. Недялков, Г. Г. Сильницкий, გვ. 6.

ბირთვს წარმოადგენს სწორედ ამ ორი მიკრო სიტუაციის მიმართების ასახვა ანუ კაუზაცია.

კაუზატიური კონსტრუქციის ბირთვული კონსტანტა სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გამოხატული: სემანტიკურად, სინტაქსურად და მორფოლოგიურად. ამჯერად ჩვენი მიზანია, განვიხილოთ მორფოლოგიურად გამოხატული კაუზაცია, რისთვისაც საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული ზმნა.

კაუზატივი ქართული ზმნის კატეგორიათა შორის ერთ-ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კატეგორიაა. ქართული გრამატიკის პირველ ავტორებს შეუნიშნავი არ დარჩენიათ ქართულისათვის დამახასიათებელი ეს ფორმა-წარმოება. ისინი კაუზატიურ ფორმებს „მრჩობლსხმითგარდასვლითს“ უწოდებენ.

კაუზატივი გრამატიკული კატეგორიის დონემდე ქართულში აიყვანა ა. შანიძემ, როგორც ამას თავადაც აღნიშნავს: „პირველად კონტაქტის კატეგორია დადგენილია ჩემს გრამატიკაში, რომელიც 1930 წელს გამოვიდა (§ 124, 125). ოღონდ იქ ამ კატეგორიის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „გზა“, რომლის ნაცვლად შემდეგ შემოვიღე „შეხება“ ანუ „კონტაქტი“, რომელიც უკეთ გადმოგვცემს აღნიშნული კატეგორიის ბუნებას“[67].

კონტაქტის გრამატიკული მიმართების რაობაზე ა. შანიძე წერს: „კონტაქტის სახელით აღვნიშნავ ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (ანუ უმეშვეო და მეშვეობითი)[68].

წარმოქმნილ ფორმებს გვაძლევს შუალობითი კონტაქტი. მისი ფორმალური მაჩვენებლებია სუფიქსები:

ინ (დააწერინა)

ევინ (აშლ-ევინ-ებს).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ზმნურ სიტყვაფორმაში აფიქსთა მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობის საფუძველზე ერთი და იგივე რანგობრივი კვალიფიკაცია მიეცა გვარისა და ქცევის პრეფიქსულ ხმოვნებს (მათი რიგითი ადგილი ანუ რანგი აღინიშნება 10-ით) სუფიქსებში კი — კაუზატივსა და ვნებით გვარს (მათი რანგი აღინიშნება — 01-ით).

---

[67] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 380.

[68] იხ. იქვე, გვ. 367.

ამგვარად, 01-ის რიგისაა შემდეგი სუფიქსები:

-დ (ვნებითი გვარი) აშენ-დ-ა
ინ (კონტაქტი) აწერ-ინ-ებს
-ევინ (კონტაქტი) ათლ-ევინ-ებს

ბუნებრივია, ერთი რიგითი ადგილის, ანუ რანგის, აფიქსები ურთიერთგამომრიცხავ მორფემებს წარმოადგენენ.

ვიდრე ქართულ ზმნაში გამოხატული კაუზაციის ანალიზს წარმოვადგენდეთ, ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ კაუზაციის აუცილებელ ორ მოქმედ კომპონენტთაგან (აგენსი და პაციენსი) აგენსი სინტაქსურად და მორფოლოგიურად ყოველთვის ქვემდებარის — სუბიექტის, როლშია წარმოდგენილი, რაც შეეხება პაციენსს, რომელიც ზმნის სემანტიკური თვალსაზრისის მიხედვით რეალურ მოქმედს წარმოადგენს, გვევლინება სხვადასხვა აქტანტის როლში. ნათქვამის ნათელსაყოფად მივმართოთ სათანადო მასალას. კაუზატიურად უნდა ჩაითვალოს ზმნური ფორმები: ა-დუღ-ებ-ს, ა-ტრიალ-ებ-ს, ა-ტირ-ებ-ს, ა-წვ-ენ-ს, ა-ძინ-ებ-ს, ა-ცინ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს, ა-ხრჩ-ობ-ს, ა-ძღ-ებ-ს, ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-კვლ-ევინ-ებ-ს,... ჩამოთვლილი ზმნები კაუზაციის სიტუაციაში იმყოფებიან, რადგან აკმაყოფილებენ კაუზაციისათვის საჭირო პირობას: „ცეცხლი ადუღებს წყალს“ — წყალი განიცდის მოქმედებას, მაგრამ მას განაპირობებს ცეცხლი; ცეცხლი აგენსია, ხოლო წყალი პაციენსი; „წყალი ატრიალებს წისქვილის ბორბალს“ — წყალი აგენსია, ბორბალს (ბორბალი ტრიალებს) — პაციენსი; „დედა ატირებს შვილს“ — დედა აგენსია, შვილი (შვილი ტირის) — პაციენსი; „დედა აწვენს შვილს“ — დედა აგენსია, შვილი (იგი წვება — პაციენსი; „კაცი ა-ღ-ებ-ს „კარს“. კაცი აგენსია, კარი (რადგანაც იღება) — პაციენსია; „მასწავლებელი აწერინებს მოწაფეს დავალებას“ — მასწავლებელი აგენსია, მოწაფე (რომელიც მოქმედებას ასრულებს) პაციენსი; „დედა შვილს ქათამს აკვლევინებს“ — მოქმედებას ასრულებს შვილი ამიტომ იგი პაციენსია, ხოლო დედა, რომელიც შვილის მოქმედებას განაპირობებს აგენსია. როგორც ვხედავთ, ყველგან აგენსი ქვემდებარეა, ხოლო პაციენსი ხან პირდაპირი დამატებაა — ადუღებს წ ყ ა ლ ს; ატრიალებს ბ ო რ ბ ა ლ ს; აღებს კ ა რ ე ბ ს, ხან ირიბი დამატებაა — აწერინებს მ ო წ ა ფ ე ს; აკვლევინებს შ ვ ი ლ ს...

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რა შემთხვევაშია პაციენსი ირიბი დამატება და რა ფორმალური ნიშანია მაშინ კაუზაციის მაწარმოებელი და რა შემთხვევაშია პაციენსი პირდაპირი დამატება და რა არის მაშინ კაუზაციის მაწარმოებელი? ამ საკითხის გარკვევა დაკავშირებუ-

ლია კაუზაციის მაწარმოებელი ფორმალური ნიშნის განსაზღვრასთანაც.

როგორც ცნობილია, ა. შანიძე კაუზატივის მაწარმოებელ ფორმალურ ნიშნად თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის გამოყოფს **-ინ** და **-ევინ** სუფიქსებს.

კაუზაციის ფორმალური ნიშნის გამოსაელენად მასალას წარმოვადგენთ ოპოზიციური ცალების სახით: კაუზატიურს შევუპირისპირებთ მის სათანადო კორელატს — არაკაუზატიურს. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ზმნა შეიძლება იყოს გარდაუვალი და გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა კი შეიძლება იყოს გვარის მიხედვით საშუალი ერთპირიანი ან ორპირიანი და ვნებითი ერთპირიანი ან ორპირიანი; გარდამავალი ზმნა კი შეიძლება იყოს მხოლოდ მოქმედებითი გვარისა, რომელიც ორპირიანია ან სამპირიანი, მასალას წარმოვადგენთ ზმნის გვარისა და პირის მიხედვით[69].

ერთპირიან საშუალი გვარის ზმნათაგან გვაქვს ისეთები, რომელთაც არ მოეპოვებათ სათანადო გარდამავალი კორელატი. ასეთებია თოვს, ჟინჟღლავს, თვლემს... დანარჩენი ერთპირიანი საშუალი ზმნები გვაძლევენ სათანადო გარდამავალ ზმნებს, ე. ი. სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნებს ა- პრეფიქსით:

ა–ჩენ-ს (ის ჩანს იმიტომ, რომ მას აჩენენ)
ა-დუღ-ებ-ს (ის დუღს, რადგან მას ადუღებენ)
ა-ტრიალ-ებ-ს (ის ტრიალებს, რადგან მას ატრიალებენ)
ა-ტირ-ებ-ს (ის ტირის, რადგან მას ატირებენ)

საშუალიდან მიღებული მოქმედებითი გვარის ზმნები, როგორც ვხედავთ, აკმაყოფილებენ კაუზატიური კონსტრუქციისათვის საჭირო პირობას: გვაქვს ანტეცედენტის აგენსი, რომელიც იწვევს კონსეკვენტის პაციენსის მოქმედებას.

ორპირიანი საშუალი გვარის შეპირისპირება სათანადო მოქმედებითთან გვაძლევს შემდეგ სურათს:

ძულ-ს	ა-ძულ-ებს
სურ-ს	ა-სურვ-ებ-ს
უ-კვირ-ს	ა-კვირვ-ებ-ს
უ-ყვარ-ს	ა–ყვარ-ებ-ს

[69] მასალებით ვისარგებლეთ ნაშრომიდან: Морфологический каузатив в грузинском языке, И. Гецадзе, В. Недялков, А. Холодович, Типология каузативных конструкций, Л., 1969, с. 131—140.

აღნიშნულ შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, გვაქვს კაუზატიური სტრუქტურისათვის ნიშანდობლივი მაკრო სიტუაცია, რომელიც ნაწარმოებია ა- პრეფიქსით.

გარდაუვალ ვნებითი გვარის ზმნებს თუ შევუპირისპირებთ სათანადო მოქმედებით გვარს, მივიღებთ: რევს (იგი ირევა, რადგან მას იგი რევს), ჩეკს (იგი იჩეკება, რადგან მას ჩეკენ), ბადებს (იგი იბადება, რადგან მას ბადებს) და სხვა. მიღებული მოქმედებითი გვარის ზმნები კაუზატიურია, რადგან ინტეცედენტური და კონსეკვენტური მიკრო სიტუაციებისაგან შედგება. ერთპირიანი ვნებითი გვარიდან ნაწარმოები მოქმედებითი, რომელიც იმავ დროს კაუზატიური მნიშვნელობისაა, ნაწარმოებია, როგორც ვხედავთ, სპეციალური მაწარმოებლების გარეშე.

მაგრამ გვაქვს ა- პრეფიქსით ნაწარმოებიც:

(ა-ღ-ებ-ს) (ა-ძღ-ებ-ს), (ა-სველ-ებ-ს), (ა-ხრჩ-ობ-ს), (ა-დნ-ობ-ს), (ა-ხდ-ენ-ს).

ორპირიანი ვნებითის ფარდი მოქმედებითი, რომელიც აგრეთვე კაუზაციური მაკრო სიტუაციისაა, იწარმოება შემდეგი სახით:

ე-ზრდ-ებ-ა უ-ზრდ-ი-ს
ე-მალ-ებ-ა უ-მალ-ავ-ს

რელატიური ვნებითის მოქმედებითაც მაკროსიტუაციურია, რადგან მის უშუალო შემადგენელს წარმოადგენს მიკრო სიტუაცია „გაიზრდება“ და იმიტომ, რომ „იგი უზრდის“. ასეთი გაგებით ყოველი მოქმედებითი გვარის ზმნა მაკრო სიტუაციურია, მაგრამ მიზეზ-შედეგობრივი მნიშვნელობა მეტად მკრთალია.

ამიტომ ჩვენი მსჯელობის საგანი ეს უკანასკნელი შემთხვევა არ იქნება. რაც შეეხება პირველ სამ შემთხვევას, განსაკუთრებით საშუალი გვარიდან ნაწარმოებ მოქმედებითს, ფართო გაგებით მიჩნეული კაუზატიური მნიშვნელობის ზმნებად, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში პირველად კაუზატიურ ზმნებს უწოდებენ.

ნამდვილ კაუზატიური წარმოების ზმნებად ა. შანიძე მიიჩნევს მოქმედებითი გვარიდან ნაწარმოებ კაუზატივს, რომელთა მაწარმოებელ ფორმალურ ნიშნებად გამოყოფს -ინ და -ევინ სუფიქსებს. ამ ნიშანთა განაწილების წესი მოცემული აქვს რუდენკოს[70]. იმ ზმნებს, რომელთა საწყისი ნულმარცვლიანია, კაუზატივის საწარმოებელ ნი-

[70] Б. Руденко, Грамматика грузинского языка, Л-М., 1940, с. 201.

ნად აქვთ -ევინ სუფიქსი, ხოლო ზმნებს, რომელთა საწყისი მარცვლოვანი ფუძისაა, კაუზატივს აწარმოებს ინ სუფიქსით:

კვლა — აკვლ-ევინ-ებ-ს,
წერა — აწერ-ინ-ებ-ს,

მოქმედებითი გვარიდან კაუზატიური ფორმის წარმოების ყველა შემთხვევაშიც დასტურდება ა- პრეფიქსი -ინ, ევინ სუფიქსებთან ერთად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეკვლევინება, იკვრევინება ტიპის შემთხვევებს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. კაუზატივის წარმოებასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება თუ მოვიშველიებთ ქართულთან შეპირისპირებით სვანურისა და ზანურის მასალას.

ქართ.	ა-ზომ-ვ-ინ-ებ-ს	ზანური	ო-ზუმ-აფ-ამ-ს
	ა-ჭრ-ევინ-ებ-ს		ო-კვათ-აფ-ამ-ს
	ა-თეს-ვ-ინ-ებ-ს		ო-თას-აფ-ამ-ს
ქართ.	ა-თიბ-ვ-ინ-ებ-ს	სვანური	ხ-ა-ჭს-უ-ნ-ე
	ა-ხდ-ევ-ინ-ებ-ს		ხ-ა-ფდ-უნ-ე
	ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს		ხ-ა-გმ-უნ-ე[71].

ზანურისა და სვანურის კაუზატიურ ზმნებში ა- პრეფიქსის კანონზომიერი შესატყვისი ხმოვანი დასტურდება. როგორც მასალიდან ჩანს, ქართველური ენების კაუზატიურ ზმნებში კანონზომიერი შესატყვისობა სწორედ პრეფიქსებში დგინდება.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რა ფორმალური ნიშანი აწარმოებს კაუზატივს. ა- პრეფიქსი, რომელიც ყოველთვის გვხვდება როგორც გარდაუვალი ისე გარდამავალი ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატიურ ფორმებში, თუ ევ, ევინ, ინ სუფიქსური ფორმალური ნიშნები, რომლებიც გარდამავალი ზმნიდან ნაწარმოებ კაუზატიურისთვისაა ნიშანდობლივი, თუ ოთხივე. ამ საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია ზემოთ ჩამოთვლილ ფორმალურ ნიშანთა ფუნქციის განსაზღვრასთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა არსებობს და ვიდრე ჩვენს მოსაზრებას წარმოვადგენდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ არსებული მოსაზრებები.

ა. შანიძე აღნიშნავს, სადაც ახლა შუალობითი კონტაქტის (გარდამავალი ზმნის კაუზატივის) -ევინ რთული სუფიქსი გვაქვს, ძველ

---

[71] იხ. ე. გ ე უ რ ქ ო ვ ა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, «მაცნე», ენისა და ლიტ. სერია. 1971, 2, გვ. 103.

ქართულში ოდენ-ევ სუფიქსი გვხვდება. ძველსა და საშუალო ქართულში უფრო გავრცელებული იყო ევ სუფიქსის ხმარებაო[72].

არის მოსაზრება, რომ გარდამავალი ზმნების კაუზატივის -ევ სუფიქსი მასალობრივად იგივეა, რაც პირველადი კაუზატივის -ევ მაწარმოებელი, რომელიც II სერიაში მხოლოდ ი-ს სახითაა წარმოდგენილი: ა-ნგრ-ევ-ს — ანგრ-ი/ვ/-ა; ა-ბნ-ევ-ს — ა-ბნ-ი/ვ/-ა; ა-ქნ-ევ-ს — ა-ქნ-ი/ვ/-ა; ა-ფრქვ-ევ-ს — ა-ფრქვ-ი/ვ/-ა; ა-მტვრ-ევ-ს — ა-მტვრ-ი-/ვ/ა; ა-მთხვ-ევ-ს — ა-მთხვ-ი/ვ/-ა. -ევ სუფიქსის სახეცვლილ ვარიანტს გვაძლევს ი/ვ/. კაუზატივის მაწარმოებელ ფორმალურ ნიშნად ძველსა და საშუალო ქართულში იხმარებოდა ასევე ინ- სუფიქსი, რომელიც მოუდის მხოლოდ მარცვლოვან ფუძეებს.

ამრიგად, უკვე ძველ ქართულში -ევ და -ინ სუფიქსები ინაწილებდნენ ფუძეებს აღნიშნული წესის მიხედვით. შემდგომში ინ, როგორც კაუზატივის „დამატებითი“ ნიშანი, დაერთო ევ- მაწარმოებელს მარცვლოვანი ფორმებისათვის და მივიღეთ „ევინ“ ფორმა.

რაც შეეხება ა- პრეფიქსს, ა. შანიძე კატეგორიულად აცხადებს, ა- პრეფიქსს არა აქვს კავშირი შუალობითი გზის ფორმათა წარმოებასთანო. ეს ის საქცევი ა არისო, რომელიც გარდამავალი ზმნების უმრავლესობას ერთვის, კაუზატივი კი მის გარეშე წარმოუდგენელიაო: ა-ნგრ-ევ-ს, ა-ზელ-ინ-ებ-ს, ა-დგმ-ევინ-ებ-ს. ვერ ვიტყვით, რომ იგი როგორც გარდამავლობის (და მოქმედებითობის) ფორმანტი (დულ-ს— ა-დულ-ებ-ს), უპირველესად „უშუალო კონტაქტის“ ფორმათა საკუთრებაა და „შუალობითში“ თავისთავად გადმოდის (ა-დულ-ებ-ს — ა-დულ-ებ-ინ-ებ-ს). საქმე ისაა, რომ კაუზატივში ა- მაშინაცა გვაქვს, როდესაც უშუალო კონტაქტის ფორმაში არ დასტურდებაო: რგ-ავ-ს— ა-რგვ-ევინ-ებ-ს, ხატ-ავ-ს — ა-ხატვ-ინ-ებ-ს, შლ-ი-ს — ა-შლ-ევინ-ებ-ს. ან კიდევ „როგორიც არ უნდა იყოს საარვისო ქცევიანი უშუალო კონტაქტის ფორმა წარმოების თვალსაზრისით, უნიშნო, ანიანი (ზოგჯერ აგრეთვე ფორმით ინიანი თუ უნიანი, მაგრამ ფუნქციით საარვისო) მას შუალობითის საარვისოში ა- ექნება პრეფიქსად: წერს — ა-წერ-ინ-ებ-ს ა-შენ-ებ-ს — ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს; ი-ჭერ-ს — ა-ჭერ-ინ-ებ-ს, გ-ა-უ-შვ-ებ-ს — გა-ა-შვ-ებ-ინ-ებ-ს“[73].

არნ. ჩიქობავა ა პრეფიქსს, სუფიქსებთან ერთად, კაუზატივის მაწარმოებლებში გამოყოფს. „თუ ჭანურისა და მეგრულის კაუზატივს ქართულისას შევადარებთ, ცხადი იქნება, რომ პრეფიქსი ო ჭანურ-მეგრული ვარიანტია ქართულის ა პრეფიქსისა... ამრიგად, ჭანურსა

---

[72] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 416.

[73] იხ. ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 371.

და მეგრულში კაუზატივის მაწარმოებელია ო—აფ, ე. ი. ა—ებ, ქართულში კი ა-უნ“[74]. არნ. ჩიქობავა „განმარტებითი ლექსიკონის“ შესავალ ნაწილში მოქმედებითი გვარის წარმოებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მაწარმოებლად იმგვარივე თავსართი და ბოლოსართები უნდა გვქონოდა, როგორიც კაუზატივშია გამოყენებული: მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო. ამის ილუსტრაციად გამოდგებოდა წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს ზმნათა ურთიერთობა“[75].

როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავას აზრით, კაუზატივის კატეგორია უფრო ადრეულია, ვიდრე ვგარისა.

გ. მაჭავარიანი აღნიშნავს: ქართველურ ენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე ა- პრეფიქსს კაუზატივის მაწარმოებლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებულიო (იხ. ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში. საკანდიდატო დისერტაცია). საფუძველს ასეთი დასკვნისათვის ავტორს აძლევს ა-სმ-ევ-ს ტიპისა და გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოები ა—ებ... კონფიქსიანი ფორმები, რომლებიც II სერიაში, მხოლოდ ა პრეფიქსით გვხვდებიან: ა-სვ-ა, ა-დუღ-ა, ა-ქუხ-ა.

კაუზატივის ოდენ პრეფიქსულ წარმოებას ქართული ენის ძირითად და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილებად მიიჩნევს ე. გეურქოვაც, ოღონდ იგი კაუზატივის ცნების ვიწრო გაგებას ეყრდნობა და მხოლოდ შუალობითი კონტაქტის ნიმუშებს აანალიზებს: დამორჩილნა, წამოაყვანნა, მოახილვა, დამამტკიცენ[76]... რა თქმა უნდა, იგი მიუთითებს კაუზატივის სუფიქსურ მაჩვენებლებზეც: „ძველ ქართულში კაუზატივის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების გვერდით გვაქვს მარტივი, ოდენ პრეფიქსული კაუზატიური ფორმები. ძველი ქართულისთვის ოდენ პრეფიქსული წარმოება გვეჩვენება უფრო ნიშანდობლივი და სპეციფიკური (რაოდენობითაც ეს წარმოება გაცილებით სჭარბობს პრეფიქსულ-სუფიქსურს). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს როგორც კონსტრუქციით, ასევე შინაარსით წმინდა კაუზატიური ზმნები (იხ. ე. გეურქოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 104).

ასევე ოდენ ა- პრეფიქსიან მოდელს, როგორც უძველესს, გამოყოფს ი. ვეშაპიძეც, მაგრამ უკვე კაუზატივის ცნების ფართო გაგების საფუძველზე: იგულისხმება წარმოება როგორც გარდაუვალი ზმნი-

---

[74] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 159—160.

[75] იხ. არნ. ჩიქობავა, ქართ. ენის ზოგადი დახასიათება, განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 061.

[76] იხ. ე. გეურქოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—110.

საგან (წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს), ისე გარდამავალთაგან (და-ი-ვიწყ-ა — და-ა-ვიწყ-ა)[77].

ა- პრეფიქსის მაკაუზატივებელ ფუნქციაზე მიუთითებს აგრეთვე ვ. იმნაიშვილი[78].

ბ. რუდენკო კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსურ ნიშნებთან ერთად ასახელებს ა- პრეფიქსსაც (იხ. რუდენკოს დასახ. ნაშრ., გვ. 174), თუმცა მიუთითებს -ა პრეფიქსის სხვა ფუნქციებზედაც, სახელდობრ, ა- პრეფიქსი გარდამავლობას აწარმოებსო (იხ. რუდენკოს დასახ. ნაშრ., გვ. 142, 146) და აგრეთვე საარვისო ქცევას და საზედაოსო.

ჩვენი წინაპარი ქართველი გრამატიკოსები (ანტონ კათალიკოსი, ნ. ჩუბინაშვილი...) ა- პრეფიქსს მიაწერენ გარდამავლობის წარმოების ფუნქციას: „ვ ა ს უ ა მ, ესე სხმით გარდასვლითი არს (ე. ი. გარდამავალი) და ვ ა ს მ ე ვ ი ნ ე ბ — ესე მრჩობლ-სხმით გარდასვლითნი (ორმაგად გარდამავალნი) არს. ა-ქუს მაკეთად ზმნასა სხმით-გარდასვლითსა“[79]. აღსანიშნავია, რომ არცერთი ავტორისათვის არაა საეჭვო კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსური ნიშნები, რომლებიც გენეტიკავშირში არიან ფუძის საწარმოებელ სუფიქსურ ფორმანტებთან. -ე ფუნქციურ ეკვივალენტად მიიჩნევა -ებ თემის ნიშნისა, ისევე როგორც ევ-ივ, ევ-ავ თემის ნიშნების ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს -ავ-ს — ა-თ-ევ-ს. ასევე დასტურდება ენ უნ ინ მონაცვლეობა (იხ. გ. მაჭავარიანი დასახ. ნაშრომი, აგრეთვე ე. გეურქოვა და სხვები). ა. თაყაიშვილი კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსურ ფორმალნიშნებს თავისი ფუნქციის მიხედვით ასხვავებს ერთმანეთისაგან: ე გამოყოფს ოდენ ა- პრეფიქსიანს და სალიტერატურო ენის სხვადასხვა დონეზე კი: ა—ევ, ა—ენ, ა—ინ და ა—ევინ კონფიქსიანებს[80]. რაც შეეხება ა—უნ, ა—ოლ, ა—ომ ტიპის კონფიქსებსო — დასძენს ავტორი, ისინი მხოლოდ პირველადი კაუზატივის ფორმებს აწარმოებენ და ნაღლებ პროდუქტიულნი არიანო. (იხ. ა. თაყაიშვილი, იქვე). ამჟამად ძნელი იმჩნევა კაუზატივის ა—ინ ტიპის განზოგადების ტენდენცია. ეს პროცესი ა—ევ ტიპის მოდელზე -ინ ფორმანტის დართვით დაიწყო „ა-ჯნე-ევ-ს ა-ხვნ-ევინ-ებ-ს; ოდენ ა პრეფიქსიანებში კი მსგავსი განთულება ჩვენს თვალწინ ხდება: ა-ნან-ებ-ს—ა-ნან-ებ-ინ-ებ-ს... -ინ-ი

---

[77] იხ. ი. ე ე შ ა პ ი ძ ე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში, თ. ს. უ. ფილ. ფაკ. XIII სამეცნიერო სესია, 1970, გვ. 21.

[78] იხ. ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდ. სამეცნ. შრ. კრებ. 1970, გვ. 114—115.

[79] იხ. ა. კათალიკოსის ქართული ღრამატიკა, 1885, გვ. 38.

[80] იხ. ა. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I. კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, გვ. 34.

დართვა აღნიშნულ შემთხვევებში წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებსო. შინაარსი და კონსტრუქცია ამ ტიპის ზმნებს არ შეცვლიათ: იყვნენ სამპირიანები და დარჩნენ ასეთებადო[81]. ამ მოსაზრების დასაბუთებლად ა. თაყაიშვილი აღნიშნავს:

1. კავშირებითი III-ის ძველი ფორმები ახალ ქართულში -ინ-ს დაირთავენ. გაეკეთა — გაეკეთებინა, დაემზადა — დაემზადებინა.

2. შუალობითი კონტაქტის ინიანი სათავისოც ფორმალური ჩანსო: დავისო — დავისობინო, მოიგდო — მოიგდებინა, გაიტეხა — გაიტეხინა, ირტყმევა — ირტყმევინება...

ა. თაყაიშვილი დაასკვნის, რომ ა-ინ მოდელის განზოგადება ანალოგიის ფაქტორითაა შეპირობებული. ამის საფუძველს იძლევა ა-ევ კონფიქსიანი პირველადი კაუზატივების შუალობით კონტაქტად გარდაქმნის ფაქტი (ამავე გზას გულისხმობს ერთ-ერთ ვარიანტად გ. მაჭავარიანიც). ა-ნგრ-ევ-ს ორპირიანი კაუზატივია, ინ-ის დართვისას მესამე პირსაც გაიჩენს: ა-ნგრ-ევ-ინ-ებ-ს და ამის ანალოგიით: ძვ. ქართ. ა-კლვ-ევ-ს; ა-კვლ-ევ-ინ-ებ-ს; მეორე ტიპისათვის საანალოგიოდ ჩაითვლება ოდენ ა- პრეფიქსიანი ორპირიანი კაუზატივების გაშუალების გზა. ა-წუხ-ებ-ს: -ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს და, ამის მიხედვით: ა-ვ-ი-წყ-ებ-ს, ა-ვ-ი-წყ-ებ-ინ-ებ-ს... (ა. თაყაიშვილი, იქვე).

აქამდე ჩვენ ვაწარმოებდით იმ ვარაუდებისა და მოსაზრებების ანალიზს, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კაუზაციასთან და მის აღმნიშვნელ ფორმალურ ნიშნებთან. აღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ შეეცდებით წარმოვიდგინოთ ჩვენი მოსაზრებები ქართული კაუზაციის აღმნიშვნელ ზოგიერთ ნიშანზე.

ქართულ კაუზაციასთან დაკავშირებით, პირველყოველისა, გვაინტერესებს, თუ არის კაუზატივის მნიშვნელობა გადმოცემული ფორმალური მაჩვენებლების გარეშე. ამისთვის მივმართოთ მასალას იმავე თანამიმდევრობით, როგორაც წარმოვადგინეთ აქამდე.

გარდაუვალი ერთპირიანი საშუალი გვარის ზმნებიდან ნაწარმოები სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნები, თავისი სტრუქტურით მაკროსიტუაციურია:

(მიკრო სიტუაცია) + (მიკრო სიტუაცია) = მაკრო სიტუაციას
ტირის ის განაპირობებს ატირებს

მიღებული მოქმედებითი გვარის მაკრო სიტუაციური კონსტრუქცია აკმაყოფილებს კაუზაციისათვის საჭირო სტრუქტურას, აქედან

[81] იხ. ა. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, გვ. 34.

გამომდინარე გარდაუვალი ერთპირიანი საშუალი გვარის ზმნებიდან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები (ტირის — ა-ტირებს, ცხოვრობს — ა-ცხოვრებს, ფიცულობს — ა-ფიცებს, ჩანს — ა-ჩენს, დუმს — ა-დუმებს, მოქმედებს — ა-მოქმედებს) სტრუქტურული სახეობის მიხედვით ემთხვევა კაუზატივის სტრუქტურულ სახეს. აღნიშნულ (ერთპირიანი საშუალი გვარიდან ნაწარმოები მოქმედებითისათვის) ყველა შემთხვევისათვის ნიშანდობლივია პრეფიქსული ა- ხმოვანი, სუფიქსური ფორმალური ნიშანი კი ნაირნაირია:

Ø -ა-ჩენ-ს; -ებ ა-დულ-ებ-ს; ინ- ა-სტვენ-ინ-ებ-ს, -ენ ა-წვ-ენ-ს; ი- ა-სწავლ-ი-ს; მოცემული მასალის მიხედვით თითქოს საეჭვო არაა ა- პრეფიქსის კაუზატიური ფუნქცია. იგი წარმოდგენილია აღნიშნული კაუზატიური მნიშვნელობის ყველა შემთხვევაში. გავაგრძელოთ მასალის ანალიზი მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით. ორპირიანი საშუალი გვარის სათანადო მოქმედებითიც კაუზატიური მნიშვნელობისაა, ესეც მაკრო სიტუაციურია, აძულებს=მას ძულს+ის განაპირობებს. აძულებს ნაწარმოებია ა-ებ კონფიქსით.

ერთპირიანი ენებითი გვარიდან ნაწარმოები მოქმედებითი, რომელიც აგრეთვე კაუზატიური მნიშვნელობისაა, უკვე ყოველთვის აღარ გვაძლევს ა პრეფიქსს: რევს, ჩეკს, ტეხს, ბადებს, წონის, სპობს...

ნამდვილი კაუზატიური წარმოების ზმნებად ქართულში ითვლება გარდამავალი ზმნიდან ნაწარმოები ფორმები: წერ-ს — ა-წერ-ინ-ებ-ს, კლავს — ა-კვლ-ევინ-ებ-ს, ჭრის — ა-ჭრ-ევინ-ებ-ს, სადაც მაწარმოებელი კონფიქსებია: ა—ინ, ა—ევინ. გარდაუვალი ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატივში აგენსი სუბიექტური პირია, ხოლო პაციენსი — პირდაპირი დამატება.

აგენსი	კაუზაცია	პაციენსი
↗	↗	↗
იგი	აცხოვრებს	მას (პირდაპირი დამატება).

გარდამავალი ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატივში აგენსი არის, როგორც წინა შემთხვევებში, სუბიექტი, ხოლო პაციენსი — ირიბი დამატება.

აგენსი	კაუზაცია	პაციენსი
↗	↗	↗
იგი	აკვლევინებს	მონადირეს (ირიბი დამატება) ნადირს
აგენსი	კაუზაცია	პაციენსი
↗	↗	↗
იგი	აწერინებს	შვილს (ირიბი დამატება) წერილს

როგორც ვხედავთ, აქაც წარმოდგენილია ა-პრეფიქსი კაუზატივის სპეციალურ მაწარმოებლებთან ერთად: ა—ინ, ა-ევინ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ა პრეფიქსი კაუზატივის მაწარმოებელ სპეციალურ ფორმანტად არ მიგვაჩნია. ჩვენი შეხედულება ეყრდნობა შემდეგ ფაქტიური ხასიათის არგუმენტებს: I. ა- პრეფიქსი წარმოდგენილია ზმნურ ფორმებში, მაგრამ ამ ფორმებს კაუზატიური მნიშვნელობა არ აქვთ. ა) ა-წყვია, ა-გდია, ა-ნთია, ა-ლაგია. ეს ის სტატიკური ზმნებია, რომელთაც არავითარი კაუზატიური მნიშვნელობა არ აქვთ. დღეს ამ ზმნებს ერთი პირის გაგება აქვთ, მაგრამ თავიდანვე მათ ორი პირის გაგება უნდა ჰქონოდათ, რომელთაც ექნებოდა „საზედაოს“ მნიშვნელობა. ბ) გარდაუვალ ორპირიან ზმნებში, რომელთაც დღეს აქვთ „საზედაოს“ მნიშვნელობა: აწევს, ადგას, აზის, ადნება, აკვდება... გ) გარდაუვალ ორპირიან ზმნებში, რომელთაც საზედაოს მნიშვნელობა არ აქვთ: ატყვია, ავიწყდება, აგონდება... დ) არაკაუზატიური მნიშვნელობის გარდამავალ ზმნებში: აკეთებს, აშენებს, ადნობს, აცხობს, ატკბობს... ე). ა პრეფიქსს ვხვდებით სამპირიან გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნებშიც, რომელთაც აგრეთვე არ აქვთ კაუზატივის მნიშვნელობა: მოაპრა, მოაჭამა, მოაგლიჯა, ადარებს...

2. გვაქვს კაუზატიური მნიშვნელობა და არ გვაქვს პრეფიქსი ა: ა) ერთპირიანი ვნებითი გვარიდან ნაწარმოები მოქმედებითი, რომელსაც კაუზატივის მნიშვნელობა აქვს: რევს, ჩეკს, ტეხს, ბადებს, სპობს... ბ) პირველი თურმეობითის ფორმებში: მოუპარვინებია, დაუწერინებია, გადაუხდევინებია, ჩაუყრევინებია, უღვრევინებია, გადაუყრევინებია, დაუწყებინებია, დაურჩევინებია, შეგითვისებინებია, მომიყოლებინებია, შეუწყვეტინებია, წაურთმევინებია, გაუბედვინებია, მიწყენინებია, აუღებინებია, დაულევინებია, შეუტყობინებია, არ მიგრძნობინებია, დაუმარხვინებია, შეუნიშნინებია, მოუძოვინებია[82].

გ) II თურმეობითის ფორმებში: შეეტყობინებიათ, აეგებინებინათ, გაეწყვეტინებინა ხმა, ამოეღებინებინათ, შეეზიდვინებინა, მეგრძნობებინა, შეენიშნინებინა, მოენათვლინებინა, წაეგდებინებინა, ჩაგვეწერინებინა, შეემჩნევინებინა, მოგეტანინებინა, დაეჭერინებინა, გადაედებინებინათ, ეწყენინებინა, ამეცდენინებინა, გაეგლეჯინებინა, შეეხედვინებინა, ჩამოეხრჩობინებინა, დაეკარგვინებინა, დაებანინებინა (თავი), ეწყეველინებინათ, დაელევინებინა, ეგრძნობინებინა, გადაეხდევინებინათ, გამომეთქმევინებინა, წაეშლევინებინა, გამოეპრევინებინა,

---

[82] მასალა ამოეკრიფე უ. ფეიქრიშვილის შრომიდან კაუზატიურ ზმნათა მესამე სერიის ფორმები ახალ ქართულში, «მაცნე», 1973, I, გვ. 102.

მოეკვლევინებინა, შეედგმევინებინა; დაგეყრევინებინა, შეეცვლევინებინა, ამოედგმევინებინა (ენა)... (ფეიქრიშვილი, იქვე).

დ) მესამე სერიის კაუზატიურ ფორმებთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. გარდამავალი სამპირიანი ზმნები I და II სერიიდან მესამეში გადაყვანისას, როგორც ცნობილია, კარგავენ ერთ პირს. ასე მაგ., I და II სერიაში კაუზატიური ფორმის სამპირიანი ზმნა მესამე სერიაშიც ინარჩუნებს კაუზატიურ ფორმას, მაგრამ ა პრეფიქსი არ აქვს:

I სერია:	აწერ-ინ-ებს	ა-კელ-ევინ-ებს
II სერია:	და-ა-წერ-ინ-ა	მო-ა-კელ-ევინ-ა
III სერია:	და-უწერ-ინ-ებია	მო-უ-კვლ-ევინ-ებია

პირის კლებამ გამოიწვია ა- პრეფიქსის დაკარგვაც. ჩვენ ამ შემთხვევებს კვლავ დავუბრუნდებით ა- პრეფიქსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

ე) ეკვლევინება, ელანძღვინება, იკვრევინება კაუზატიური ზმნური ფორმები ა- პრეფიქსის გარეშეა I-სა და II სერიაშიც.

3. ა პრეფიქსი კაუზატივის მაწარმოებელი რომ იყოს, საობიექტო ქცევის ნიშანს ა პრეფიქსი ვერ უნდა ამოეგდო საობიექტო ქცევის კაუზატიური ფორმებიდან და საობიექტო ქცევის პრეფიქსული ნიშანი გვერდით ყოფილიყო ა პრეფიქსიც შდრ.: ვ-ა-წერ-ინ-ებ, ვ-უ-წერ-ინ-ებ, ვ-ი-წერ-ინ-ებ; მით უფრო, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, არც თუ იშვიათია სასხვისო ქცევიანი კაუზატივი[83]. მაგ.: „დამიწერინა. „დამიბეჭდვინა“: „სიგელი მიქელ თეოდორტეს შვილს დამიწერინა, სარდარსა, მისკარბაშს და სხვათ დამიბეჭდვინა“; „მოგიჭედინე“; „ბეფრიად ცოდვილმან მსევალმან... მოგიჭედინე ხატი ესე“. „დაეუხატნე“, „მოუტანინა“; „დაეუკერვინე“, „დაეწვეინე“, „გაუგზებინა“, „გაგიეუქინებ“, „გაგიჰრევინებ“, „ამოგიხლებინებ“, „წამიხდენინე“...[84].

ჩვენი რწმენით, კაუზატიური ფორმების ა პრეფიქსი არაა „კაუზატივის მაწარმოებელი კონფიქსური აფიქსების“ ელემენტი. ამან დაგვარწმუნა სხვადასხვა პრეფიქსულ ხმოვნიანება კაუზატიურმა ფორმებმა, სადაც პრეფიქსული ხმოვნის ცვლა იწვევს სხვა გრამატიკულ მნიშვნელობებს, მაგრამ არ ცვლის ამ ფორმებს კაუზატიური მნიშვნელობის თვალსაზრისით: შდრ.: „ვ-ა-კვლევინებ“ (კაუზატიური ფორმაა); „ვ-ი-კვლევინებ“ (კაუზატიური მნიშვნელობის სასუბიექტო ქცევიანი ფორმაა), „ვ-უ-კვლევინებ“ (კაუზატიური მნიშვნელობის სა-

---

[83] ა. შ ა ნ ი ძ ე, გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი, გვ. 376.

[84] ნიმუშებისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 376.

ბიექტო ქცევიანი ფორმაა); „ვ-ე-კვლევინები“ (კაუზატიური მნიშვნელობის ვნებითი გვარის ფორმაა).

აღნიშნულმა ფაქტიურმა ვითარებამ განაპირობა ჩვენი მოსაზრება, რომლის მიხედვით კაუზატივის მაწარმოებელია ოდენ სუფიქსური ფორმალური ნიშნები.

ასეთ ვითარებაში ასახსნელია კაუზატიური მნიშვნელობის ისეთი ფორმები, სადაც კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსური ფორმალური ნიშნები არ გვაქვს. ასეთებია: ატირებს, აცხოვრებს, აბრძოლებს, აჩენს, ადუმებს, ამოქმედებს, ადუღებს, აძინებს, აცინებს..., რომლებიც თავისი მნიშვნელობით უტოლდება კაუზატივს. შეადარე: ტირის ბავშვი, მაგრამ მას სხვა ატირებს. ასევეა აღნიშნულ ყველა სხვა შემთხვევაშიც: ცხოვრობს ის, მაგრამ მას სხვა აცხოვრებს, იბრძვის ის, მაგრამ აბრძოლებს სხვა; ფიცულობს ის, მაგრამ სხვა აფიცებს და ა. შ.

აღნიშნულ შემთხვევებში კაუზატივის -ევ-, -ინ, -ევინ სუფიქსური ფორმები არ გვაქვს, მაგრამ წარმოდგენილია ა პრეფიქსი. როგორც ვხედავთ, ა პრეფიქსის მეშვეობით გადმოცემულია მნიშვნელობა, რომელიც აკმაყოფილებს კაუზატივის პირობას: აგენსი მოქმედებს პაციენსზე, რომ პაციენსმა ზმნის სემანტიკური მნიშვნელობით ნავარაუდევი მოქმედება ჩაიდინოს. სწორედ აღნიშნული ვითარება აძლევდა საფუძველს არნ. ჩიქობავას მოსაზრებისათვის, სადაც ნათქვამია, მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყოო (იხ. არნ. ჩიქობავა, განმარტ. ლექსიკონი, I, გვ. 061). ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს კაუზატივის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია პირუკუ — მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბებამ განაპირობა კაუზატივი. ჩვენი შეხედულება ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებებს:

I. ჩვენი ვარაუდით, -ა- პრეფიქსმა გარდაუვალ ზმნათაგან (წუხს დუმს, ჩანს...) გარდამავლად გადაქცევის პროცესში (აწუხებს, ადუმებს, აჩენს), ე. ი. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ს, თავისი გრამატიკული მიმართებითი მნიშვნელობით შექმნა შესაფერისი ფონი კაუზატივის ჩამოყალიბებისათვის. ადუმებს, აწუხებს, ადგენს ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, აკმაყოფილებს კაუზატივის პირობას. შემდეგ ენამ შექმნილი კაუზატიური მიმართების მნიშვნელობა სპეციალური მაჩვენებლებით აღნიშნა და ამით მოუპოვა მას გრამატიკული კატეგორიის უფლება. მოხდა მიღებული მიმართებითი მნიშვნელობის ფიქსირება სპეციალური ფორმანტებით (-ინ, -ევინ).

2. მოქმედებითი გვარის კატეგორია შეიძლება იყოს მიკრო სიტუაციურიცა (მარტივი) და მაკრო სიტუაციურიც (რთული). ამისგან

განსხვავებით, კაუზატივი მხოლოდ მაკრო სიტუაციური (რთული) შეიძლება იყოს.

ბუნებრივია, რომ ენის განვითარების პროცესს ჯერ გამოესახა უფრო მარტივი — მიკრო, სიტუაცია (ზმნა ერთი მოქმედი პირით) და შემდეგ მისი გართულებული სახეობა — მაკრო სიტუაციური კონსტრუქციის სახით (ზმნა ორი მოქმედი პირით).

3. საშუალი გვარის ზმნას აქვს თვითმოქმედი და არა მოქმედების თვითგანმცდელი სუბიექტი, შდრ.: ცხოვრობს, ცურავს, დუღს, ფრენს... ამგვარ ზმნათა გარდამავლად — მოქმედებითად, გადაქცევა ნიშნავს, რომ თვითმოქმედი სუბიექტი გადაიქცეს მოქმედების შემსრულებელ პირდაპირ დამატებად — პაციენსად, ანუ ზმნის სემანტიკური მნიშვნელობის მიხედვით მოქმედების რეალურ შემსრულებლად, და ამის გარდა, გაჩნდეს კიდევ ახალი მოქმედი პირი, სუბიექტი — აგენსი. ასეთ შემთხვევებში მიიღება სიტუაცია, რომელიც ზმნის პირებს შორის არსებული ურთიერთობის მიხედვით მაკრო სიტუაციურია, რაც შესაფერ ფონს ქმნის, უფრო ზუსტად, იმავე სიტუაციურ სახეობას ქმნის, რაც კაუზატივის ჩამოსაყალიბებლადაა საჭირო.

ჩვენ გვაქვს სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ა პრეფიქსის კვალიფიკაციას, რაზედაც მსჯელობა გვექნება ცოტა ქვემოთ, ამ საკითხისადმი განკუთვნილ სპეციალურ თავში.

კაუზატივთან დაკავშირებით ჩვენ ერთი საკითხი დაგვრჩა გასარკვევი. რით აიხსნება, რომ კაუზატივისა და სუფიქსური ვნებითის ფორმალური ნიშნები რანგობრივი განაწილების თვალსაზრისით ერთი რანგისანი არიან და ამის გამო, ურთიერთგამომრიცხავ მორფემებს წარმოადგენენ.

ამის გარკვევა გვავალებს, შევუპირისპიროთ სუფიქსური ვნებითის გრამატიკულ დანიშნულებას კაუზატივის გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა. ამ ორ კატეგორიაზე ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კაუზატიური ფორმის გრამატიკული მნიშვნელობა გულისხმობს ორ მოქმედ პირს — სუბიექტს და მოქმედ ობიექტს. ობიექტი ზმნის სემანტიკური მნიშვნელობით ნავარაუდევ მოქმედებას ჩადის, ხოლო სუბიექტი მოქმედებს იმისათვის, რომ ობიექტმა ეს მოქმედება ჩაიდინოს. ზმნაში ორი მოქმედი პირის გამო, ასეთი ფორმები ჩვენი წინაპარი გრამატიკოსების მიერ იწოდებიან ორმაგად გარდამავალ ზმნებად და გვარის კატეგორიის მიხედვით აღიქმებიან როგორც აქტიური — „მოქმედებითი“ გვარისანი.

ვნებით გვართან დაკავშირებით კი აღნიშნული იყო, რომ დონის ვნებითი, პრეფიქსული ვნებითისაგან განსხვავებით, თავისი ქმედების პროცესობრივი ხასიათით ყოველთვის აშკარად პასიურია და სა

სებით შესაბამისი ვნებითი გვარის გრამატიკული დანიშნულების მნიშვნელობისათვის. აღნიშნულის გარდა, სუფიქსური ვნებითის ფორმა ყოველთვის იხმარება ერთი დანიშნულებით; მას ვნებითობის მიღმა არ აქვს შეთავსებული სხვა ფუნქციები (შდრ., ენიან ვნებითს, რომელიც ასახავს განსხვავებულ მნიშვნელობით ნიუანსებს და ითავსებს უ პრეფიქსის დანიშნულებასაც). ამის გამო, კაუზატივი და სუფიქსური ვნებითი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გვარის მიხედვით, როგორც საპირისპირო ერთეულები — მოქმედებითი (კაუზატივია) ვნებითს (სუფიქსური ვნებითის სახით) და ამის გამო გამორიცხეს ერთმანეთი[85].

ამ დებულებასთან შეუთავსებელია „ვეკვლევინები", „ვეთრევინები"... ფორმათა არსებობა, რომელთა მიმართ ა. შანიძე აღნიშნავს: „ე პრეფიქსიანი კაუზატივი, ი პრეფიქსიან კაუზატივთან შედარებით, სიტყვახმარებაში ძალიან იშვიათია"[86].

ამ ფორმათა არსებობა, ალბათ, განაპირობა ე პრეფიქსის დიდმა ფუნქციურმა დატვირთვამ, განსხვავებით სუფიქსური ვნებითისაგან, რომელიც ოდენ ვნებითი გვარის მნიშვნელობას ასახავს. ე პრეფიქსს ვხვდებით აქტიურ კონსტრუქციებშიც (ესროლა, ეძება, მივეც), ასახავს განსხვავებულ მნიშვნელობით ნიუანსებს და ითავსებს უ პრეფიქსის დანიშნულებასაც, რომელსაც ზოგჯერ ოდენ ირიბი ობიექტისადმი მიმართების დანიშნულება აქვს (მაგ., უ-ყურებს).

ამ თვალსაზრისით ყურადსაღები ფაქტია „ი-სროლა" (ორპირიანი მოქმ. გვარი, მნიშვნელობისგან დაცლილი სასუბიექტო ქცევა) — „ე-სროლა" (სამპირიანი მოქმ. გვარი) ფორმათა მიმართება, სადაც ე ფორმანტის დანიშნულება უ ფორმანტის ბადალი უნდა იყოს. სხვა რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ე ფორმანტს სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნაში?!

დასკვნები:

1. კაუზატივი ქართული ზმნის კატეგორიათა შორის ერთ-ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კატეგორიაა. ამას ადასტურებს მისი გამომხატველი ფორმალური მაჩვენებლების გრამატიკული მიმართების შინაარსი: მათი ფუნქცია არის ყოველთვის ერთი დანიშნულების — კაუზაციის ასახვა.

2. კაუზატივის მაწარმოებელი ფორმალური ნიშნებია -ინ, -ევინ სუფიქსები, რომელთა განაწილება ფუძეების მიხედვით კანონზომიერ

[85] აღსანიშნავია, რომ არაბულში, სადაც კაუზატივი მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კატეგორიას წარმოადგენს, ვნებითი გვარის კაუზატიური ფორმები არაა დადასტურებული.

[86] ა. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 307.

ხასიათს ატარებს: ნოლმარცვლიანებთან არის ევინ, ხოლო მარცვლიანებთან — ინ.

3. კაუზატივი და სუფიქსური ვნებითი რანგობრივი განაწილების თვალსაზრისით ერთი რანგისანი არიან. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გვარის მიხედვით, როგორც საპირისპირო ერთეულები — მოქმედებითი (კაუზატივია) ვნებითს და ამის საფუძველზე გამორიცხეს ერთმანეთი.

ა პრეფიქსის კვალიფიკაცია

ა- პრეფიქსის ანალიზი გამიზნულად ბოლოსთვის მოვიტოვეთ. სხვა ფორმალურ ნიშანთა ანალიზმა მასალა დაგვიგროვა ა- ნიშნის რაობის დასადგენად.

ა. შანიძემ ა- პრეფიქსი თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე გამოყო საარვისო ქცევისათვის. იგი უპირისპირდება კეთვნილებითი ურთიერთობის გამომხატველ ი და უ პრეფიქსებს. მაგ.. იშენებს, უშენებს, აშენებს, მაგრამ გვაქვს ასეც: იწერს, უწერს, წერს.

ა პრეფიქსის აღნიშნული კვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ გრამატიკაში ერთ-ერთ ნორმირებულ დებულებად ითვლება, მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობას იწვევს.

ნ. მარის აზრით, ა- პრეფიქსი ზმნას გარდამავალ მნიშვნელობას ანიჭებს[87];

მ. ჯანაშვილის მიხედვით, ა- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის მაწარმოებელი ნიშანია[88].

არნ. ჩიქობავა ქართული ენის ზოგად დახასიათებაში წერს: „სასუბიექტოსა და საობიექტო ქცევებთან შეპირისპირებით გამოიყოფა საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა: აშენებს. აკეთებს, ზრდის, ხატავს, თესავს. **ამგვარ ზმნებში არა ჩანს, ვისთვისაა განკუთვნილი მოქმედება. ზმნის თავსართი ამაზე არაფერს გვეუბნება**". იქვე შენიშვნაში აზუსტებს: „ისე კი, ცხადია, თუ რასმე აშენებენ, შენობას გარკვეული დანიშნულება ექნება. **მაგრამ ამას გავიგებთ წინადადებიდან (და არა ზმნიდან)**: აშენებს სკოლისათვის, მასწავლებელთათვის, თავისთვის.

---

[87] იხ. ნ. მ ა რ ი, დასახ. შრომა, გვ. 139.

[88] იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 66.

ასეთი ზმნები ქართულში ქცევას ისევე არ გადმოგვცემენ, როგორც რუსული, ხომპური ან ლათინური ზმნა"[89]. (ხაზი ჩვენია — მ. დ.).

ა პრეფიქსის ფუნქციად არნ. ჩიქობავას კაუზატიური მნიშვნელობის წარმოება მიაჩნია: „ზოგი გარდაუვალი ერთპირიანი ზმნაც შეიძლება „გავაკაუზატიუროთ": დუმს ის — ადუმებს ის მას; წუხს ის— აწუხებს ის მას; დგას ის — ადგენს ის მას; ჩანს ის — აჩენს ის მას... გარდამავალი ორპირიანი ზმნებია, მაშასადამე, მოქმედებითი გვარისაა. **მოქმედებითი გვარი ამ შემთხვევაში ხტატიკური (გარდაუვალი) ზმნის კაუზატივს უდრის"**[90]. ორიოდე გვერდის შემდეგ ვკითხულობთ: **„მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო** (ხაზი ავტორისაა). ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა წუხს და აწუხებს ზმნათა ურთიერთობა"[91].

ვ. თოფურია ა- პრეფიქსს მოქმედებითი გვარის მაწარმოებლად მიიჩნევს[92].

ბ. რუდენკო მიუთითებს ა- პრეფიქსის შემდეგ დანიშნულებაზე: ა- პრეფიქსი გარდამავლობას აწარმოებს[93]. იგივე ა- კაუზატივს აწარმოებსო[94] (არ გამორიცხავს, რომ ის აგრეთვე აწარმოებს საარეისო ქცევას და საზედაოსაც).

გ. მაჭავარიანი არ იზიარებს, რომ ა- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის მაწარმოებელია, რადგანაც ბევრ მოქმედებითი გვარის ზმნაში ა- არა გვაქვს (მაგ., კლავს, წერს, კითხულობს), ხოლო გარდაუვალ ზმნებში ვხვდებით (მაგ., აწევს, ადგას...). იგი ა- პრეფიქსს კაუზატივის წარმოებას უკავშირებს[95].

ფ. ერთელიშვილი მიზანშეწონილად თვლის ა- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ფორმათა მაწარმოებელ ნიშნად მიეიჩნიოთ; რაც შეეხება ა- პრეფიქსს, რომელიც მცირერიცხოვან სტატიკურ ზმნებში გვაქვს (ა-ხატია, ა-წერია, ა-კერია, ა-ფარია...) წარმოშობით იგივე მოქმედებითისა უნდა იყოს, მაგრამ სტატიკური ზმნებისათვის მიეცეს სტატიკური ვნებითის კვალიფიკაციაო[96].

---

[89] იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 58.

[90] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 59.

[91] იქვე, გვ. 61.

[92] იხ. ე. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, აკად. მოამბე, III, 9.

[93] იხ. ბ. რუდენკო, დასახ. შრომა, გვ. 142, 146.

[94] იქვე, გვ. 174.

[95] იხ. გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი" ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 1, 1959, გვ. 109.

[96] იხ. ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, უნივერსიტეტის შრომები, 114, თბ., 1965, გვ. 189.

თვით ა. შანიძე ა- პრეფიქსის დამატებით ფუნქციებზე წერს: სახელთა ფუძეებისაგან ა-თი გარდამავლობას აწარმოებენ გარკვეული ტიპი ზმნებისა:

„-შეშ-არა შეშებს, არამედ აშეშებს; -მიწ-არა მიწებს, არამედ ამიწებს; -წითლ-არა წითლებს, არამედ აწითლებს, -მდიდრ-არა მდიდრებს, არამედ ამდიდრებს“[97].

აგრეთვე გარდაუვალ ზმნათა ფუძეთაგანო:

„დუღს — ადუღებს, წუხს — აწუხებს, დის — ადენს, რბის — არბენს“[98]. ა-თი ნაწარმოებ ამ ფორმებს კაუზატიურად არ თვლის. მაგრამ ა. შანიძე ა-ს კაუზატიურ ფუნქციასაც აღნიშნავს: „გარდამავალი ზმნისაგან, რომელსაც მაწარმოებლად არავითარი ხმოვანი არ აქვს, შუალობითი კონტაქტის ფორმებს უანოდ ვერ ვაწარმოებთ, მაგ., წერს — აწერინებს, ტეხს — ატეხინებს, თხრის — ათხრევინებს“...[99].

როგორც ვხედავთ, ა- პრეფიქსის კვალიფიკაცია ერთ-ერთი სადავო საკითხთაგანია, რასაც ადასტურებს ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა განსხვავებული შეხედულებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ, თავის მხრივ, აქ წარმოდგენილ ა- პრეფიქსის ყოველ კვალიფიკაციას რეალური, ამ ფორმანტის დანიშნულებით გამართლებული, საფუძველი აქვს. ამიტომაც, აღნიშნული განსხვავებული შეხედულებები მთლიანობაში, იმავე დროს ა- პრეფიქსის ფუნქციური დატვირთვის სრულ ანალიზს გვაძლევს.

ბუნებრივად დაისმის საკითხი, ქართულ ზმნაში რის ფორმალური მაჩვენებელია ა- პრეფიქსი, როგორი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მას?

ამ კითხვაზე პასუხისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ ა პრეფიქსით წარმოების ფუნქციურად განსხვავებული ყველა შემთხვევა.

ა პრეფიქსს ვხედებით შემდეგ შემთხვევებში:

1. ერთპირიან ზმნებში: ანთია, აწყვია, აგდია... აქვე მოხვდება ისეთი ზმნები, რომელთაც დღეს აქვთ ერთი პირის გაგება: „ალაჯებს, აბიჯებს“[100], ადგა (ფეხზე)...

2. გარდაუვალ ორპირიან ზმნებში, როგორიცაა: ახსოვს, რომელსაც საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო ა. შანიძისეულ საარვისო ქცევასაც ვერ მივუყენებთ: აგრეთვე, ატყვია, ავიწყდება, აგონდება...

---

[97] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატიკის საფუძვლები, გვ. 335.

[98] იქვე.

[99] იქვე.

[100] იხ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, იქვე.

3. გარდაუვალ ორპირიან ზმნებში, რომლებსაც „საზედაოს“ მნიშვნელობა აქვთ: აწევს, ადგას, აზის, ადნება, აკვდება...

4. სუფიქსური წარმოების ვნებითისაგან აწარმოებს მოქმედებითს: ცხვება — აცხობს, შენდება — აშენებს, დნება — ადნობს...

5. კაუზატიური მნიშვნელობის გარდამავალ ზმნებში: აწერინებს, ახატვინებს, აშენებინებს...

6. გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს გარდამავალს, ე. ი. მოქმედებითს: ადუმებს, აწუხებს, ადგენს, აჩენს...

7. სამპირიან მოქმედებითი გვარის ზმნებში, რომელთაც კაუზატივის მნიშვნელობა არ აქვთ: მოაჭრა, მოაგლიჯა, მოაცალა, ადარებს...

8. გვაძლევს იდენტური მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს საობიექტო ქცევასთან და ირიბი ობიექტის ს-, ჰ- ნიშნებთან[101].

ჰგლეჯს (ის მას მას)‖აგლეჯს (ის მას მას);
მოსწყვიტა (ძაღლმა კუდი მას)‖მოაწყვიტა (ძაღლმა კუდი მელას);
მიუსიეს (მათ მგელს ძაღლები)‖მიასიეს (მათ მგელს ძაღლები)...

როგორი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ფუნქციურად ასე გადატვირთულ ფორმანტს; რომელ ფუნქციას მივცეთ უპირატესობა, ან რომელი ფუნქცია ჩაითვალოს ა- პრეფიქსის კვალიფიკაციის განმსაზღვრელად?

აღნიშნულთაგან ერთი ფუნქციის მიხედვით ფორმანტის რაობის განსაზღვრა ყოველთვის გამოიწვევს დაეას, დანარჩენი ფუნქციების უგულებელყოფა სამართლიანად ჩაითვლება დამაბრკოლებელ არგუმენტებად. აქ აღნიშნული ერთი რომელიმე ფუნქციის სასარგებლოდ საკითხი ვერ გადაწყდება, რადგან წარმოდგენილი ყოველი კვალიფიკაცია გამართლებულია იმ შემთხვევაში ა პრეფიქსის დანიშნულებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა პრეფიქსი, საერთოდ, ქცევის მაწარმოებელი არ უნდა იყოს. ა პრეფიქსით ნაწარმოებ ფორმებში საერთოდ პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობა ასახული არ არის. იგი უქცეო ფორმაა. უფრო არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ა პრეფიქსიანი ფორმა არ გამორიცხავს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მნიშვნელობებს. შდრ.: „ა-შენებს ჩემთვის“, „ა-შენებს თავისთვის“. ასე არაა სხვა გრამატიკული მნიშვნელობის ასახვის შემთხვევებში. მხოლობითი რიცხვი სემანტიკურად გამორიცხავს სხვა რი-

[101] იხ. ჩვენი ნაშრომის „ნაწილი მეორე“.

ცხვის მნიშვნელობას, პირველი პირი — სხვა პირის მნიშვნელობას და ასე არის ყველა სხვა გრამატიკულ მნიშვნელობათა ასახვის საპირისპირო შემთხვევებშიც. თუნდაც ქცევის შემთხვევაში, საობიექტო ქცევის მნიშვნელობა გამორიცხავს მის საპირისპირო სასუბიექტო ქცევის მნიშვნელობას.

ა- პრეფიქსით ნაწარმოებ თითქოსდა საარვისო ქცევიან ფორმებში კი ჩვენ არ გვაქვს მინიშნება იმაზე, რომ მოქმედება არაა განკუთვნილი ირიბისათვის ან სუბიექტისათვის. შეიძლება აქ ვივარაუდოთ განკუთვნება როგორც ირიბისთვის, ასევე სუბიექტისთვისაც. ა- პრეფიქსიან „აშენებს" ფორმაში ქცევა (ე. ი. ზმნის პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობა) საერთოდ არაა ასახული. იგი უქცეო ფორმაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უქცეო მნიშვნელობის ფორმაში ქცევის ნიშანი ვერ იქნება წარმოდგენილი. „აშენებს", „წერს" ფორმები უპირისპირდება „უშენებს" — „იშენებს" და „უწერს — „იწერს" ფორმებს არა როგორც ქცევის თვალსაზრისით საპირისპირო ფორმები, არამედ როგორც ქცევის მქონე და ქცევის არმქონე ფორმები.

მითითებული შემთხვევების თანამიმდევრობით ჩამოვაყალიბებთ ჩვენს მოსაზრებას ა პრეფიქსის კვალიფიკაციაზე.

აგდია, აწყვია, ალაგია და ის სტატიკური ზმნებია, რომელთაც დღეს ერთი პირის გაგება აქვთ, მაგრამ თავიდანვე მათ ორი პირის გაგება უნდა ჰქონოდათ და ა პრეფიქსი „საზედაოს" მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს დღეს გარდაუვალ ორპირიან ზმნებს გვაქვს, რომლებსაც საზედაოს მნიშვნელობა აქვთ: აწევს, ადგას, აზის, ადნება...

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ა პრეფიქსი მიჩნეულია გარდამავლობის ან მოქმედებითი გვარის მაწარმოებელ ფორმანტად. ა პრეფიქსი მართლაც გვხვდება გარდაუვალიდან გარდამავლად და არამოქმედებითიდან მოქმედებით გვარად გადაქცევის შემთხვევებში. ამიტომ ასეთი მოსაზრებისათვის თითქოს არსებობს რეალური საფუძველი და, მიუხედავად ამისა, ჩვენ ა პრეფიქსი გარდამავლობისა და მოქმედებითი გვარის საწარმოებელ სპეციალურ ფორმანტადაც არ მიგვაჩნია.

ა პრეფიქსს ჩვენ ვერ ვუკავშირებთ კაუზატივის წარმოებასაც. ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხზე აღნიშნული იყო კაუზატივთან დაკავშირებით.

ჩვენ ვფიქრობთ, ა- პრეფიქსული ხმოვანი ზმნაში პირიანობის მმატებელი — ზმნის პირიანობის გამზრდელი ფორმალური ელემენტია; ამიტომაც იგი გვხვდება საზედაოს, გარდამავლობის, მოქმედებითობის, კაუზატივის წარმოების შემთხვევებში. აღნიშნულ ყველა შემ-

თხვეაში იგი პირიანობის გამზრდელი ელემენტია და არა გარდამავლობის, მოქმედებითობის ან კაუზატივის სპეციალური მაწარმოებელი ელემენტი.

ჩვენი ვარაუდით, ა პრეფიქსული ხმოვანი მხოლოდ პირისადმი მიმართებას აჩვენებს. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი გვაძლევს იდენტური მნიშვნელობის პარალელურ ფორმებს ირიბი ობიექტის ს-, ჰ- ნიშნებთან და ნაწილობრივ უ პრეფიქსთანაც, იმის გამო, რომ იგი (უ) მესამე ირიბობიექტური პირის მნიშვნელობას ითავსებს. მაგ., ჰგლეჯს — აგლეჯს; მოსწყვიტა — მოაწყვიტა; ან უჩვენა — აჩვენა; მიუსიეს — მიასიეს...

პირისადმი მიმართების თვალსაზრისით იგი უკავშირდება ე პრეფიქსსაც, რადგან ე პრეფიქსი ი-/უ- პრეფიქსების მნიშვნელობებს ითავსებს (ამასთან დაკავშირებით იხ. სათანადო ადგილები ამავე ნაშრომში). პირისადმი მიმართების დანიშნულება საერთო აღმოჩნდა ა, ე, უ პრეფიქსული ხმოვნებისათვის. მათი საერთო დანიშნულების საფუძველზე ისინი ურთიერთს გამორიცხავენ და ერთ რანგში იმკვიდრებენ ადგილს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კუთვნილების ამსახველი ი პრეფიქსი (საობიექტოსი იქნება თუ სასუბიექტოსი) გამორიცხავს ა პრეფიქსიან ფორმას, რადგან კუთვნილების ამსახველი ი ფორმანტი ყოველთვის წარმოდგენილია სუბიექტური ან ობიექტური პირების ასახვის [illegible]. ასეთ შემთხვევებში პირის მიმართებაზე მიმნიშნებელი ა პრეფიქსი ზედმეტი იქნებოდა.

ერთპირიანი ენებითის მაწარმოებელი ი პრეფიქსი გამორიცხავს ა პრეფიქსს მისი საპირისპირო დანიშნულების გამო. ა ზმნის პირიანობის მმატებელია, ი პრეფიქსი კი აბსოლუტურ ზმნებში აწარმოებს ენებითს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. ა პრეფიქსი არაა ქცევის მაწარმოებელი ნიშანი. სემანტიკურად იგი არ გამორიცხავს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მნიშვნელობებს.

2. ა პრეფიქსს ვხვდებით გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის წარმოების შემთხვევებში. აღნიშნულ შემთხვევებში მისი დანიშნულება უკავშირდება ზმნის პირიანობის მატებას და არა აღნიშნული გრამატიკული კატეგორიების წარმოებას.

3. ა პრეფიქსის მიმართებას ზმნის პირიანობისადმი ადასტურებს იდენტური მნიშვნელობის პარალელური ფორმები, რომელსაც იგი

ქმნის მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნებთან და უ-სთან: მოსწყვიტა — მოაწყვიტა; მოჰგლიჯა — მოაგლიჯა; უჩვენა — აჩვენა, მიუსიეს — მიასიეს...

4. ა პრეფიქსი გვარისა და ქცევის პრეფიქსულ ხმოვნებს გამორიცხავს, რადგან ზმნის პირიანობის მატება-კლების თვალსაზრისით იგი ხან საპირისპირო ფორმანტად გვევლინება, ხან ჭარბად. ამ საფუძველზე პრეფიქსულ ხმოვნებს ერთი რანგის კვალიფიკაცია აქვთ.

სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფორმალური ნიშნები და მათი რანგობრივი კვალიფიკაციები

ამ თავში, როგორც ივარაუდება დასათაურებიდან, ჩვენ დაკვირვების საგნად ვისახავთ სუბიექტურისა და ობიექტური პირების ფორმალურ მაჩვენებლებს მხოლოდ მათი რანგობრივი კვალიფიკაციების თვალსაზრისით.

ქართული და საერთოდ ქართველური ენების ზმნის ერთ-ერთ თავისებურება ის არის, რომ მას შეუძლია მორფოლოგიურად გამოხატოს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის პირიც. ზმნის ეს უნარი იქნება მრავალპირიანობით — პოლიპერსონალიზმით. აღნიშნულის გამო, ზმნის პირთა ცვლა შეიძლება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური პირების მიხედვითაც. პირველ შემთხვევაში ვიღებთ ზმნის სუბიექტურ წყობას, მეორე შემთხვევაში კი — ობიექტურ წყობას. მაგრამ არის ზმნა, რომელიც მხოლოდ სუბიექტური პირის მიხედვით იცვლება. მაგ. ვ-იცი. ეს ზმნა ობიექტურ წყობას ვერ აწარმოებს: გამორიცხულია მ-იცი, გ-იცი ფორმები. არიან ისეთი ზმნებიც, რომლებიც მხოლოდ ობიექტური წყობისაა. ასეთებია: მ-შია, მ-აქს, მ-ძინავს, მ-ჯერა... ამათი ცვლა სუბიექტური პირების მიხედვით შეუძლებელია. მაგრამ, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ზმნა (თუ ის ორპირიანია ან სამპირიანი) სუბიექტ-ობიექტური პირების მიხედვით იცვლება და გვაძლევს როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ წყობასაც.

პოლიპერსონალიზმის საფუძველზე ქართულში ზმნა შეიძლება იყოს: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი, მაგრამ ზმნურ ერთ სიტყვაფორმაში შესაძლებელია მხოლოდ ორი პირის აღნიშვნა. ორზე მეტი პირის ასახვას ვერც სამპირიანი ზმნა ახერხებს.

ორი პირის ნიშანი ზმნაში აუცილებლად იქნება წარმოდგენილი, თუ სუბიექტი III პირია, ხოლო ობიექტი — I ან II პირი: მ-წერ-ს, გ-წერ-ს და, აგრეთვე, თუ სუბიექტი I პირია, ხოლო ობიექტი ირიბია და მესამე პირშია: ვ-ს-წერ (მე მას წერილს); ან როდესაც მესამე პირშია სუბიექტიც და ირიბი ობიექტიც: ს-ჰრი-ს (ის მას თმას): ს-წერ-ს (ის მას წერილს).

თუ ობიექტიც და სუბიექტიც I ან II პირშია, მაშინ სუბიექტის ნიშანი წარმოდგენილი არაა: გ-კლავ (მე შენ), მ-ხატავ (შენ მე), წარმოდგენილია მხოლოდ ობიექტის ნიშანი.

„ვ-ს-წერ“ და მაგგვარ ფორმებში პირის ნიშანთა მიმდევრობის საფუძველზე, სადაც ირიბობიექტური პირის ნიშანი სუბიექტურის მომდევნო რანგშია, სუბიექტურსა და ობიექტურ პირის ნიშნებს მიევეცით სხვადასხვა რანგის კვალიფიკაცია.

პრეფიქსულ სუბიექტურ პირის ნიშნებს მათი მაქსიმალური პოზიციის მიხედვით მიევეცით 30-ის რანგობრივი კვალიფიკაცია.

ობიექტურ პირის ნიშნებს, რომლებიც ოდენ პრეფიქსებს წარმოადგენენ, მათი მაქსიმალური პოზიციის მიხედვით მიევეცით 20-ის რანგობრივი კვალიფიკაცია.

პირის ნიშანთა განსხვავებულ რანგობრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, გასარკვევია ერთი საკითხი: რატომ არაა წარმოდგენილი პირველი სუბიექტური პირის ნიშანი მეორე ობიექტურ პირთან (გ-კლავ, მ-ხატავ... შემთხვევებში)? თეორიულად დასაშვები იყო პირველი სუბიექტურისა და მეორე ობიექტური პირების, როგორც განსხვავებული რანგების წარმომადგენლების, ერთ მიმდევრობაში თანაარსებობა. დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ამ ფაქტმა შეიძლება საეჭვო გახადოს პირის ნიშნებისათვის განსხვავებული რანგობრივი კვალიფიკაციის მინიჭება, ან დასაშვებად გახადოს, პირის ნიშანთა რანგობრივი კვალიფიკაცია განაწილდეს სხვაგვარად: პრეფიქსულ სუბიექტურ და პირველ-მეორე ობიექტურ პირებს მიეცეს ერთი რანგის კვალიფიკაცია, ხოლო მესამე ობიექტურს — პრეფიქსული ხმოვნების (ი, ე/ი, ი/უ, ა) რანგის კვალიფიკაცია, იმ ფაქტიური ვითარების საფუძველზე, რომ პრეფიქსული ხმოვნების წინ არასდროს არაა წარმოდგენილი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი (ს, ჰ).

ამ საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია იმ პირობების გახსენება-გარკვევასთან, რომელიც ურთიერთგამორიცხვის შემთხვევებში გვაქვს.

ორი ფორმალური ნიშანი შეიძლება ურთიერთგამომრიცხველი იყოს:

1. თუ ერთი მნიშვნელობის საპირისპირო შემთხვევებს წარმოადგენენ, სადაც ერთი სახეობა უარყოფს მის საპირისპიროს; მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ნიშანი გამორიცხავს მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობას, ვნებითი გვარის მნიშვნელობა გამორიცხავს სხვა გვარის მნიშვნელობებს, აწმყო დრო — სხვა დროის მნიშვნელობებს და ა. შ.

2. ან თუ ორი ნიშნიდან ერთ-ერთი ჭარბია. ამ შემთხვევაში ერთი ნიშანი მეორეს გამორიცხავს მეტყველების ეკონომიის პრინციპის საფუძველზე.

სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვერ დაუპირისპირდება მეორე ობიექტური პირის ნიშანს, როგორც ერთი ნიშნის მიხედვით დაპირისპირებული საპირისპირო ერთეულები. ენაში, სადაც ასახული სუბიექტურთან ერთად ობიექტური პირებიც, არ შეიძლება მოხდეს მათი (სუბიექტურისა და ობიექტური პირების) დაპირისპირება ზემოთ აღნიშნული პირველი სახეობის ურთიერთგამორიცხვის მსჯელობის წესით, რადგან ზმნურ ერთ სიტყვაფორმაში, თუ ის ორ ან სამპირიანია, სუბიექტის ნიშანთან ერთად დიახაც მოსალოდნელია ობიექტის ნიშანიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბიექტურისა და ობიექტური პირების ამსახველი ნიშნებისათვის დასაშვებია განსხვავებული რანგები.

ჩვენი აზრით, პირველი-მეორე პირის ობიექტური ნიშნები გამორიცხავენ პირველი-მეორე პირის სუბიექტურ ნიშნებს მეტყველების ეკონომიის პრინციპის საფუძველზე. პირველი სუბიექტურისა და მეორე ობიექტური პირების (Ø გ-ვერ...) თანაარსებობის შემთხვევაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი რომ გამოხატავდეს სუბიექტურ ურთიერთობას, იგი ჭარბი იქნებოდა, რადგან სუბიექტი რომ მესამე პირისა იყოს, მას ექნებოდა სათანადო სუფიქსური ნიშანი; სუბიექტი რომ მეორე პირისა არაა, ცხადია, რადგან ობიექტია მეორე პირში (პირველი სუბ. პირის თანაარსებობა პირველ ობიექტ. პირთან და მეორე სუბიექტ. პირისა მეორე ობიექტურთან გამორიცხულია. რაც შეეხება ამ ობიექტების რომლის მაჩვენებელი, მეორე ობიექტური პირის ნიშანი, წარმოდგენილია; თავისთავად რჩება ერთი შესაძლებლობა. რომ სუბიექტი პირველ პირშია. თავისთავად გამომდინარე, აუცილებლობით განსაღვრული მნიშვნელობისათვის კი, მეტყველების ეკონომიის პრინციპის მიხედვით, ფორმალური ნიშანი ჭარბია.

პირველი ობიექტური პირის ნიშანი გამორიცხავს მეორე სუბიექტურს იმავე მიზეზით — ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპის საფუძველზე, „მ-წირავ“ ფორმაში, სადაც სუბიექტი მეორე პირშია, ხოლო ობიექტი — პირველში, წარმოდგენილია მხოლოდ ობიექტის ნიშანი. სუბიექტი პირველ პირში ვერ იქნება, რადგან ობიექტია პირ

ველ პირში, რომლის ნიშანი წარმოდგენილია; სუბიექტი მესამე პირში რომ იყოს, წარმოდგენილი იქნებოდა მისი მაწარმოებელი სუფიქსური ნიშანი. დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა — სუბიექტი მეორე პირშია.

გრამატიკულ ფორმალურ ნიშანთა გამოყენება — ხმარება მეტყველების ეკონომიისა და რაციონალური პრინციპებითაა ნაკარნახევი და მხოლოდ მიღებული შედეგების მიხედვით დადგენილია მათთვის „სიმძლავრის“ განსაზომილების კვალიფიკაცია. „სიმძლავრის“ ცნება ახსნის საშუალება არაა, იგი მეტყველების ეკონომიის პრინციპებით განპირობებული ოდენ კონსტატაციის ფაქტია. ენაში ფორმალური ნიშნები თავიდანვე არ მკვიდრდება „სიმძლავრის“ იარლიყით, მათ „სიმძლავრეს“ ენიჭება მათი ხმარებისა და გამოყენების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორი ფორმიდან ერთ-ერთის გამორიცხვა ვერ აიხსნება გამომრიცხავი ფორმალური ნიშნის „სიმძლავრით“.

სუბიექტურისა და ობიექტური პირების რანგობრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, განვიხილოთ მესამე ირიბობიექტური პირისა და პრეფიქსული ხმოვნებით გადმოცემულ მნიშვნელობათა ურთიერთდამოკიდებულება.

როგორც აღვნიშნეთ, პრეფიქსული ხმოვნების წინ არასდროს არაა წარმოდგენილი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი, რაც ფონეტიკური ფაქტორებით არაა განპირობებული. ამას სხვა საფუძვლები აქვს: ი- ინვერსიის მაწარმოებელია ერთპირიან ზმნებში, სადაც ირიბი ობიექტის ნიშანი შეუსაბამია; რელატიური ვნებითის მაწარმოებელი ე პრეფიქსის ერთ-ერთი შეთავსებული მნიშვნელობა მესამე ირიბობიექტური პირის აღნიშვნელების ასახვაა, (რამდენადაც ე- ითავსებს უ ნიშნის აღნიშვნელებას), და ამდენად, მესამე ირიბობიექტურის ნიშანი შეორე ნიშნით შეცვლა სასუბიექტო ქცევის შემთხვევაში მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი შეუსაბამია (ასეთ შემთხვევებში ზმნას ირიბი ობიექტი არ აქვს; სასუბიექტო ქცევის შემთხვევაში უ პრეფიქსი კვთანხვედრების შენიშვნელობასთან ერთად ითავსებს მესამე ირიბობიექტური პირის მნიშვნელობასაც, აქაც მეორე ნიშნად იგი ჰარბი იქნებოდა).

როგორც ვხედავთ, პრეფიქსული ხმოვნების გვერდით ვერ იქნება წარმოდგენილი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანიც: მათი თანაარსებობა ერთ სიტყვაფორმაში გამორიცხულია — მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი პრეფიქსულ ხმოვნებთან მათი ფუნქციებისა და შემთავსებლური მნიშვნელობის გამო აღმოჩნდა ჰარბი ან შეუსაბამი. აღნიშნული ვითარება იქნებ საფუძველს გვაძლევს, მივცეთ მათ ერთი

რანგის კვალიფიკაცია? მესამე ირიბობიექტური პირის აღნიშნული დამოკიდებულების მიუხედავად პრეფიქსულ ხმოვნებთან, ჩვენ მესამე ირიბობიექტურ პირს ვერ მივცემთ პრეფიქსული ხმოვნების რანგობრივ კვალიფიკაციას. ამის საშუალებას არ გვაძლევს მესამე ირიბობიექტური პირის დანიშნულება, რაც მესამე ირიბობიექტური პირის გრამატიკული მიმართების ასახვაში მდგომარეობს. ქართული ზმნის უნარი ობიექტური პირების ასახვისა მოითხოვს მესამე ირიბობიექტური პირის ამსახველი ფორმების (ს-, ჰ-) შენარჩუნებას და მათი ფუნქციის დაცვას ზმნისათვის — იმ შემთხვევების ასასახავად, როდესაც არაა გადმოსაცემი ვნებითობისა და კუთვნილების მნიშვნელობები, მაგრამ საჭიროა, აისახოს მხოლოდ მესამე ირიბობიექტური პირის გრამატიკული მიმართება. მათთვის (მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნებისათვის) ნიშანდობლივი ფუნქციის გამო მესამე ირიბობიექტურ პირის ნიშნებს მოპოვებული აქვთ უფლება დაუპირისპირდეს დანარჩენ ობიექტურ პირის ნიშნებს ერთი და იმავე გრამატიკული მიმართების საფუძველზე და იყოს მათთან ურთიერთგამორიცხვის დამოკიდებულებაში (ერთი ნიშნის მიხედვით დაპირისპირებული) საპირისპირო შემთხვევების სახით. ასეთი ურთიერთმიმართება მოითხოვს ობიექტური პირის ნიშნებისათვის ერთ- დამოუკიდებელ — რანგს.

ასევე, სუბიექტური პირის ნიშნები, რომლებიც ერთი გრამატიკული მიმართების მნიშვნელობას ასახავენ, უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ერთი მნიშვნელობის საპირისპირო შემთხვევები: სუბიექტური პირველი პირი ვერ იქნება მეორე ან მესამე სუბიექტური პირი. ამის გამო, ისინი ურთიერთს გამორიცხავენ და ერთი რანგისანი არიან. მათი რანგია ძირეული მორფემიდან მესამე პრეფიქსული პოზიცია — 30.

ობიექტური პირის ნიშნები ვერ გამორიცხავენ სუბიექტურ პირის ნიშნებს ურთიერთგამორიცხვის აღნიშნული მნიშვნელობით, რადგან ზმნურ ერთ სიტყვაფორმაში, თუ ის ორ ან სამპირიანია, სუბიექტის ნიშანთან ერთად (მის მეზობლად) დასაშვებია ობიექტის ნიშანიც, რადგან ქართულში სუბიექტურთან ერთად გვაქვს ობიექტური პირის ნიშნებიც. ამ ფაქტიურმა ვითარებამ განაპირობა ობიექტური ნიშნებისათვის განსხვავებული რანგი. მათი რანგია ძირეული მორფემიდან მეორე პრეფიქსული პოზიცია — 20.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დასაზუსტებელია ერთი საკითხიც. გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა მოცულობით სხვადასხვა განზომილებისა არის. ჩვეულებრივ, ფორმალური ნიშნებით აღინიშნება როგორც ყველაზე ზოგადი გრამატიკული მიმართების მნიშვნელობა (ასეთ შემთხვევაში ის ემთხვევა გრამატიკული კატეგორიების

ზღვრებს), ასევე ნაკლებ ზოგადიც. რა თქმა უნდა, ენები სხვადასხვაგვარად იყენებენ გრამატიკულ მიმართებათა მნიშვნელობების ფორმალურად გამოსახვის შესაძლებლობებს. ეს დამოკიდებულია ენების გრამატიკულ მნიშვნელობათა ფორმალურად გამოსახვის განსხვავებულ უნარზე. ამით აიხსნება, რომ ქართულში, სადაც სუბიექტურთან ერთად ფორმალური ნიშნებით აისახა ობიექტური პირებიც, დასაშვები გახდა მათთვის განსხვავებული რანგების დამკვიდრება, მით უფრო, რომ ისინი თავისი გრამატიკული მიმართების თვალსაზრისით განსხვავებულ ოდენობებს წარმოადგენენ.

განვიხილოთ პირის ნიშნები მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანია ვ- პრეფიქსი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ის სუბიექტის ნაცვლად პირველ ობიექტურ პირს აღნიშნავს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ზმნა ინვერსიული წყობისაა, სადაც რეალური სუბიექტი წარმოდგენილია ობიექტის ნიშნით, ხოლო რეალური ობიექტი — სუბიექტის ნიშნით; ზმნაში წარმოდგენილი პირის აღმნიშვნელი ფორმალური ნიშნები და რეალური ვითარება ურთიერთშებრუნებულია. მაგ., ვ-ძულვარ, მ-ძულს, ვ-უყვარვარ, მ-იყვარს, ვ-უნდივარ, მ-ინდა, ვ-გონივარ, მ-გონია, ვეცოდები, მეცოდება, ვებრალები, მებრალება, ვენანები, მენანება, ვენაღვლები, მენაღვლება, ვეგულები, მეგულება, დავუხატივარ, დამიხატიხარ... ყველგან აღნიშნულ ფორმებში პირველი სუბიექტური პირის ნიშნით, ვ-პრეფიქსით, ასახულია რეალური ობიექტი, ხოლო პირველი ობიექტური პირის ნიშნით, მ- პრეფიქსით — რეალური სუბიექტი.

მეორე სუბიექტური პირის მორფემა რამოდენიმე ალომორფით არის წარმოდგენილი: (დ, თ, ტ, ძ, ც, წ. ჯ, ჭ-ს წინ) ს- პრეფიქსით, ჰ- პრეფიქსით (დანარჩენი თანხმოვნების წინ), (ხმოვნების წინ) Ø-ით, თუმც აღნიშნული კანონზომიერება ყოველთვის არაა დაცული, გამორიცხულია ს-თარეშობ, ს-თამაშობ, ს-ძლები... საერთოდ თანამედროვე სალიტ. ქართულის მონაცემების მიხედვით მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ დასტურდება ყოველთვის, ხოლო ნორმათა დამდგენი კომისიის დაჟგენილებით იგი არსად არ უნდა დაიწეროს.

I და II სუბიექტური პირისაგან განსხვავებით, რომლებიც ოდენ პრეფიქსებს წარმოადგენენ, მესამე სუბიექტური პირი სუფიქსებს იყენებს. ესენია მესამე სუბიექტური პირის ალომორფები -ს, -ა, -ო. მხოლობითი რიცხვისათვის და-ნენ, -ენ, ნ, -ან, -ეს მრავლობითი რიცხვისათვის. სუბიექტური პირის ნიშნებმა თანაბარი დატვირთვით გამოიყენეს ქართულში არსებული პრეფიქსული და სუფიქსური გამოსა-

ხვის შესაძლებლობები, რომელთაც ჩვენ ერთი რანგის ღირებულებას ვანიჭებთ[102].

-ს ალომორფით მესამე სუბიექტური პირი წარმოდგენილია მაშინ, როცა ზმნას ყველა პირისათვის ერთ მწკრივში ერთი და იგივე ფუძე აქვს: ვ ნ ა ხ ა ვ, ნ ა ხ ა ვ, ნ ა ხ ა ვ-ს; ვ ა კ ე თ ე ბ, ა კ ე თ ე ბ, ა კ ე თ ე ბ-ს; ვ ც ხ ო ვ რ ო ბ, ც ხ ო ვ რ ო ბ, ც ხ ო ვ რ ო ბ-ს; ვ ი წ ვ ი, ი წ ვ ი, ი წ ვ ი-ს. როგორც ვხედავთ, -ს ალომორფით მესამე სუბიექტურ პირს აწარმოებს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნები აწმყოში, ხოლმეობითში, კაშირებითში და I თურმეობითში.

-ს-ს პოზიციური ადგილი შეიძლება იყოს 01: კვეთ-ს, წერ-ს... ასეთ შემთხვევებში ზმნას არ აქვს მომდევნო პოზიციები, იგი ერთმორფემიანია (სუფიქსური წარმოების მიხედვით). თეორიული შესაძლებლობის მიხედვით მას შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ ობიექტის მრავლობითის აღმნიშვნელი -თ: ის გ̃ერს (თ) თქვენ: ლიტერატურულ ქართულში ასეთი ფორმები არაა, მაგრამ გვაქვს მოგ̃წერათ მან თქვენ შეგეხოთ ის თქვენ.

-ს-ს პოზიციური ადგილი შეიძლება იყოს 02-ც: ხატ-ავ-ს; შეცვლ-ი-ს ასეთ შემთხვევებში ზმნას სუფიქსური მხოლოდ ორი მორფემა აქვს, მომდევნო, რიცხვის პოზიცია, აქაც გამორიცხულია.

-ს-ს პოზიციური ადგილი შეიძლება იყოს 03-ც: აწერ-ინ-ებ-ს დაწერ-დ-ე-ს, გაკეთ-დ-ეს... ასეთ შემთხვევებში ზმნას სუფიქსურ მხოლოდ სამი მორფემა აქვს, მომდევნო რიცხვის შესაძლებელი პოზიცია აქაც გამორიცხულია.

-ს-ს პოზიციური ადგილი შეიძლება იყოს 04-ც: აბ-ან-ძღ-ებ-ინ-ებ-ს, აქაც ოთხი პოზიცია — პოზიციათა მაქსიმალური რაოდენობაა.

-ს-ს პოზიცია არის 05-ც, რომელიც უკვე მისი რანგობრივი ადგილია, რადგან ეს ადგილი მისთვის მაქსიმალური პოზიციაა. მაგ დააწერ-ინ-ებ-ე-ს...

-ს სუფიქსი ყველა შემთხვევაში ასაზღვრავს მესამე სუბიექტურ პირს იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ზმნას ინვერსიული წყობა აქვს: გ̃ყვარს, მძულს... აქ -ს რეალურ ობიექტს აღნიშნავს, სუბიექტი კი პირველ პირშია.

-ა ალომორფით მესამე სუბიექტური პირი მხ. რიცხვისა წარმოდგენილია მაშინ, როცა ზმნას ერთსა და იმავე მწკრივში სხვადასხვა პირისათვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ფუძე. უფრო სწორად

---

102 ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით წამოდგენილია ამ ნაშრომის პირველ ნაწილშიც.

იმიტომაა სხვადასხვა ფუძე, რომ III სუბიექტურ პირს აწარმოებს -ა ალომორფი.

I პ.	გავკეთ-ე	დავემალ-ე	გავშალ-ე
II პ.	გა-აკეთ-ე	დაემალ-ე	გაშალ-ე
III პ.	გაკეთ-ა	დაემალ-ა	გაშალ-ა

ალომორფი -ა მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გამოყენებულია სამივე დროში (თეთრდებ-ა, გათეთრდ-ა, გათეთრდებ-ა) როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ დინამიკურსა და სტატიკურ ზმნებთან: ჰგონი-ა, ანყვი-ა, გდი-ა.

-ა ალომორფის განაწილება პოზიციის მიხედვით ასეთია: მას შეიძლება პოზიციურ ადგილად ჰქონდეს 01: წყვეტ. მოკლ-ა, მოუკლ-ა, გაიშალ-ა... მეორე თურმ. გაეშალ-ა, მოეკლ-ა... მისი მომდევნო პოზიცია შეიძლება იყოს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშნისა: მოგკლა შენ — მოგკლათ თქვენ: გაგიშალა შენ — გაგიშალათ თქვენ; გაგიკეთა შენ — გაგიკეთათ თქვენ...

ამგვარად, იგი 01-ის პოზიციაში იქნება როგორც ერთ-მორფემიანის (მოკლ-ა), ასევე ორმორფემიანის (მოგკლ-ა-თ) შემთხვევებში.

-ა-ს პოზიციურ ადგილად შეიძლება ჰქონდეს 02-ც: წერ-დ-ა, გაგიკეთ-დ-ა, იწერ-ებ-ა. აქაც მომდევნო პოზიცია შეიძლება იყოს ობიექტის მრ. რიცხვისა — გწერ-დ-ა-თ, გაგიკეთ-დ-ა-თ, გეწერ-ებ-ა-თ.

-ა-ს პოზიციურ ადგილად შეიძლება ჰქონდეს 03-ც: იწერ-ებ-ოდ-ა, აბ-აწ-ა-ებ-ინ-ებ-ა... გეწერ-ებ-ოდ-ა-თ. გებ-მ-ოდ-ა-თ, გიხნ-ავ-დ-ა-თ. როგორც ვხედავთ, 03-ის პოზიციაშიც ის არის სამმორფემიანისა (იწერ-ებ-ოდ-ა...) და ოთხმორფემიანის (გეწერ-ებ-ოდ-ა-თ) შემთხვევებში.

-ა ალომორფს პოზიციურ ადგილად შეიძლება ჰქონდეს 04-ის პოზიციაც. რომელიც მხოლოდ მაქსიმალური პოზიციაა: კეთ-დ-ებ-ოდ-ა, აკეთ-ინ-ებ-ინ-ა... როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, აქაც მას შეიძლება მოსდევდეს მრავლობითობის -თ: გიკეთ-დ-ებ-ოდ-ა-თ, გაკეთ-ინ-ებ-ინ-ა-თ...

-ო-ს პოზიციური ადგილი არის მხოლოდდამხოლოდ 01 და გვხვდება ერთმორფემიანებში და ორმორფემიანებში, როდესაც მას მოსდევს პირის სიმრავლის ნიშანი — თ მსგავსად -ა ალომორფისა. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი წარმოდგენილია -ო ალომორფით მხოლოდ გარკვეულ ზმნებში (ნამყო წყვეტილში და II თურმეობითშიც). ძველ ქართულში -ო-ს ნაცვლად გამოყენებული იყო -ა: დაიპყრ-ა (ძვ. ქ.)— დაიპყრ-ო (ახ. ქართ.).

-ო-ს შემთხვევაში, ისევე როგორც -ა-ს დროს, ერთ მწკრივში გამოყენებულია სხვადასხვა ფუძე: I და II პირი იყენებს ერთ ფუძეს, ხოლო III პირი — სხვას:

I პირი	მოვსპ-ე	გავახმ-ე	დავიწყ-ე
II პირი	მოსპ-ე	გაახმ-ე	დაიწყ-ე
III პირი	მოსპ-ო	გაახმ-ო	დაიწყ-ო

მიუხედავად იმისა, რომ ო ალომორფით სუბიექტური მესამე პირი ნაწარმოები აქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს, მაინც ამ ზმნათა რაოდენობა მცირეა: მოვსპე — მოსპო, წავაძრე — წააძრო, ავაგდე — ააგდო, დავიწყე, დავაწყვე, გამოვაწყვე — დაიწყო, დააწყო, გამოაწყო, აღვაპყრე — აღაპყრო, გავახმე — გაახმო, გავადნე — გაადნო, წავავლე — წაავლო, მოვრთე — მორთო, მოვირგე — მოირგო, გამოვაცხე — გამოაცხო, მივსცხე — მისცხო, წავსცხე — წასცხო, წაეუცხე — წაუცხო, ჩავსცხე — ჩასცხო, გავაძრე — გააძრო, გავალღვე — გაალღო, ჩავარჭე — ჩაარჭო, ჩავასე — ჩაასო, გავადნე — გაადნო, ჩავაქრე — ჩააქრო, გავიდე — გაიდო, მოვსდე — მოსდო, განვლე — განელო, გავართე — გაართო, წავაგე — წააგო, დავუგე — დაუგო, გაეიგე — გაიგო, მოვიგე — მოიგო, ავანთე — აანთო, დავათვრე — დაათრო, გავაღე — გააღო, ავიღე — აიღო, გავიღე — გაიღო, ვუმტრე — უმტრო, გავუძლე — გაუძლო, გავაპე — გააპო, გავასწარი — გაასწრო...

როგორც დავინახეთ, დისტრიბუციულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ -ა, -ო, -ს ალომორფები განსხვავებულ განაწილებაშია მრავლობითის -თ ნიშანთან: -ს ალომორფს არასდროს არ მოსდევს მრავლობითის პოზიცია, მაშინ, როდესაც -ა და -ო, საჭიროების შემთხვევაში გუობენ მრავლობითის ნიშანს: შდრ., არაა გწერს (თ) ის თქვენ, მაგრამ გვაქვს მოგწერათ მან თქვენ და გაგიგოთ მან თქვენ. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ -ა, -ო, -ს ალომორფები თავისი ფუნქციური დატვირთვით არ არიან ტოლფასოვანნი.

ჩვენი აზრით, დღეს, სინქრონულ ასპექტში, -ა ალომორფი, ისევე როგორც -ო და -ს, მესამე სუბიექტური პირის ნიშნებს წარმოაგენენ, მაგრამ -ა და -ო განსხვავდებიან თავისი ფუნქციური დატვირთვით ს-გან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ -ს მხოლოდ პირის ნიშანია, მაშინ როდესაც -ა და ო- პირის ნიშანიცაა და მწკრივის აღმნიშვნელიც. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა მესამე სუბიექტური პირის ალომორფთა განსხვავებულ განაწილებას მრავლობითის -თ ნიშანთან.

-ა და -ო რომ მხოლოდ პირის ნიშანი იყოს, რა უნდა უშლიდეს ხელს, მწკრივის ნიშნის შემდეგ წარმოდგენილი იყოს ისევე, როგორც

-ს პირის ნიშანი: წერ-ო-ს, მოკვდ-ე-ს, თხრის და ა. შ. ე, ო, ი-ს შემდეგ ა და ო ქართულში ფონეტიკურად სავსებით დასაშვებია: დაუწერია, დღეობა, საძეო, საუცხოო...

როგორც აღვნიშნეთ, ქართულში სუბიექტისა და ობიექტის რანგები სხვადასხვაა. ამის დამადასტურებელია მიმდევრობა ვ-ს-წერ მე მას წერილს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეფიქსულ რანგებში ერთდროულად ორი ნიშანი — სუბიექტისა (ვ) და ირიბი ობიექტისა (ს)— წარმოდგენილი ვერ იქნებოდა.

ობიექტური პირის ნიშნები ყოველთვის პრეფიქსებს წარმოადგენენ. ობიექტური პირველი პირის მხ. რიცხვის ნიშანია მ-, მნიშვნელობა არა აქვს ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი: დამხატა მან ნე (მ-პირდაპირი ობიექტის ნიშანია) — მემალება ის მე (მ- ირიბი ობიექტის ნიშანია).

მ-ს რანგობრივი ადგილი 20-ია, ბუნებრივია მას პოზიციურ ადგილად შეიძლება ჰქონდეს 10-იც: მ-ხატავ-ს.

მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ- პრეფიქსი, სულერთია ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი. გ-ი-ხატავს ის შენ სურათს (გ- ირიბი ობიექტის ნიშანია), გ-ხატავს ის შენ (გ- პირდაპირი ობიექტის ნიშანია). გ-ს რანგობრივი ინდექსია 20: გ-ი-ხატავს, პოზიციურ ადგილად შეიძლება ჰქონდეს 10-იც: გ-ხატავს.

მესამე ობიექტურ პირს, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არა აქვს, ხოლო თუ ირიბია, აქვს ს- ან ჰ. ეს ნიშნები განაწილებულია იმგვარადვე, როგორც მეორე სუბიექტური პირის შემთხვევაში: ს გვაქვს დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ-ს წინ და ჰ ზოგიერთი თანხმოვნის წინ. ხმოვნების წინ არის Ø.

მესამე ირიბობიექტური პირის რანგობრივი ადგილია აგრეთვე 20. აღსანიშნავია, რომ პოზიციური ადგილის მიხედვით ეს ნიშნები მხოლოდ 10-ის შემთხვევებში გვაქვს, რადგან ისინი პრეფიქსული ხმოვნების წინ არასდროს არ არიან წარმოდგენილნი, ე. ი. მათი მაქსიმალური პოზიცია არის 10. ცნობილია, რომ მაჩვენებლებს რანგობრივი კვალიფიკაცია ეძლევათ მაქსიმალური პოზიციის მიხედვით. აღნიშნული დებულება ხომ ეწინააღმდეგება იმ რანგობრივ კვალიფიკაციას (20-ს), რომელიც ჩვენ მივეცით მესამე ობიექტური პირის ნიშნებს? არ არსებობს საფუძველი სხვაგვარი რანგობრივი კვალიფიკაციისათვის, თუ გავითვალისწინებთ მესამე ირიბი ობიექტური ნიშნების დამოკიდებულებას პრეფიქსულ ხმოვნებთან, რაზედაც მსჯელობა გვქონდა ზემოთ.

ობიექტური პირის ნიშნები ინვერსიულ წყობაში გამოხატავენ რეალურ სუბიექტს. პირველი და მეორე პირის ობიექტის ნიშნები სხვა

ფორმალურ ნიშანთა მნიშვნელობებს არ ითავსებენ და ამის გამო, არ იწვევენ ინტერესს მათი პოზიციური ადგილების განაწილების თვალსაზრისით.

დასკვნები

1. სუბიექტური პირის ნიშნები თანაბარი დატვირთვით იყენებენ ქართულისათვის დამახასიათებელ პრეფიქსულად და სუფიქსურად გამოსახვის საშუალებებს. ერთი დანიშნულების პრეფიქსულსა და სუფიქსურ რანგებს ერთი რანგის ღირებულებას ვანიჭებთ.

II. სუბიექტური პირის რანგებია პრეფიქსული რანგი 30 და სუფიქსური — 05. ამ ერთი დანიშნულების პრეფიქსულსა და სუფიქსურ რანგებს არ უძლევთ ორი რანგის მნიშვნელობას.

III. მესამე სუბიექტური პირის მხოლობითი რიცხვის ალომორფები განსხვავდებიან თავისი ფუნქციური დატვირთვით. -ა და -ო პირის მნიშვნელობასთან ერთად მეკრიჭაც უნდა გამოსახატავს, განსხვავებით -ს-გან, რომელიც ოდენ პირის ნიშანს წარმოადგენს.

IV ობიექტური პირის ნიშნებს სუბიექტურისაგან განსხვავებული თავისი, რანგი აქვთ. ესაა პრეფიქსული რანგი 20.

V მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი პრეფიქსულ ხმოვნებთან შეუთავსებელია. მათი შეთავსებული მნიშვნელობების გამო. მესამე ირიბობიექტური ნიშანი პრეფიქსულ ხმოვნებთან ჭარბია ან შეუსაბამი: ინიან ენებითთან (რომელიც საერთოდ ერთპირიანის ირიბი ობიექტის ნიშანი შეუსაბამია: რელატიური ვნებითის ე პრეფიქსი ითავსებს მესამე ირიბი ობიექტის მნიშვნელობასაც და ამ შემთხვევაში იგი მეორე ნიშნად ჭარბია: სასუბიექტო ქცევის იასთან შესაბამი ირიბობიექტური პირის ნიშანი შეუსაბამია (სასუბიექტო ქცევას ირიბი ობიექტი არ აქვს); საობიექტო ქცევის ე პრეფიქსთან იგი ჭარბია, რადგან ე ითავსებს მესამე ირიბობიექტური პირის დანიშნულებას. ა პრეფიქსთან ს, ჰ ირიბობიექტური პირის ნიშნები ჭარბია, რადგან ა პრეფიქსის დანიშნულებაა სმნის პირიანობის გაზრდა — ორივე შემთხვევაში სმნის პირიანობის მატება ხდება.

ლექსიკონის სტრუქტურა

მესამე ნაწილში, როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, მოცემულია ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები. აფიქსებით მდიდარი ქართული ენა უხვად იყენებს პრეფიქსებსა და სუფიქსებს ზმნის გრამატიკულ ფორმათა საწარმოებლად. ამიტომაც, აფიქსთა რაოდენობა ზმნურ სიტყვაფორმაში ხშირად მორფემათა მიმდევრობის გრძელ ჯაჭვს ქმნის, სადაც მორფემების მიმდევრობით რიგებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ყოველი მორფემის ადგილი მკაცრად განსაზღვრულია გრამატიკული ფაქტორებით განპირობებული შეზღუდვების გამო. ამიტომაც, მიმდევრობის თვალსაზრისით პრეფიქსები და სუფიქსები ვერ ქმნიან ყოველგვარ ან ნებისმიერ კომბინაციებს. ქართული ზმნური აფიქსების დასაშვები პრეფიქსული და სუფიქსური კონები შეზღუდულია როგორც რაოდენობით, ასევე აფიქსთა შეხამებითა და მიმდევრობით. ზმნური აფიქსების ასეთი კონების მისაღებად საჭირო შეიქნა, გაგვეთვალისწინებინა სიტყვაფორმაში მორფთა მიმდევრობის ყოველი შემთხვევა, რამაც მოგვცა ინფორმაციები მათ პოზიციურსა და რანგობრივ ადგილებზე, აგრეთვე, პრეფიქსულ და სუფიქსურ დასაშვებ შეხამებებზე. ამგვარად, მიღებული კონები, რომლებიც პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა ლექსიკონებს სახით წარმოვადგინეთ ნაშრომში, არის ქართული ზმნის მორფემათა დისტრიბუციული ანალიზის შედეგი და ფაქტიურად, გვაძლევენ ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურულ მოდელებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სალექსიკონო ერთეულებს წარმოადგენენ როგორც ერთეული მორფები: -ეს (წერ-ეს), ე- (ე-წერ), -ს (წერ-ს), ასევე მორფთა დასაშვები კომბინაციები ანუ კონები: ე-ა- (ე-ა-წერ), -ინ-ებ-დ-ე-ს (აწერ-ინ-ებ-დ-ე-ს)...

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სალექსიკონო ერთეულების მისაღებად მასალა ამოვკრიბეთ მხატვრული ნაწარმოებების ტექსტებიდან, გავითვალისწინეთ თანამედროვე პრესის ენაც. გამოვიყენეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ქართული ენის გრამატიკის თეორიული მასალებიც.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და გრამატიკის თეორიულ მასალებთან ერთად მხატვრული ტექსტებიდან ესოდენ მასალის ამოკრეფას ამართლებდა ჩვენი მიზანი, მიგვეცა სალექსიკონო ერთეულებისათვის ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც დაახასიათებდა მორფემებს მათი მნიშვნელობითი ნიუანსებისა და დანიშნულებების მიხედვით.

ზმნურ მორფთა ყოველი სტრუქტურული მოდელი, რომელიც სალექსიკონო ერთეულია, წარმოდგენილია ლექსიკონში ამგვარად:

ე- 10(2) — 1. ვნებ. (ე-წერება ის სიაში; — ე-შლება ის მას;
ე-კითხება ის მას მას).

2. მოქმ. და საშ., მეორე თურმ. და მესამე კავშ.
(ე-ხატა მას ის, ე-ცხოვრა მას, ე-ცხოვროს მას).

3. მოქმ. (ე-სროლა მან მას ის; ე-ძებს ის მას).

აღნიშნული სალექსიკონო ერთეული უნდა წავიკითხოთ ასე: ე პრეფიქსი (რომ ის პრეფიქსია, ამაზე მიუთითებს ის, რომ იგი პრეფიქსულ მორფთა ლექსიკონის ერთეულია), რომელსაც აქვს 10-ის რანგობრივი კვალიფიკაცია და ამ რანგის მორფთა შორის რიგით მეორეა, წარმოადგენს ვნებითი გვარის მაწარმოებელ ფორმალურ ნიშანს (იხ. პრეფიქსული მორფემების პირობით ნიშანთა განმარტება), რომელიც გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

1. ვნებითი გვარის შემთხვევებში (მიწერილი ნიმუშებიდან ვიგებთ, რომ ენიანი ვნებითი შეიძლება იყოს: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი).

2. მოქმედებითი და საშუალი გვარის მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში (ვუწერთ სათანადო ნიმუშებს პირიანობის მიხედვითაც).

3. მოქმედებითი გვარის შემთხვევაში (მიწერილი ნიმუშებიდან ვიგებთ, რომ ასეთი შემთხვევები გვაქვს წყვეტილში და აწმყოში. ნიმუშებით თითქმის ამოვწურეთ არსებული შემთხვევები. გვაქვს ენიანი მოქმედებითი გვარის კიდევ ერთი ზმნა „მი-ვ-ე-ც“, რომელიც ერთპოზიციანი შემთხვევებისათვის შეუსაბამია, მაგრამ სამპოზიციანებში მითითებული გვაქვს).

აღნიშნული ნიმუში ამოღებულია ერთპოზიციანთა (ე. ი. როდესაც ზმნურ სიტყვაფორმას მხოლოდ ერთი პრეფიქსი აქვს) შემთხვევებიდან. ე პრეფიქსით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოდელების სტრუქტურული ლექსიკონიდან გაიგოს, რამდენ პოზიციანის შემთხვევებში შეიძლება იყოს ე პრეფიქსი და რა მორფებთან შეხამებული. ამისათვის მკითხველი მოძებნის ორპოზიციანი და სამპოზია-

ნის შემთხვევებში ე პრეფიქსიან სალექსიკონო კონებს, ანუ სალექსიკონო ერთეულებს. მაგალითად, ე — მონაწილეობს ორპოზიციანთა შემდეგ კონებში: „ა-ე“, „ამო-ე“, „აღ-ე“, აღმო-ე, „გ-ე“, „გვ-ე“, „ვ-ე“, „მ-ე“...

სამპოზიციანებში ე- მონაწილეობს: „ა-გ-ე“, „ა-ვ-ე“, „ა-მ-ე“ „ამო-გ-ე“, „ამო-მ-ე“, „აღ-გ-ე“, „აღ-გვ-ე“, „აღ-ვ-ე“, „აღ-მ-ე“, „აღმო-გ-ე“, „აღმო-გვ-ე“, „აღმო-ვ-ე“...

სალექსიკონო ერთეულები დალაგებულია ანბანთრიგზე (ლექსიკონში სიტყვების დალაგების წესით), სადაც მორფები ერთმანეთისაგან გამოყოფილია დეფისებით. ამიტომ, მორფისათვის შეხამებების მოძებნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სალექსიკონო ერთეულები ანუ მორფთა კონები გვაძლევენ კიდევ ერთ სინტაგმატური ხასიათის ინფორმაციას კონაში შემავალ ყოველ მორფზე — მიმდევრობაში (მისი) ადგილის მიხედვით. ეს ადგილები ზოგჯერ ემთხვევა მორფის რანგს მაგ., „ა-გ-ე“ სალექსიკონო ერთეულის მიხედვით ე- არის პირველ ადგილზე ზმნის ძირიდან მარცხნივ (ა-გ-ე-ვ\ო). ეს არის მისი რანგის ადგილი (10), მაგრამ „ა-ვ-ე“ ერთეულის მიხედვით ვ- არის მეორე ადგილზე ზმნის ძირიდან მარცხნივ (ა-ვ-ე-ვ\ე) მისი რანგობრივი ადგილი კი მესამე პოზიციაა (30), ასეთ შემთხვევაში ვ-ს ადგილი კვაზია, ე. ი. პოზიციური.

ზმნის ძირეული მორფემა აღვნიშნეთ R ასოთი (ლათინური radix). თუ ძირეულ მორფემას ერთვის ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელი სუფიქსი, მაშინ ზმნური სიტყვაფორმის ამ ნაწილს აღვნიშნავთ $\bar{R}$-ით. პოზიციათა გადათვლას ვაწარმოებთ R ან $\bar{R}$-დან. ხელმარჯვნივ სუფიქსური რანგებია (01, 02, 03...), ხოლო ხელმარცხნივ — პრეფიქსული რანგები (10, 20 30...).

ქართული ზმნის მიხედვით პრეფიქსული მორფების ოთხი პოზიცია გვაქვს. 10-ის რანგისა არის ვნებითი გვარისა და ქცევის პრეფიქსელი ხმოვნები. ამ რანგში შემავალ მორფთა შორის 1-ით აღინიშნება ი ვნებითისა, 2-ით ე-ვნებითისა, 3-ით სასუბიექტო ქცევის ი-, 4-ით საობიექტო ქცევის უ-, 5-ით საობიექტო ქცევის ი-, 6-ით ზმნის პირიანობის მმატებელი ა პრეფიქსი (იხ. პრეფიქ. მორფთა პირობით ნიშანთა განმარტება).

20-ის რანგისა არის ობიექტური პირის ნიშნები: მ-1, გ-2, ს-3, ჲ-4, გვ.-5.

30-ის რანგისა არის სუბიექტური პირის ნიშნები:

ვ-1, ხ-2.

40-ის რანგისა არის ზმნისწინები: ა-1, ამო-2, აღ-3 და ასე შემდეგ ანბანური რიგის მიხედვით.

ზოგი ზმნისწინით ჩვენ მიერ ნაწარმოები, თეორიულად დასაშვები ყველა კონა, შესაძლებელია, არ იყოს ენაში ფართოდ დანერგილი და პრაქტიკულად გამართლებული, მაგრამ სალექსიკონო ერთეულების დაკლებას სიჭარბე ვამჯობინეთ და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ზოგიერთი ასეთი კონა ლექსიკონში მაინც შეგვეტანა[1].

ოთხიცე პოზიცია ერთდროულად არასდროს არაა წარმოდგენილი: მაქსიმუმია სამი: წა-ვ-უ-კითხე.

სუფიქსური მორფემების ექვსი პოზიცია გვაქვს. 01-ის რანგისა არის ვნებითი გვარის -დ, რომელიც აღნიშნულია 1-ით და კაუზატივის მაწარმოებელი ნიშნები: ევ-2, ევინ-3, ინ-4.

02-ის რანგისა არის თემის მაწარმოებელი ნიშნები: ავ-1, ამ-2, აობ(ავობ)-3, ებ-4, ევ-5, ემ-6, ი-7, ივ-8, ობ-9, ოვ-10.

03-ის რანგისა არის ფუძის სავრცობი ნიშნები: დ-1, ინ-2[2], ოდ-3.

04-ის რანგისა არის მწკრივის ნიშნები: ა-1, ე-2, ი-3, ო-4.

05-ის რანგისა არის პირისა და რიცხვის ნიშნები: ა-1, ს-2, ო-3, ან-4, ენ-5, ეს-6, ნ-7, ნენ-8, მეხველი ხმოვანი — 9.

06-ის რანგისაა მრავლობითი რიცხვის თ სუფიქსი.

სუფიქსური ექვსი პოზიციიდან ერთდროულად წარმოდგენილი შეიძლება იყოს მხოლოდ ხუთი პოზიცია აწერ-ინ-ებ-ენ-ე-თ.

პრეფიქსულსა და სუფიქსურ მორფემა სათანადო ნიშნებით უზრუნველყოფთ გარკვეული პრინციპების დაცვით.

პრეფიქსულ და ასევე სუფიქსურ ლექსიკონს წინ ვუძღვით გამოყენებულ პირობით ნიშანთა განმარტებებს.

პრეფიქსული მორფემებისათვის გამოყენებული პრინციპები

1. წმნისწინებს ეძლევათ მხოლოდ სინტაგმატურ დახასიათება. მათთვის პარადიგმატული ინფორმაციების მიცემა არაა მიზანშეწონილი, რადგან ჩვეულებრივ ერთი და იგივე ზმნისწინი ერთი გრამატ-

---

[1] უკუაღ, უკუგადმო, უკუგა, უკუგამო, უკუგან, უკუგარდა, უკუღა, უკუმო, უკუშე, უკუწემო ზმნისწინებით (რომლებიც განმარტებითი ლექსიკონიდან ამოვიწერეთ) ჩვენს მიერ ნაწარმოები კონა, ალბათ, არაა ენაში დანერგილი.

[2] აღნიშნული-ინ სუფიქსი გვაქვს თურმეობით მეორესა და კაუზატივით მესამე შემთხვევებში: გაეკეთებინებ-ინ-ა, გაეკეთებინებ-ინ-ოს; დაეხატვინებ-ინ-ა, დაეხატვინებ-ინ-ოს..., რომელიც რანგობრივი ჯანჭვილობით ფუძის სავრცობთა (დ, ოდ) რანგზეა.

კული მიმართების საპირისპირო მნიშვნელობის შეთხვევებშია წარმოდგენილი[3].

შდრ. გა-თალა (წარსული დრო) — გა-თლის (მომავალი დრო); ა-შენდა (წარსული დრო) — ა-შენდება (მომავალი დრო); ჩა-დგა, (წარსული დრო) — ჩა-დგება (მომავალი დრო). აღნიშნულის გარდა, ზმნისწინი ხშირად ახალ ლექსიკურ მნიშვნელობასაც აწარმოებს: მაგ., შდრ: და-ჭრა — ჩა-ჭრა (სტუდენტი); გა-იქცა — წა-იქცა; შე-ეკითხა — შე-ინახა; და-ტეხა — და-გორავს...

ზმნისწინთა აღნიშნული შემთხვევების გათვალისწინება საგრძნობლად გაზრდიდა სალექსიკონო ერთეულების რაოდენობას და ჩვენი მიზნის თვალსაზრისითაც გაუმართლებელი იქნებოდა.

როგორი პარადიგმატული ინფორმაცია იქნებოდა გამართლებული მაგ. ა (სინტაგმატური დახასიათების მიხედვით· 40/1/) ზმნისწინისათვის „ა-წერა"-ში? მოქმედებითი გვარი? მაგრამ იგივე სინტაგმატური დახასიათებით ა—40/1/ ა-შენდა-ში გვაძლევს ვნებით გვარს; ა-შენდა 40/1/ — წარსული დრო? მაგრამ იგივე ა აშენდება-ში მოგვცემს მომავალ დროს, ამიტომ, ზმნისწინები სინტაგმატური ინფორმაციის ამარა დაუტოვეთ; „ა—40/1/—R (ა-შენდა)" მიწერილი ზმნური ნიმუში მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებს.

2. სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნებს ვაძლევთ ორ ინფორმაციას — პირდაპირი და ინვერსიული წყობისათვის, რადგანაც ისინი ორივე შემთხვევაში გვხვდება.

ვ-30(1) — I. სუბიექტის პირველი პირი (ვხატავ).
II. ობიექტის პირველი პირი (ვ-ძულვარ).

გ-20(2) — I. ობიექტის მეორე პირი (გ-ხატავს).
II. სუბიექტის მეორე პირი (გ-ინდა).

გვ-20(5) — I. ობიექტის პირველი პირის მრ. რიცხვი (გვ-ხატავს).
II. სუბიექტის პირველი პირის მრ. რიცხვი (გვ-ინდა)...

3. სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნების რიცხვზე ინფორმაციას ვიძლევით მხოლოდ მაშინ, თუ საპირისპირო რიცხვის მნიშვნელობა გამორიცხულია. მაგ.: ვ-წერ-30(1) — „სუბიექტური პირველი პირი, მხ. რიცხვი", მაგრამ თუ იგივე ფორმალური ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში, მაშინ რიცხვზე ინფორმაცია სიტყვიერად არ იძლევა, მაგრამ ვაძლევთ ორივე რიცხვისათვის ნიმუშებს. მაგ., „გ-20(2) — ობიექტის მეორე პირი (გ-ხატავენ შენ, გ-ხატავენ თქვენ)".

---

[3] პრეფიქსებს ინფორმაციები ეძლევა მხოლოდ პრეფიქსული მორფემების მიხედვით; ძირი და სუფიქსები უგულებელყოფილია.

4. ქცევის ამსახველ სალექსიკონო ერთეულებს სიტყვიერად ვუწერთ გვარის ინფორმაციასაც, თუ ეს ქცევა აუცილებლობით გულისხმობს გვარის კონკრეტულ სახეობას. მაგ., „ი-10(3) — სასუბიექტო ქცევა, მოქმედებითი გვარი. ქცევის სხვა შემთხვევებში ვკმაყოფილდებით გვარზე მხოლოდ განსხვავებული ნიმუშების მიწოდებით. მაგ., „უ-10(4) — საობიექტო ქცევა (უ-შენდება, უ-გორავს, უ-ხატავს)", მაგრამ გვარზე სიტყვიერად ინფორმაციას არ ვუწერთ.

5. გვარისა და ქცევის პრეფიქსულ ხმოვნებს ინფორმაციები მივეცით მათი განსხვავებული მნიშვნელობების მიხედვით[4]. მაგ., „უ-10(4)".

1. საობიექტო ქცევა (უ-წერს, უ-გორავს, უ-შენდება).
2. სასუბიექტო ქცევა (უ-ნდა, უ-ხარია, უ-ყვარს).
3. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს.

ა) მოქმ. და საშ. გვარის პირველ თურმეობითში (უ-წერია, უ-ცხოვრია);
ბ) აწმყო (უ-კრავს ის);
გ) მოქმედებით გვარში (უ-თხრა მან მას ის, უ-ყურებს ის მას)

6. გათვალისწინებული გვაქვს ფორმობლივი დამთხვევის ფაქტები: ა-ი-40(1) — 10(1) — ვნებითი გვარი (ა-ი-ვსო პურებელი წყლით);

ა-ი-40(1) — 10(3) — მოქმედებითი გვარი, სასუბიექტო ქცევა (ა-ი-ვსო მან ის).

და-ე-40(12) — 10(2) — ვნებითი გვარი, ნამყო წყვეტილი (და-ე-ცქვიტა მას ყურები);

და-ე-40(12) — 10(2) — მოქმედებითი გვარი, თურმეობითი პირველი (თურმე მას ყურები დაეცქვიტა).

და-მ-ი-40(12) — 20(1) — 10(3) — მოქმედებითი გვარი, ობიექტის პირველი პირი, სასუბიექტო ქცევა (და-მ-ი-ყენა მან მე მოჯამაგირედ).

და-მ-ი-40(12) — 20(1)—10(5) — მოქმედებითი გვარი, ობიექტის პირველი პირი, საობიექტო ქცევა (და-მ-ი-ყენა მან მე ბიჭი მოჯამაგირედ).

სუფიქსური მორფემებისათვის გამოყენებული პრინციპები

1. პრეფიქსებისაგან განსხვავებით, სუფიქსური მორფემების ინფორმაციის დროს არ უგულებელვყოფთ ზმნური სიტყვაფორმის ლექ-

[4] ტექნიკური მიზეზების გამო ნიმუშები საგრძნობლად შევამცირეთ.

სიკური ერთეულის (R—$\bar{R}$) სახეობას. ლექსიკური ერთეულის სწორად გამოყოფა ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მიმდევრობაში სუფიქსური მორფემების რიგითი ადგილის მართებული კვალიფიკაციისათვის. ეს გასაგებიცაა, რადგან რანგობრივი თეორიის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით, ზმნურ სიტყვაფორმაში, ე. ი. ერთ მიმდევრობაში, ერთი რანგის კვალიფიკაციის ორი მორფი დაუშვებელია, რადგან ორიდან ერთ-ერთი მომდევნოა, ე. ი. სხვა რანგში ხვდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ დაუშლელი ძირითადი ლექსიკური მორფემა აღვნიშნეთ R ასოთი, ხოლო ნაწარმოები ლექსიკური ერთეული $\bar{R}$-ით. ამით მივუნიშნეთ, რომ ძირითადი ლექსიკური მორფემა დაგრძელებულია ლექსიკური მნიშვნელობის მორფემით, რომელიც გრამატიკული მნიშვნელობის მორფთა მიმდევრობაში ვერ მონაწილეობს. დაგრძელებული $\bar{R}$-ით აღინიშნა ნაწარმოები ლექსიკური ფუძის შემთხვევები, როგორიცაა წ ა ვ ს უ ლ-ვარ, ა კ ე თ ე ბ-ინებს, გ ა ვ მ ხ დ ა რ-ვარ და სხვა მრავალი. ასეთი გზით, ჩვენ გამოვრიცხეთ ერთ სიტყვაფორმაში ერთი რანგობრივი კვალიფიკაციის ორი მორფის მონაწილეობა, მაგ., როგორიცაა: აკეთებ-ინ-ებ-ს და თავი დავაღწიეთ შესაძლებელ წინააღმდეგობებს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებთან.

ლექსიკური ერთეულის განმვრცობ ელემენტებს ანბანური რიგის მიხედვით მივეცით ნუმერაცია და აღვნიშნეთ r-ით (იხ. სუფიქსურ მორფების პირობით ნიშანთა განმარტება). ამგვარად, $\bar{R}$-ს მოვადევნებთ ფრჩხილებში r-ს თავისი ნომერით, რაც აისახა ასე:

$\bar{R}$(r$_3$)-„კ ე თ ე ბ“, რაც ნიშნავს, რომ ძირეული მორფემა დაგრძელებულია „ებ“-ით.

2. მეშველზმნიან ფორმებს მეშველი ზმნისათვის ვაძლევთ რანგობრივი მნიშვნელობისათვის აღნიშვნას 05(9), ხოლო სიტყვიერად ვიძლევით სრულ ინფორმაციას, მაგ., „გამშრალიყოთ“... $\bar{R}$(r/2/)-05/9/, სუბიექტის მრავლობითი რიცხვი, III კავშირებითი, ვნებითი გვარი.

3. პრეფიქსების მსგავსად, როდესაც სინტაგმატური მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ორივე გვარი (მოქმედებითი და ვნებითი), ან ორივე რიცხვი (მხოლობითი და მრავლობითი), გვარისა და რიცხვის ინფორმაციას სიტყვიერად არ ვიძლევით, მაგრამ უზრუნველვყოფთ შესაძლებელი მნიშვნელობების ნიმუშებით. მაგ., ა-05(1) სუბიექტის მესამე პირი; მხოლობითი რიცხვი; ნამყო წყვეტილი (მოკლა, გათბა);

გვარის ინფორმაცია ნიმუშებით წარმოვადგინეთ.

სხვა შემთხვევაშიც პარადიგმატულ ინფორმაციებს ვაძლევთ პრეფიქსებისათვის გამოყენებული პრინციპების მიხედვით.

მორფთა გრამატიკული კვალიფიკაციები მეტწილად შეესაბამება სიტყვიერად მიწერილ ინფორმაციებს, მაგრამ შეუსაბამობის შემთხვე-

ვებში (როგორიცაა „ე-სროლა, ე-ძება“, როდესაც ვნებითი გვარის წარმოებელ ე- პრეფიქსს ვხვდებით მოქმედებით გვარში) ვიღებთ ინტერესო მასალას ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართ თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ქართული ზმნური აფიქსების სინტაგმატურ-პარა მატული ლექსიკონის მონაცემები მასალად გამოადგებათ ამ საკი მომუშავე პირთ მორფემების სხვადასხვა თვალსაზრისით დამუშა შემთხვევაშიც.

შემოკლებანი

პრეფიქსული და სუფიქსური მორფების ლექსიკონისათვის

აწმ. — აწმყო
გრდმ. — გარდამავალი
გრდუვ. — გარდაუვალი
ვნებ. — ვნებითი გვარი
თურმ. — თურმეობითი
ინვერს. — ინვერსიული წყობისა
ირიბობ. — ირიბობიექტური
კაუშ. — კაუშირებითი
კაუზატ. — კაუზატიური სიტუაციისა
მოქმ. — მოქმედებითი გვარი
მრ. — მრავლობითი რიცხვი
მყ. — მყოფადი
მხ. — მხოლობითი რიცხვი
ნამყ. უსრ. — ნამყო უსრული
ნამყ. ძირ. — ნამყო ძირითადი
ობ. — ობიექტური
პირდობ. — პირდაპირობიექტური
პირობ. — პირობითი
საზედ. — საზედაო სიტუაციისა
საობ. ქც. — საობიექტო ქცევა
სასუბ. ქც. — სასუბიექტო ქცევა
საშ. — საშუალო გვარი
სტატ. — სტატიკური ზმნა
სუბ. — სუბიექტური
1 — პირველი პირი
2 — მეორე პირი
3 — მესამე პირი

პრეფიქსული მორფემების პირობით ნიშანთა განმარტება

40 — ზმნისწინი

1 — ა
2 — ამო
3 — აღ
4 — აღმო
5 — გა
6 — გადა
7 — გადმო
8 — გამო
9 — გან
10 — გარდა
11 — გარშემო
12 — და
13 — მი
14 — მიმო
15 — მო
16 — უკუ
17 — უკუაღ
18 — უკუგამო
19 — უკუგან
20 — უკუგარდა
21 — უკუდა
22 — უკუმო
23 — უკუშე
24 — უკუშემო
25 — შე
26 — შემო
27 — შთა
28 — ჩა
29 — ჩამო
30 — წა
31 — წამო
32 — წარ
33 — წარმო

30 — სუბიექტის პირის ნიშანი

1—ვ (სუბიექტის პირველი პირი)
2—ხ (სუბიექტის მეორე პირი)

20 — ობიექტის პირის ნიშანი

1—მ (ობიექტის პირველი პირი)
2—გ (ობიექტის მეორე პირი)
3—ს (ირიბობიექტური მესამე პირ...)
4—ჲ (ირიბობიექტური მესამე პირ...)
5—გვ (ობიექტის პირველი პირი, გ... ლობითი რიცხვი)

10 — გვარი, ქცევა, საზედაო და კაუზატიური სიტუაციები

1—ი (ვნებითი გვარი)
2—ე (ვნებითი გვარი)
3—ო (სასუბიექტო ქცევა)
4—უ (საობიექტო ქცევა)
5—ი (საობიექტო ქცევა)
6—ა (საზედაო სიტუაცია; კაუზატ... რი სიტუაცია; მოქმედებითა ... რი).

პრეფიქსთა ერთპოზიციანი შემთხვევები

1. ა—40/1/ — (ა-შენდა ის., ა-კეცა მან ის).
2. ა—10/6/ — I. მოქმ. (ა-კეთებს ის მას; ა-ჭრის ის მას მას).
   II. კაუზატ. (ა-დუმებს ის მას; ა-ჭმევს ის მას მას).
   III. საზედ. (ა-დგას ის მას).
3. ამო—40/2/ — (ამო-ვიდა ის; ამო-ჭრა მან მას ის).
4. აღ—40/3/ — (აღ-დგა ის; აღ-ზარდა მან ის).
5. აღმო—40/4/ — (აღმო-ჩნდა ის; აღმო-ფხვრა მან ის).
6. გ—20/2/ — I. ობ. 2 (გ-ხატავს).
   II. სუბ. 2 (გ-ცივა).
7. გა—40/5/ — (გა-სკდა ის; გა-ცვითა მან ის).
8. გადა—40/6/ — (გადა-რჩა ის; გადა-ხატა მან ის).
9. გადმო—40/7/ — (გადმო-ბრუნდა ის; გადმო-ცურა მან ის).
10. გამო—40/8/ — (გამო-ჩნდა ის; გამო-ჭრა მან ის).
11. გან—40/9/ — (გან-ვითარდა ის; გან-დევნა მან ის).
12. გარდა—40/10/ — (გარდა-ქმნა მან ის).
13. გარშემო—40/11/ — (გარშემო-ხვევია ის მას).
14. გვ—20/5/ — I. ობ. 1., მრ. (გვ -ხატავს).
   II. სუბ. 1., მრ., (გვ-ცივა).
15. და—40/12/ — (და-ჭკნა ის; და-ხატა მან ის).
16. ე—10/2/ — I. ვნებ. (ე-წერება ის სიაში; ე-შლება ის მას; ე-კითხება ის მას მას).
   II. მოქმ. და საშ., მეორე თურმ. და მესამე კავშ. (ე-ხატა მას ის, ე-ხატოს მას ის, ე-ცხოვრა მას, ე-ცხოვროს მას).
   III. მოქმ. (ე-სროლა მან მას ის; ე-ძებს იგი მას).
17. ვ—30/1/ — I. სუბ. 1 (ვ-ხატავ მე მას).
   II. ობ. 1 (ვ-ყვარებიეარ მას მე).
18. ი—10/1/ — ვნებ. (ი-ხატება ის).
19. ი—10/3/ — I. სასუბ. ქც., მოქმ. (ი-შენებს ის მას).
   II. საობ. ქც., მოქმ. (ი-ცოდებს ის მას; ი-კედლებს ის მას).
   III. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ. (ი-ჭერს ის მას; ი-წყებს ის მას).
20. მ—20/1/ — I. ობ. 1., მხ. (მ-ხატავს ის მე).
   II. სუბ. 1., მხ. (მ-ცივა).
21. მი—40/13/ — (მი-ხვდა იგი მას; მი-დგა მან ის).
22. მიმო—40/14/ — (მიმო-ქრის ის; მიმო-ყარა მან ის).
23. მო—40/15/ — (მო-რჩა იგი; მო-რთო მან ის).
24. ს—20/3/ — ირიბობ. 3 (ს-ცილდება ის მას; ს-წერს ის მას მას).

25. უ—10/4/ — I. საობ. ქც. (უ-წერს; უ-შენდება; უ-გორავს).
II. სასუბ. ქც. (ურ-ნდა, უ-ხარია, უ-ყვარს).
III. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს: ა) მოქმ. და საშ. პირველი თურმ. (უ-წერია, უ-ცხოვრია); ბ) აწმყო (უ-კრავს ის); გ) მოქმ. (უ-თხრა მან მას ის, უ-ყურებს ის მას).
26. უკუ—40/16/ — (უკუ-დგა ის; უკუ-დგამს ის მას).
27. უკუაღ—40/17/ — (უკუაღ-დგა ის; უკუაღ-მართა მან ის).
28. უკუგამო—40/18/ — (უკუგამო-სხივდა ის).
29. უკუგან—40/19/ — (უკუგან-ვითარდა ის).
30. უკუგარდა — 40/20/ — (უკუგარდა-ქმნა მან ის).
31. უკუშე—40/23/ — (უკუშე-დგა ის).
32. უკუშემო—40/24/ — (უკუშემო-ბრუნდა ის).
33. შე—40/25/ — (შე-ცდა ის).
34. შემო—40/26/ — (შემო-ცვივდნენ ისინი).
35. შთა—40/27/ — (შთა-ბერა მან მას ის).
36. ჩა—40/28/ — (ჩა-ვიდა ის; ჩა-ბნელდა; ჩა-ყარა მან ის).
37. ჩამო—40/29/ — (ჩამო-ვიდა ის; ჩამო-ღამდა; ჩამო-ყარა მან ის).
38. წა—40/30/ — (წა-ხდა იგი; წა-ვიდა იგი: წა-შალა მან იგი).
39. წამო—40/31/ — (წამო-ვიდა იგი: წამო-წითლდა იგი; წამო-ჭრა მან იგი).
40. წარ—40/32/ — (წარ-მართა მან იგი: წარ-დგა იგი).
41. წარმო—40/33/ — (წარმო-სახა მან ის; წარმო-დგა იგი).
42. ხ—30/2/ — სუბ. 2 (ხ-არ შენ).
43. ჰ—20/4/ — ირიბობ. 3. (ჰ-კითხა მან მას ის; ჰ-ბარდება ის მას: ჰ-გავს ის მას).

პრეფიქსთა ორპოზიციანი შემთხვევები

1. ა-ა—40/1/-10/6/ — მოქმ. (აა-შენა მან ის).
2. ა-გ—40/1/-20/2/ — I. ობ. 2 (ა-გ-წერა მან შენ).
II. სუბ. 2., (ა-გ-ქონდა შენ ის).
3. ა-გვ—40/1/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (ა-გვ-წერა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (ა-გვ-ქონდა ჩვენ ის).
4. ა-ე—40/1/-10/2/ — I. ვნებ. (ა-ე-შალა ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ა-ე-წერა მას ის, ა-ე-წეროს მას ის).

5. ა-ვ—40/1/-30/1/ — I. სუბ. 1 (ა-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (ა-ვ-ყავდი მას მე).
6. ა-ი—40/1/-10/1/ — ვნებ. (ა-ი-ვსო ის).
7. ა-ი—40/1/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (ა-ი-ვსო მან ის).
8. ა-მ—40/1/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (ა-მ-წერა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (ა-მ-ქონდა მე ის).
9. ამო-ა—40/2/-10/6/ — მოქმ. (ამო-ა-შენა მან ის).
10. ამო-გ—40/2/-20/2/ — I. ობ. 2 (ამო-გ-დო მან შენ).
II. სუბ. 2 (ამო-გ-ყავდა შენ ის).
11. ამო-გვ—40/2/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (ამო-გვ-დო მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (ამო-გვ-ქონდა ჩვენ ის).
12. ამო-ე—40/2/-10/2/ — I. ვნებ. (ამო-ე-ფარა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ამო-ე-წერა მას ის; ამო-ე-წეროს მას ის).
13. ამო-ვ—40/2/-30/1/ — I. სუბ. 1 (ამო-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (ამო-ვ-ყავდი მას მე).
14. ამო-ი—40/2/-10/1/ — ვნებ. (ამო-ი-სვარა ის).
15. ამო-ი—40/2/-10/3/ — I. სასუბ. ქც., მოქმ. (ამო-ი-შენა მან ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. (ამო-ი-ღო მან ის).
16. ამო-მ—40/2/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (ამო-მ-დო მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (ამო-მ-ყავდა მე ის).
17. ამო-ს—40/2/-20/3/ — ირიბობ. 3 (ამო-ს-ცდა ის მას; ამო-ს-ჭრა მან მას ის).
18. ამო-უ—40/2/-10/4/ — I. საობ. ქც. (ამო-უ-წერა მან მას ის, ამო-უ-შენდა მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (ამო-უ-წერია მას ის).
19. ამო-ხ—40/2/-30/2/ — სუბ. 2 (ამო-ხ-ვედი შენ).
20. ამო-ჰ—40/2/-20/4/ — ირიბობ. 3 (ამო-ჰ-ხდა მას სული; ამო-ჰ-გლიჯა მან მას ის).
21. ა-ს—40/1/-20/3/ — ირიბობ. 3 (ა-ს-ტყორცნა მან ის; ა-ს-ცდა ის მას).
22. ა-უ—40/1/-10/4/ — I. საობ. ქც. (ა-უ-წერა მან მას ის; ა-უ-შენდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (ა-უ-წერია მას ის).
23. აღ-ა—40/3/-10/6/ — მოქმ. (აღ-ა-შენა მან ის).
24. აღ-გ—40/3/-20/2/ — ობ. 2 (აღ-გ-წერა მან შენ).
25. აღ-გვ—40/3/-20/5/ — ობ. 1., მრ. (აღ-გვ-წერა მან ჩვენ).

26. **აღ-ე**—40/3/-10/2/ — I. ვნებ. (აღ-ე-ზარდა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღ-ე-ზარდა მას ის; აღ-ე-ზარდოს მას ის).
27. **აღ-ვ**—40/3/-30/1/ — სუბ. 1 (აღ-ვ-წერე მე ის).
28. **აღ-ი**—40/3/-10/1/ — ვნებ. (აღ-ი-წერა ის).
29. **აღ-ი**—40/3/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (აღ-ი-წერა მან ის).
30. **აღ-მ**—40/3/-20/1/ — ობ. 1., მხ. (აღ-მ-წერა მან მე).
31. **აღმო-ა**—40/4/-10/6/ — მოქმ. (აღმო-ა-ჩინა მან ის).
32. **აღმო-გ**—40/4/-20/2/ — ობ. 2 (აღმო-გ-ფხვრის ის შენ).
33. **აღმო-გვ**—40/4/-20/5/ — ობ. 1., მრ. (აღმო-გვ-ფხვრის ის ჩვენ).
34. **აღმო-ე**—40/4/-10/2/ — I. ვნებ. (აღმო-ე-ფხვრა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღმო-ე-ფხვრა მას ის, აღმო-ე-ფხვრას მას ის).
35. **აღმო-ვ**—40/4/-30/1/ — სუბ. 1 (აღმო-ვ-ჩნდი მე).
36. **აღმო-ი**—40/4/-10/1/ — ვნებ. (აღმო-ი-ფხვრა ის).
37. **აღმო-ი**—40/4/-20/3/ — სასუბ. ქც.; მოქმ. (აღმო-ი-ფხვრა მან ის).
38. **აღმო-მ**—40/4/-20/1/ — ობ. 1., მხ. (აღმო-მ-ფხვრა მან მე).
39. **აღმო-უ**—40/4/-10/4/ — I. საობ. ქც. (აღმო-უ-ჩინა მან მას ის; აღმო-უ-ცენდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (აღმო-უ-ჩენია მას ის).
40. **აღ-უ**—40/3/-10/4/ — I. საობ. ქც. (აღ-უ-მართა მან მას ის; აღ-უ-სრულდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (აღ-უ-წერია მას ის).
41. **ა-ხ**—40/1/-30/2/ — სუბ. 2 (ა-ხ-ვალ შენ).
42. **ა-ჰ**—40/1/-20/4/ — ირიბობ. 3 (ა-ჰ-კიდა მან მას ის; ა-ჰ-ყვა მას მას).
43. **გ-ა**—20/2/-10/6/ — I. ობ. 2., მოქმ. (გ-ა-შენებს ის შენ; გ-ა-კეთდება ის შენ).
II. ობ. 2., საზედ. (გ-ა-ფენია ის შენ).
III. ობ. 2., მოქმ., კაუზატ. (გ-ა-დუმებს ის შენ; გ-ა-ჰმეცს ის შენ).
44. **გა-ა**—40/5/-10/6/ — მოქმ. (გა-ა-შენა მან ის).
45. **გა-გ**—40/5/-20/2/ — I. ობ. 2. (გა-გ-თელა მან შენ).
II. სუბ. 2 (გა-გ-ჭონდა შენ ის).
46. **გა-გვ**—40/5/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (გა-გვ-თელა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (გა-გვ-ჭონდა ჩვენ ის).
47. **გადა-ა**—40/6/-10/6/ — მოქმ. (გადა-ა-წყო მან ის).

48. **გადა-გ**—40/6/-20/2/ — I. ობ. 2 (გადა-გ-ხატა მან შენ).
II. სუბ. 2 (გადა-გ-ქონდა შენ ის).
49. **გადა-გვ**—40/6/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (გადა-გვ-ხატა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (გადა-გვ-ქონდა ჩვენ ის).
50. **გადა-ე**—40/6/-10/2/ — I. ვნებ. (გადა-ე-შალა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გადა-ე-შალა მას ის; გადა-ე-შალოს მას ის).
51. **გადა-ვ**—40/6/-30/1/ — I. სუბ. 1 (გადა-ვ-ხატე მე ის).
II. ობ. 1 (გადა-ვ-ყავდი მას მე).
52. **გადა-ი**—40/6/-10/1/ — ვნებ. (გადა-ი-შალა ის).
53. **გადა-ი**—40/6/-10/3/ — სასუბ. ქც. მოქმ. (გადა-ი-შალა მან ის).
54. **გადა-მ**—40/6/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (გადა-მ-ხატა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (გადა-მ-ქონდა მე ის).
55. **გადა-ს**—40/6/-20/3/ — ირიბობ. 3 (გადა-ს-ცა მან მას ის; გადა-ს-ცდა ის მას).
56. **გადა-უ**—40/6/-10/4/ — I. საობ. ქც. (გადა-უ-ხატა მან მას ის; გადა-უ-ტყდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (გადა-უ-ხატავს მას ის).
57. **გადა-ხ**—40/6/-30/2/ — სუბ. 2 (გადა-ხ-ვალ შენ).
58. **გადმო-ა**—40/7/-10/6/ — მოქმ. (გადმო-ა-ბრუნა მან ის).
59. **გადმო-გ**—40/7/-20/2/ — I. ობ. 2 (გადმო-გ-ხატა მან შენ).
II. სუბ. 2 (გადმო-გ-ქონდა შენ ის).
60. **გადმო-გვ**—40/7/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (გადმო-გვ-ხატა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (გადმო-გვ-ქონდა ჩვენ ის).
61. **გადმო-ე**—40/7/-10/2/ — I. ვნებ. (გადმო-ე-შალა ის მას; გადმო-ე-წერა ის სიაში).
II. მოქმ. პირველი თურმ. (გადმო-ე-შალა მას ის).
III. მოქმ. ნამყ. ძირ. (გადმო-ე-ცი შენ მას ის).
62. **გადმო-ვ**—40/7/-30/1/ — I. სუბ. 1 (გადმო-ვ-ხატე მე ის).
II. ობ. 1 (გადმო-ვ-ყავდი მას მე).
63. **გადმო-ი**—40/7/-10/1/ — ვნებ. (გადმო-ი-ბეჭდა ის).
64. **გადმო-ი**—40/7/-10/3/ — სასუბ. ქც; მოქმ. (გადმო-ი-ბეჭდა მან ის).
65. **გადმო-მ**—40/7/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (გადმო-მ-ხატა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (გადმო-მ-ქონდა მე ის).
66. **გადმო-ს**—40/7/-20/3/ — ირიბობ. 3 (გადმო-ს-ცა მან მას ის; გადმო-ს-ცდა იგი საზღვარს).

57. **გადმო-უ**—40/7/-10/4/ — I. საობ. ქც. (გადმო-უ-ხატა მან მას ის; გადმო-უ-დის ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ. პირველი თურმ. (გადმო-უ-წერია მას ის).
58. **გადმო-ხ**—40/7/-30/2/ — სუბ. 2 (გადმო-ხ-ვალ შენ).
69. **გადმო-ჰ**—40/7/-20/4/ — ირიბობ. 3 (გადმო-ჰ-კრა მან მას ის; გადმო-ჰ-ბარდა ის მას).
70. **გა-ე**—40/5/—10/2/ — I. ვნებითი გვარი (გა-ე-ფურჩქნა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გა-ე-შრო მას ის; გა-ე-შროს მას ის).
III. მოქმ. ნამყ. ძირ. (გა-ე-ცი შენ ის).
71. **გა-ვ**—40/5/-30/1/ — I. სუბ. 1 (გა-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (გა-ვ-ყავდი მას მე).
72. **გა-ი**—40/5/-10/1/ — ვნებ. (გა-ი-ღო ის).
73. **გა-ი** — 40/5/-10/3/ — I. სასუბ. ქც. მოქმ. (გა-ი-ღო მან ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ. (გა-ი-კვირვა მან ის; გა-ი-ცინა მან).
74. **გა-მ** — 40/5/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (გა-მ-თელა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (გა-მ-ქონდა მე ის).
75. **გამო-ა** — 40/8/-10/6/ — მოქმ. (გამო-ა-ცხო მან ის).
76. **გამო-გ** — 40/8/-20/2/ — I. ობ. 2 (გამო-გ-ხატა მან შენ).
II. სუბ. 2 (გამო-გ-ქონდა შენ ის).
77. **გამო-გვ** — 40/8/-20/3/ — I. ობ. 1., მრ. (გამო-გვ-ხატა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (გამო-გვ-ქონდა ჩვენ ის).
78. **გამო-ე** — 40/8/-10/2/ — I. ვნებ. (გამო-ე-ვსო ის მას).
II. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გამო-ე-ვსო მას ის; გამო-ე-ვსოს მას ის).
79. **გამო-ვ** — 40/8/-30/1/ — I. სუბ. 1 (გამო-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (გამო-ვ-ყავდი მას მე).
80. **გამო-ი** — 40/8/-10/1/ — ვნებ. (გამო-ი-ვსო ის).
81. **გამო-ი** — 40/8/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (გამო-ი-ვსო მან ის).
82. **გამო-მ** — 40/8/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (გამო-მ-ხატა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (გამო-მ-ქონდა მე ის).
83. **გამო-ს** — 40/8/-20/3/ — ირიბობ. 3 (გამო-ს-დო მან მას ის; გამო-ს-ცდა ის მას).
84. **გამო-უ** — 40/8/-10/4/ — I. საობ. ქც. (გამო-უ-ხატა მან მას ის; გამო-უ-ჩნდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ., პირველი თურმ. (გამო-უ-წერია მას ის).

85. **გამო-ხ** — 40/8/-30/2/ — სუბ. 2 (გამო-ხ-ვედი შენ).
86. **გამო-ჰ** — 40/8/-20/4/ — ირიბობ. 3 (გამო-ჰ-კითხა მან მას ის; გამო-ჰ-ყვა ის მას).
87. **გან-ა** — 40/9/-10/6/ — მოქმ. (გან-ა-ვითარებს ის მას).
88. **გან-გ** — 40/9/-20/2/ — ობ. 2 (გან-გ-შორდა ის შენ).
89. **გან-გვ** — 40/9/-20/5/ — ობ. 1., მრ. (გან-გვ-შორდა ის ჩვენ).
90. **გან-ე** — 40/9/-10/2/ — I. ვნებ. (გან-ე-შორა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გან-ე-ხილა მას ის, გან-ე-ხილოს მას ის).
91. **გან-ვ** — 40/9/-30/1/ — სუბ. 1 (გან-ვ-გმირე მე ის, გან-ვ-შორდი მე მას).
92. **გან-ი** — 40/9/-10/1/ — ვნებ. (გან-ი-ხილება ის).
93. **გან-ი** — 40/9/-10/3/ — სასუბ. ქც. მოქმ. (გან-ი-ხილა მან ის).
94. **გან-უ** — 40/9/-10/4/ — I. საობ. ქც. (გან-უ-დგა ის მას; გან-უ-ხორციელა მან მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (გან-უ-ხილავს მას ის).
95. **გან-ხ** — 40/9/-30/2/ — სუბ. 2 (გან-ხ-ვედი შენ).
96. **გარდა-ა** — 40/10/-10/6/ — მოქმ. (გარდა-ა-ქმნევინა მან მას ის).
97. **გარდა-გ** — 40/10/-20/2/ — ობ. 2 (გარდა-გ-ქმნა მან შენ).
98. **გარდა-გვ** — 40/10/-20/5/ — ობ. 1., მრ. (გარდა-გვ-ქმნა მან ჩვენ).
99. **გარდა-ე** — 40/10/-10/2/ — I. ვნებ. (გარდა-ე-სახა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გარდა-ე-სახა მას ის; გარდა-ე-სახოს მას ის).
100. **გარდა-ვ** — 40/10/-30/1/ — სუბ. 1 (გარდა-ვ-ქმენი მე ის).
101. **გარდა-ი** — 40/10/-10/1/ — ვნებ. (გარდა-ი-ქმნა ის).
102. **გარდა-ი** — 40/10/-10/3/ — სასუბ. ქც. მოქმ. (გარდა-ი-ქმნა მან ის).
103. **გარდა-მ** — 40/10/-20/1/ — ობ. 1., მხ. (გარდა-მ-ქმნა მან მე).
104. **გარდა-უ** — 40/10/-10/4/ — I. საობ. ქც. (გარდა-უ-ქმნა მან მას ის; გარდა-უ-დგა იგი მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (გარდა-უ-სახავს მას ის).
105. **გარშემო-ა** — 40/11/-10/6/ — მოქმ. (გარშემო-ა-კრა მან მას ის).
106. **გარშემო-გ** — 40/11/-20/2/ — ობ. 2 (გარშემო-გ-ხვევია ის შენ).
107. **გარშემო-გვ** — 40/11/-20/5/ — ობ. 1., მრ. (გარშემო-გვ-ხვევია ის ჩვენ).

108. **გარშემო-ე** — 40/11/-10/2/ — I. ვნებ. (გარშემო-ე-ხვევა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გარშემო-ე-ხვია მას ის, გარშემო-ე-ხვიოს მას ის).

109. **გარშემო-ვ** — 40/11/-30/1/ — სუბ. 1 (გარშემო-ვ-ხვევიყარ მე მას).

110. **გარშემო-ი** — 40/11/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (გარშემო-ი-ხვია მან ის).

111. **გარშემო-უ** — 40/11/-10/4/ — I. საობ. ქც. (გარშემო-უ-კრავს მას ის; გარშემო-უ-დგება ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (გარშემო-უ-კრავს მას ის).

112. **გა-უ** — 40/5/-10/4/ — I. საობ. ქც. (გა-უ-შალა მან მას ის; გა-უ-შენდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (გა-უ-შლია მას ის).

113. **გა-ხ** — 40/5/-30/2/ — სუბ. 2 (გა-ხ-ვედი შენ).

114. **გა-ჰ** — 40/5/-20/4/ — ირიბობ. 3 (გა-ჰ-ყვა ის მას; გა-ჰ-კრა მან მას ის).

115. **გ-ე** — 20/2/-10/2/ — I. ობ. 2., ვნებ. (გ-ე-ხატება ის შენ; გ-ე-კითხება ის შენ მას).
II. ინვერს. სუბ. 2; მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გ-ე-ხატა შენ ის; გ-ე-ხატოს შენ ის).
III. სუბ. 2; ვნებ. (გ-ე-ცინება შენ).

116. **გვ-ა** — 20/5/-10/6/ — I. ობ. 1., მრ. მოქმ. (გვ-ა-შენებს ის ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (გვ-ა-ციებს ჩვენ; გვ-ა-კანკალებს ჩვენ).
III. ობ. 1., მრ., მოქმ., კაუზატ. (გვ-ა-დუმებს ის ჩვენ; გვ-ა-ჭმევს ის ჩვენ).
IV. ობ. 1., საზედ. (გვ-ა-ფენია).

117. **გვ-ე** — 20/5/-10/2/ — I. ობ. 1., მრ., ვნებ. (გვ-ე-ხატება ის ჩვენ; გვ-ე-კითხება ის ჩვენ მას).
II. სუბ. 1., მრ., მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გვ-ე-ხატა ჩვენ ის, გვ-ე-ხატოს ჩვენ ის).
III. სუბ. 1., მრ., ვნებ. (გვ-ე-ცინება ჩვენ).

118. **გვ-ი** — 20/5/-10/3/ — I. პირდობ. 1., მრ; მოქმ., სასუბ. ქც. (გვ-ი-ბარებს ის ჩვენ).
II. პირდ. ობ. 1., მრ; მოქ., რეალურად საობ. ქც. (გვ-ი-ცოდებს ის ჩვენ).

119. გვ-ი — 20/5/-10/5/ — I. ირიბობ. 1., მრ., საობ. ქც. (გვ-ი-შენ-დება ის ჩვენ; გვ-ი-შენებს ის ჩვენ მას).
II. სუბ. 1; მრ., ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ. და საშ., პირველი თურმ. (გვ-ი-წერია ჩვენ ის; გვ-ი-ცხოვრია ჩვენ).
III. სუბ. 1., მრ., რეალურად სასუბ. ქც., გარდუვ. (გვ-ი-ყვარს ჩვენ ის; გვ-ი-ნდა ჩვენ ის).

120. გ-ი — 20/2/-10/3/ — I. პირდ. ობ. 2., მოქმ. სასუბ. ქც. (გ-ი-ბარებს ის შენ).
II. პირდ. ობ. 2., მოქმ. რეალურად საობ. ქც. (გ-ი-ცოდებს ის შენ).

121. გ-ი — 20/2/-10/5/ — I. ირიბ. ობ. 2., საობ. ქც. (გ-ი-შენდება ის შენ, გ-ი-შენებს ის შენ მას).
II. სუბ. 2., ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. და საშ. პირ-ველი თურმ. (გ-ი-წერია შენ ის; გ-ი-ცხოვრია შენ).
III. სუბ. 2., რეალურად სასუბ. ქც., გარდუც. (გ-ი-ყვარს შენ ის; გ-ი-ნდა შენ ის).

122. და-ა — 40/12/-10/6/ — I. მოქმ. (და-ა-ქცია მან ის).
II. მოქმ., კაუზატ. (და-ა-დუმა მან ის).
III. საზედ. (და-ა-წერა მან მას ის).

123. და-გ — 40/12/-20/2/ — I. ობ. 2 (და-გ-ხატა მან შენ).
II. სუბ. 2 (და-გ-ქონდა შენ ის).

124. და-გვ — 40/12/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (და-გვ-ხატა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ., (და-გვ-ქონდა ჩვენ ის).

125. და-ე — 40/12/-10/2/ — I. ვნებ. (და-ე-ფინა ის მას; და-ე-კითხა ის მას მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (და-ე-ფინა მას ის; და-ე-ფინოს მას ის).

126. და-ვ — 40/12/-30/1/ — I. სუბ. 1 (და-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (და-ვ-ყავდი მას მე).

127. და-ი — 40/12/-10/1/ — ვნებ. (და-ი-წერა ის).

128. და-ი — 40/12/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (და-ი-წერა მან ის).

129. და-მ — 40/12/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (და-მ-ხატა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (და-მ-ყავდა მე ის).

130. და-ს — 40/12/-20/3/ — ირიბობ. 3 (და-ს-ცინა მან მას).

131. და-უ — 40/12/-10/4/ — I. საობ. ქც. (და-უ-წერა მან მას ის; და-უ-გორდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს. პირველი თურმ. (და-უ-წერია მას ის).

132. და-ხ — 40/12/-30/2/ — სუბ. 2 (და-ხ-ვალ შენ).

133. **და-ჰ** — 40/12/-20/3/ — ირიბობ. 3 (და-ჰ-კრა მან ის; და-ჰ-ყავს მას ის).

134. **ვ-ა** — 30/1/-10/6/ — I. სუბ. 1; მოქმ. (ვ-ა-შენებ მე მას).
II. სუბ. 1; მოქმ., კაუზატ. (ვ-ა-დუმებ მე მას; ვ-ა-სმევ მე მას მას).
III. სუბ. 1., საზედ. (ვ-ა-ფენივარ მე მას; ვ-ა-სკდები მე მას: ვ-ა-წერ მე მას მას).

135. **ვ-ე** — 30/1/-10/2/ — I. სუბ. 1., ვნებ. (ვ-ე-წერები სიაში, ვ-ე-ხატები მე მას, ვ-ე-კითხები მე მას მას).
II. ობ. 1., მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ვ-ე-ხატე მას მე; ვ-ე-ხატო მას მე).
III. სუბ. 1., მოქმ. (ვ-ე-სროლე მე მას ის; ვ-ე-ძებე მე ის).

136. **ვ-ი** — 30/1/-10/1/ — სუბ. 1., ვნებ. (ვ-ი-მალები მე).

137. **ვ-ი** — 30/1/-10/3/ — I. სუბ. 1., სასუბ. ქც., მოქმ. (ვ-ი-კერავ მე მას).
II. სუბ. 1., მოქმ. რეალურად საობ. ქც. (ვ-ი-ცოდებ მე მას).
III. სუბ. 1., მოქმ. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, (ვ-ი-წყებ მე ლექციების კითხვას).

138. **ვ-ს** — 30/1/-20/3/ — სუბ. 1., ირიბობ. 3 (ვ-ს-წერ მე მას მას: ვ-ს-დევ მე მას).

139. **ვ-უ** — 30/1/-10/4/ — I. სუბ. 1., საობ. ქც. (ვ-უ-შენებ მე მას მას; ვ-უ-შენდები მე მას).
II. სუბ. 1., ქცევის მნიშვნელობა არ აქვს (ვ-უ-კრავ მე: ვ-უ-თხარი მე მას ის).
III. ობ. 1., მოქმ., პირველი თურმ. (ვ-უ-ხატივარ მას მე).
IV. ობ. 1 (ვ-უ-ყვარვარ მას მე).

140. **ვ-ჰ** — 30/1/-20/4/ — სუბ. 1., ირიბობ. 3 (ვ-ჰ-კითხე მე მას ის: ვ-ჰ-გავარ მე მას).

141. **მ-ა** — 20/1/-10/6/ — I. ობ. 1., მრ., მოქმ. (მ-ა-შენებს ის მე).
II. ობ. 1., მრ., კაუზატ. (მ-ა-ცმევს ის მე მას; მ-ა-დუმებს ის მე).
III. ობ. 1., მრ., საზედ. (მ-ა-ფენია ის მე; მ-ა-წერია ის მე).

142. **მ-ე** — 20/1/-10/2/ — I. ობ. 1., მხ., ვნებ. (მ-ე-ხატება ის მე: მ-ე-კითხება ის მე მას).
II. სუბ. 1., მხ., მოქმ. და საშ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (მ-ე-ხატა მე ის; მ-ე-ცხოვრა მე).
III. სუბ. 1., მხ., ვნებ. (მ-ე-ცინება მე).

143. **მ-ი** — 20/1/-10/5/ — I. ირიბობ. 1., საობ. ქც. (მ-ი-შენებს ის მე მას, მ-ი-შენდება ის მე).

II. სუბ. 1., ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, პირველი თურმ. (მ-ი-წერია მე ის, მ-ი-ცხოვრია მე).

III. სუბ. 1., რეალურად სასუბ. ქც. (მ-ი-ყვარს მე ის).

144. **მ-ი** — 20/1/-10/3/ — I. პირდობ. 1., სასუბ. ქც., მოქმ. (მ-ი-ყენებს ის მე მოჯამაგირედ).

II. პირდობ. 1., რეალურად საობ. ქც. მოქმ. (მ-ი-ცოდებს ის მე).

145. **მი-ა** — 40/13/-10/6/ — (მი-ა-სკდა ის მას; მი-ა-ცურა მან ის; მი-ა-ნდო მან მას ის).

146. **მი-გ** — 40/13/-20/2/ — I. ობ. 2 (მი-გ-ცა მან შენ სასამართლოში).

II. სუბ. 2 (მი-გ-ქონდა შენ ის).

147. **მი-გვ** — 40/13/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (მი-გვ-ცა მან ჩვენ მას).

II. სუბ. 1., მრ. (მი-გვ-ქონდა ჩვენ ის).

148. **მი-ე** — 40/13/-10/2/ — I. ვნებ. (მი-ე-ყრდნოს ის მას).

II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (მი-ე-დო მას ის).

149. **მი-ვ** — 40/13/-30/1/ — I. სუბ. 1., (მი-ვ-დგი მე ის).

II. ობ. 1 (მი-ვ-ყავდი მას მე).

150. **მი-ი** — 40/13/-10/1/ — ვნებ. (მი-ი-ლია ის).

151. **მი-ი** — 40/13/-10/3/ — სასუბ. ქც. მოქმ. (მი-ი-დო მან ის).

152. **მი-მ** — 40/13/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (მი-მ-ცა მან მე მას).

II. სუბ. 1., მხ. (მი-მ-ქონდა მე ის).

153. **მიმო-ა** — 40/14/-10/6/ — მოქმ. (მიმო-ა-ფრქვია მან ის).

154. **მიმო-გ** — 40/14/-20/2/ — I. ობ. 2 (მიმო-გ-ყრის ის თქვენ).

II. სუბ. 2 (მიმო-გ-ქონდა შენ ის).

155. **მიმო-გვ** — 40/14/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (მიმო-გვ-ყრის ის ჩვენ).

II. სუბ. 1., მრ. (მიმო-გვ-ქონდა ჩვენ ის).

156. **მიმო-ე** — 40/14/-10/2/ — I. ვნებ. (მიმო-ე-ფინა ის მას).

II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (მიმო-ე-ფინა მას ის; მიმო-ე-ფინოს მას ის).

157. **მიმო-ვ** — 40/14/-30/1/ — I. სუბ. 1 (მიმო-ვ-ყრი მე მას).

II. ობ. 1 (მიმო-ვ-ყავდი მას მე).

158. **მიმო-ი** — 40/14/-10/1/ — ვნებ. (მიმო-ი-ფრქვევა ის).

159. **მიმო-ი** — 40/14/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (მიმო-ი-ფრქვია მან ის).

160. **მიმო-უ** — 40/14/-10/4/ — I. საობ. ქც. (მიმო-უ-ფრქვია მან მას ის).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს. მოქმ. პირველი თურმ. (მიმო-უ-ფრქვევია მას ის).

161. **მიმო-ხ** — 40/14/-30/2/ — სუბ. 2 (მიმო-ხ-ვალ შენ).
162. **მიმო-ჰ** — 40/14/-20/4/ — ირიბობ. 3 (მიმო-ჰ-კითხა მან მას ის).
163. **მი-ს** — 40/13/-20/3/ — ირიბობ. 3 (მი-ს-წერა მან მას ის; მი-ს-დგა ის მას).
164. **მი-უ** — 40/13/-10/4/ — I. საობ. ქც. (მი-უ-ყენა მან მას ის; მი-უ-დგება ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (მი-უ-წერია მას ის).
165. **მი-ჰ** — 40/13/-20/4/ — ირიბობ. 3 (მი-ჰ-ყვა ის მას; მი-ჰ-გვარა მან მას ის).
166. **მო-ა** — 40/15/-10/6/ — (მო-ა-სკდა იგი; მო-ა-შენა მან მას ის).
167. **მო-გ** — 40/15/-20/2/ — I. ობ. 2 (მო-გ-ცა მან შენ ის).
II. სუბ. 2 (მო-გ-ქონდა შენ ის).
168. **მო-გვ** — 40/15/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (მო-გვ-ცა მან ჩვენ ის).
II. სუბ. 1., მრ. (მო-გვ-ქონდა ჩვენ ის).
169. **მო-ე** — 40/15/-10/2/ — I. ვნებ. (მო-ე-შვა ის).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (მო-ე-ცა მას ის; მო-ე-ცეს მას ის).
170. **მო-ვ** — 40/15/-30/1/ — I. სუბ. 1 (მო-ვ-დგი მე ის).
II. ინვერს. ობ. 1 (მო-ვ-ყავდი მას მე).
171. **მო-ი** — 40/15/-10/1/ — ვნებ. (მო-ი-ზარდა ის).
172. **მო-ი** — 40/15/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (მო-ი-შენა მან ის).
173. **მო-მ** — 40/15/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (მო-მ-ცა მან მე ის).
II. სუბ. 1., მხ. (მო-მ-ქონდა მე ის).
174. **მო-ს** — 40/15/-20/3/ — ირიბობ. 3 (მო-ს-წერა მან მას ის; მო-ს-წყდა ის მას).
175. **მო-უ** — 40/15/-10/4/ — I. საობ. ქც. (მო-უ-ჯრა მან მას ის; მო-უ-შენდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ. პირველი თურმ. (მო-უ-წერია მას ის).
176. **მო-ხ** — 40/15/-30/2/ — სუბ. 2 (მო-ხ-ვედი შენ).
177. **მო-ჰ** — 40/15/-20/4/ — ირიბობ. 3 (მო-ჰ-კითხა მან მას ის).
178. **უკუ-ა** — 40/16/-10/6/ — მოქმ. (უკუ-ა-გდო მან ის).
179. **უკუ-გ** — 40/16/-20/2/ — ობ. 2 (უკუ-გ-ცა მან შენ).
180. **უკუგამო-ა** — 40/18/-10/6/ — მოქმ. (უკუგამო-ა-სხივა მან ის).
181. **უკუგამო-ე** — 40/18/-10/2/ — მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (უკუგამო-ე-სხივებინა მას ის; უკუგამო-ე-სხივებინოს მას ის).

182. **უკუგამო-უ** — 40/18/-10/4/ — I. საობ. ქც. უკუგამო-უ-სხივდა ის მას; უკუგამო-უ-სხივა მან მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ., პირველი თურმ. (უკუგამო-უ-სხივებია მას ის).

183. **უკუგან-ა** — 40/19/-10/6/ — მოქმ. (უკუგან-ა-ვითარა მან ის).

184. **უკუგან-ი** — 40/19/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (უკუგან-ი-ვითარა მან ის).

185. **უკუგან-უ** — 40/19/-10/4/ — საობ. ქც. (უკუგან-უ-ვითარა მან მას ის; უკუგან-უ-ვითარდა ის მას).

186. **უკუგარდა-ი** — 40/20/-10/1/ — ვნებ. (უკუგარდა-ი-ქმნა ის).

187. **უკუ-გვ** — 40/16/-20/5/ — ობ. 1., მრ., მოქმ. (უკუ-გვ-ცა მან ჩვენ ის).

188. **უკუდა-ჰ** — 40/21/-20/4/ — ირიბობ. 3., მოქმ. (უკუდა-ჰ-კრა მან მას ის).

189. **უკუ-ე** — 40/16/-10/2/ — I. ვნებ. (უკუ-ე-ქცა ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (უკუ-ე-გდო მას ის; უკუე-გდოს მას ის).

190. **უკუ-ი** — 40/16/-10/1/ — ვნებ. (უკუ-ი-ქცა ის).

191. **უკუ-მ** — 40/16/-20/1/ — ობ. 1., მხ., მოქმ. (უკუ-მ-ცა მან მე).

192. **უკუმო-ა** — 40/22/-10/6/ — მოქმ. (უკუმო-ა-ქცია მან ის).

193. **უკუმო-ე** — 40/22/-10/2/ — I. ვნებ. (უკუმო-ე-ქცა ის მას).
II. მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (უკუმო-ე-ქცია მას ის).

194. **უკუმო-ი** — 40/22/-10/1/ — ვნებ. (უკუმო-ი-ქცა ის).

195. **უკუმო-უ** — 40/22/-10/4/ — I. საობ. ქც., მოქმ. (უკუმო-უ-ქცია მან მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ. პირველი თურმ. (უკუმო-ე-ქცევია მას ის).

196. **უკუ-უ** — 40/16/-10/4/ — I. საობ. ქც., მოქმ.(უკუ-უ-ქცია მან მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ. პირველი თურმ. (უკუ-უ-ქცევია მას ის).

197. **უკუშე-ა** — 40/23/-10/6/ — (უკუშე-ა-ბრუნა მან ის; უკუშე-ა-ჯდა ის მას).

198. **უკუშე-ე** — 40/23/-10/2/ — მოქმ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (უკუშე-ე-ბრუნებინა მას ის; უკუშე-ე-ბრუნებინოს მას ის).

199. **უკუშე-ი** — 40/23/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (უკუშე-ი-ბრუნა მან ის).

200. **უკუშემო-ა** — 40/24/-10/6/ — მოქმ. (უკუშემო-ა-ბრუნა მან ის).

201. **უკუშემო-ე** — 40/24/-10/2/ — მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე

კავშ. (უცუშემო-ე-ბრუნებინა მას ის; უკუშემო-ე-ბრუნებ-ნოს მას ის).

202. **უკუშემო-ი** — 40/24/-10/1/ — სასუბ. ქც., მოქმ. (უკუშემო-ი-ბრუნა მან ის).

203. **უკუშემო-უ** — 40/24/-10/4/ — I. საობ. ქც. (უკუშემო-უ-ბრუნა მან მას ის; უკუშემო-უ-ბრუნდა ის მას).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (უკუშემო-უ-ბრუნებია მას ის).

204. **უკუშე-უ** — 40/23/-10/4/ — I. საობ. ქც. (უკუშე-უ-ბრუნა მან მას ის; უკუშე-უ-ბრუნდა ის მას).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, პირველი თურმ. (უკუშე-უ-ბრუნებია მას ის).

205. **შე-ა** — 40/25/-10/6/ — I. მოქმ. (შე-ა-კეთა მან ის).

II. მოქმ., კაუზატ. (შე-ა-ჭამა მან მას ის).

III. საზედ. (შე-ა-დგა ის მას; შე-ა-დგა მან მას ის).

206. **შე-გ** — 40/25/-20/2/ — I. ობ. 2 (შე-გ-დგა ის შენ).

II. სუბ. 2 (შე-გ-ცივდა შენ).

207. **შე-გვ** — 40/25/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (შე-გვ-დგა ის ჩვენ).

II. სუბ. 1., მრ. (შე-გვ-ცივდა ჩვენ).

208. **შე-ე** — 40/25/-10/2/ — I. ვნებ. (შე-ე-კითხა ის მას მას; შე-ე-ზარდა ის მას).

II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (შე-ე-წირა მას ის; შე-ე-წიროს მას ის).

209. **შე-ვ** — 40/25/-30/1/ — I. სუბ. 1 (შე-ვ-ხედე მე მას).

II. ობ. 1 (შე-ვ-ყავდი მას მე).

210. **შე-ი** — 40/25/-10/1/ — ვნებ. (შე-ი-ვსო ის).

211. **შე-ი** — 40/25/-10/3/ — I. სასუბ. ქც., მოქმ. (შე-ი-კერა მან ის).

II.მოქმ., რეალურად საობ. ქც. (შე-ი-ცოდა მან ის; შე-ი-კვდა მან ის).

212. **შე-მ** — 40/25/-20/1/ — I. ობ. 1 (შე-მ-დგა ის მე).

II. სუბ. 1 (შე-მ-ცივდა მე).

213. **შემო-ა** — 40/26/-10/6/ — მოქმ. (შემო-ა-ფრინა მან მას ის).

214. **შემო-გ** — 40/26/-20/2/ — I. ობ. 2 (შემო-გ-ხედა მან შენ).

II. სუბ. 2 (შემო-გ-ქონდა შენ ის).

215. **შემო-გვ** — 40/26/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (შემო-გვ-ხედა მან ჩვენ).

II. სუბ. 1., მრ. (შემო-გვ-ქონდა ჩვენ ის).

216. **შემო-ე** — 40/26/-20/2/ — I. ვნებ. (შემო-ე-ვლო ის მას).

II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (შემო-ე-დგა მას ის; შემო-ე-დგა მას ის).

217. **შემო-ვ** — 40/26/-30/1/ — I. სუბ. 1 (შემო-ვ-ხედე მე მას). II. ობ. 1 (შემო-ვ-ყავდი მას მე).

218. **შემო-ი** — 40/26/-10/1/ — ვნებ. (შემო-ი-ღობა ის).

219. **შემო-ი** — 40/26/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (შემო-ი-ღობა მან ის).

220. **შემო-მ** — 40/26/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (შემო-მ-ხედა მან მე). II. სუბ. 1., მხ. (შემო-მ-ჭონდა მე ის).

221. **შემო-ს** — 40/26/-20/3/ — ირიბობ. 3 (შემო-ს-წირა მან მას ის).

222. **შემო-უ** — 40/26/-10/4/ — I. საობ. ქც. (შემო-უ-დგა ის მას; შემო-უ-კრა მან მას ის).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ., პირველი თურმ. (შემო-უ-წირავს მას ის).

223. **შემო-ხ** — 40/26/-30/2/ — სუბ. 2 (შემო-ხ-ვედი შენ).

224. **შემო-ჰ** — 40/26/-20/4/ — ირიბობ. 3 (შემო-ჰ-კრა მან მას ის).

225. **შე-ს** — 40/25/-20/3/ — ირიბობ. 3 (შე-ს-წირა მან მას ის).

226. **შე-უ** — 40/25/-10/4/ — I. საობ. ქც. (შე-უ-დგა ის მას).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (შე-უ-დგამს მას ის).

III. რეალურად სასუბ. ქც. (შე-უ-ყვარდა მას ის).

227. **შე-ხ** — 40/25/-30/2/ — სუბ. 2 (შე-ხ-ვალ შენ).

228. **შე-ჰ** — 40/25/-20/4/ — ირიბობ. 3 (შე-ჰ-კადრა მან მას ის).

229. **შთა-ა** — 40/27/-10/6/ — მოქმ. (შთა-ა-გონა მან მას ის).

230. **შთა-გ** — 40/27/-20/2/ — ობ. 2 (შთა-გ-ნერგვოდა შენ ის).

231. **შთა-გვ** — 40/27/-20/5/ — ობ. 1., მრ. (შთა-გვ-ნერგვოდა ის ჩვენ).

232. **შთა-ე** — 40/27/-10/2/ — I. ვნებ. (შთა-ე-ნერგა ის მას).

II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (შთა-ე-ნერგა მას ის; შთა-ე-ნერგოს მას ის).

233. **შთა-ვ** — 40/27/-30/1/ — სუბ. 1 (შთა-ვ-ნერგე მე ის).

234. **შთა-ი** — 40/27/-10/1/ — ვნებ. (შთა-ი-ნერგა ის).

235. **შთა-ი** — 40/27/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (შთა-ი-ნერგა მან ის).

236. **შთა-უ** — 40/27/-10/4/ — I. საობ. ქც. (შთა-უ-ნერგა მან მას ის).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (შთა-უ-ნერგავს მას ის).

237. **ჩა-ა** — 40/28/-10/6/ — I. მოქმ. (ჩა-ა-გდო მან ის).

II. მოქმ., კაუზატ. (ჩა-ა-ჩუმა მან ის).

238. **ჩა-გ** — 40/28/-20/2/ — I. ობ. 2 (ჩა-გ-დო მან შენ).
II. სუბ. 2 (ჩაგ-გ-ქონდა შენ ის).
239. **ჩა-გვ** — 40/28/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (ჩა-გვ-დო მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (ჩა-გვ-ქონდა ჩვენ ის).
240. **ჩა-ე** — 40/28/-10/2/ — I. ვნებ. (ჩა-ე-ფინა ის მას; ჩა-ე-სვენა ის).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ჩა-ე-ფინა მას ის; ჩა-ე-ფინოს მას ის).
241. **ჩა-ვ** — 40/28/-30/1/ — I. სუბ. 1 (ჩა-ვ-წერე მე ის).
II. ობ. 1 (ჩა-ვ-ყავდი მას მე).
242. **ჩა-ი** — 40/28/-10/1/ — ვნებ. (ჩა-ი-შალა ის).
243. **ჩა-ი** — 40/28/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (ჩა-ი-ყენა მან ის).
244. **ჩა-მ** — 40/28/-20/1/ — I. ობ. 1., მხ. (ჩა-მ-წერა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (ჩა-მ-ქონდა მე ის).
245. **ჩამო-ა** — 40/29/-10/6/ — მოქმ. (ჩამო-ა-გდო მან ის).
246. **ჩამო-გ** — 40/29/-20/2/ — I. ობ. 2 (ჩამო-გ-სვა მან შენ).
II. სუბ. 2 (ჩამო-გ-ქონდა შენ ის).
247. **ჩამო-გვ** — 40/29/-20/5/ — I. ობ. 1., მრ. (ჩამო-გვ-სვა მან ჩვენ).
II. სუბ. 1., მრ. (ჩამო-გვ-ქონდა ჩვენ ის).
248. **ჩამო-ე** — 40/29/-10/2/ — I.ვნებ. (ჩამო-ე-გდო ის).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ჩამო-ე-გდო მას ის; ჩამო-ე-გდოს მას ის).
249. **ჩამო-ვ** — 40/29/-30/1/ — I. სუბ. 1 (ჩამო-ვ-დგი მე ის).
II. ობ. 1 (ჩამო-ვ-ყავდი მას მე).
250. **ჩამო-ი** — 40/29/-10/1/ — ვნებ. (ჩამო-ი-ქცა ის).
251. **ჩამო-ი** — 40/29/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (ჩამო-ი-ქცა მან ის).
252. **ჩამო-მ** — 41/29/-20/1/ — I. ობ. 1., მხ., (ჩამო-მ-წერა მან მე).
II. სუბ. 1., მხ. (ჩამო-მ-ქონდა მე ის).
253. **ჩამო-უ** — 40/29/-10/4/ — I. საობ. ქც. (ჩამო-უ-წერა მან მას ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (ჩამო-უ-წერია მას ის).
254. **ჩამო-ხ** — 40/29/-30/2/ — სუბ. 2 (ჩამო-ხ-ვალ შენ).
255. **ჩა-უ** — 40/28/-10/4/ — I. საობ. ქც. (ჩა-უ-წერა მან მას ის; ჩა-უ-ლურჯდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., პირველი თურმ. (ჩა-უ-წერია მას ის).
256. **ჩა-ს** — 40/28/-20/3/ — ირიბობ. 3 (ჩა-ს-ცხო მან მას ის).

257. ჩა-ხ — 40/28/-30/2/ — სუბ. 2 (ჩა-ხ-ვედი შენ).
258. ჩა-ჰ — 40/28/-20/4/ — ირიბობ. 3 (ჩა-ჰ-კიდა მან მას ხელი).
259. წა-ა — 40/30/-10/6/ — მოქმ. (წა-ა-გო მან ის).
260. წა-გ — 40/30/-20/2/ — ობ. 2 (წა-გ-გლიჯა მან შენ ის).
261. წა-გვ — 40/30/-20/5/ — ობ. 1., მრ. (წა-გვ-გლიჯა მან ჩვენ ის).
262. წა-ე — 40/30/-10/2/ — I. ვნებ. (წა-ე-შალა ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (წა-ე-შალა მას ის; წა-ე-შალოს მას ის).
263. წა-ვ — 40/30/-30/1/ — სუბ. 1 (წა-ვ-ხდი მე).
264. წა-ი — 40/30/-10/1/ — ვნებ. (წა-ი-შალა ის).
265. წა-ი — 40/30/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (წა-ი-შალა მან ის).
266. წა-მ — 40/30/-20/1/ — ობ. 1., მხ. (წა-მ-შალა მან მე).
267. წამო-ა — 40/31/-10/6/ — მოქმ. (წამო-ა-გდო მან ის).
268. წამო-გ — 40/31/-20/2/ — ობ. 2 (წამო-გ-წია მან შენ).
269. წამო-გვ — 40/31/-20/5/ — ობ. 1., მრ. (წამო-გვ-წია მან ჩვენ).
270. წამო-ე — 40/31/-10/2/ — I. ვნებ. (წამო-ე-წია ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (წამო-ე-წია მას ის; წამო-ე-წიოს მას ის).
271. წამო-ვ — 40/31/-30/1/ — სუბ. 1 (წამო-ვ-წიე მე ის).
272. წამო-ი — 40/31/-10/1/ — ვნებ. (წამო-ი-წია ის).
273. წამო-ი — 40/31/-10/3/ — I. სასუბ. ქც., მოქმ. (წამო-ი-წია მან ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს; მოქმ. (წამო-ი-წყო მან ის).
274. წამო-მ — 40/31/-20/1/ — ობ. 1., მხ. (წამო-მ-წია მან მე).
275. წამო-ს — 40/31/-20/3/ — ირიბობ. 3 (წამო-ს-დო მან მას ხელი).
276. წამო-უ — 40/31/-10/4/ — I. საობ. ქც. (წამო-უ-წია მან მას ის; წამო-უ-დგა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ., პირველი თურმ. (წამო-უ-წევია მას ის).
277. წამო-ხ — 40/31/-30/2/ — სუბ. 2 (წამო-ხ-ვალ შენ).
278. წამო-ჰ — 40/31/-20/4/ — ირიბობ. 3 (წამო-ჰ-კრა მან მას ხელი).
279. წარ-ა — 40/32/-10/6/ — მოქმ. (წარ-ა-დგინა მან ის).
280. წარ-გ — 40/32/-20/2/ — ობ. 2 (წარ-გ-მართა მან შენ).
281. წარ-გვ — 40/32/-20/5/ — ობ. 1., მრ. (წარ-გვ-მართა მან ჩვენ).
282. წარ-ე — 40/32/-10/2/ — I. ვნებ. (წარ-ე-მართა ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (წარ-ე-მართოს მას ის).
283. წარ-ვ — 40/32/-30/1/ — სუბ. 1 (წარ-ვ-მართე მე ის).
284. წარ-ი — 40/32/-10/1/ — ვნებ. (წარ-ი-მართა ის).

285. **წარ-ი** — 40/32/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (წარ-ი-მართა მან ის).
286. **წარ-მ** — 40/32/-20/1/ — ობ. 1., მხ. (წარ-მ-მართა მან მე).
287. **წარმო-ა** — 40/33/-10/6/ — მოქმ. (წარმო-ა-დგინა მან ის).
288. **წარმო-გ** — 40/33/-20/2/ — ობ. 2 (წარმო-გ-ქმნა მან შენ).
289. **წარმო-გვ** — 40/33/20/5/ — ობ. 1., მრ. (წარმო-გვ-ქმნა მან ჩვენ).
290. **წარმო-ე** — 40/33/-10/2/ — I. ვნებ. (წარმო-ე-დგინა ის მას).
II. მოქმ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (წარმო-ე-დგინა მას ის: წარმო-ე-დგინოს მას ის).
291. **წარმო-ვ** — 40/33/-30/1/ — სუბ. 1 (წარმო-ვ-დგომოდით ჩვენ მას).
292. **წარმო-ი** — 40/33/10/1/ — ვნებ. (წარმო-ი-შვა ის).
293. **წარმო-ი** — 40/33/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ. (წარმო-ი-დგინა მან ის).
294. **წარმო-მ** — 40/33/-20/1/ — ობ. 1., მხ. (წარმო-მ-შვა მან მე).
295. **წარმო-უ** — 40/33/-10/4/ — I. საობ. ქც. (წარმო-უ-დგინა მან მას ის; წარმო-უ-დგა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ., პირველი თურმ. (წარმო-უ-დგენია მას ის).
296. **წარ-უ** — 40/32/-10/4/ — I. საობ. ქც. (წარ-უ-დგა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ., პირველი თურმ. (წარ-უ-დგენია მას ის).
297. **წა-ს** — 40/30/-20/3/ — ირიბობ. 3 (წა-ს-ცდა ის მას: წა-ს-კი-მან მას ის).
298. **წა-უ** — 40/30/-10/4/ — I. საობ. ქც. (წა-უ-ხდა ის მას).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., მოქმ., პირველი თურმ. (წა-უ-ხედია მას ის).
299. **წა-ხ** — 40/30/-30/2/ — სუბ. 2 (წა-ხ-ვედი შენ).
300. **წა-ჰ** — 40/30/-20/4/ — ირიბობ. 3 (წა-ჰ-გლიჯა მან მას ის).

პრეფიქსთა სამპოზიციანი შემთხვევები

1. **ა-გ-ა** — 40/1/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2 (ა-გ-ა-ვსო მან შენ).
2. **ა-გ-ე** — 40/1/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (ა-გ-ე-ვსო ის შენ).
II. მოქმ., სუბ. 2, მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ა-გ-ე-ვსო შენ ის).
3. **ა-გვ-ა** — 40/1/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (ა-გვ-ა-ვსო მან ჩვენ).

4. ა-გვ-ე — 40/1/-20/5/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (ა-გვ-ე-ვსო ის ჩვენ).
II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ა-გვ-ე-ვსო ჩვენ ის).
5. ა-გვ-ი — 40/1/-20/2/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირ. ობ. 1., მრ. (ა-გვ-ი-ყვანა მან ჩვენ).
6. ა-გვ-ი — 40/1/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 1., მრ. (ა-გვ-ი-შენდება ის ჩვენ; ა-გვ-ი-შენა მან ჩვენ ის).
II. მოქმ., სუბ. 1., მრ., პირველი თურმ. (ა-გვ-ი-შენებია ჩვენ ის).
7. ა-გ-ი — 40/1/-20/2/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდ. ობ. 2 (ა-გ-ი-ყვანა მან შენ).
8. ა-გ-ი — 40/1/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 2 (ა-გ-ი შენდა ის შენ; ა-გ-ი-შენა მან შენ ის).
II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს., სუბ. 2., პირველი თურმ. (ა-გ-ი-წერია შენ ის).
9. ა-ვ-ა — 40/1/-30/1/-10/6/ — მოქმ., სუბ. 1 (ა-ვ-ა-შენე მე ის).
10. ა-ვ-ე — 40/1/-30/1/-10/2/ — I. ვნებ., სუბ. 1 (ა-ვ-ე-ფარე მე მას).
II. მოქმ., ობ. 1., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ა-ვ-ე-ვსე მას მე).
11. ა-ვ-ი — 40/1/-30/1/-10/1/ — ვნებ., სუბ. 1 (ა-ვ-ი-ვსე მე).
12. ა-ვ-ი — 40/1/-30/1/-10/3/ — მოქმ. სასუბ. ქც., სუბ. 1 (ა-ვ-ი-შენე მე ის).
13. ა-ვ-უ — 40/1/-30/1/-10/4/ — I. საობ. ქც., სუბ. 1 (ა-ვ-უ-შენე მე მას ის).
II. მოქმ., ობ. 1., პირველი თურმ. (ა-ვ-უ-ვსივარ მას მე).
14. ა-მ-ა — 40/1/-20/1/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მხ. (ა-მ-ა-შენა მან მე).
15. ა-მ-ე — 40/1/-20/1/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მხ. (ა-მ-ე-ვსო ის მე).
II. მოქმ., სუბ. 1., მხ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ა-მ-ე-ვსო მე ის).
16. ა-მ-ი — 40/1/-20/1/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდ. ობ. 1., მხ. (ა-მ-ი-ყვანა მან მე).
17. ა-მ-ი — 40/1/-20/1/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 1., მხ. (ა-მ-ი-შენდა ის მე; ა-მ-ი-შენა მან მე ის).
II. მოქმ., სუბ. 1., მხ. (ა-მ-ი-შენებია მე ის).
18. ამო-გ-ა — 40/2/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2 (ამო-გ-ა-ვსო მან შენ).
19. ამო-გ-ე — 40/2/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (ამო-გ-ე-ფარა ის შენ).

II. მოქმ., სუბ. 2., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ამო-გ-ე-წერა შენ ის).

20. **ამო-გვ-ა** — 40/2/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (ამო-გვ-ა-ესო მან ჩვენ).

21. **ამო-გვ-ე** — 40/2/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (ამო-გვ-ე-ფარა ის ჩვენ).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ამო-გვ-ე-წერა ჩვენ ის).

22. **ამო-გვ-ი** — 40/2/-20/5/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდ. ობ. 1., მრ. (ამო-გვ-ი-ყვანა მან ჩვენ).

23. **ამო-გვ-ი** — 40/2/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 1., მრ. (ამო-გვ-ი-შენდა ის ჩვენ; ამო-გვ-ი-შენა მან ჩვენ ის).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ., პირველი თურმ. (ამო-გვ-ი-წერია ჩვენ ის).

24. **ამო-გ-ი** — 40/2/-20/2/-10/3/ — მოქმ., საობ. ქც., რეალურად. პირდ. ობ. 2 (ამო-გ-ი-ყვანა მან შენ).

25. **ამო-გ-ი** — 40/2/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 2 (ამო-გ-ი-შენდა ის შენ; ამო-გ-ი-შენა მან შენ ის).

II. მოქმ., სუბ. 2., პირველი თურმ. (ამო-გ-ი-წერია შენ ის).

26. **ამო-ვ-ა** — 40/2/-30/1/-10/6/ — მოქმ., სუბ. 1 (ამო-ვ-ა-შენე მე ის).

27. **ამო-ვ-ე** — 40/2/-30/1/-10/2/ — I. ვნებ., სუბ. 1 (ამო-ე-ვ-ე-ბარე მე მას).

II. მოქმ., ობ. 1., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ამო-ვ-ე-ხატვარ მას მე).

28. **ამო-ვ-ი** — 40/2/-30/1/-10/1/ — ვნებ., სუბ. 1 (ამო-ვი-ვსე მე).

29. **ამო-ვ-ი** — 40/2/-30/1/-10/1/ — მოქმ., სასუბ. ქც., სუბ. 1 (ამო-ვ-ი-ვსე მე ის).

30. **ამო-ვ-უ** — 40/2/-30/1/-10/4/ — I. საობ. ქც., სუბ. 1 (ამო-ვ-უ-შენდი მე მას; ამო-ვ-უ-შენე მე მას ის).

II. მოქმ., ობ. 1., პირველი თურმ. (ამო-ვ-უ-ხატვარ მას მე).

31. **ამო-მ-ა** — 40/2/-20/1/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მხ. (ამო-მ-ა-ცალა მან მე ის).

32. **ამო-მ-ე** — 40/2/-20/1/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მხ. (ამო-მ-ე-ფარა ის მე).

II. მოქმ., სუბ. 1., მხ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ამო-მ-ე-წერა მე ის).

33. **ამო-მ-ი** — 40/2/-20/1/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ., პირდ. ობ. 1., მხ. (ამო-მ-ი-ყვანა მან მე).

34. **ამო-მ-ი** — 40/2/-20/1/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 1., მხ. (ამო-მ-ი-ყვანა მან მე ის).
II. მოქმ., სუბ. 1., მხ., პირველი თურმ. (ამო-მ-ი-წერია მე ის).
35. **აღ-გ-ა** — 40/3/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2 (აღ-გ-ა-ფრთოვანა მან შენ).
36. **აღ-გ-ე** — 40/3/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (აღ-გ-ე-წერა ის შენ).
II. მოქმ., სუბ. 2., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღ-გ-ე-წერა შენ ის).
37. **აღ-გვ-ა** — 40/3/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (აღ-გვ-ა-ფრთოვანა მან ჩვენ).
38. **აღ-გვ-ე** — 40/3/-20/5/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (აღ-გვ-ე-კვეთა ის ჩვენ).
II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღ-გვ-ე-წერა ჩვენ ის).
39. **აღ-გვ-ი** — 40/3/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 1., მრ. (აღ-გვ-ი-შენდა ის ჩვენ; აღ-გვ-ი-შენა მან ჩვენ ის).
II. მოქმ., სუბ. 1., მრ., პირველი თურმ. (აღ-გვ-ი-ფრთოვანებია ჩვენ ის).
40. **აღ-გ-ი** — 40/3/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 2 (აღ-გ-ი-ფრთოვანა მან შენ ის; აღ-გ-ი-ფრთოვანდა ის შენ).
II. მოქმ., სუბ. 2., პირველი თურმ. (აღ-გ-ი-მართავს შენ ის).
41. **აღ-ვ-ა** — 40/3/-30/1/-10/6/ — მოქმ., სუბ. 1 (აღ-ვ-ა-დგინე მე ის).
42. **აღ-ვ-ე** — 40/3/-30/3/-10/2/ — I. ვნებ., სუბ. 1 (აღ-ვ-ე-მართე მე მას).
II. მოქმ., ობ. 1., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღ-ვ-ე-მართე მას მე).
43. **აღ-ვ-ი** — 40/3/-30/1/-10/1/ — ვნებ., სუბ. 1 (აღ-ვ-ი-ზარდე მე).
44. **აღ-ვ-ი** — 40/3/-30/1/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ., სუბ. 1 (აღ-ვ-ი-ზარდე მე ის).
45. **აღ-ვ-უ** — 40/3/30/1/-10/4/ — I. საობ. ქც., სუბ. 1 (აღ-ვ-უ-ზარდე მე მას ის; აღ-ვ-უ-დეგ მე მას).
II. მოქმ., ობ. 1, პირველი თურმ. (აღ-ვ-უ-წერივარ მას მე).
46. **აღ-მ-ა** — 40/3/-20/1/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მხ. (აღ-მ-ა-ფრთოვანა მან მე).
47. **აღ-მ-ე** — 40/3/-20/1/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მხ. (აღ-მ-ე-მართა ის მე).
II. მოქმ., სუბ. 1., მხ. მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (აღ-მ-ე-მართნა მე ის).

48. **ალ-მ-ი** — 40/3/-20/1/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 1., მხ. (ალ-მ-ი-ზარდა მან მე ის; ალ-მ-ი-დგა ის მე).
II. მოქმ., სუბ. 1, მხ., პირველი თურმ. (ალ-მ-ი-წერია მე ის).
49. **ალმო-გ-ა** — 40/4/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2 (ალმო-გ-ა-ჩინა მან შენ).
50. **ალმო-გ-ე** — 40/4/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (ალმო-გ-ე-მართა ის შენ).
II. მოქმ., სუბ. 2., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ალმო-გ-ე-ჩინა შენ ის).
51. **ალმო-გვ-ა** — 40/4/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (ალმო-გვ-ა-ჩინა მან ჩვენ).
52. **ალმო-გვ-ე** — 40/4/-20/5/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (ალმო-გვ-ე-მართა ის ჩვენ).
II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ალმო-გვ-ე-ჩინა ჩვენ ის).
53. **ალმო-გვ-ი** — 40/4/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 1., მრ. (ალმო-გვ-ი-ჩინა მან ჩვენ ის; ალმო-გვ-ი-ცენდა ის ჩვენ).
II. მოქმ., სუბ., 1., მრ., პირ. თურმ. (ალმო-გვ-ი-ჩენია ჩვენ ის).
54. **ალმო-გ-ი** — 40/4/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 2 (ალ-მო-გ-ი-ჩინა მან შენ ის; ალმო-გ-ი-ჩნდება ის შენ).
II. მოქმ., სუბ. 2., პირველი თურმ. (ალმო-გ-ი-ჩენია შენ ის).
55. **ალმო-ვ-ა** — 40/4/-30/1/-10/6/ — მოქმ., სუბ. 1 (ალმო-ვ-ა-ჩინე მე ის).
56. **ალმო-ვ-ე** — 40/4/-30/1/-10/2/ — I. ვნებ., სუბ. 1 (ალმო-ვ-ე-მართე მე მას).
II. მოქმ., ობ. 1; მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ალმო-ვ-ე-ჩინე მას მე).
57. **ალმო-ვ-ი** — 40/4/-30/1/-10/1/ — ვნებ., სუბ. 1 (ალმო-ვ-ი-მართე მე).
58. **ალმო-ვ-ი** — 40/4/-30/1/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ., სუბ. 1 (ალ-მო-ვ-ი-მართე მე ის).
59. **ალმო-ვ-უ** — 40/4/-30/1/-10/4/ — I. საობ. ქც., სუბ. 1 (ალმო-ვ-უჩინე მე მას ის; ალმო-ვ-უ-ჩნდი მე მას).
II. მოქმ., ობ. 1; პირველი თურმ. (ალმო-ვ-უ-ჩენიხარ მას მე).
60. **ალმო-მ-ა** — 40/4/-20/1/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მხ. (ალმო-მ-ა-ჩინა მან მე).
61. **ალმო-მ-ე** — 40/4/-20/1/-10/1/ — I. ვნებ., ობ. 1., მხ. (ალმო-მ-ე-მართა ის მე).

II. მოქმ., სუბ. 1., მხ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (ალმო-მ-ე-ჩინა მე ის).

62. **ალმო-მ-ი** — 40/4/-20/1/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბობ. 1., მხ. (ალმო-მ-ი-ჩინა მან მე ის; ალმო-მ-ი-ჩნდა ის მე).

II. მოქმ., სუბ. 1., მხ., პირველი თურმ. (ალმო-მ-ი-ჩენია მე ის).

63. **გა-გ-ა** — 40/5/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2. (გა-გ-ა-ბედნიერა მან შენ).

64. **გა-გ-ე** — 40/5/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (გა-გ-ე-ფურჩქნა ის შენ).

II. მოქმ., სუბ. 2., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გა-გ-ე-ფურჩქნა შენ ის).

III. ვნებ., სუბ. 2(გა-გ-ე-ცინა შენ).

65. **გა-გვ-ა** — 40/5/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (გა-გვ-ა-ბედნიერა მან ჩვენ).

66. **გა-გვ-ე** — 40/5/-20/5/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (გა-გვ-ე-ფურჩქნა ის ჩვენ).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გა-გვ-ე-ფურჩქნა ჩვენ ის).

III. ვნებ., სუბ. 1., მრ. (გა-გვ-ე-ცინა ჩვენ).

67. **გა-გვ-ი** — 40/5/-20/5/-10/5/ — სასუბ. ქც., მოქმ., პირდ. ობ. 1., მრ. (გა-გვ-ი-ყვანა მან ჩვენ).

68. **გა-გვ-ი** — 40/5/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ობ. 1; მრ. (გა-გვ-ი-ფურჩქნა მან ჩვენ; გა-გვ-ი-შენდება ის ჩვენ).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ. პირველი თურმ. (გა-გვ-ი-შენებია ჩვენ ის).

69. **გა-გ-ი** — 40/5/-20/2/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ., პირდ. ობ. 2 (გა-გ-ი-ყვანა მან შენ).

70. **გა-გ-ი** — 40/5/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ირიბ. ობ. 2 (გა-გ-ი-ფურჩქნა მან შენ ის; გა-გ-ი-შენდა ის შენ).

II. მოქმ., სუბ. 2 (გა-გ-ი-შენებია შენ ის).

71. **გადა-გ-ა** — 40/5/-20/2/-10/6/ — მოქმ., ობ. 2 (გადა-გ-ა-ხედა მან შენ).

72. **გადა-გ-ე** — 40/6/-20/2/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 2 (გადა-გ-ე-შალა ის შენ).

II. მოქმ., სუბ. 2., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გადა-გ-ე-ხატა შენ ის).

73. **გადა-გვ-ა** — 40/5/-20/5/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მრ. (გადა-გვ-ა-ხედა მან ჩვენ).

74. **გადა-გვ-ე** — 40/6/-20/5/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მრ. (გადა-გვ-ე-შალა ის ჩვენ).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გადა-გვ-ე-შალა ჩვენ ის).

75. **გადა-გვ-ი** — 40/6/-20/5/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდ. ობ. 1., მრ. (გადა-გვ-ი-ყვანა მან ჩვენ).

76. **გადა-გვ-ი** — 40/6/-20/5/-10/5/ — I. საობ. ქც., ობ. 1., მრ. (გადა-გვ-ი-შალა მან ჩვენ ის).

II. მოქმ., სუბ. 1., მრ., პირველი თურმ. (გადა-გვ-ი-წერია ჩვენ ის).

77. **გადა-გ-ი** — 40/6/-20/2/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდობ. 2 (გადა-გ-ი-ყვანა მან შენ).

78. **გადა-გ-ი** — 40/6/-20/2/-10/5/ — I. საობ. ქც., ობ. 2 (გადა-გ-ი-შალა მან შენ ის; გადა-გ-ი-შენდა ის შენ).

II. მოქმ., სუბ. 2.,, პირველი თურმ. (გადა-გ-ი-წერია შენ ის).

79. **გადა-ვ-ა** — 40/6/-30/1/-10/6/ — მოქმ., სუბ. 1 (გადა-ვ-ა-ხედე მე ის).

80. **გადა-ვ-ე** — 40/6/-30/1/-10/2/ — I. ვნებ., სუბ. 1 (გადა-ვ-ე-შალე მე მას).

II. მოქმ., ობ. 1., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გადა-ვ-ე-ხატე მას მე).

III. მოქმ., სუბ. 1 (გადა-ვ-ე-ცი მე მას ის).

81. **გადა-ვ-ი** — 40/6/-30/1/-10/1/ — ვნებ., სუბ. 1 (გადა-ვ-ი-კარგე მე).

82. **გადა-ვ-ი** — 40/6/-30/1/-10/3/ — სასუბ. ქც., მოქმ., სუბ. 1 (გადა-ვ-ი-ხატე მე ის).

83. **გადა-ვ-უ** — 40/6/-30/1/-10/4/ — I. საობ. ქც., სუბ. 1 (გადა-ვ-უ-ხატე მე მას ის).

II. ქცევის მნიშვნელობა არ აქვს, მოქმ., ობ. 1, პირველი თურმ. (გადა-ვ-უ-ხატივარ მას მე).

84. **გადა-ვ-ჰ** — 40/6/-30/1/-20/4/ — სუბ. 1., ირიბობ. 3 (გადა-ვ-ჰ-კიდე მე მას ის).

85. **გადა-მ-ა** — 40/6/-20/1/-10/6/ — მოქმ., ობ. 1., მხ. (გადა-მ-ა-ხედა მან მე).

86. **გადა-მ-ე** — 40/6/-20/1/-10/2/ — I. ვნებ., ობ. 1., მხ. (გადა-მ-ე-შალა ის მე).

II. მოქმ., სუბ. 1., მხ., მეორე თურმ. ან მესამე კავშ. (გადა-მ-ე-ხატა მე ის).

87. **გადა-მ-ი** — 40/6/-20/1/-10/3/ — მოქმ., სასუბ. ქც., პირდ. ობ. 1., მხ. (გადა-მ-ი-ყვანა მან მე).

